

האנציקלופדיה

12

1976



~~~~~ 70 წელი ~~~~~

ზეუსრულდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის  
ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს  
ლეონიდ ილიას ქმ ბრეჟნევს.

# სესია

235

გამომცემის შეცნობაზე წელი

12

დეკემბერი

1976

თბილისი

საქ. ბიბ. ცენტრის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შერჩეული

საწარმოებელი ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის თანხმად

ე. შარტავის საბ. საქ. სსრ  
საბეჭდო-გრაფიკული ცენტრი

## მ ი ნ ი ა რ ს ი

### 3. თარგმანთა შესახებ

#### პროზა, პოეზია

- 6- თედო ბაქუშვილი — მსოფლო, წლების მიხედვით
- 7- ირაკლი ბაქიანი — მოთხრობები
- 17- ირაკლი შაველაძე — მსხვერპლი მოთხრობა და სპეციალური
- 32- ბაგო მუხარბიანი — ლექსები
- 34- ირაკლი ბაქიანი — ლექსები
- 35- ილია პარსია — ლექსები
- 36- რამიზი კახიანი — ლექსები
- 38- მაღონა გორგაძე — დღის, ღამის, ზღაპრის მოთხრობა
- 60- თბილისი პედაგოგი — შუაგულში, მოთხრობა
- 80- თბილისი პედაგოგი — ლექსები
- 83- ავთანდილ შურაფიანი — ლექსები
- 84- გუგუნი კახიანი — მოთხრობა, ლექსი
- 85- ზორაბ კახიანი — მიწის მოთხრობა, ლექსი

#### ბავშვთა თარგმანები

- 86- შილაგი შაველაძე — ავგუსტ ბერგსონის მოთხრობები, ინტელექტუალური თარგმანი ენის განვითარებისთვის
- 101- ელენა ბაქიანი — კომპიუტერული თარგმანი
- 102- ნინო — ბავშვები, ანტიკურიდან თარგმანი ზეზუა მდელაშვილი

#### წიგნები

- 108- ლევან მინაშვილი — რუსთველის მემორიალი
- ✓ 115- ბარბარე კვინიტაძე — რუსთველის მემორიალი და საზოგადოების ერთი უცხოეთში მოსაზრება
- ✓ 131- მელა მარგალიტი — ქართული საზოგადოების ერთი ინტელექტუალური მემორიალი

#### ლიტერატურის მართვა

- ✓ 145- ირაკლი ბაქიანი — მემორიალი ავთანდილ შურაფიანის დასახარად

#### იხილეთ

- ✓ 153- გიორგი მინაშვილი — შავი აქტი

მთავარი რედაქტორი  
ჯ. ბ. მ. მ. მ. მ. მ.

სარედაქციო კომისია:

- ვანუა აბიანური,
- ვალერიან ზარბაზი,
- არსენ კვიციანი,
- ვიკტორ შაველაძე,
- ირინეო გორგაძე,
- ვიკტორ შაველაძე,
- ნიკოლოზ მინაშვილი,
- მარტო მინაშვილი,
- ნიკოლოზ მინაშვილი,
- ნიკოლოზ მინაშვილი,
- (პაუზის შემდეგ მდებარე),
- ნიკოლოზ მინაშვილი,
- მარტო მინაშვილი,
- ნიკოლოზ მინაშვილი.

# თაობათა ესტაფეტა

1976 წლის 24 თებერვალს შესდგა ლენინელთა დიდი ფორუმი, ოცდამეხუთე ყრილობა საბჭოთა კავშირის კომუნისტებისა.

კომუნისტთა ცხოვრებაში ოცდამეხუთე ყრილობა განხლდათ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა.

ყრილობამ დიდი ჰორიზონტები გადაგვიშალა, დიდი ამოცანები დასახა ჩვენს წინაშე.

ცხრა თვე გვაშორებს ყრილობიდან და უკვე გიგანტური ნაბიჯებით მიარღვევს ქარიშხალს ჩვენი დიდი და უკიდევანო სამშობლო.

ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობას საფუძვლად უძევს თეორიული დებულებები და პრაქტიკული დასკვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია ჩვენი პარტიის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენებებში და გამოსვლებში. ჩვენი ყოველდღიური საქმიანობა რა თქმა უნდა გამომდინარეობს პარტიის ოცდამეხუთე ყრილობის გადაწყვეტილებიდან.

დღეს, ჩვენში, ყველა მაღალმხატვრულ და ტალანტიერ ნაწარმოებს, რომელიც ჩვენს დიდ მომავალსა და კომუნიზმის დიდი მშენებლობის საქმეს ეხმარება, ეროვნულ საუნჯედ თვლიან. ლიტერატურისა და ხელოვნების უფროსი თაობის მოღვაწეთა ვალი ყოველთვის ეყო წარმოეჩინა ახალგაზრდა ნიჭიერი შემოქმედი, რომელიც მამათა ესტაფეტის გამგრძელებელი იქნებოდა. — დღეს ხშირადაა საუბარი თაობათა ესტაფეტაზე, ეს არ განხლავთ მამათა და შვილთა ბრძოლა, პარტიით, აქ ლაპარაკია იმაზე, რომ შვილმა უნდა აიტაცოს ლიტერატურული დროშა მამისა, რომელსაც მაღლა ეჭირა და რვეოლუციიდან მოწყვეტილი მრავალ ქარიშხალში გამოუტარებია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტთა ოცდამეხუთე ყრილობაზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა კიდევ უფრო აამაღლა და ღრმადმნიშვნელოვანი ვახადა მწერლის პირადი ავტორიტეტი, მწერლის დიდი როლი ახალი ადამიანის ჩამოყალიბებაში და მის ლენინურ წრთობაში. ამ ღირსეულ ნდობას ჩვენც ღირსეულად უნდა ვუპასუხოთ.

არაერთხელ გვითქვამს და არაერთხელ გვხმენია: ჩვენ, იდეურ-პოლიტიკური მუშაობა ისე უნდა მოვაწყოთ, რომ უზრუნველყოთ კომუნისტური აღზრდის თანმიმდევრობა და მექვიდრობითობა სკოლამდელი ასაკიდან მთელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე. ომი უნდა გამოვუცხადოთ ფორმალისმს. ჩვენთვის დღეს მთავარია არა ის, რამდენი კრება მოვიწვიეთ ახალგაზრდობისადმი მიძღვნილ დადგენილებასთან დაკავშირებით, არამედ, ის რომ ჩვენი იდეები ჩვენივე მომავლის რწმენა ვახდეს.

გამოქვეყნდა დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი: საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება: „შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“. ოცდარობი ოქტომბრის „პრავედის“ მოწინავეში ასე ვკითხულობთ:

„პარტიის ოცდამეხუთე ყრილობის გადაწყვეტილებათა სულისკვეთებით გამსჭვალულ ამ დოკუმენტში მოცემულია შემოქმედებითი ანტილიგენციის

ახალგაზრდა თაობის პროფესიული სწავლებისა და იდეურ-პოლიტიკური წრთობის მთელი სისტემის სრულყოფის გაშლილი პროგრამა“.

მოდის ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელსაც მეტი მზრუნველობა სჭირდება ვიდრე ოდესმე, მწვანე გზა სჭირდება ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდობას. ჩვენი დიდი რეალიზმის პირუთვნელ მიმდევართ გზის ჩვენება სჭირდება გამოცდილი და ბრძოლებში გამობრძმედილი მასწავლებლებისაგან.

ახალ თაობას, ახალი გმირები მოჰყვებათ, ისინი მაინც უჩინონი არიან, გმირი უნდა მწერალმა წარმოაჩინოს, მწერალმა უნდა შეახსოს ფრთები, რათა მომავალში ენერგიულად ამოფრინდეს თავისი ბუდიდან და სამშობლოს ღურჯი და უკიდევანო მთა და ბარი გადასეროს.

„ცისკარი“ კვლავაც დიდი სიამოვნებითა და აღტაცებით შეახსენებს თავის მკითხველებს ჩვენი ჭაბუკებისა და ქალიშვილების გმირულ საქმეებს, რომლებიც აშენებენ ენგურჭებს და ისეთივე შემოქმედებითი და დაუღლეი ენერგიით გაჰყავთ გზები ბაშუე, როგორც ოდესღაც პავა კორჩაგინსა და მის ამხანაგებს გაჰყავდათ ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა. ჩვენი დღევანდელი ახალგაზრდობა მშვიდობის თანატოლია. ჩვენმა დღევანდელმა ახალგაზრდობამ იცის იმ დაღვრილი სისხლის ფასი, რომელიც მათ მამა-პაპას გაუღია. პარტია და მწერლობა განუყოფელია, ახლა ეს მტერსაც ასე სჭერა.

ჩვენი შურნალის კოლექტივს, მის სარედაქციო კოლეგიას, სულში ჩამწვდომად სწამს სიტყვები, რომელიც კომუნისტთა ოცდამეხუთე ყრილობის ტრიბუნიდან სთქვა ჩვენი პარტიის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა:

„ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის ახალგაზრდა თაობა სულ უფრო მტკიცედ შემოდის ცხოვრებაში. ამით აიხსნება ლიტერატურისა და ხელოვნების ახალგაზრდა კადრებთან მუშაობის დადებითი გამოცდილება, რომელიც პარტიულმა ორგანიზაციებმა, კომკავშირმა, კულტურის ორგანოებმა და შემოქმედებითმა კავშირებმა შეიძინეს“.

შურნალი ფართოდ უღებს კარს შემოქმედებით ინტელიგენციას, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც ფართოდ იყო ცნობილი „ცისკრის“ ბრიგადების შესახებ, დღეს არ არსებობს საქართველოში არც ერთი დიდი საწარმო სადაც „ცისკრელები“ არ ყოფილიყვნენ და შემდეგ თავიანთი ახალგაზრდული სიტყვა არ ეთქვათ შურნალში“.

დღეს შურნალი ამაყობს თავისი ავტორებით:

რესპუბლიკისა და საკავშირო ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატთა ყველა ნაწარმოები „ცისკარშია“ გამოქვეყნებული.

ჩვენი შემოქმედებითი მივილინებებით ახალგაზრდა მწერლები იყვნენ „ნია გრუზინსკაიას“ გმირებთან ბაშუე, მეცხვარებთან ნოღაის ველებზე, მეჩაიებთან, დასავლეთ საქართველოში. ჩვენს ახალგაზრდა მწერლებს დღეს იცნობს შრომით დაღლილი მევენახე თუ მარტენის ღუმელთან მდგომი მეფოლადე. ქუთაისის ავტოქარხნელი თუ სახელგანთქმული ფიქარი. მივილინებიდან დაბრუნებული, სანამდე „ცისკარი“ დაბეჭდავდეს, მანამ განხილვას ვაწყობთ საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში ლიტერატურის სექციასზე. შემდგომ ტელევიზიით გამოგვყავს მრგვალ მაგიდასთან, სადაც საქმიანი და საინტერესო საუბრები გვაქვს დღევანდელი დღის სირთულეზე, მეცხვარისა და მეჩაიის გაპირვებაზე, მათ უდიდეს გმირობაზე, საერთოდ იმ ადამიანურ ურთიერთობებზე, რომელიც უნდა არსებობდეს მწერალსა და მომავალი ნაწარმოების გმირთა შორის.

ერთ მაგალითზე შევჩერდეთ „ცისკრის“ ცხოვრებიდან:

ამასწინათ მთიდან ბარათი მივიღეთ ახალგაზრდა მწყემსისა — მისი სახელი და გვარია ტარიელ ხარხელაური, ლექსები გამოგვიგზავნა, უფრო სწორედ ჩვენი შესანიშნავი პროზაიკოსის რევაზ ინანიშვილის ხელით გვაახლა. დავინტერესდით, შესანიშნავი ლექსები აქვს ახალგაზრდა მეცხვარეს. ახლა არ იტყვიან რა ბიოგრაფია აქვს? დაამთავრა საშუალო სკოლა, მოიარა ჯარი, გახდა ოფიცერი, როგორც კარგი ოფიცერი გადაგზავნეს პარტიულ სკოლაში, დაამთავრა პარტიული სკოლა, კვლავ რაიონს დაუბრუნდა, მივიდა რაიკომში და ითხოვა ცხვარში წასვლა. არ ვიცი ეს გადაწყვეტილება რამდენად სწორია, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ჩვენმა უურნალმა ძმური დახმარება აღმოუჩინა:

ზემოთ „მწვანე გზას“ მოგახსენებდით, სასწრაფოდ მორიგ ნომერში გავუშვით ტარიელ ხარხელაურის თხუთმეტი ლექსი. დაბეჭდვამდე ტარიელი ტელევიზიით გამოვიყვანეთ, გადაცემა გაიმეორეს, მეორე დღეს პოეზიით დაინტერესებულნი ამ გადაცემასზე საუბრობდნენ. ტარიელმა თბილისში გაიცნო არა მხოლოდ მწერლები, არამედ მსახიობები, ცნობილი მსახიობები, რომლებიც დიდი ოსტატობით კითხულობდნენ ხარხელაურის ლექსებს.

ტარიელი ახლაც ცხვარშია, მაგრამ დღეს კიდევ უფრო დაბეჭივით სჯერა, რომ მთელი მისი უფროსი თაობა, იმის მეცადინეობაშია, როგორმე ბევრი ახალგაზრდა ნიჭიერი შემოქმედი გაუმხილოს სამშობლოს, რამეთუ განსაკუთრებული როლი ენიჭებათ შემოქმედებითი ცვლის დამრიგებლებს.

ჩვენი ახალგაზრდობის ჟურნალ „ცისკარს“, სწამდა და სჯეროდა, ხოლო დღეს თვალნათლივ კითხულობს, „პრავდის“ 22 ოქტომბრის მოწინავეში: „ჩვენს პარტიას შემოქმედებითი ცვლის მომზადება და აღზრდა კულტურული მშენებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია და ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა და უთმობს მას“.

საქართველოს პარტიული აქტივის ერთ-ერთ შეკრებაზე ხმამაღლა ითქვა: „შემოქმედებითი კავშირების მთავარი საზრუნავია იბრძოლონ მაღალხარისხოვანი ლიტერატურული და მხატვრული პროდუქციისათვის. მათ უნდა იბრძოლონ იმისათვის, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენელნი პარტიის საიმედო თანაშემწენი იყვნენ მასების კომუნისტურ აღზრდაში.“

ჩვენი ვალია უფრო ფართოდ ჩავაბათ შემოქმედებითი ინტელიგენციის ახალი თაობა, ჩვენი დიდი ლიტერატურისა და ხელოვნების ნიჭიერ ოსტატთა საერთო ფერხულში.

დადგენილებაში ნათქვამია: „ახალგაზრდა ხელოვნების მუშაკებთან მთელ მუშაობას საფუძვლად უნდა ედოს მათდამი გულისხმიერი დამოკიდებულება, ხოლო ეს ყველაფერი უნდა შეუხამდეს მომხსოვნელობასა და პრინციპულობას. უნდა შევისწავლოთ ახალგაზრდობის პრობლემები, დავეხმაროთ ახალგაზრდობას თავისი ნიჭის გამოვლინებაში, აღვზარდოთ ახალგაზრდობა კომუნისტური იდეალებისათვის მტკიცე მებრძოლებად“.

შემოქმედებითი ახალგაზრდობის შესახებ ეს ისტორიული დადგენილება კიდევ ერთხელ დარწმუნებს ჩვენ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, რომ მათ შეუძლიათ იამაყონ თავიანთი დედებითა და მამებით იმ უსაზღვრო ზრუნვისათვის, რასაც ისინი ქვეყნის მომავალზე იჩენენ.

ვიამაყოთ და ვაბრძოლოთ იმისთვის, რომ ჭეშმარიტად ღირსნი ვიყოთ პარტიის ამ დიდი ზრუნვისა! — ასეთია ახლა ჩვენი ამოცანა.

გაეულო, ფლავი უნე გემატავა!

კეთილი იყოს, ახლო წელი,  
ჩვენ, შექედრა ნალოდინარი!  
მშვიდობით მოხველ,  
მშვიდობით გველოს —  
დიდი იმედი ჯერაც წინ არის...

დალოცე მიწა მზით მონამული,  
დალოცე ჭერი ყველა ქართველის  
წაიღე ცრემლი და სინანული,  
წამოაფრინე ორბის მართვენი!

განაგრევე ყველგან შუქი სიკეთის, —  
წმინდა, საეტაკი, როგორც ფანტელი.  
სიბნელეს გზები გადაუკეტე —  
სინათლისაკენ მივეწარუებით...

მამულო,  
წლებს შენ გემატავა —  
მოგახის ჟამი ნგრევის, შენების...  
შერჩება ეს წელიც შენს მატთანეს,  
თდუნ კეთილად გასახსენები!

საუკუნეთა კრიალოსანში  
განრწყვილეს, როგორც თვალმარგალიტი,  
რომ მუდამ ვიყოს  
ამ წლის ღოცვაში,  
რომ მათი შუქი გაგვეკეს ხვალისთვის!

აფწითო, ძმებო, ჭიქა-ბარძიმი,  
წრფელად გულით და ხელით მართალით!  
კეთილი იყოს ეს ნობრანება —  
საქართველოში წელი ახალი!

კეთილი იყოს, ახლო წელი,  
ჩვენი კვლავ შეყრა ნალოდინარი!  
მშვიდობით მოხველ,  
მშვიდობით გველოს —  
დიდი იმედი ჯერაც წინ არის!



# ვსკუკი



## მოთხრობები

მრავალი წლის შემდეგ, დიდი პაპის საფლავს რომ აჩვენებდნენ შვილს, ეს დღე გაახსენდება.

— სულ ჩვენთან იქნება ვიო, პაპა?

— ჩვენთან, მაშ!

ორთვალა სიბ ქვებზე არახრახდა და ყვავიანთ წყაროს გაუსწორდა.

— დილა მშვიდობისა!

— იცოცხლე, გიორგი! — წყალთან შეგროვილმა დედაკაცებმა თვალი გააყოლეს კოფოზე შემომსხდარ პაპასა და შვილიშვილს.

ფერდებგახუნებულმა ცხენმა წყა-

როსკენ მიღრეცილი თავი ისევ ძირს დახარა და მტერიან შარაზე წაიღო ორთვალა.

— კბილები მართლა ამოუვა?

— ამოუვა, მაშ!

— თმაც?

— თმაც.

ნაცრისფერი ლეღვები გაჯგიმულან ორლობის პირას, ეზოებიდან ინდაურების კავკავი ისმის.

— ამ თავკომბალამ როგორ უნდა ისწავლოს ლაპარაკი! — დანდობილად წამოიძახა და პაპას ახედა ბიჭმა.



„თავკომბალა“ ამ გაზაფხულზე მოიყვანეს შინ. ვის მოუყვანეს, რისთვის—ვერ მიმხვდარიყო ბიჭი, სათამაშო სხვადასხვა ბევრი ჰქონდა.

— ეგ ვინდა ვითხრა?

— ბებო. გამოჭრილი თავკომბალა პაპამისიაო.

— კიდევ რაო! — უასილად იწყინა ბერიკაცმა.

— ბებია ენაცვალოსო, სამი თვისა გახდაო დღეს. ჩემო სიცოცხლეო, ჩემო თვალის ჩინოო... — თავი ჩაღუნა და უფრო ახლოს მიიწია პაპისაკენ.

— უნდა მოეფერო, შვილო, შენც. აწვალეხსო, დღისაშენმა მითხრა, ხან მუჯღუღუგუნს წაჰკრავსო, ხან თავზე მოუჭერსო ხელს. პატარაა ჯერ, რბილი ძვალი აქვს, მოსტეხავ რამეს.

გადასახვევამდე ხმა აღარ ამოუღია ბიჭს.

აკი მოეფერა კიდევ, კოცნაც დაუბიძრა. აკოცნინა, რო ჰყავდეთ თავიანთი თავკომბალა, ეფერონ და ეფერონ...

თქმაც არ დასჭირებია, ეენახებისკენ დაუხვია ცხენმა.

დილის სიგრილე ნელ-ნელა ააორთქლა ჰიატა მზემ. ოღროჩოღრო შარა ლღვსიფერი გახდა. დაცხა.

ტიტლიკანა ბიჭები გაწოლილიყვნენ არხის პირზე, რაღაცას იღებებოდნენ.

უბეში ჩაიყო ხელი, ჩურჩხელა ეგულეობდა იქ. ისევ ისე უჩუმრად ამოედო ბებოს ბალიშქვეშ.

— ჩურჩხელას... — გაუბედავად დაიწყო. — ჩურჩხელას გიოსაც აძლევს ბებო?

— არა, შვილო, ძუძუსა წოვს ჯერ.

— რატომ, პაპა?

— ჰამა ხომ უნდა, შვილო.

ბოლო მოაკვნიტა ბიჭმა ჩურჩხელას, ძერე ბაწარი შუათითზე დაიხვია და „საგზალი“ კოფოზე აარახუნა.

— დედაშენიც ეგრე წოვდა, მამაშენიც.

იცოდა, ხუმრობდა პაპა.

— შენცა? — ჰინკები გაუხტა ბიჭს თვალეშში.

— ჰო. — კარგა ხნის დუმილის შემ-

დეგ თქვა პაპამ და სადავე დაატყდა შუნა.

სიცხისა თუ გზის ერთფეროვნებისგან გალექებულმა ცხენმა ნაბიჯს უმატა.

— გახსოვს, ბოთორა რომ მოგიყვანიე, თეფშიდან რომ ახერეპინეზდი რძეს, ტახტის ქვეშ რომ იწვენდი?

— მახსოვს, პაპა.

— ისა, ღრიალი რომ მორთე, გარეთ ნუ გაავდებთო?

— ისიცა.

— ამასწინებზე კანკებში რომ გწვდა, ლეკვებთან რომ არ მიგიშვია?

— ეგეც.

— ახლა თვითონ აწოვებდა, შვილო...

ბიჭი გაჩუმდა. მერე ბოლომოკვნიტილი ჩურჩხელა უბეშივე შეინახა და ვენახებისკენ ოკრობოკროდ დაგდებულ ნაცრისფერ შარას დააქქერდა...

ჯერ კი ხუთიოდე წელიწადი გავიდა... ქარბორბალასავით ჩაიარა დიდმა ომმა.

ჩაიარა და უშამოდ დარჩა ბიჭი. პატარა ვიო რაღაც უცნაურმა ავადმყოფობამ წაიყვანა. დედა გათხოვდა. ბებო ძლივს და დაფაჩუნობს ეზოში.

— სარაოდ მოგიერთავს ეს ბიჭი, დასანაშნად კი არ მიმყავს!

— ამოდი, შვილო, ამოდი. ეგ რომ ვირზე შეჯდება, მთელი სოფელი დაადგეს, ვეღარ გადაათქმევინებს. ამოდი, გაიხადე.

„გაბატტვლებს ეხლა მაგ ბიჭს, ხელფეხდასხეპილს ამომიყვანს, იქნებ ლოგინშიც უკრას თავი, — უკვე თავისთვის დუღუნებს დედაკაცი. — ეს ეშმაკის კერძიც რომ აეკრობა და აღარ მოსცილდებო? ან კი რას ექაქანებ, მაგის ჭილაგისა არ არის ეგეც? ეხლავე ეტყობა, რაც გამოვა!“

პაპა-შვილიშვილი კი გზას ადგას უკვე.

მზე გახურდა, ისე გახურდა, რომ ხეშეში ძურწა ჰინჭარივით ისუსხება. მეოთხე რიგიც რომ ამოათავეს, შევისვენოთო, პაპამ, რუში ამოიბანეს ხელები.

კაკლის ძირას სხედან.

მორჩენილი კიტრი და პამიდორი გვერდზე მიაწყო ბერკაცმა, ფეხები გაშალა, ცარიელი აბგა ამოიღო თავქვეშ.

— მართლა დალოცვილი ხეა.

— რაზე ამბობ, პაპა?

— კაკალზე, შვილო. ნაყოფი ხომ კარგი აქვს და ჩრდილს ნულარ იტყვი, ერთსაც ვერ ამოუყენებ გვერდით.

— ეგეთი რა არის, რო?

— ბუხს არ იკარებს, შვილო. არა, ერთი ძირი რომ დარგო და უთხრა, გამირევეტო, ვერ გარეკავს, მაგრამ შემთავლე გარშემო ეზო იქნება თუ ბალი და ნახვ. იმიტომაც უყვარდათ ძველებს.

— ეხლა, რა...

— ბევრს დაავიწყდა, შვილო. თითო ორჯოლასა ახსოვს. ერთალია მიადგენ ეს მამაცხონებულები, აქაო და, ლამაზი ავეჯი იციო, ჭრეს და ჭრეს. ღმერთი რომ კაცს დასჯის, ჰკუას წაართმევს ხოლმე. რა კარგად უთქვამთ?!

— ვენახების პირზე სულ კაკლები არა დგას?

— დგას, როგორ არა დგას, — მოხუცი ერთხანს გაჩუმდა. — კახში გადავიდოდით ხოლმე ტახზე, აი კაკალი იქ იცის. ეეჰ... — მძიმედ ამოაყოლა მერე.

ნელა-ნელა იღვევა დღე.

ხელ-ფეხი მართლა დაისხიბა ბიჭმა. აღესილ დანასავით ისერება ეს ოხერი ალაფა! ავი ვამბობდი, ავი ვამბობდი! შეიცხადებს ბებო და სალაპარაკოდაც ეყოფა დაღამებამდე.

შინისკენ მიუყვებიან გზას პაპა და შვილიშვილი. მოხუცი ხელცარიელი მიდის. პამიდორით, ვაშლითა და კიტრით სავეს აბგა ბიჭს ჰკიდია მხარზე.

— აღარ მივალთ? — უფრო და უფრო ემძიმება ბიჭს ტვირთი.

— მივალთ, შვილო, მივალთ. — ხანზე უგდებს სიტყვას ბერკაცი.

იღვება მამა-შვილი. ჩრდილოეთით, ხანჯვარი ექნება ბორცვს — სამხრეთისკენ პირშექცეული დაუსაფლავებით დიდი პაპა. გაკვირება და წყენა დაეტყობა ბიჭს სახეზე — სულ სხვანაირად წარმოედგინა ყველაფერი...

ჩაშავებულ-ჩაჭიანებული ორი ბრტყელი ჯოხი და პატარა ბორცვი. გარშემოც ასეთივე ბორცვები, ბალახმოდებული მიწა, სიჩუმე და თეთრი პეპლები.

„აბა, სად არისო გიორგი პაპა“, სწორედ ასე იკითხავს ბიჭუნა.

გაუძნელდება თქმა. მაგრამ წლების მერე იქნება ეს.



ბერკაცი ღუმელთან. გვედოზე ზის და წალდით ჩორკნის პირმრუდე ფიცარს. დროდადრო გაჩერდება, თან ფიცარს ათვალეირებს და თან შემის ტაკატუეს უგდებს ყურს.

შორიახლოს, ძველებურ ტახტზე ათოდე წლის ბიჭი პირქვე გაწოლილია, იღლიებში მუთაქა ამოუღვია, ზედ ნიკაპითაც დაპყრდნობია და წიგნს ჩაპირკიტებს.

თოვს ფანჯრებს იქით.

— ბარონი მიუნჰაუზენი თუ გაგიგონია, პაპა?

მოხუცმა ფიცარს თავი ანება და შემობრუნდა.

— როგორა თქვი? ბარონი მაუნ...

— მიუნჰაუზენი, პაპა.

— რაო, ვინ არი, რა მოხელეა.

— დიდი მოგზაური, პაპა. მთელი მსოფლიო შემოუვლია.

— ნადირზე თუ უვლია, შვილო. — კითხულობს პაპა და ჩორკნას აგრძელებს.

— უვლია რომელია. ჩვენსავით თითო-ორიოლა კურდღელს კი არ დასდევდა ბალახანთ სერებზე! ერთხელ ლომების ჩხუბს შესწრებია. თვალისდახამხამებაში შეუსანსლავთ ერთმანეთი, კუდებიღა დარჩენილა მარტო.

ეს დღეც გაახსენდება წლების მერე. ერთ უბრალოდ ამობურცულ მიწასთან

ირაკლი ხარიაშვილი  
მომთარობები

მოხუც დაფანჩული წარბები უტოკ-  
დება, თავს აქნევს და ელიმება.

— ომში თუ ყოფილა ეგ შენი...  
— მიუნპაუზენი, პაპა.

— ჰო, როგორც არის. თოფი თუ უს  
გრიო.

— უსვრია და მეტი არა? ზღვაში ჩა-  
უძირავს მთელი ფლოტი, ცარიელზე და-  
უსვამს სულთანს.

ბერიკაცს ისევ ელიმება.

წიგნი განზე გადადო ბიჭმა, ტახტი-  
დან ჩამოცურდა და პაპასთან მოკალათ-  
და.

ღუმელს ტაკატაკუცი გაუღის, აღ-  
ბათ ისევ თოვს ფანჯრებს იქით.

— შენც ხომ გიომნია, პაპა.

— ცხრაასთოთხმეტში, შვილო, მაგ-  
რამ...

— რა მაგრამ? შენ არ მითხარი, უამ-  
მორეულივით იხოცებოდაო ხალხი?

— ჰო, მაგრამ... მიწასა და მონაგარს  
თუ არ გეცილება, არ უნდა მოკლა  
კაცი.

— მერე...

— არც მინდოდა, მაგრამ ძალად გვა-  
ომებდნენ, შვილო.

— მამაჩემი...

— მამაშენი არაკაცს ეომებოდა. არა-  
კაცი კი ყველას მტერია.

— იმ ბარონზე რატომ გეცინებოდა,  
პაპა?

— ტყუილად გარჯილა, შვილო. ისიც  
რა ვიცი... რაღა არ წერია წიგნებში.  
ევეც არ იყოს, ოსმალოსთან... მენახა,  
ვეტყოდი მაგ შენს ბარონს...

— რას, პაპა? — თვალები უთამა-  
შებს ბიჭს.

— ბალიშქეშ ამოდე, არსად დაგე-

პარგოს-მეთქი ეგ შენი ტყუილი...  
ერთმანეთი გადასანსლესო? ისე, ხუმ-  
რა კაცი კი ყოფილა ეგ შენი მამა...

— მიუნპაუზენი.

— ჰო, მაგრამ ერთიც ვნახოთ და, იმ  
ჩვენი სულუბრთხეული მღვდლის აღ-  
გილზე ყოფილიყო...

— ეგ რომლის, პაპა.

— თევდორესი, შვილო, განა არ მოთ-  
ქვამს?

— თქვი რა, პაპი?

მოხუცი წაღდა და ფიცარს ძირს  
აწყობს და შორიდან, შორიდან ჰყვება.

ღუმელი გუგუნებს, მრგვალ ნასერე-  
ტებს შიგნით აბურთავებული ცეცხლი  
ოქროსფერ ნახატებს დაათამაშებს ოთა-  
ხის კედლებზე. ბერიკაცის ფეხებთან  
მიუწუნებულ ბიჭს ერთხელაც აღარ გახ-  
სენებია წიგნი.

მერე ლოგინში ჩააწვეს პაპა. დიდ-  
ხანს, დიდხანს იწვება თვალებგახელი-  
ლი. ანაფორიანი კაცი და ხმაალაღესი-  
ლი თათრები დაესიზმრება ძიღშიც.



„რა იქნაო გიორგი პაპა“, გაუმეო-  
რებს ბიჭუნა. წლები გაივლის მინამღე-  
გაზაფხული იქნება და ზედ ბორცვზე  
ამოსული ველური ყვავილი მოხვდება  
თვალში.

„ეგ არისო... დიდი პაპა...“

„ნორწყვა არ უნდა, მამა?“

„ვაალაღებს უფრო, მაგრამ ფესვი  
აქვს ისეთი, გაძლებს უმაგისოდაც...“

„რა ღონიერი ყოფილა“. მორიღებით  
იტყვის ბიჭი.

„ღონიერი, შვილო...“

## ...გინლა შინეოუსკლელი

კახეთისაკენ, გადახურებულ ასფალტ-  
ზე მიზუზუნებდა მანქანა.

წყარობთან თავშეყრილი ხალხი, სა-  
ხელანძული დედაკაეები, ცხვირ-პირ-  
მოთხვრილი ტიტლიკანა გოგო-ბიჭები,

გზისაკენ ზურგშემტეული ქეითკრის  
სახლები...

შოფერი ლაპარაკის გუნებაზე იყო.  
იცოცხლე, წლელს მოსავალი დაგვიდ-  
გებოა. ცოტა გვალვებმა შეაწუხა ვაზი.

ერთი კარგი წვიმა სულს მოათქმევინებს...  
სო ფენახს. მერე გზებზე მოპყვა — ქა-  
ლაქში აღარ გაისვლებო, შენისთანა  
მგზავრი მიმრავლსოთ ღმერთმა. გაიცი-  
ნებდა და გაღმობხედავდა.

კრიტიკურული უგდებდა ყურს მგზავ-  
რის.

ბოლოს, მობეზრდა შოფერსაც, კარგი  
ხვითო ყოფილხარო, გაიფუჭრა და თვი-  
თონაც გაჩუმდა.

გეინდა ინანა მგზავრმა — ეს ხმამა-  
ლალი, ხორკლიანი ქართული, ასე დაუ-  
დევრად რომ იხარჯებოდა ერთი კაცი-  
სათვის, სანატრელი ვახდომოდა.

ოცდაათი წელიწადი... ყელში ჩაწე-  
ბებული ნალველისა თუ სინანულის მომ-  
წარო გემო... როგორღაც უცნაურად  
გასხვისებული ნაცნობი მიწა... მის აქ არ  
ყოფნაში ნაბარტყი კანკა ბიჭები და  
გოგონები, მთელი თაობა...

უემისოდ და უჩუმრად გაღეულებო  
ეს ამოდენა დრო...

— მოვედით.  
შოფერი სანახევროდ შემობრუნდა  
და უფრო ხმამალა გაიმეორა.

ანგარიში გაუსწორა, მერე შავი სათ-  
ვალე გაიკეთა და მანქანიდან გადაო-  
ვიდა.

შოფერმა ცერად გახედა მტვრიან  
გზაზე აჩოჩილ მამაკაცს, რაღაც ჩაი-  
ლაპარაკა, ხმაურითა და ზატყით მიატ-  
რიალ-მოატრიალა მანქანა და იმავე გზით  
გააბრუნა უკან.

ხის ღობემოვლებულ ეზოში ატმის  
ხეები იდგა...

— ნიკა ძია სამოცდაორში... სანი  
წლის თავზე მარო დეიდაც დავსაფლა-  
ვეთ. — კალთაში ჩაეწყო დედაკაცს ხე-  
ლები, ერთ წერტილს დასცქეროდა და  
ისე ჰყვებოდა. — გაწყალდნენ მოხუ-  
ციები ლოდინით, მაინც არ ჰკარგავდნენ  
იმედს. რამდენი იყო, უგზო-უკვლოდ  
ლაიკარგა, როდის-როდის და, გამოჩნ-  
დებოდნენ. აგე, სულიკოანთ თანდილა,  
ომის გათავებიდან თხუთმეტი წლის მე-

რე არ მობრუნდა? ჩვენი გოგისიც ხო  
არც ჰო ვიცოდით, არც — არა.

ეზოში ისხდნენ, დიდი თუთის ქვეშ.  
ახლა კი გაიგო — აღარ იყვნენ მოხ-  
უცები. ეს დედაკაცილა შემორჩენოდა  
დაცარიელებულ ეზო-კარს. მისი ღვიძ-  
ლი ბიძაშვილი, სალომე. მობერებული-  
ყო ისიც.

ანაველი სვიმონიშვილი ვარო — ვი-  
ნაობა დამალა. ერთად ვიბრძოდით მე  
და გოგია ვორონეფთანო. უკან ვიხევე-  
დით, დაჭრილებიც ვერ გამოვიყვანეთ,  
მტრისა და ყინვის ანაბარად დარჩენიო  
დაღირჯნილ ველზე. მერე ტყვედ ჩაე-  
ვარდიო მეც. ორმოცდახუთმა შუაგულ  
ევროპაში მომისწროო. მეტი არათერი  
უთქვამს. საფრანგეთის დელუგაციას ჩემ-  
სავე მიწაზე სტუმრად ჩამოვიყვით, ეს-  
ლა დააყოლა ჩუმად.

სხვა აღარათერი უთქვამს.

სახლი კარგა მოძველებულიყო. რი-  
კულეებს ქანგისფერი დადებოდა. „კიბეც  
არ გამოუცვლიათ მას შემდეგ“. ერთი  
შინდიგორალა იდგა ძველებურად. ისე-  
თივე იყო, ფეხშიშველი რომ აირბენდა  
ხოლმე სულმოუთქვლად. საღდა ახსოვ-  
და, დათვი იცისო შინდიანში. ახლა ის  
მატრაკვეცა სალომეც რომ აეციდებო-  
და? ქვეშაფსია გოგოსთან როგორ ვი-  
არო, წაუქუსქუსებდა. სახლს რომ მიე-  
ფარებოდნენ, ერთს მაინც წაპკრავდა,  
აატრებდა. მერე შეეცოდებოდა, კაბით  
მოწმენდა ცხვირს და, ეს ერთხელაცო,  
ბევრს თუ არ იტლიკინებ გზაშიო.

„როგორ დაბერებულა“.

დილაადრიან ლეღვზე აეპარებოდნენ  
ხოლმე ნინო ძალოს, თან ჰკანდნენ, თან  
ყურს უგდებდნენ. წიწილები მეხოცე-  
ბო, თავისთვის ჯავრობდა დედაკაცი,  
ის წყეული თრია მპარავს, ტყის პირას  
რომ წრიპინებს ღამ-ღამობით, ვინმემ  
თუ გააბრაზო. საქათმესთან ჯამით რძის  
დაღმას აპირებდა, მოუბრუნდება გუ-  
ლიო. ნუთუ თრიაც კატასავთ შეხვრი-  
პავს რძესო, უკვირდათ ორთავეს. საბ-

ირაკლი ზარიაშვილი  
მოთხრობები

ქელს მოფარებულნი უთვალთვალვებდ-  
ნენ მთელი დღე.

უცნაურია, თითქოს არც დაძრულიყო  
დრო ადგილიდან.

ეს არის, ღობის ფიცარი ჩაქიანებულია  
და ჩაშვეებულია, თუთაც კარგა მადლა  
ასცილებია კრამიტებს. ატმები... ავი წე-  
ლანვე დაადგა თვალი... ჩამოხნეჭილი  
ტოტებით ისე იდგნენ — არც ყოფილათ  
ეს ოცდაათი წელიწადი! მეგრე იქვე ინა-  
ნა, ცთუნებას რომ აპყვა — „ამდენს რა  
გააძლებინებდა საცოდავ ატამს“.

— სალომე!

დალეული მოხუცი ქალი იდგა ღო-  
ბეში დატანებულ კართან.

— შემოდი, ნინო ძალო, სტუმარი  
მყავს, გოგიას ფრონტელი მეგობარი...  
დედაბერი ფაჩუნით წამოვიდა.

— აივანზე ვიჯექ მანქანიდან რომ  
გადმოდიოდი, შვილო. ჩვენ გოგიას მი-  
გამგვანე. გადამიქანდა გული, ვეღარ  
ღანვდექ შინ. გოგიას მიგამგვანე-მეთქი,  
რომ გითხარი, არ მიწყინო, შვილო. იმა-  
ნაც ეგრე იცოდა. სანამ ეზოში შემოვი-  
ლოდა, გარედან გამოხედავდა ხოლმე...  
ეგ შავი სათვალე... თვალი ხომ არ გტყი-  
ვა. — ჩაკეთხა დედაბერი.

არაო, სათვალისაკენ წაიღო ხელი ნა-  
უცბათევად.

— ჩვენებურმა მშემ დამცადა ალბათ.  
თანაც, შევეჩვიე უკვე და...

— ჩვენი გოგია... ვორონეჟთან და-  
ლუბულა, ნინო ძალო... — ძლივს ამო-  
იტანა სალომემ.

დედაბერი ერთხანს უნდოდ შეჰყუ-  
რებდა, მეგრე ხილბანდის ბოლო აიფარა  
პირზე და აღუდუნდა:

— ბედდამწვარი... ვერ გაიხარა თავის  
მინაზე. ბედდამწვარი... ბედდამწვარი..  
არც ამით ჰქონიათ სასიცოცხლო თავი.  
ტყუილად არ ამბობდა საწყალი ნიკა,  
ცოცხალი იყოს, არ დადგებოდაო სხვა-  
გან. ენა გაგიხმესო, პირში შეატეხავდა  
მარო, გული მიგრძნობს, ცოცხალიაო  
ბიჭი. რა ვუყოთ, რომ არ იწერება, ჩა-  
მოვარო, როცა იქნება, არ დაგვაგდებსო  
მოხუცებს.

როგორღაც შორიდან ისმოდა დედა-  
ბრის ჩიფჩიფი.

საყდრის კედელზე აბობლდა იმ დღეს,  
ფეხი დაუცურდა. დახეული პერანგი და  
დასისხლიანებული კანჭები ჩამოიტანა  
ძირს. თბილი წყლით ჩაჰბანა დედამ  
დაყვლეფილი ფეხები. გამეტებით დაუს-  
ვამდა ხელს, წყალმა ჩაიტანოს ყველა  
ჭირი და სატკივარიო. მაშინ კი მოითმი-  
ნა, მაგრამ ეგრე რად გამიმეტა დედამო,  
გულდათუთქული სლუქუნებდა ლოგინ-  
ში. ფრონტზე რომ მიდიოდა, მაშინ მო-  
აგონა. რა გატირებსო, ეგრე მზრდილიო  
განა? გაჩუმდით დედაკაცო, მამაც წა-  
მოეწველა, შენ იციო, შვილო, იქ არა-  
ფცრი აიტეხო, შენდა დარჩი ქორაანე-  
ბისა. მტერი არ გამიცინო ოღონდო.

პირზე ხელაფარებული დუდუნებდა  
ისევ დედაბერი.

— არ დადგებოდაო! გაკერბდებოდა  
ნიკა და ურესად შემოუნთებოდა გულ-  
ზე. რას ამბობო. დედაკაცო! შინდიგო-  
რის უნახავად. თეთრანთ წყაროს გარე-  
შე რა გააძლებინებსო აქაურ კაცს ცხრა  
მთას იქით! გაძლებსო და, გინდა მკვდა-  
რი, გინდა შინმოუსვლელო. ჩაჰკიდებ-  
და მეგრე თავს, იჯდა და ჩაჰყურებდა  
მიწას, არ ეთმობოდა მაინც შვილი...  
ეეჰ, საწყალი ნიკა, საწყალი, — უფრო  
და უფრო ხმადაბლა ჩიფჩიფებდა დედა-  
ბერი. — შვილის დარღმა მოიღწო საცო-  
დავი. ისე ამოიძირკვის ჩვენი დუშმანი,  
როგორც მაგისი გვარი ამოიძირკვა.

განეტებით წიწკნიდა რალაცა შიგნით.

— აი მოშიშვლებული ადგილი რომ  
მოჩანს ტყის თავზე, შინდიგორას ვეძა-  
ხით, იქიდან გადმომახედებდა ხოლმე, —  
აბლა სალომე აპყვა დედაბრის დუ-  
დუნს. — პატარა ხუხულას მომაძებნი-  
ნებდა სოფელში, ეგ არიო ჩვენი სახლი.  
მოდით, მეტყოდა ხოლმე, რაც იქნება,  
იქნება, დაგავორებო აქედან. ნუ გეში-  
ნიაო, იგრე ჩახვალ, ვერაფერს გაიგებო.  
განა არ ვიცოდი, მემასხრებოდა. ამიც-  
რემლდებოდა მაინც თვალები.

მაღიმაღ წაიღებდა კალთაში ჩაწყო-  
ბილ ხელებს, უჩუმრად ტიროდა სა-  
ლომე.

უფრო დაბერებული ეჩვენა სამფეხაზე ჩამომჯდარი დედაკაცი. ძალა დაატანა თავს, ვერაფრით მოარგო ერთმანეთს ეს შეწითლებული ქუთუთოები, ცრემლით გაზეთილი სახე, დამძიმებული დედაკაცური სხეული და ის კანკა გოგო, ენაგაკრფეილი რომ მისდევდა ხოლმე შინდიანში.

როგორ ურბენია დროს... ორად ორი უნაყოფო დედაკაცი იზეთებოდა ქორანების ეზოში... რა მრუდედ ურბენია დროს...

წყაროებთან თავშეყრილი ხალხი... ტიტლიკანა გოგო-ბიჭებით სავსე სოფლები...

გინდა მკვდარიო!.. შეგაწუხებთო ალბათ, ძალიძალად თქვა და წამოდგა.

— დაიცა, შვილო, ჩვენი ლეღვისა გადმოგოტან, — მოკაყული წელი ათორია მოხუცმა. — ამ სიცხეში სად წახვალ, მოსალამოვდეს, აგრილდეს ცოტა.

— მე რალამ დამიბნია თავგზა. — ტუჩი მოიკვნეცა სალომემ. — ერთი წუთით, ეხლავე მოგართმევთ ხილს.

ნუ შეწუხნდებითო, თვითონვე შეაწოდა ხელი ატამს, წითელ-ყვითელი საპოზი მოგლიჯა.

— გოგონა უყვარდა ეგ საპოზი, დრომ უწიათ და მოხუცების თვალწინ განმა სათითაოდა. სადღაც იშოვნა ნიკამ იმავ ატმებისა, ძველ ადგილებზე ჩაყარა...

...გავონის ფანჯრებიდან უკანმოუხედავად გარბოდნენ ქართლის ველები. ფრანგ ტურისტთა ჯგუფი სამშობლოში ბრუნდებოდა.

## როგორც ქვივის საპუბრიდან

— არც დაუხედავს!

— კი მაგრამ რატომ.

— ექსპერიმენტებისთვის არა გვეცაიო, გეგმა გვაქვსო ყელში წაჭერილი. გურამს პიჯაკის ჯიბეებში ჩაეწყო ხელები, ხაზგასმული სიმშვიდით დააბიჯებდა ოთახში.

— მერე, არ უთხარი?

— როგორ არ ვუთხარი.

ლიამ ფანჯარა გამოაღო, მტვრიანი ჩვარი გადაბერტყა და ისევ მიხურა.

— მერე.

— ვინა გრჯიდაო, ჩვენ ხომ არ დავვივალეობო. იქნებ რამედაც ღირდეს ეგ შენი მთელი წლის ნაფიქრო, მაგრამ რამდენი ვინმეს მოეპრიანება, იმდენი ჩარხები მოვაცდინოთ, კარგი დახლი დავვიდგებო.

— შენ ალბათ ენა ჩავივარდა მუცელში.

— არ ჩამივიარდა! — გაავებული მოუბრუნდა ცოლს, — ნანაგარიშევი მაქვს ყველაფერი, დანაკარგს რამდენიმე თვეში ავანაზღაურებთ-მეთქი, აი აქ-მეთქი, — ცხვირწინ გაეუშალე ნახაზები. მორჩა, ამაზე ნულარ ვლაპარაკებო, მითხ-

რა და თითები აარაკუნა მაგიდაზე. ერთი კი ვიფიქრე, თავზე გადავახვე-ნეთქი... — გურამი გაჩუმდა, მერე სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა.

— სამხარეულოში მოწიე, — ჩემად თქვა ლიამ და ოთახის კუთხისაკენ ანიშნა თავით, მაგიდას მისკუბებული ბიჭი არითმეტიკის წიგნს ჩაპირკიტებდა.

— ეს აქ თვალის საამებლად გიდგას! — საფერფლეზე გასრისა ახლად მოკიდებული სიგარეტი. — და საერთოდ... შენ და შენმა შვილმა...

— ჰო, თქვი... იმ შენ რქიან უფროს ვერ მოერიე და ბავშვს ეცი ახლა... იმის მაგიერად მიუჯდე, რალაც ასწავლო...

— ასწავლო, თორემ ისეთი ბეჯითი გყავს... დედაილა! ვითომ წიგნს ვკითხულობო, ცალი ყურით კი ყველაფერს კრეფავს.

— ჰო, მიდი ახლა, კიდევ რას იტყვი.

— არაფერს. — სავარძელში ჩაჯდა და გაზეთებს წამოავლო ხელი. ატრიალა, ატრიალა და უკანვე დააწყო.

ირაკლი ვარიშვილი  
მითხრობები

სადილზე მხოლოდ გიო ლაპარაკობდა. აბონემენტები დაერიგებინათ იმ დღეს. ექვსჯერ წავალთ თოჯინების თეატრში. ათასი და კიდევ ათასი რამდენი იქნებაო, დედას ეკითხებოდა. ორი ათასი უფრო მეტია თუ მილიონით. დედის პასუხმა რომ დააეჭვა, მამას მიუბრუნდა.

დედას ჰკითხეო, გურამმა. მაინც არ დაწყნარდა. ცხენები ჩამოატარესო დღეს სკოლასთან. მთელ ქუჩაზე გაჩერდნენო მანქანები. ხელებს იჭრევდნენ შოფრები, რაღაცას უყვიროდნენო ქუთუთუიან ბიჭებს. კახამ თქვა, ეშინიათო შოფრებს, ერთი რომ დასცხოს, სულ ჩაყლიტავსო მანქანას.

— მართლა ჩაყლიტავს, მამა?

— ...

— ერთმა კაცმა გვითხრა, იბოღრომზე მიპყავთო. ხომ წამიყვან იბოღრომზე?

თავისას ფიქრობდა გურამი. ნასადილევს ოთახში შებრუნდნენ. გიო მაგიდას მიუჯდა. წიგნები განზე გადააწყო, ფურცლების დასტა დაიდო წინ. გურამმა ერთხანს იტრიალა, ტელევიზორისაკენ წავიდა მერე.

— ნუ ჩართავ. — სთხოვა ლიამ.

— ფეხბურთია დღეს. — ტელევიზორი ჩართო. სავარძელში ჩაეშვა და სიგარეტს მოუკიდა.

ლიამ ერთი კი გამოხედა, მაგრამ აღარაფერი თქვა. მერე ფანჯარა გამოაღო და თვითონაც ჩამოჯდა.

გიოს ტუჩები მოეკუმბა, რაღაც საგულდაგულოდ გამოიპყავდა ფურცელზე. გერანი გაბადრულმა სახემ გაავსო. ქათქათა საყელოებშუა მოქცეული ზოლიანი პალსტუხის ორმაგი კვანძი გამოიწვევად გამობურთულიყო. პალსტუხიანი სახელმწიფოების ურთიერთგაგება-დაახლოების შესახებ ლაპარაკობდა. დინჯად და აუჩქარებლად. ფეხბურთის დაწყებამდე ჯერ კიდევ საკმაო დრო იყო.

„დაეხედა მაინც. რაღაც ეთქვა, ეყვირა თუნდაც...“

— გურამ...

— .....

— მთავარ ინჟინერთან არ შეგვილაპარაკებ?

— ჯერ არა.

— გურამ...

— ჰო.

— ყველაფერში შენ ვბაძავს. შენი სჯერა. იმ დღეს ვუთხარი, მამიკო სულ ხუთებზე სწავლობდა-მეთქი. არითმეტიკასაცო? მკითხა და დღიური ამოიღო ჩანთიდან. ხუთიანი მიეღო. რომ იცოდე, როგორ უბრწყინავდა თვალები... იქნებ ცოტათოდენი დრო...

— დრო! დრო! სად ჯანდაბაში მაქვს ეს დრო?! დაჯდეს და ტელევიზორს უყუროს. მაგოდენა რომ ვიყავი, ზღაპრებით მაძინებდა ხოლმე ბებიაჩემი.

— მეც მაგას გეუბნები...

— აღარ დაიწყებენ? — უკვე მეორე სიგარეტს ეწეოდა გურამი.

— მამიკო, მამიკო! — გიო ხვლიკივით ჩამოძვრა მაგიდასა და სკამს შუა, ფურცელს ხელი დაავლო და გამოიკცა. ოკრობოკროდ ნაწერი ასოები და სიტყვები ძლივს დააღვა გურამმა:

„იყო ერთი ლომი. სახელად ვიდიგი ერქვა. ერთ დღეს ვიდიგი ტყეში წავიდა. ტყეში მეორე ლომი შემოხვდა. უზარმაზარი თავი ჰქონდა. ვაი, რა მეშველება. თქვა ვიდიგმა. მე ერავა ვარ. დაიღრიალა მეორე ლომმა. მოდი, ვიჩხუბოთო. შეეჯახნენ და ერთმანეთი დახოცეს.“

ანდაზა. დღესაც მკვდრები არიან“.

● გურამმა ფურცელს ზემოდან გახედა შეიღს.

— არა უშავს რა, მაგრამ სახელები უნდა გამოთუცვალო ლომებს. საიდან მოიგონე ეს ვიდიგი და ერავა. რამე ნორმალური დაარქვი, ლომა. წითურა, თუნდაც ღრიალა. ბოლოსდაბოლოს, ადამიანის სახელი გამოგეტბნა. — ფურცელი გაუწოდა და ისევ ტელევიზორს მიუბრუნდა.

ბიჭი ჩუმად გატრიალდა მაგიდისკენ. სტაბილიზატორის გულისგამწყალე-ბელმა ზუზუნმა თუ მოჰქანცა, წამლაუ-წუმ ეხუტებოდა გურამს თვალები...





...ობობას ქსელივით დახლართული ქუჩები ნაცრისფერ წენობებს დაეღობათ. კარის მაგივრად ნახვრეტები ჰქონდა დატანებული სახლებს. ამ ნახვრეტებიდან მალ-მალე გამოვრდნენ და შერბოდნენ წყალგაუმტარტანსაცმლიანი აღამიანები. ეჭახებოდნენ ერთმანეთს, ჰაერშივე იჭერდნენ ხელიდან გავარდნილ ქაღალდებსა და მუყაოს კოლოფებს, უბეში მალავდნენ და ისევ ავრძელებდნენ გზას. შემფოთებულნი, დაფიქრებული სახეები ჰქონდათ. ქუჩის კუთხეში სასწრაფო დახმარების მანქანა შეინიშნა. მიუახლოვდა. მანქანაში შიშველი ბიჭუნა იწვა, ვარდისფერი კრილობა აინდა ძუძუსთავზე. ამაოდ ცაყი-ცუფობდნენ თეთრხალათიანი ექიმები — როგორც ქვიშის საგუბარი, ისე იცლებოდა ბიჭი სისხლისაგან. „როგორ მოხ-

და?“ ჰკითხა თეთრხალათიანს. „ვიღაც დაეჭახა. ფეხი დაუტურდა და პირწამდებულ რკინაზე დაეცა“. გზა გააგრძელა. მერე რაღაც მოაგონდა და უკან მობრუნდა. ისევ შეიხედა ღია კარიდან. ბიჭის სახე ეცნაურა...

— გურამ!  
 ეკრანიდან ჰალსტუხიანის გაბადრულმა სახემ შეანათა. ცოლი გვერდით ედგა და რაღაც ფურცელს აჩეჩებდა ხელში.

— ბავშვი დაწვა?!... ეს რა არის?..  
 ფურცელი გამოართვა და დახედა. ოკრობოკროდ ნაწერი მთელი „ზდაპარი“ ფანქრით დაეხაზათ, ის ადგილები კი, სადაც ადრე ღომების სახელები ვიდიგი და ერაფა ეწერა, ისე გულმოდგინედ ეშალათ, რომ დაძენძილ ქაღალდს ჰირი დაედო.

## ნ ი კ ა

— ესეც შენი კვირადღე!  
 აღრიალებული მუთაქა ლოგინზე დალო ნიკამ და დონიჯი შემოიყარა.

— აღარ ჩაიკმინდავ ხმას?!  
 მუთაქამ ღრიალს უმატა, ბოლოკივით წამოუწოთილდა სახე.

— დელაკაცი კი არა... ბაზარი შენადა...  
 საათს გახედა.

„თხუთმეტი იქით, თხუთმეტი აქეთ, ხუთიც ბაზარში. საცაა, უნდა მოვიდეს“.

ორმტკაველნახევარ ფუთას დასწვლა და სიარულს მოჰყვა ოთახში. ცალი თვალი საათისაკენ ექირა. „რა სოსიიანთ სამგლესავით მიიზღაზნება ეს მამაცხონებულნი!“.

მუთაქამ ოღნავ დაუქლო, ეს იყო და ეს. სალომე არ ჩანდა.

„დაწყდებიან ბიჭები ლოდინით. რა უნდა ვთქვა. ლეკვი მე მომიგდო დელაკაცმა, თვითონ სასეირნოდ წაპარაკუნდა-მეთქი?“

სუფრის თავში გაჭიმული მიხა და-

ლანდა თვალნათლივ. მერე გიგო, თედო, სოსია, მახარე. გახურებულ ქაიფში იყვნენ ბიჭები. შუაში ცარიელი სკამი ჩაედგათ, ნიკას ადგილი იყო ეს...

— მალე მოვბრუნდებიო! მეც რომ თანლილანთ შლუსავით დავუქარი თავი?!

„კარგი, ჯანდაბას, ოცი იქით, ოციც აქეთ, ათიც ბაზარში, მაინც რომ არა ჩანს?“

— რა ზურნასავით გააბი, შენ მაინც გაჩუმდი!

არ გაჩუმდა. გაჩუმდა კი არა, უფრო უმატა.

— ეგდე და იღრიალე. — გადაწყვიტა ბოლოს, ისევ ლოგინზე დაავლო და კარისკენ გააღაჯა.

საწყალობელი ტირილი გამოჰვედა ფეხდაფეხ.

შეჩერდა ნიკა. სახელურისაკენ გაწვდილი ხელი უილაჯოდ დაუშვა და ერთი მძიმედ ამოიოხრა.

ირაკლი გაჩინაშვილი  
 მოთხრობები

იმ წუთას რაღაც ნაპერწკალიც გაუქრათა.

— როგორ ვერ მივხვდი!

ჯერ ვარდისფერი ჩვარი შემოაცალა, მერე მუხლებზე შემოხვეული ნაჭერი, ახლა თეთრი ჩვრები. გაყიებული საფენიც რომ ამოუღო გაჩხინებული ფეხებიდან, ტირილიც შეწყდა. პატარა მუთაქამ ფეხები აიშვირა, ხელები ააფათურა, მერე ციცქნა მუცელიც გამობურთა, გაიშპორა და ადამიანს დაემსგავსა.

საწოლის პირზე ჩამოჯდა ნიკა. ცოტათი მოეშვა გულზე. ერთხანს ასე უყურა, თანდათან უნელდებოდა ბრაზიც...

სამუშაოზე დილაადრიან მიდიოდა ხოლმე, სალომე ბავშვთან ტრიალებდა. მობრუნდებოდა და, ისევ ბავშვთან იყო. ჯერ თვისა გახდა, მერე — ორისა, სამისა... ნიკა მიდიოდა და მოდიოდა. დროდადრო დაუგურგულეებდა, გაეთამაშებოდა კიდეც...

ფიქრი ბავშვის სლოკინმა გააწყვეტინა. პატარა კაცუნას დახედა ისევ. დამუშტულ თითებზე შეავლო ხელი. ცივი ეჩვენა. არ გაცივდესო, გაიფიქრა და ხელახლა შეფუთვა სცადა.

ჩვრები სხვადასხვა ზომისა იყო. ხან ასე დააწყო ხან — ისე, არაფერი გამოვიდა.

„უნდა დამეხსოვებინა“.

საწოლის თავზე ჩითის პერანგს მოჰკრა თვალი. ჩამოიღო, რის ვაივავლაზით შემოაცვა. მერე, ერთად გაფინა ლოგინზე ნაჭრები, ზედ დააწვინა ბავშვი. ტანის გასწვრივ დაუწყო ხელები. ჯერ ერთი მხარე ვადმოაკრა, ფეხებიდან ამოუკეცა, ახლა — მეორე. მუთაქა ერთი გაიზნიქა და სლოკინს სლუკუნიც ააყოლა. ეტყობა, ვერ იგუა დაბორკვა.

ისევ გახსნა, ხელები გაუთავისუფლა და ისე შეახვია.

საათს გახედა ნიკამ. კარგა შორს წასულიყო გრძელი ისარი.

„რა დაემართა იმ დედაკაცს?“ — მუთაქა ერთხანს ჩუმად იყო, ვაკვირ ვებულები აცეცებდა თვალებს და დროდადრო ასლოკინებდა. კრუსუნიც შეუტრია მერე.

— რაღა გინდა მეტი. ძუძუს მე ვერ მოგცემ, და...

მუთაქას არაფერი უთქვამს. ეს იყო, მომეტებულად ააფათურა თათები, მერე ნიკაპიც მოპრუწა, ქვედა ტუჩი საბრალობლად გამობურცა და მსხვილი ცრემლები დაუგორდა მრგვალ ლოყებზე.

„რაღაცას მთხოვს“. გული მოეწურა ნიკას. მერე ბიჭები გაახსენდა, მაგრამ ფიქრი აღარ გაუგრძელებია.

— დედაკაცო! ეს ერთი შუგრჩის და მერე ვნახოთ! — ფრთხილად აიყვანა ბავშვი და მკლავზე დაიწვინა.

ორი თაფლისფერი დილი ყურადღებით ათვალეირებდა ნიკას.

— რაო, რა მინდაო. — რაც შეიძლება რბილად სცადა.

რაღაცის თქმა დააპირა ჩვრებში გახვეულმა ციციქნა სახემ. ტუჩები შეატოკა, განზე გასწია და უკბილო პირი გამოაჩინა.

„იცინის, მგონი“.

რაღაც, ვადაუბრუნდა შიგნით ნიკას. ნება-ნება უთებოდა ის ადგილი, სადაც თავი ელო პატარა მუთაქას.

— დედაშენს რა ვუთხარი, — თავისთვის ჩაიბურტყუნა და პირველად გაეცინა დილას აქეთ.



# მ ს ს მ მ რ კ ლ ი

ქულდა.. ეოვა ზიგზაგებს ხაზავდა ცაზე... შემდეგ ჩრდილოეთიდან დაბერა ქარმა და წულით გაუღენთილი ღრუბლები კრწანისისკენ გადარქვა. წვიმამ გადაიღო... აგრილდა და ქალაქმა შევებით ამოისუნთქა. მერებს შეფარებული ხალხი ქუჩას მოედანა.

წყნეთიდან შურღულივით დაეშვა მსუბუქი მანქანა. არც მოსახვევებში, არც თავქვეზე სიჩქარე არ შეუმცირებია, მანქანებს გასწრების საშუალებას არ აძლევდა. მოდიოდა და მოდიოდა.

- მიდი, გარეკე!
- გაგასწრო, ბიჭო, შე უშნო.
- მეტი სიჩქარე არ აქვს ამ უპატრონოს, დახედე სპიდომეტრს.
- მიდი, მიდი!..

მძლოლმა ხისწრაფე ელარ გაზარდა, მაგრამ თავის მენიხებებს გული მაინც არ დაწყვიტა: — „ლოკომოტივის“ სტალიონთან მანქანა წულის გუბეში შეაგდო და ტროლეიბუსის გაჩერებასთან მდგომნი ტალახიანი წულით გაწუნა, შემდეგ უვავილნარი გადათქერა და ტროტუარზე ავარდა. შეშინებული ხალხი კედლებს აეკხეებს ამოეფარა, ვიღაც ავივლდა... მანქანაში კი იცინოდნენ, იქაქებოდნენ, მუცელზე კანი ასკდებოდათ.

მილიციელას სასტვენის ხმა გაისმა!

ჭირითი გარაულმა მძლოლმა, სასტვენის ხმა მაინც გაიგონა, მილიციელიც დაინახა შორს. საფრთხე იგრძნო. მკვეთრად მოუხვია, ქუჩა გადაქრა და ვაკე-საბურთალოს გზისკენ დაეშვა. შემდეგ იპოდრომის ეზოში შეუხვია და ხის ძირას, მოფარებულ ადგილას გაჩერდა. რამდენიმე წუთში ავტოინსპექტორმა მოტოცილით ჩაიარა, პავლოვის ქუჩაზე გავიდა და გზაჯვარედინზე მდგომ მილიციელს ჰკითხა:

- თერ „ვოლგას“ არ ჩაუვლია? ავტობუსლიგანია, გაზონებზე დაქროლებდა მანქანას.
- აბა, რა ვითბრა, თეთრმაც ჩაიარა და შავმაც.

— რა ვქნა ახლა, — ამოიხვეწა ინსპექტორმა — დაეწი ნიავს მინდორში.

— აგერ თთირ „ვოლგა“, — აჩვენა მილიციელმა. — რამდენაც გინდა, ხნდახან ოთხიხუთი ერთმეორის მიყოლებით გაივლის ხოლმე.

ამ ღროს ხის ძირას შეფარებული ავტომანქანიდან ვიღაც გადმოვიდა. გზა დაწვერა. დიღხანს იღგა იპოდრომის კართან და საეკვირო რომ ვერაფერი შეამჩნია, უკან გაბრუნდა.

- სადამდე ვიდეკო აქ? გზა თავისუფალია.
- ინსპექტორი არ ჩანს?
- ინსპექტორის გეშინია? დიდი-დიდი მართვის უფლება ჩამოგართვან.
- მეერ ცოტაა. ახლა სხვა ღროა.

მანქანა ფრთხილად გამოვიდა იპოდრომის ეზოდან.

პავლოვის ქუჩისთან შექნიშანზე წითელი სინათლე აინთო.

ავტოინსპექტორი კვლავ რაღაცას ელაპარაკებოდა მილიციელს.

— ამაზე იყო მიაკოვსკი ლექსებს რომ თხზავდა? როგორ ამბობდა? „მე მდარაჯობს ფხიზლად, ჩემი მილიცია“.

- ახი არ არის, გვიცნოს?
- ღმერთმა ნუ ქნას.
- აბა, რა გინდა, ილაპარაკოს რამდენიც უნდა.


— შექნიშანზე მწვანე სინათლე აინთო. გზა გაიხსნა.

მანქანა პავლოვის ქუჩას გაუყვა. წინ მგზავრებით დახუშმლული ავტობუსი მიდიოდა და გასწრების საშუალებას არ აძლევდა.

— ასე ვიჩანნალოთ? — რომ არ გეკადრება შენ?

— აბა რა ვქნა, გადავაფრინდე ამხელა მანქანას?

ამ ღროს ზედ გზაჯვარედინზე ვეებერთელა საბარკო მანქანას ძრავა ჩაუქრა და თითქმის მდინარე ჩახერგეს და დაგუბეაო, იქაურობა





გაიხსოვებოდა. ინსპექტორი წესრიგის დასამყარებლად მოგრიალდა მოტოციკლით.

— ავარიაა, ალბათ, — თქვა ერთმა და მანქანიდან თავი გამოყო. — დღეს მარცხენა ფეხზე ვართ ამდგარი!

— ფეხებს მოგამტრევ, შე მულრეგო. — შეუტია მძღოლმა. — ენა დაიწიწი.

გზა გაიხსნა.

მანქანების ნიაღვარი დაიძა.

სად იყო და სად არა, ეს ვეებერთელა ავტობუსი ისევ ჩადგა მათ წინ. საყვირის მიცემა არ შეიძლებოდა, თორემ, იცოცხლდნენ, ააღრიალდებდნენ. ამასთან, ავტობუსის ინსპექტორი ხან წინ გაუსწრებდა, ხან გაქრებოდა, შემდეგ მარცხენა მხარის გაიღვევებდა მოტოციკლით, ნამდვილად მას ეტებდა. ამიტომ ამ ნიაღვარს შუა გულში უნდა მოქცეოდა, ჩაუყრუებდა ვეებერთელა, მღვრისათვის გზა აებნა.

ავტობუსი გაჩერებას მიუახლოვდა. მარჯვნივ გადაუხვია და გზა გაათავისუფლა. მძღოლმა სინქარეს უმატა. მდიოს ახლა, ვაიფიქრა. შემდეგ მის ამხანაგებს მოხედა: თვედმდნენ, ბახუსს დაეთენოა ყველა. სიმღერის თუ ღრიალის თავი არც ერთს აღარ ჰქონდა.

ბრასი წაყვილა.

— სძინავთ ამ შობელაღღებებს, დამაყადეთ! — თქვა და უცებ დაამუხრუჭა. სმენის გამკვეთი ხმა გამოსცეს საბურავებმა, ერთმანეთს თავები შეახეთქეს მგზავრებმა.

— ზა, რა მოხდა? დვეჯახთ რამეს?

— გავაღებ კარს და გაგისვრი, შე მულრეგო, რა დვეჯახთ, დვეჯახთ გაგიღოს.

ეს თქვა მძღოლმა და უცებ შენიშნა, როგორ გადაურბინა დანდმა მანქანას... დაამუხრუჭა! მაგრამ უკვე გვიან იყო, ნაწილობრივ მანქანა მოცურდა. მარჯვენა ფრთით გამკრა იმ ვილაკას, რომელიც თითქმის მაერში გაჭრინდო, ბოძს შეეწარტება, შემდეგ ჩაიყვცა და ასფალტზე გაგორდა.

მძღოლმა ერთი კი მოხედა თავის მსხვერპლს და ვიღრე ვინმე რამეს მოისაზრებდა, სრულად სული დამრა მანქანა. პეკინის ქურჩაზე გაიჭრა, შემდეგ მარცხნივ მოუხვია გაგარინის ქურჩა და დიღმის მასივი გაწვლო, საავტომობილო 100 კილომეტრის აჩვენებდა!

ჩელუსკინელების ხილქვეშ მანქანა გაჩერდა.

— გადმოდი! — თქვა მძღოლმა.

შას არავინ იღებდა.

— გადმოდი! — გაიმეორა მან.

მანქანის სამი კარი გაიღო. ოთხი კაცი ბაზაცით გაუყვა სანაპიროს.

ღამდებოდა...

შეგუბებული მტკვარი უხმაუროდ მიედინებოდა სამხრეთისაკენ.

მცირე ხნით თვალდახუჭული იქნა საქებსთან. მერე თითქოს გაიღვიძო, შეიშუშუნა, მოერგე-

ნა, რომ მის უკან, მანქანაში ვიღაც იქნა, მძღოლმა ხმაც გაიგონა:

— აღმანის ცოლი გადევს, შე უბედურო.

— მართალია. — უპასუხა თრთოლვით. — მაგრამ ერთხელ კიდევ მასწავლელ ამ ხანაბალიდან როგორ დავიხსნა თავი.

გაიტრინა, უცლიდა, როდის უპასუხებდა უჩინარი მოსაუბრე. მერე გაუღდა და უკან მოიხედა. რაღაც ვერაფერი იხილა, გააფრთხილა. ახლა სუნთქვა შეეკრა, მაერი აღარ ეყო, ამიტომ მანქანიდან გამოსვლა დააპირა. კარი დაუღვევრად ვალო... სულ ახლოს ჩაუჭროდა სატვირთო მანქანამ და კინაღამ გაიჭრა გვერდი. ემე! გასძახა და შეუყურებდა კიდევ. სად მიჩქარება?.. ისევ შეძგრა მანქანაში და ხაჭებს დაეყრდნო. სადაღვე იყოს აქ? შეიძლება, ავტობუსისპექციამ გამოიაროს, ხიდის ქვეშ მანქანა შეაინიოს... არა, უნდა წავიდე!

მანქანა დაძრა.

მიდიოდა და ირგვლივ ვერაფერი ხედავდა. მიდიოდა ალაღველზე უფრო სწორად, წინ მიმავალ მანქანას აედევნა და მიჰყვა. ხილს რომ გასცდა, სილას უკლო და ქურჩას დააკვირდა, კლდე შეამჩნია. სად უნდა იყოს ამ შუა ქალაქში კლდე? ალბათ, ბარათაშვილის აღმართზეა, არა. ეს გაგარინის ქურჩაა. კი მაგრამ, სად მიდის? ნუთუ იქ, სადაც ავარია მოხდა? თავის თავს უჭარბებოდა, მხალხს, დედალს უწოდებდა, უკანასკნელი სიტყვებით ავინებდა, რაჯარამ საუბრე მარჯვნივ ან მარცხნივ პირც ვერ მიდრიცა.

გვათვლივლას პროსპექტის დასაწყისში ნანქანა გაჩერდა: არც კარი დაკეტა, გასაღებიც შივ ჩატოვა. დაგწვა ცეცხლმა, წაიბურბურა და წავიდა.

ავარიის ადგილას ხალხი ჭერ კიდევ არ ეშლილიყო. იდგნენ ჭკუფ-ჭკუფად და უყარებდნენ.

— რა უნდათ, რას ეძებენ, ვერ წაიკრებიან სახლში? მითხოვრებები. — თქვა ზინჯო.

ასე უთქვია თურმე: ავარიის შემდეგ დანქანაზე თავისი ფეხით მიდის ავარიის ადგილას, ალბათ, ცნობის წადილს მიჰყავს ხოლმე, ახლაც იმავე რაღას მიჰყავდა იგი. ფეხები უკან რჩებოდა, მაგრამ მაინც მიდიოდა. უნდოდა გაეგო, რას დააპარაკებდნენ მასზე, ვინმემ თუ დინახა, გააძარჩა თუ არა დაწარალებული...

— რა მოხდა, ავარია? — ჰკითხა პირველი შემხვედრის.

— დიახ, ავარია. — იყო პასუხი.

— მსხვერპლი არის?

— ერთი კაცი მძიმედ დაზავდა, მძღოლი მიიმამალა.

— სად წავა.

— ვერსად. დაიჭერენ, დღეს თუ არა ხვალ. მანქანი არც კი იკადრა მანქანიდან გადმოსვლა. მომავალევი კაცი მიატოვა და მიიმამალა.

ახლა იმ ადგილას მივიდა, სადაც ავარია მო-

ხლა. ღრმად აჩნდა საბურავების კვალი ახ-  
ვალტს. ღრმად დამიმუხრუქებია, გაიფიქრა.

ლიტენანტი მანჭალაძე თავისი საქმით იყო  
გართული. ყველაფერს ზომავდა, ქალაქში  
გადაქონდა — ავარიის ზუსტ სურათს აღგე-  
ნდა.

— რას ერჩი, დაუმუხრუქებია. — თქვა მან  
ლიტენანტის გასაკონად.

— ნაყლები სიჩქარით რომ ევლო, ავარია არ  
მოხდებოდა, საათში ასი კილომეტრით მიდიო-  
და.

— ასეთ ხალხმრავალ ქუჩაში, აღმასუფთებუ-  
ლია, მთვრალი იქნებოდა.

ლიტენანტმა ადგილის აზომვა რომ დაა-  
თავრა, უბის წიგნაკი ამოიღო და წერას შეუ-  
დგა. ერთი სული ჰქონდა, ჩახებდა შიგ, გაეცა,  
რას წერდა, გაიწია კიდევ იქით. მაგრამ თით-  
ქოს მიუხედაო, უბის წიგნაკი ცხვირწინ დაუ-  
კეცა და პორტფელში ჩააგდო.

— ანუ, ამხანაგო, — თქვა მან. — ნაკვიანე-  
ვი მუხრუქია. მძლოდია დამნაშავე.

— ცხადია, დამნაშავე რომ იყო, იმიტომაც  
მიიშალა. — დაუდასტურა და მეორე ჭკუფის-  
კენ წავიდა.

— ყველაფერი დავინახე — ყველაფერი ჩემს  
ოვალწინ მოხდა. — სხაპასუხით ელაპარაკე-  
ბოდა ვილაც ქალი. მილიციის კაპიტანს. —  
მამ, მოწმედაც წამოვალ. მაგათი სინხილა  
გაწყდეს. ნაქურდალი ფულით მანქანები შეი-  
ძინეს და დათარეშობენ. სულ ერთი კვირის  
წინ დედამთლი დავასაფლავე. წიწილასავით  
გაყულიტეს. დავინახე თეთრი მანქანა იყო, თე-  
ორი.

— ძველი ვილგა იყო თუ ახალი — შეეკითხა  
კაპიტანი.

მოწმე დაიხანა, ძველსა და ახალში ვერ ერ-  
კვეოდა, ამიტომ ქუჩას გააყოლა თვალი და  
თქვა:

— აი, ასეთი იყო.

— ძველი ყოფილა. ნომერი ხომ არ შეგიმ-  
ჩნევია?

— იმ წამსვე ეგ ვიფიქრე. მაგრამ, თქვენ  
წარმოადგინეთ, მხოლოდ ბოლოციფრი ექვსი  
შევაჩინე.

— იქნებ ბოლო ციფრი ხუთი იყო? ხუთი  
და ექვსი ერთნაირად მოჩანს შორიდან. — ჩიე-  
რია ლაპარაკში.

— არაფერიც! — მიახალა ქალმა. — თქვენ  
ახლოსმხედველი ყოფილხართ ექვსი იყო, კარ-  
გად მბსოვს.

— ამხანაგო, თქვენ აქ ბრძანდებოდით? ხომ  
არ დაუმატებთ რამეს?

— არა. მე მხოლოდ ვარაუდს გამოვთქვამ.

— ვარაუდისათვის ჩვენც ვეყოფით, მიბრ-  
ძანდით, ნუ გვიშლით ხელს. — შემდეგ ქალს  
მიუბრუნდა და ჰკითხა. — თქვენი გვარი, სა-  
ხელი, მამის სახელი, ~~სახლის~~ მისამართი?

— ქავთარაძე მირანდა დიომიდეს ასული.

ჭავჭავაძის 16. აღექვანდრე ჭავჭავაძისა, ილი-  
ასი არ გვევონთ.

— ვიცით, ბატონო თქვენი შეწუხება მოა-  
ციხდება.

— მზად ვარ ჩვენება გავიმეორო. ამით მაინც  
ამოფიქრი ჭავის მაგ გველის წიწილებზე.

ხალხი დიშალა.

ხელისუფლების წარმომადგენელნიც წავი-  
დნენ.

იგი კი იდგა იმ ბოძს მიყრდნობილი, რე-  
მელსაც მისი მსხვერპლი შეასკდა. ქვევით არ  
დაუხედავს, თორემ სისხლის ლაქებს შეამჩ-  
ნევდა.

2

იმ დღეს კამიტნი ბეჯან ლაბაძე მორიგეობდა  
განყოფილებაში იქდა ტელეფონთან და მო-  
თმინებით უცდიდა ზარის აწერიალებას. ცნო-  
ბას, ნიშანს, განგაშს უცდიდა. ამა და ამ ქუჩა-  
ზე მანქანამ მოქალაქე გაიტანა. ზეს შეასკდა,  
ღობე გაიგინრა, ერთმანეთს დაეპაჩნენ მსხვე-  
რპლია, იჩქარეთ, იჩქარეთ!..

ტელეფონი კი დუმდა.

ლაბაძეს გულში უხაროდა კიდევ: მისი მო-  
რიგეობა მშვიდობიანად იწყებოდა. სამ საა-  
თამდე არ იმჩნევდა ამას, მერე კი ნერვიულობა  
დაეტყო. ხშირად ახედავდა ხოლმე საათს, ღრო  
კი მიიწლანებოდა. სხვა ღროს ასე არ იქეცე-  
ოდა, ახლა კი... ახლა კი ჰქონდა ამის მიწეწი.  
ერთი კვირის წინ ცოლი შეირთო, როგორც  
იქნა ვაბედა და შეირთო. რა ხალხია, რა იქნე-  
ბოდა, რომ დღეს სხვა ყოფილიყო მორიგედ?  
ცოლმა კი უთხრა: შენ მოუსვენარი სამსახური  
გაქვს, ამიტომ მოვცილდეთ აქაურობას, საქო-  
რწინო მოგზაურობაში წავიდეთ. არ ჰქნა,  
შერცხვა, რომცოვდასამი წლის კაცმა, როგორც  
იქნა, ცოლი შევირთე და ახლა მოგზაურობა...  
ისე კი, სჯობდა თურმე — თავლის თვეს თავ-  
ლივით გაატარებდა საღმე, ბიჭვინთაში ან გა-  
გრავში. არ წავიდა და ინანა კიდევ. ცოლი მან  
ელოდებოდა, ის კი შეიდ საათს — მისი მორი-  
გეობის დასასრულს.

ტელეფონიც რომ დუმდა...

მთქნარებთი ყბა მოექცა. გაზეთებიც წა-  
კითხა, ყურნალეებიც, გარეთაც გაისერინა, უნ-  
დოდა დღეა გაეყვანა, მაგრამ რცეა გინდა ეს  
ოხერი ღრო სწრაფად გაიედეს, მაშინ არ ად-  
გება საშველი. ერთხელ ჩათვლია კიდევ და  
თითქოს ამ წუთს უცდიდაო, განყოფილების  
უფროსმა პოლიცენტიმა კარლო თევზაძემ შე-  
მოალო კარი.

უფროსი ბეჯანს აღმაცერად უყურებდა, ახ-  
ლაც შეუღრინა:

— უშიშროების ორგანოების მუშაკს საგუშა-  
გოზე არ უნდა ეძინოს! — უთხრა მკაცრად.

ირბაძე უგულებლად  
სსსპმარბო



— იცი, რა... — სცადა თავის მართლება ბეჟანმა.

— ვიცი! ცოლი ერთი კი არა შესამე მყავს, მაგრამ საგულშაღოზე არ ჩამძინებია. მორჩა! იცი რა... — გამოაჭარბა და კარი გაიხურა.

რა უზრდელობა, გაფიქრა ბეჟანმა, რა შუაშია ცოლი? მე სულ სხვა რამ მინდოდა მეთქვა. მერე და, თუ იცოდა, ცოლი შევირთე, რატომ გამიშვა მორიგედ? გავეთავისუფლებინე. მაგას სამმა ცოლმა ტყავი გააძრო, ჩემი რა ბრალია?

შვიდი საათი სრულდებოდა.

„კიდევ ცოტაც და... და შემცველელი მოვა, გაივლი გულში, მოვა და მოვუსვამ აქედან. ნეტავ არაფერი მოხდეს დარჩენილ დროში, ნეტავ მორიგეობა მშვიდად დამთავრდეს, ნეტავ, ნეტავ“... — ყოველ წუთს იმეორებდა და ყოველ წუთს თვლიდა.

მაგრამ... შვიდს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, ტელეფონმა დარეკა!

— ეს არის საქმე? — წამოიძახა და სკამიდან წამოხტა. შემდეგ კარი გამოადო და გრძელ დერეფანს მოავლო თვალი. არავინ ჩანდა, არც მისი შემცველელი — ლეიტენანტი სიკო მთვარამ. ტელეფონი კი, რომელიც დიდიდან დღუშდა, ახლა გაბმით რეკავდა და რეკავდა.

დაწვდა უურმილს.

— ალო, ალო, სამორიგეოა? — უვიროლა ვიღაც. — პავლივის ქუჩიდან გირეკავთ, ჩემი ფანჯრის წინ ავარია.

— რა ნომერია თქვენი სახლი?

— ოთხი.

საათის ისარი შვიდს უახლოვდებოდა.

რამდენიმე წუთში შემცველელი უნდა მოსულიყო, იქნებ მოვიდა კიდეც. მერე რა... სანამ იგი უფროსთან გამოცხადდება, მერე აქ მოვა... მგელი დღე უსაქმოდ იყო, ბუზებს თვლიდა ლუარსაბ თათქარიძესავით და ახლა... მერე ვინ იცის, როგორი საქმეა, შეიძლება დიდიმდე ვერ მივიდეს შინ.

უხალისოდ გამოიძახა მოტოციკლი და ავტორისპექტორი. არ ჩქარობდა, არც იმაზე ამოუღია ხმა, როცა მოტოციკლმა დაიგვიანა, შემდეგ ინსპექტორი ვერ გამოეტია სამორიგეოდან. ძარაში უხალისოდ ჩაქადა, ზემდეგს მხარზე ხელი დაჰკრა, წადიო, ანიშნა. ათი მეტრაც კი არ ქონდათ გავლილი, რომ ბეჟანმა ქუჩიას ბოლოში მისი შემცველელი ლეიტენანტი სიკო მთვარამ შენიშნა, არხეინად მოდიოდა. ყოფის გიტარებ, დამუშტრა გულში, ათვზის გადაგიხდი, რა იქნებოდა, ცოტა ადრე მოსულიყავი?

3

 გადაიჩეხა ზარია.  
 გაღმით  
 წისქვილის დამდგმელის  
 სამარის იძრა კარია.  
 კლდე აატირა კუბოდან  
 ძახილმა იმის  
 ძეღეებისა:  
 — სადა ხართ,  
 შვილთა შვილებო,  
 ჩემის ჩაუქის ძმებისა?

წყალმა წაგირღვნათ  
 წყეულმა  
 ნაოფლი წინაპრებისა,  
 სადღა ჩამაუქვავთ  
 საფქვეგსა  
 შავთავშლიანი ბებრისა?  
 სოფელიც აღარსადა ჩანს,  
 ბევრ ჩაწრეტელია  
 წყალია,  
 აყრილან,  
 იქნებ გამწყდარან,  
 იქნებ სახადმა გალია?  
 წისქვილის მკვიდრმა  
 უნდილამ  
 ქალაქის წყალი დალია —  
 აღარც გვაღვები აწუხებს,  
 აღარც წვრილშვილის  
 ვალია.  
 მამისერთაიც — მზეონა —  
 ძილს მისცემია  
 ტკბილსაო,  
 მას არც ხორბალი  
 უნახავს,  
 არც სურნელება ბზისაო.  
 გაფრინდა  
 ძველი დროება,  
 აღარ მაიღებს პირსაო,  
 ნუ ბორგავთ, ძეღეებო,  
 საფლავეში, —  
 ღვინია ხარებისაო.

## შეპოღგონა

ქორწილების თვეც მოვიდა,  
 — ვინ მიჰყვება ვის? —  
 ვაჟნი მზერას აპარებენ —  
 გოვო წამწას ხრის...  
 ზნე-მ კალთა მადლიანი  
 დააბერტყა ძირს —  
 დატრიალდა სორბლის სვავი  
 და სურნელი ბზის!  
 გაბრუებული მარნის დედა

გრილ მიწაში ზის,  
 თან ბუტბუტებს მომხიზლავად:  
 — ღირს, ცხოვრება, ღირს.  
 ცის ელვა და დილის ნამი  
 ცელის პირზე კრთის,  
 კაცნი ფერდობს შესვვიან —  
 მთას ჰპარსავენ პირს, —  
 ქორწილების დრო დამდგარა, —  
 ვინ გაჰყვება ვის!

გასტენია ტაროსს ძილი,  
გაუწყვია სიმი  
და შემოდის  
ეს აპრილი  
მომღერალი წვიმით.  
გადიწურა შხარამ  
თმები,  
შეიბერტყა ჩოხა —  
ხმამქუსარე ხევსუვები  
ახარხარდნენ ბოხად.  
აფუთფუთა  
წვიმამ თუთა,  
აკუნტრუშდა ზაქი,  
ცისარტყელებს ღამეს  
უთევს  
მზე — სამყაროს ჭრაქი.  
მაჯადოებს მინამღერი —  
ნეტავ  
ვინა მღერის?  
თითქოს  
ფანჯრის წინა მღერის,  
თითქოს —  
ვინა მღერის?!

შეიჭვრიტა სხევმა  
ჩრდილში,  
სადაც ეჭვი ქუშობს,  
სად ქარწყლდება ალთქმის  
შიში  
და სინდისიც მრუშობს:  
„დაგადნები თაფლის  
კვერად,  
ჩუმად მკოცნე,  
ჩუმად“ —  
თოვლზე წვიმის მინამღერი  
ისმის ჩამიჩუმად.  
დარმა ფარდა  
გადაკეცა  
მიცინის და ვიცი,  
რომ შეჭფიცა  
მიწას  
ზეცამ  
სიყვარულის ფიცი.  
ბინდი — დღეა  
დანახული  
შებოლილი მინით,  
მოკრიალდა გაზაფხული  
სიმღერების ჟინით!

უ რ ე ს კ ე ბ ი

სადარბაზოში,  
როგორც ფრესკები,  
კედელს შემორჩა  
მინიმე ფიქრებად:  
წინმოუსვლელი ბიჭის ლექსები,  
დედის აჩრდილი  
და... გაფითრება.





# ღღუს, სკულ, ზუბ

უდროოდ გარდაიცვალა მწერალი ქალი მადონა გორგაძე. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა ჯერ „ნაკადულის“ და შემდეგ „მერანის“ გამომცემლობებში, მან რამდენიმე მოთხრობის გამოქვეყნება მოახერხა და უურადღებოდ მიიქცია „ღღუს, სვალ, ზეგ“ მადონა გორგაძის უკანასკნელი მოთხრობა.

## მოთხრობა

ქირურგიისა და ნეიროქირურგიის განყოფილებაში ცხოვრების პულსი სავსებით თანამედროვე რიტმითა და ხმოვანებით სცემდა.

ვესტიბიულსა და ტალანტში დილიდან ღამემდე ერთმანეთში ირეოდნენ არამწოლარე ავადმყოფები, მნახველი და თეთრხალათიანი მედპერსონალი. ქირურგებსა და ნეიროქირურგებს შარვლებიც თეთრი ეცვათ.

ცეცო ხუთადგილიან პალატაში დააწვინეს, განაპირა შაწოლზე, კარისა-

კენ. გულშემოყრილი იყო. ვერ წარმოიდგენდა, ოცდასამი წლისას კი არა, საერთოდ თუ მოუხდებოდა ოდესმე საავადმყოფოში წოლა, ისიც ხუთსაწოლიანში. თითქოს ომის პერიოდის სამხედრო პოსტიტალი იყოს. რას იტყვიან სანახავად მოსული ნაცნობ-მეგობრები? კაცი-პატრონი არავინ ჰყოლიათ ქვეყანაზეო. ბევრი იწუწუნა, იკუჩქუნა და ბოლოს და ბოლოს მამამისი — მორიდებული და საკმაოდ მოუხერხებელი კაცი გაგზავნა მორიგე ექიმთან,





რომელმაც ამ დილით გასინჯა და ფეხი თაბაშირში ჩაუსვა ცეცოს. მაგრამ განყოფილებაში, ორი იზოლატორის გარდა, მხოლოდ ოთხ და ხუთსაწოლიანი პალატები ყოფილა. ჯერ-ჯერობით ერთი ადგილიც კი აღარ გვაქვსო, მერე კი თუ გათავისუფლდა, ოთხსაწოლიანში გადავიყვანთო, დაპირებია ექიმე. ცეცომ ეს ამბავი არ დაიჯერა, კარგი პალატები ალბათ თავისიანებისათვის აქვთ, ოთხსაწოლიანი თავში იხალონ, ოთხსა და ხუთსაწოლიანს შორის რა განსხვავება არისო. სასოწარკვეთილი იყო. მსუბუქით, მაგრამ მაინც ტვინის შერყევა ჰქონდა და სამი კვირა მაინც დასჭირდებოდა წოლა. წვივის ძვალი გაბზარვოდა, შეხორცებას, სულ მცირე, ერთი თვე მაინც უნდოდა. ცეცო, რომელსაც ანგინისა და გრიპის დროს საწოლზე ვერ ამაგრებდნენ, იწვა ახლა გაბუტული და დაღვრემილი. ყველას უბღვერდა, თითქოს სხვები ყოფილიყვნენ დამნაშავე, რომ თებერვლის მიწურულს, როცა მკაცრი ზამთრის შემდეგ თოვლი თითქმის აშრა და მილსადენებზე დაკიდებული ვეება ლოლუებიც ჩამოდნა, მოახერხა, ზედ რუსთაველის პროსპექტზე საფხეკ ნიჩაბს გადარჩენილი ნახებრწყაყრილი გაყინული თოვლი ეპოვნა და ფეხი დაცურებოდა. მისი ბრალი იყო, რაც მოუხდა, მაგრამ თავის თავზე გაბრაზებული, მომხდარით უზომოდ შეწუხებული და აღრენილი იყო. საერთოდ, რას მოყელყელობდა, ეცქირა დაბლა. ყველაფერს თავის თავს აბრალებდა, მაგრამ სხვის მიმართაც მიზეზიანი გამხდარიყო და რატომღაც ველარავის იტანდა: ვერც ამ პეტისმეტად ლამაზ ირინეს — ერთთავად გაბუსუნებული და თვალმილულული რომ იწვა, ვერც მის რუს დედას. ვერც იმ თავწაკრულ ჭრელხალათიან ნადიას, ჭირისუფლის სახით რომ ჩამოძვარა გაწყობილ საწოლზე, ყურები ანტენებად გადაქცევიდა და ხარბად იჭერს ცეცოსა და მისიანების ყოველ სიტყვას და მოძრაობას. იმ დროს ჩა; მსუქან კატოს — ხომ სულ ვერა

და ვერ, ვერც ამ მრგვალთვალემა, კბილებადმოყრილ ლამზირას, მისი ვიტრინის თოჯინის მსგავს დასთან ერთად. პალატაში ფანჯრები მიხურული ჰქონდათ, კარი კი — ერთთავად ღია: შინ ცალკე ოთახში წოლას ნაჩვევი ცეცოს სული ეხუთებოდა, ღია კარში ამეღელ-ჩამეღელნი ირეოდნენ და ტალანიდან ლაპარაკი და ფეხის ხმა მიდიოდა.

— კარი სულ ასე ღია უნდა იდოს? — იკითხა ცეცომ.

— საერთოდ არა ვხურავთ, — ყოველგვარი საწინააღმდეგო აზრის აღმკვეთი ტონით უპასუხა კატომ.

— არა სჯობია, კარი მივხუროთ და ზედა სარკმელი გამოვადოთ? ჰაერიც სუფთა გვექნება და წყნარადაც ვიქნებით, — მაინც სცადა ცეცომ.

— არ შეიძლება, — კატეგორიულად მოუჭრა. — წარამარა ვიღაც შემოდის და ვიღაც გადის. ორპირი ქარი იქროლებს და ყველანი დავეცივდებით. კარი ღიაა, დილა-საღამოს ფანჯრებსაც ვაღებთ და ჰაერს ვწმენდავთ, განა არ არის საკმარისი?

— არ არის საკმარისი — იძულებითი მორჩილებით უარყო ცეცომ და თავისთვის გაიფიქრა, ერთ-ორ დღეს გაცლით და მერე, თუ სხვა პალატაში არ გადამიყვანეს, მაშინ ვნახოთო.

— თქვენ რომ სულ აქანე ხართ, ვერ ატყობთ, მარა, მე რომ ქუჩიდან შემოვდივარ, ერთხანს სუნთქვა მიჭირს, — თქვა ლამზირას დამ ნაირამ. ცელოფანის პარკში ეხურა ვაშლები ჩააწყო და გასარეცხად წაიღო.

— რამდენჯერ ვთხოვე ნაირას შენი ფლოსტები ჩაიცვას. ისეთი ბრაზით დადის იმ თავის პლატფორმაზეთა, რო სუ ერთთავად თავში მიკაკუნებს, — შესჩივლა კატომ ლამზირას.

— თავში რო გიკაკუნებს კი გატყობთ მაგას ჩვენ, — ხმადაბლა ჩაილაპა-

გადონა გორგაძე  
დასს, ხვალ, 2023



რაკა ლამზირამ და ცეცო მიხედა, რომ კატოს ყურს აკლდა.

— შეახსენე! — თითქმის უყვირა ლამზირამ.

— ერთბაშად არ დამიჯეროს, — უიმედოდ ჩაილაპარაკა კატომ.

— შენ თუ არ დაგიჯერებს, ამ ხნის ქალს, აბა მე დამიჯერებს? — ლამზირამ მეტისმეტად ხმამაღლა, ხაზგასმით წარმოთქვა „ამ ხნის ქალს.“

ნაირამ გარეცხილი ვაშლი შემოიტანა და მთელ პალატას ჩამოურია.

— ოღონდ ეგ „დრაგუნსკი“ ტუფლები გაიხადე და შენი არც ვაშლი მინდა და არც არაფელი, — ვაშლიანი პარკი იქით გასწია კატომ.

— უპ, სულ მაგიწყდება. მაგაზე გაწყენინებ? — ნაირამ ვაშლი თავის ხელით ამოიღო და ტუმბოზე დაუდო, მერე ელვის სისწრაფით გაიხადა „პლატფორმები“ და ფეხი ლამზირას ფოსტლებში წაჰყო.

კართან სადილი მოაგორეს ურიკით.

— Обед! — გამოაცხადა დამტარებელმა ნიურამ.

— А что сегодня? — ჰკითხა კატომ.

— Отбивные и гуляш... — უპასუხა დამტარებელმა.

— На здоровье вам — დალოცა კატომ. სადილი ირინეს დედამ, ნაირამ და ნადიამ აიღეს.

— მერე ქე მომიტანებენ რაცხას, ევიღებ მაინც... — თითქოს მთელი პალატის წინაშე თავს იმართლებსო, რაღაც ნირდაკარგულად თქვა ნადიამ.

ცეცოს დედამისმა სახლადან მოტანილი გუმინდელი ორი კატლეტი დაუდო თეფშზე — დღეს ვილა იყო გამკეთებელი. მაგრამ ცეცოს ჭერჭერობით არ შეეძლო ჰკამა, თავბრუ ეხვეოდა და ცოტა გულიც ერეოდა ტრავმის, უპაეობისა და იმ კარებში ხალხის გაუწყნარებელი აღმაღალმა სიარულისაგან. გულაღმა წოლა უთხრეს, მაგრამ მაინც გადაბრუნდა გვერდზე — ფანჯრისკენ. მთელი კედლის სიგანის ფანჯარაში ნაცრისფერი შენობის კუ-

თხე, მტრედისფერი ცა და სამი ლოდის ხის მოხატული წვრილი ჩონჩხი მოჩანდა. ცის სინათლემ თვალები ატყინა და ცეცომ ცხვირსახოცი წამოიფარა.

ირინეს დედა, ნადია და ლამზირა სააედამყოფოს სადილს შეექცეოდნენ. ირინეს სახლიდან მოტანილი შემწვარი ქათმის ფრთა ეჭირა ხელში და უძაოდ წიწკნიდა.

„მეტისმეტად ლამაზია, რაღაც მოტეპო სილამაზე აქვს, — გაიფიქრა ცეცომ. — ელიზაბეტ ტეილორსა ჰგავს.“

„მარილიანი შავტუხა გოგრა“, — თუმცა არაფრის თავი ჰქონდა, ირინემაც შეათვსა ცეცო.

რაღაც უცბად მოსალამოვდა. ტალანში სინათლე აანთეს. პალატაშიც ჩართო შუქი ნაირამ. იქაურობა თანდათან მნახველებით აივსო. მოვიდა ცეცოს და ლიანა, მერე ირინეს მამა. ძალიან მაღალი და გამხდარი, საფეთქლებამდე წარბებგადაშხვართული სახე-შეკრული შუახნის კაცი, მერე — ირინეს ბავშვობის მეგობარი გურანდა მეუღლით. ნადიას მაზლი და მაზლის ცოლიც მოვიდნენ. ლამზირას — დეიდაშვილი. მხოლოდ კატო იჯდა თავის საწოლზე მარტოკა, მუხლებზე მამაკაცურად ჩამოეწყო ხელები და კუმტად ათვალეირებდა მომსვლელთ. მასთან დილით იყვნენ ძმა და რძალი.

— ეს კომპოზიტორი ცოტაქე არ არის? — ჩურჩულით ჰკითხა ცეცომ დას ირინეს მეგობრის მეუღლეზე.

— კი, — ჩურჩულითვე დაუდასტურა ირინემ.

მუხრან ცოტაქე ნადიასა და კატოს საწოლს შორის იდგა. ფანჯრის რაფას ზურგით მიყრდნობოდა, რადგან სხვა დასაჯდომი ან დასადგომი ადგილი არსად იყო. მისი ცოლი ლამაზი ტან-ფეხ-მკლავებიანად მეტად ხორცსავსე ახალგაზრდა ქალი განუწყვეტლივ ტიტინებდა რუსულ-ქართულად. ირინე უინტერესოდ, ძალდატანებით უსმენდა, მაგრამ მისი მეგობარი მაინც საჭიროდ თვლიდა ირინე საუბრით, ახალ-ახალი ამბებით გაერთო, ყოველ ამბავში თავად

იყო მთავარი ფიგურა, ყოფილი ამბავი მისი რაიმე ღირსების სადემონსტრაციო ფაქტი იყო. მუხრან ცოტაძე, ეტყობა, ხუთი თითოვით იცნობდა თავის ცოლსაც და მის სასაუბრო სკივრსაც. არც უგდებდა ყურს და თვალეები ერთთავად ცეცოსაყენ გაუზრობდა. რამდენჯერაც კი მისკენ გაიხედა ცეცომ, იმდენჯერ მის უმეტყველო, განზრახ თუ მართლა გამოციებულ მაგრამ მოლურსმულ მზერას წააწყდა. მის ცოლსაც გახედა ერთი ორჯერ — აბა თუ შეამჩნია რაიმეო, და ლაპარაკში ჩართული ქალის გამპოლინტერესიან მზერას შეეფთა. ჩანს, გურანდას ლაპარაკი სულაც არ უშლიდა ხელს რაიმე შეუმჩნეველი დარჩენოდა. უცხო კაცის დაქინებული ცქერა ეხამუშებოდა ცეცოს, იძულებული გახდა, უზრდელობა გამოეჩინა და მისთვის ზურგი მიექცია. მალე მუხრან ცოტაძემ ბოდიში მოუხადა ირინესა და მის მშობლებს. ამ საღამოს კომპოზიტორ ანთაძის ახალ ნაწარმოებს უნდა მოვუსმინოთო და წავიდა. გურანდა კიდევ ერთს საათს დარჩა.

რვა საათზე თმაგაბუწულმა მედღამ საშურამ ჯერ თერმომეტრები ჩამოარიგა, მერე კი — სარაჯიშვილის მიქსტურა.

— წელან, მგონი, შეგვემალათ და პრედნიზოლონის მავივრად სხვა წამალი მომეცით, — ვითომ სხვათა შორის შენიშნა კატომ.

— სხვა წამალი? — საშურამ წარბები შუბლზე აისროლა, — რავე გეკადრებათ! ასე რომ გვეშლებოდეს ჩვენ...

— აბა რა ვიცი. პრედნიზოლონი მწარე არ არის, ის კი ძალიან მწარე იყო, ძალიან, — სიტყვა „ძალიანს“ კატორუსივით გამოთქვამდა „მ“-თი.

— არა, ბატონო, არა, გაიგონათ? — საშურამ ცხვირზე ჩამოჩოჩებული სათვალე გაისწორა, აღელვებისაგან დაბნეულმა, დიდხანს ფურცლა დავთარი და ძლივს მიაგნო, რასაც ეძებდა.

— ბუცხრიკიძე და ბოჭოიძე ხვალ მშიერი! — გამოაცხადა მერე.

— ბოჭოიძე ხვალ რაო, ბატონო? ვერ გაიგო ცეცოს დედა.

— თქვენ ხართ ბოჭოიძე? — სახეზე დიმილი გადაიბადრა საშურამ. — ხვალ დილას ნურაფერს შექვამ, ჩემი კაი გოგო... — მიუბრუნდა ცეცოს. — სისხლის ანალიზი უნდა ავიღო.

— შე ქალო, გუშინწინ არ ამიღენ სისხლი? — ხელები გადმოშალა ნადიამ — აღარ მეკითხებიან ახლა, მაქ თუ არა ყოველ ორ დღეში ასაღები სისხლი?

— გექნება, ნუ გეშინია, — დაამშვიდა საშურამ, გადაშლილი ყურხალი ხელში თეფშოვით დაიჭირა და პალატიდან გავიდა.

— დეიკალა სისხლისგან ტერი და ავი! — წაიტუტუნა ნადიამ.

— ეგ უკვე პენსიაზე უნდა იყო. სკლეროზი აქვს. — კატოს საშურა ჰყავდა მხედველობაში. — განა დღეს პირველი იყო? სრულობით სხვადასხვა წამლები მოაქვს, სრულობით.

— კაი ამბავია, — თქვა ცეცოს დამ.

მნახველები ნელინელ გაიკრიფნენ. მხოლოდ ცეცოს დედა და და იყვნენ ჯერ კიდევ პალატაში. კატო უკვე კარგახანია წრიალებდა საწოლში და ყოველნაირად ცდილობდა მიეხვედრებინა ისინი, რომ ავადმყოფებისათვის ძილი და მოსვენება იყო საჭირო.

ბოლოს ცეცოს დაე აღვა.

— წავედი ახლა მე. ჩემმა ბიჭებმა აღბათ უკვე ყირაზე დააყენეს სახლი. მამაჩემი და ნოდარი მათი მიმხედავი ან რამის დამშლელები არიან?

— შენ რა, დარჩენას აპირებ? — შეეკითხა ცეცო დედას.

— აბა რას უნდა ვაპირებდე?

— არავითარ შემთხვევაში არ დაგტოვებ! ფეხზე ძლივს დგახარ.

მართლა ძლივს იდგა ფეხზე. დილით თვითონ ცეცო დაელაპარაკა მიმღებიდან და მსუბუქ ფორმებში აუწერა თავს.

აღმონა გორგაპი  
დღეს, ხვალ, ზამ

გისი ამბავი, მაგრამ სანამ საავადმყოფო-ში მივიდოდა და შვილს საკუთარი თვა-ლით ნახავდა, თავისი გადაწყვედა. სა-ავადმყოფომდე კი მიაღწია, მაგრამ მერე წნევისა და საგულე ნემსების გაკეთება დასჭირდა.

ბევრი ეხვეწა ცეცო, ბოლოს შვილე-ბი და შვილიშვილები დააფიცა, როგორც იყო, შინ წასვლაზე დაითანხმა. დედა-შვილმა ცეცოს თავი საშურას, სანი-ტარს, ირინეს დედასა და მთელ პალა-ტას ჩააბარეს და თერთმეტის ნახევარ-ზე, როგორც იყო, გაეტოვნენ. მათი წასვლა და კატოს ხვრინების ამოშვება ერთი იყო. ირინეს დედამაც მაშინვე გაიწყო ლოგინი შინიდან მოტანილ გა-საშლელ საწოლზე, და ხუთი წუთიც არ გასულა, რომ პალატა პირველი ძი-ლის თანაბარმა სუნთქვამ, ფშვინვამ და ხვრინვამ ააპირთავა.

არ ეძინა მხოლოდ ცეცოს. პირვე-ლად ათევდა ღამეს უცხო ადამიანებს შორის, ავადმყოფ ადამიანებს შორის, მაგრამ ეს არ აკრთობდა და უკვირდა. შეიძლება იმიტომ, რომ ოთახში ჭანსა-ლი ქალი — ირინეს დედა იყო, უფრო კი იმიტომ, რომ სიცხიანი, მძიმე ავად-მყოფი არც ერთი არ იყო, და იმიტო-მაც, რომ ალბათ გვიანი საათის მიუ-ხედავად, ტალანებში ჯერ კიდევ არ შეწყვეტილიყო მორიგე მედპერსონა-ლის მიმოსვლა და სანიტრების საკმაოდ მოუბრუნებელი ხმაური. წარამარა ელა-ვდა ღია კარში თეთრი ხალათები. ქუ-ჩიდან აქროლ-ჩაქროლილი მანქანების შხუილი და კანტიკუნტად ადამიანთა ხმებიც შემოდიოდა. ეს საავადმყოფო სულ არ ჰგავდა იმას, ცეცოს მეხსი-ერებას ბავშვობიდან რომ შემორჩე-ნოდა. ცეცო სულ ორჯერ იყო ნამყოფი საავადმყოფოში. პირველად როცა თანაკლასელი ირმა ნასიძე გახდა ავად ტინის ანთებით — მაშინ ცეცო ძეხუთე კლასში იყო. ავადმყოფ ბავშვს ამხანა-გები მონატრებოდა და დამრიგებლმა ცეცო და კიდევ ორი გოგონა წაიყვანა. მოშენდისფრო აგურის შენობას რომ

მიუახლოვდნენ, დამრიგებელს ვიღაც თვალბდასიებულ-დაწითლებული ჭა-ლი და მოღუშული მამაკაცი შემოხე-და. ისინი ბავშვებისაგან განცალკევდ-ნენ და ჩუმად ილაპარაკეს რაღაცაზე, დამრიგებელმა ცხვირსახოცი აიფარა თვალებზე, მერე იმ ქალსა და კაცს რომ დაშორდა, გოგონებთან მოვიდა და უთხრა, თქვენ აქ დამელოდეთ, მე ახ-ლავე მოვალ, ხმა უკანკალებდა, ბო-ლო სიტყვებზე კი არაჩვეულებრივად გაუწვრილდა. ბავშვებს სწრაფად მო-სცილდა და თითქმის სირბილით გაე-შურა მოშენდისფრო აგურის შენო-ბისკენ.

გოგონებმა ირგვლივ მიმოიხედეს. იქ, საცა ხეივანი ორად იყოფოდა, ვეება ჭადრის ძირში ძელსკამი შენიშნეს და რაღაც უჩვეულოსა და საშინაელის მო-ლოდინიში ერთმანეთს მიეყუყუნენ.

სექტემბრის დამდეგი იყო. ოღნავ ქარიანი დღე იწურებოდა, გადახრილი მზე ხეთა კენწეროებზე ლავლივებდა და მესამე სართულის ფანჯრებზე ყვი-თლად ბრჭყვიალებდა. ქარი არხევდა უზარმაზარ ჭადრებსა და ევკალიპტებს. ხეთა ჩრდილები შვინდისფერ კედლებ-ზე ირხეოდნენ და ფანჯრებზე მუქ ტალ-ლებად გადად-გადმოდიოდნენ. ქარი ტო-ტებში შრიალებდა და თოკებზე გაფე-ნილ საავადმყოფოს თეთრეულს ატლა-შუნებდა. მაგრამ ცეცოს ეჩვენებოდა, რომ მთელ ამ ტყესავით ეზოში და ხეთა ჩრდილებით ატორტმანებულ შენობა-შიც რაღაც იდუმალებით აღსავსე სა-ზარი სიჩუმე გასუდრუდიყო. სიცხი-ანი მოყვითალო იდუმალება ჩასაფ-რებულყო ყველგან.

მეორეჯერ ცეცო — მაშინ თხუთმე-ტი წლისა იქნებოდა, მამიდის სანახა-ვად წაჰყვა მშობლებსა და დას. ახლად აშენებული საავადმყოფო მაღალსაცხ-ოვრებელ სახლებს შორის იდგა, მათ-გან კარგა მოშორებით. შენობას არსა-იდან სახლი ან ხე არ ეფარებოდა. არსაიდან ჩრდილის პატარა ლაქაც არ ეცემოდა. თითქოს სადღაც უკაცრაულ ტრამალზე წამომართულიყო იგი. ფ-

ლისის შუადღის თაკარა მზეს მთელი თავისი მცხენვარება მის თეთრ-მონაცისფრო-მოყვითალო კედლებზე, მოტიტვლებულ ეზოსა და ქუჩის იმ მონაკვეთზე დაეშინა. და იმ პაპანაქებაში შენობის სახურავიდან კუბრივით შავი, მძიმე და ტლანქი ბოლი ამოდიოდა რაღაც ავისმომასწავებლად. ტლანებში გამხდარი, სენისაგან და სიცხისაგან დაოსებული ზაფრანისფერი ადამიანები დაბორილებდნენ უხმოდ. ცხრა-ათი წლის კოჭიდან მუხლამდე ფეხშეხვეულ გოგონას კისერზე თითქოს შეოერ კისერი გამოხმოდა.

მამიდა არ იყო ძალიან გამხდარი. არც კენესოდა და არც სწუხდა, იწვა ჩუმად. დაღონებული, მაგრამ მის მეორე-საწოლზე ახალგაზრდა ქალი გაუწყნარებლად წრიალებდა, იკვანწებოდა და ზღუქუნებდა. ალბათ არასოდეს დაავიწყდება ცეცოს ის უნუჯემო, თითქოს საკუთარი თავის მოტირალი ზღუქუნე.

ქუჩის მეორე მხარეს, ავტობუსის გაჩერებაზე მშობლებთან და დასთახ ერთად მდგომი ცეცო თვალს არ აცილებდა ჯოჯოხეთურად მცხუნვარე მზეზე განწირულის მორჩილებით მდგარ თეთრ-მონაცისფრო-მოყვითალო შენობას, მოტირალი ქალივით რომ გაეშალა კუბრივით შავი კვამლის ნაწნავი ივლისის გატრეცილ, სევდიან ცაში.

საშიშსა და საზარს აქვს რაღაც მომენტსხველი ძალა.

დილით ადრე, შეილი საათიც არ იქნებოდა, ავადმყოფები სანიტარმა გამოაღვიძა — შუქი ჩართო და პალატას გვა დაუწყო.

— შე ქალო, მაგ ორ ღერ ჯოხს რო უფხაკუნებ, ვითამ დახვეტა ქვია? ახლა სოხანესაც აღარავინ ხვეტავს მაგისტანათი; — წამოიკრუსუნა ძილის გაფრთხობით უკმაყოფილო ნაღიამ.

— რასაც მაძლევენ, იმითი ვგვი, — უქმეხად უპასუხა სანიტარმა. — მა სახლიდან ხო არ მოვიტან.

— სახლიდან რატო მივიტან, მარა; რა-

ვა დევიჯერო ახლა, ამხელა საავადმყოფოს ცოცხის ყიდვა გაუჭირდა?

— რასაც ყიდულობენ, ეგ არის, სახლებში არავის მიგვაქვს, ვა!...

— რა ვიცი, — სიტყვა „რა“ რუსული „Я“-თი გამოთქვა ნაღიამ. დასწყევლოს ეშმაკმა! კმ, კმს! — და კრუსუნით გვერდი იცვალა.

საშურამ ჯერ თერმომეტრი და მერე წამლები ჩამოართვა.

მერე კარაქიანი პური. ფაფა და შაქარი ჩამოატარეს.

დიასახლისმა ჩითის ღამის პერანგები შემოიტანა და ავადმყოფებს დაურიგა. მხოლოდ ცეცოსთვის არ მიუცია, რაკი გუშინდელი მისული იყო. მერე წესრიგი შეამოწმა. კატოსა და ირინეს დედას რაფიდან რაღაც კერძებიანი და კომპოტებიანი ქილები ჩამოაღებინა, მერე ტუმბოებს მიაღდა.

— ოი, რამდენი ხარახურაა აქ, რამდენი ხარახურა! — შენიშნა ღამზირას, — შენი და რად არ დალაგებს?

— მაგის დამ მარტო ეგ იცის, რომა მოვა. თეთრ ხალათს მაიცვამს და მთელი დღე დერეფნებში დაბაკუნებს თავის პლატფორმებითა. მაღლობა ღმერთს, იქ ექიმები ირევიან, რა სორტისაც გინდა, — თქვა კატომ.

— ე, რო არ ეცეს ჩემ დას არ შეუძლია. გეხარბება ხო, ახალგაზრდა და ჯანმრთელი როა. რას მიცემდი, კატოჯან, შენ რო იმ ხნისა გაგახადა და იმ დერეფნებში გაბაკუნა?

— ჯერ ერთი, მე რა შენი კატოჯანი ვარ, — იწყინა ღამზირას ფამილარობა კატომ, — შენოდენა შეილი მეყოლებოდა, რომ გამეჩინა.

— ე, მაია შენი პირველი შეცდომა, — სწრაფად ჩაურთო ღამზირამ.

ეს სიტყვები კატოს ეტყობა, არ გაუფგონია.

— მეორეც ისა, რომ არავის შესაშური არა მჭირს რა, განაგრძობდა კატო. — მაღლობა ღმერთსა, ახალგაზრ-

მაღონა გორგაძე  
დღეს, ხვალ, ზამ

დობა ისეთი გამიტარებია, რომა ცოტას დაესიზმრება, ას ქალს ეყოფოდა...

— ე, მაგაში ასპროცენტისი მართალი ხარ. — თავისებურად გამიფრა ლამზირამ, მაგრამ ხმადაბლა ნათქვამი არც ეს სიტყვები გაუგონია კატოს.

— უიმე-ე! ეს რა ამბავი, რა ამბავი, — წამოიძახა უეცრად დიასახლისმა და ნადიას ტუმბოდან თოფნაკრავივით უკან დაიხია.

— რა იყო, შე ქალო, რა დეინახე ამნერი? — უდანაშაულო დამნაშავის კილოთი შეეკითხა ნადია. — რა ვუყო, აბა, გადაყარო, სიმწრითა ჩამოტანილი სოფლიდან. მერე თითქოს რაღაც მოისაზრა. სასთუმალის ქვემოდან დაკეცილი ცელოფანის პარკი გამოაძვრინა, შიგ ვაშლი და მსხალი ჩაალაგა და დიასახლისს გაუწოდა. — ა, ეს შენ. აქ ქე მოუუკითხე ყველას, ცოტა გოგუცა ექთანისთვის მაქ ვადანახული და მეტი აღარც გასტევა.

— მე ეგ არ ვამბობ, კასტრულზე ვამბობ. — დიასახლისმა პარკი ჩამოართვა.

— კასრულს მოვა ჩემი ბიჭი და გავატან. ცარიელია, ე. — ნადიამ ქებას თავი ახადა და დიასახლისს ჩაახედა.

— О-ох! — ამოიხენეშა დიასახლისმა და ხელი ჩაიქნია. — Ничего с вами не получается. Каждый день одно и тоже, одно и тоже... ეს მთელი პალატის მისამართით იყო ნათქვამი, ესლა ამბხოდ, იცა შენ?

— როგორ არ იცის, — ჩაის ჭიქიდან თავი ასწია კატომ. — კოკებამდე შავი, მაჯისისხო დალალები კი არ დავიარცხნა და დაიწნა წედან და ჟორსეს კრუჟავებიანი პერანგი კი არ ჩაიცვა? ეხლა ჩვენი ექიმები რომ შემოლაგდებიან ყველას ერთბაშად შეეყრება სიყვარულის ბნედა.

— ვაი-ი! ბნედა შენ და სნება! — დიმილნარევი ჭყანვით მიაკრულა ნადიამ. — შენ შემხედვარეს მე დავმართებ ახლა ვინმეს სიყვარულის ბნედას?

— კაი ახლა, ჩხუბი არ მოგივიდეთ. ორივეს გეყოფიენ, კაი ბლომად არიენ.

— ლამზირამ ცალი ხელით პირხაზით აიწია და მზაკერულად აკიაფებული ქარვისფერი, ბუსავით მრგვალი თვალით ცეცოს გამოხედა.

— იცი, რა? — კატომ ბოლო ყლუპი ჩაი შესვა. ლამზირას მიუტრიალდა: — მე და ნადის — (ნადის „ა“-თი განითქვამდა) — ჩვენი ცხოვრება გავვიტარებია, შენ შენს თავზე ზრუნე და ეგ ექიმები, თუ ყოჩალი გოგოები ხართ. შენა და შენმა დამ გაინაწილეთ.

— ა, ასე იცის, — ლამზირა ერთბაშად წამოიწია და იდაყვებით ბალიშზე დაეყრდნო. წამეიწყებს ამისთანა ლაპარკს და მერე თუ აყევი, შეიყვანს გულს.

ამ დროს, ხსენებაზეო და, ნაირაც შემოგოგმანდა, თან თებერვლის წვიმიანი დღის სინოტივე, თავისი სიმსუბუქე და ქალაქის ფორიაქი შემოიყოლა. მას ფეხდაფეხ ცეცოს დედაც მოჰყვა.

— რავა ხართ? — ყველას ერთბაშად ჰკითხა ნაირამ. პასუხით არც დაინტერესებულა და არც არავის უპასუხნია.

— აი რაია? გიცვლიენ? — ლამზირას საწოლიდან თეთრეული აიღო და შეათვალღერა. — დუუშვენდენ თვალები. გარეცხილი და გაუთუებელი ამას არ ქვიოდეს...

— გამომიცვალე, შემოვლა იქნება, — უთხრა ლამზირამ. ნაირა დატრიალდა და ოთახში ბუმბულის კორიანტელი დააყენა. სხვებმაც მიბაძეს. პალატაში ნახევარ საათს მინც თეთრეულის ფრიალ-შრიალი იდგა.

ათ საათზე ცეცოს სისხლი აუღეს, და, ის იყო, დედამისმა ჩაი შემოუტანა, რომ ექიმებიც შემოვიდნენ. — შვიდი მამაკაცი და ერთი ქალი.

პროფესორ — ლევან თავდგირიძეს ცეცოს გარდა, ყველანი გასინჯული ჰყავდა. დღეს მხოლოდ თითოოროლა წინადადებით გაესაუბრა მათ.

— თქვენ ხომ არ შეგიცვლიათ ვადა-

წყვეტილება პუნქციის შესახებ? —  
პკითხა კატოს.

— არა, მაგრამ ძალგნ მეშინიან,  
ძალგნ ბატონო პროფესორო. ცრემლ-  
ნარევი ბოხი ხმით ჩაიგურგულა კატომ.  
სულ არ უხდებოდა და შეფეროდა ეს  
ქალური სისუსტე.

— ხვალ ჩაიყვანო, — მიუბრუნდა პა-  
ლატის ექიმს მერაბ ჩარკვიანს, რომელ-  
მაც გუშინ თაბაშირში ფეხი ჩაუსვა  
ცეცოს.

პროფესორი ნადიას საწოლის თავ-  
თან იდგა.

— თქვენ სულ უნდა გაეწეროთ სა-  
ვადმყოფოდან.

— რატომ, ჩემო ბატონო, — საბან-  
ში რატომღაც კისრამდე გახვეულმა  
ნადიამ საწყულად აახანხამა თვალები.

— იმიტომ, რომ გაბრაზებული ვარ  
შროშელებზე. რამდენჯერაც არ ვიყი-  
დე დოქი ან ქოთანნი, ერთხელაც არ  
გამომადგა.

— რავე გეკადრებთ, ჩემო ბატონო,  
— უცბად გაცეცხლდა ნადია. — ასეა,  
გამეერევა ვინძახა ცულღუტი და გო-  
უტეხავს თელ სოფელს სახელს. დოქს  
და ქოთანს რავე გკადრებთ, მარა რო  
დაგარწმუნოთ შროშელების ნახელა-  
ვში, სპეციალნად ჩამოვატანიებ ჩემ  
ქმარს.

პროფესორი უკვე ირინეს საწოლს  
ელგა თავთ.

— ავადმყოფო დევდარიანო, ხუთ-  
შაბათს ოპერაციისათვის იყავ მზად!

— მზად ვარ! — დუნედ, ნაძალადე-  
ვად გაიღიმა ირინემ.

ლევან თავდგირიძე დაიხარა, ირინეს  
ჩალმისებურად მოხვეული შაბიანის  
ფერი ხილაბანდი ოდნავ აუწია მუბ-  
ლიდან.

— გადასაპარსია, — მიუბრუნდა მე-  
რაბ ჩარკვიანს.

პროფესორი ახლა ცეცოს საწოლი-  
საკენ შეტრიალდა და ქალიშვილს და-  
აკვირდა.

— ჩვენ ვილა ვართ?

— ცეცილია ბოჭოიძე, — სერო-  
ბულად უპასუხა ცეცომ.

— ოპ! — ისეთი გამომეტყველებით  
თქვა ლევან თავდგირიძემ, თითქოს  
ცნობილი სახელი და გვარი გავგონოს.

— რა გვაწუხებს?

ცეცომ პალატის ექიმს შეხედა. მან  
უფრო იცოდა, რა აწუხებდა ცეცოს,  
მაგრამ მერაბ ჩარკვიანი ჩუმად იდგა  
ცეცოს საწოლის გვერდით და ხმის  
ამოღებას არ აპირებდა.

— მე და ჩემი მეგობარი ქუჩაში  
მივდიოდით, რუსთაველის პროსპე-  
ქტზე... გაუბედავად დაიწყო ცეცომ.  
— ტროტუარზე აღარ იყო თოვლი მაგ-  
რამ ერთ ადგილას, ეტყობა, ღარჩენი-  
ლიყო ყინული და ფეხი დამიცურდა,  
თავი მღაზიის კედელს მივარტყი, მერე  
ძირს დავეცი და ფეხი დავიშავე.

— აზრზე ხართ? იქ რომ ვიტრინა  
დახვედროდა? ამდენ ამბავთან მინის  
ფულიც გადასახდელი გაუხეცებოდა, —  
მიმართა ლევან თავდგირიძემ ექი-  
მებს, რომლებიც ცეცოს ზაწოლსა და  
კარს შორის იდგნენ. — შვილო,  
თვალებს თმა გიფარავს და როგორ  
დანიხავდი იმ გაყინულ თოვლს! —  
დაიხარა და საჩვენებელი თითით თვა-  
ლებამდე ჩამოშლილი, „ჩოლკა“ და-  
დაუწია. — ნახეთ, თურმე რა თამარ  
მეფის თვალწარბს იმაღავს!

— ახლანდელი ქალიშვილები რის გა-  
მოჩენაც საჭიროა, იმას მალავენ და,  
რაც უნდა იმალებოდეს, იმას აჩენენ,  
— ჩაუბრუნა ნევროპათოლოგმა არიანა  
ჭაიამ.

— ამ გოგონაზე ჯერ-ჯერობით მხო-  
ლოდ იმისი თქმა შეგვიძლია, თუ რას  
მალავს, — თქვა ექიმმა გია ჯიმშელი-  
იშვილმა.

არიანა ჭაიამ ცეცო გასინჯა.

— კომოციო, — უთხრა პროფე-  
სორს.

— რამდენ ხანს მომიხდება ბატონო

მადონა გორბაძე  
მღვს, ხვალ, ზამ

პროფესორო, წილა? — შეეკითხა ცეცხლს.

— რა გეჩქარება, ცუდ ხალხში მოხვდი, თუ? ლევან თავდიგრიძემ ჯერ ავადმყოფებისკენ და მერე ექიმებისაკენ გაიშვირა ხელი. — ამათ შორის უცოლოებია და ახლა არჩევანი შენზეა, ხომ გაუთხოვარი ხარ?

ცეცოს გაეცინა.

— დიახ...

პროფესორმა თითებით „ჩოლა“ ჩამოუშალა და კარისაკენ გაემართა.

მეორე დღეს კატოს პუნქცია გაუკეთეს. მისმა კენესამ და ვიშვიშმა პალატა აიკლო, წარამარა თუ ექიმის, თუ ექთნის დასაძახებლად აგზავნიდა დას. ისედაც დაბნეულ დაუძწეო ქალს სულ ტარაბუთა დაახვია. მერაბ ჩარკვიანი ორჯერ შემოაყვანიდა. მან სერიოზული სახით, მოთმინებით მოისმინა კატოს ქოთქოთი და საყვედურები, რად დაგიჯერეთ და რად გავიკეთე ეს ოხერი პუნქცია, როცა გული მიშლიდაო.

მერაბს ბევრი რწმუნება არ დაუწყია. მოკლედ უთხრა: რაც გაწუხებთ, ყველაფერი ნორმალურია, ასე უნდა იყოს. ხვალ ისევ ჩვეულებრივად იქნებითო.

ნაშუადღევს კატოს ბიძაშვილი მოვიდა და მისი დაოსებული და შეცვალა.

— ეს რა ჩავიდინე, ელო, განა არ მქონდა გავიანილი, რაც იყო ხერხემლიდან სითხის ამოღება, მაგრამ მაინც დავყვიე მაგათ ნებასა და აჰა, ვეწირები კიდევაც.

— ხერხემლიდან სითხის ამოღება სულაც არ არის საშიში, ექიმი ვარ და დამიჯერე. შენ ესლა იმდენი არა გაწუხებს რა, რამდენადაც გეშინიან, ნერვებსა ხარ აყოლილი, — მშვიდი, დარბაისლური ტონით ამწვიდებდა ელო და არც ექიმებთან ეგზავნებოდა, არც ექთანთან და არც ცივ-ცივ ტილოებს უცვლიდა. თეთრი ხალათი ჩაიცვა და კატოს ტუმბოს წესრიგში მოყვანას შეუდგა.

სალამოს ელოს ქმარიც მოვიდა. შეულო სიმალისა და სისქის ქერა კაცი იყო. ბერეტი ეხურა და ორსავე მხარეს წელამდე შეჭრილი ფრანგული პიჯაკი ეცვა. მიხრა-მოხრით ბალეტმეიტერს მოგაგონებდათ.

— როგორა ხარ, კატია? რუსული აქცენტით ჰკითხა მან.

— აბა რა ვითხრა. მეუბნებიან კარგადა ხარო, მე კი წელსკვემოთ რაღაც თოკები შემომეჭირა და ლამის გამწყვიტოს, გულიც უარს მეუბნება, — ჩაიქვითქვითა კატომ.

— Слушайся и верь врачам.

— დაარიგა ელოს მეუღლემ, მერე იქაურობა და იქ მყოფნი, თითქოს ლორნეტიდან შეათვალეო რაღაც უაზრო ღიმილით და განაცხადა. — У вас тут невероятно тесно.

გვიან სალამოს, როცა კატო მომჯობინდა, მისმა ჩია, მკერდშეგარდნილმა და ბექებაწურულმა დამ ელო შეცვალა ისევ.

— თქვენი სიძე, აი მშვენიერი ექიმის ქმარი, რუსი უნდა იყოს, არა? — ორივეს მიმართა ლამზირამ.

კატომ დინჯი, მკაცრი სიამაყით გახედა ლამზირას და ნიშნის მოგებით უთხრა:

— არ არის რუსი, ქართველი გახლავთ, შაქრო ერისთავი. — და დაუმბატა: — დედა კი ჰყავდა პოლონელი. — აუჰ! — თავადიშვილი ყოფილა! — წამოიძახა ლამზირამ. — შენი ბიძაშვილი რა გვარისაა?

ჩემი ბიძაშვილი იმ გვარისაა, რა გვარისაც მე ვარ.

— ესე იგი ჰავეჭავაძე. შენი ქმარი რა გვარი იყო?

— ფალავანდიშვილი, — კატოს ხმაში კვლავ სიამაყე გაისმა.

— მაიც თავადია?

— რასაკვირველია.

— ესე იგი, უბრალო გვარის სისხლს არ ირევთ, ხომ?

— ეჰ, — ხელი ჩაიქნია კატომ. — ეხლანდღეულები მაგას დაგიღვევენ? გახა





ძაძამია კი არ შემოგვერია? მაგათმა ბიჭმა თავდღმაშვილი კი არ მოიყვანა ცოლად?

— თავდღმაშვილი? დაღუპულხარო და აია. — შეიცხადა ლამზირამ და მსხვილი კბილები გადმოყარა.

ცეცოს ფხუჯუნი წასკდა: ნაირამ დრო იხელთა, ირინესა და ცეცოს საწოლებს შუა კატოსა და მისი დისაყენ ზურგშექცევით დადგა და შაქრო ერისთავს გამოაჯავრა: გაიბზიკა, იქაურობა და იქ მყოფნი თითქოს ლორნეტით შეათვალიერა, რალაც ჭკუამხიარული ღიმილით, თან „Невероятно“-ს მიმსგავსებული გაურკვეველი სიტყვაც წარმოთქვა და ენა კბილებში გამოყო ოდნავ. ცეცომ მსწრაფლ საბანში შერგო თავი.

— ერთი ირინეს გაცილებას მოვსწრებოდი. რა ვთქვა და რა გვაკეთო იმფერი, რომ ცოტა მაინც გავალიძო, — თქვა ნაირამ.

ირინემ ახედა ნაირას ზღვისფერი დატბორილი თვალებით, თითქოს შორიდან ესმოდა აქაური ხმები და თითქოს შორიდან ხედავდა აქაურობას. მას აქეთ, რაც ექიმებმა თავში დანარდილვა აღმოუჩინეს, ირინე ერთბაშად დაშორდა ყველაფერს. და გაუცხოება დაეუფლა მაშინაც, როცა ბესიკი მოკვდა. წინათ კი, ადრე, როცა სიცოცხლე ერთ სუნთქვაშეკრულ და თვალდაცეცებულ მოლოდინს წარმოადგენდა, ყველაფერი ცხოვრებისეული მოვლენა, თითქოს რალაცით უკავშირდებოდა მას. უამრავი „ჩემისაგან“ შედგებოდა: ჩემი ეზო და ჩემი სახლი, ჩემი სკოლა და ჩემი კონსერვატორია, ჩემი ქალაქი და ჩემი ქვეყანა, ჩემი დედ-მამა და ტოლ-მეგობრები, ჩემი მიწა, ჩემი ზღვა, ჩემი მზე და ჩემი მთვარე. მე-რე ყველაფერში მოზიარე გაიჩინა — ბესიკი. ბესიკი და შიში ერთად მოვიდნენ. დიდი შიში — შესაძლო იყო ერთ სამაშველ დღეს ბესიკს ყველაფერი წაერთმია და დაეტოვებინა იგი უმწეოდ და უმთვაროდ,

ფეხით მიწა-გამოცლილი და მიუსაფარი მღერი, უკიდვანო სიცარიელეში. მაგრამ ბესიკს არაფერი წაურთმევია. ბესიკი მოკვდა, ჩაქრა და სიცოცხლე დაკარგა ყველაფერმა, რაც კი ირინეს მასთან ზიარი ჰქონდა. ცხოვრება ბუნდოვან აზრგამოცლილ კინოკადრებს დაემსგავსა.

ბალატაში უეცარი სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ნადიას მონოტონური მოსაწყყენი ხმა ისმოდა, კენტი ბუზის ბზუილივით:

— ელიზა გათხოვდაო? გადვირიეთ, გადაცვივლით თელი დედამამიშვილობა. იმას რო კაცები ეძლეოდა, რა ნახა იმ ცხვირმოუხოცელ ბეღარტში. ა-აა-აა-აა! აღარ გვეკარეთ კაციშვილმა არც ჭირში, არც ლხინში, მარა მერე კაი მოგვეს. მართლა კაი ბიჭი გამოდგა, თვარა ახლა ჩვენ არ უნდა გვეკადრულობდეს. იმისთანა ადგილებში ჩადგა რომე... ჩიტის რქე აკლია მის ცოლ-შვილს? — ტკეპნით უყვებოდა საწოლზე ფეხმორთხმული ნადია მულიშვილს.

მედლა გულიკომ სარაჯიშვილის მიქსტურა ჩამოატარა და ცოტა ხნის შემდეგ თერმომეტრები ჩამოარჩია.

ირინეს ოპერაცია ხუთშაბათს იყო დანიშნული. ეს დილა ჩვეულებრივი გათენდა. სანიტარმა ემამ ჩვეულებრივ აუყენა ფხაკაფხუკი იმ ორ ღერ ცოცხს დილის შვიდ საათზე, ჩვეულებრივი „კმპ-კმპ“-თი გაიღვიძა ნადიამ და ჩვეულებრივ გადაჰყვა ცეცო „ჩოლკის“ დასველებას და დაწყობას. ირინეც ჩვეულებრივი იყო: ჩაკეტილი, უგუხებო და ინერტული. მოწყვეტალივით ეკიდა ხელ-ფეხი. დედამისი რომ წერილ-წერილი ყვავილებით დაჩითულ პიყამას აცმევდა ყველაფერი ჩვეულებრივად ხდებოდა, მაგრამ მაინც იგრძობოდა რალაც დაძაბულობა, რალაცის ხერ-

მ. დონა გორგაძე  
დასა, ხაპა, ზაპ

ვიული მოლოდინი, ირინეს თითქოს საჭორწილოდ რთავდა დედაძმისი. მამა და ბიძაშვილი ვაჟა ბოლოსას სცემდნენ დერეფანსა და ვესტიბიულში. დროდადრო ხან ერთი შემოვიდოდა ან კართან გაჩერდებოდა და ორიოდ წუთს იყურებოდა პალატაში გაურკვეველი გამომეტყველებით, ხან მეორე.

ათ საათზე ლევან თავდგირიძე და მერაბ ჩარკვიანი შემოვიდნენ.

— Все в порядке? — მხოლოდ ეს ჰკითხა ლევანმა ირინეს დედას და ორივენი მამინვე გავიდნენ.

ნახევარი საათის შემდეგ სანიტარმა ემამ ურიკა მოავგორა, მაგრამ ირინეს ურიკაზე არ დაწვა, მამამისს და ვაჟას გაუკეთა ხელშკლავი და ისე წავიდა საოპერაციოსაკენ. ნადიამ და ცეცოს დედამ ლოცვა-კურთხევა გააყოლეს.

— სხვა დროს ვილა ვინდა, რო არ მოდის, დღეს კი რა დაემართათ, სად გადაიკარგნენ? — უკმაყოფილოდ იკითხა კატომ.

— ალბათ არავის დასწრება არ უნდოდენ და კაი ჰქუა ქნენ, თქვა ლამზირამ.

ოპერაცია სრულ თერთმეტ საათზე დაიწყო. ნაირა წარამარა საოპერაციოსა და პალატას შორის მიმორბოდა და ამბავი მოჰქონდა: თელი ნეიროქირურგები იქანება, ვინცხა ორი ექიმი ჩამოვიდა თერაპიულიდან და იგინიც შევიდნენ. ვაჟაც ექიმი ყოფილა და ყველას ნაცნობობა, მერაბმა უთხრა, ხო არ დეესწრებო, მარა არ ქნა — რავე იზამდა ირინეს თავის ახდის ყურებასო. ირინეს არ დაუყვირია, მარა წუწქუწებდაო.

ნადიამ, უი შვილო, უი შვილო, შეიცხადა და თითქოს მომზადებული ჰქონდაო, მუჰის სისხო კურცხლები გადმოყარა ერთბაშად.

ცეცოს დედას ბეჭებში გასცრა. ინსტიტუტურად ქალიშვილს გადახედა და დმერთს მადლობა შესწირა გუნებაში, რომ ეს ამბავი მათ თავზე არ მოსო.

ორი საათის შემდეგ ირინე უნდა შემოავარეს პალატაში. ვაჟამ და მამამისმა საკაცით საწოლზე გადაიყვანეს. თავ-ყბაზე ჩაჩქანივით ჰქონდა შემოხვეული ბანდი. სახეც და ტუჩებიც თითქმის იმ ბანდისფერი ჰქონდა და ამ თეთრ ფონზე მხოლოდ წარბ-წამწამის ოდნავ მორკალული ზოლი გამოიჩინოდა მუქად. მამამისი თავითი დაუჭდა და საღამომდე არც განძრეულა და არც თვალი მოუცილებია შეილისათვის. ირინეს დედა მნახველებს იმ დღეს კართან ეგებებოდა, შეილის საწოლამდე არ უშვებდა, ვესტიბიულში აცილებდა და იქ უყვებოდა ოპერაციის ამბავს. ნაირა გაძვრა-გამოძვრა და ამბავი მოიტანა. კაი ნიგვზისხელა სიმსიენე ამოუღუნ, მარა კეთილთვისებიანი ყოფილა, მაშინათვე ასე უთქვამს პროფესორს და ყველა ასე ფიქრობსო, ჩუროჩულით მოუყვა ჯერ ლამზირას და მერე ცეცოს დედას ვესტიბიულში და დაუმატა, რა ვიცი, თუ არ მალავენო.

წასვლის წინ პროფესორმა პალატაში შეიარა. მშვიდად არისო, ირინეს მამამ. პროფესორმა ორიოდ წუთს უყურა თავდახუჭულ ირინეს და წავიდა.

ირინე მთელი დღე და საღამო წყნარად იწვა. პალატაში შიშობდნენ, ღამით კენესასა და ბორგვას დაიწყებდნენ, მაგრამ ირინე ხმას არ იღებდა, ძილად მივარდნილს ჰგავდა, მაგრამ არ ეძინა. იგორალაც ქაოტურ, ჰაობის წყალივით უგემურ, მღვრიე, შედედებულ ბურანში ცურავდა. ხან ღრმად ჩაყვინთავდა, ხან კი ამოტივტივდებოდა. სახეზე ერთი ნაკვთიც არ უქრთოდა, მხოლოდ წამწამები შეუტოკდებოდა დროდადრო, ათასში ერთხელ ბაგეს გახსნიდა გაჭირვებით და მილეული ხმით წყალს ითხოვდა.

ცეცოს კი სულ არ ეკარებოდა ძილი. ეს ნერვული დღის ბრალიც იყო და იმის ბრალიც, რომ მერაბ ჩარკვიანი მორიგე იყო, და საღდაც აქ ტრიალებდა. ცეცომ ერთი ორჯერ მის ხმას მოჟრა ყური, წელან კი სწრაფი ნაბიჯით აიარ-ჩაიარა,



ისე რომ ცეცოს პალატისაკენ არც გა-  
მოუხედია.

ცეცო დამაბული სიმივით იყო. თვა-  
ლები ერთთავად კარისკენ გაუბრუნდა,  
მაგრამ მერაბი აღარ გამოჩენილა — ავ-  
არიასი დაშავებული მოიყვანეს და იგი  
სასწრაფო ოპერაციასზე გაიძახეს მიმ-  
ლებში. თორმეტ საათზე მედლა გოგუც-  
ამ ის იყო პენიცილინის ნემსი გაუქეთა  
ირინეს, რომ კარში უეცრად მერაბი აღ-  
იშარათა. დაიცადა, სანამ ირინეს დედა-  
მისი წესრიგში მოიყვანდა, და პალატა-  
ში შევიდა.

— ბიჭოს! მალე დაგიმთავრებია ოპე-  
რაცია. ძან იყო დაჩეჩქვილი? — ჰკით-  
ხა მედლა გოგუცამ.

— უჰ, კერკეტი კაკალივით.  
— გადარჩება?

მერაბმა ექვის გამომხატველად ასწია  
წარბები.

— დაილაღეთ? — ჰკითხა ცეცომ.

— ფეხზე ძლივს ვდგავარ. — ცეცოს  
საწოლის თავს დაეყრდნო მთელი სიმ-  
ძიმით.

— კიდევე შეიძლება მოიყვანონ ვინმე?

— როგორ არ შეიძლება.

— დედა-ა! — ცეცოს ხმაში თანა-  
გრძნობა გაისმა.

— აბა შენ რა გენაღვლება, წევხარ  
აქ არხეინად. მერაბმა ცეცოს საწოლს  
ხელები ჩაავლო და შეანჯღრია.

ცეცოს თითქოს რაღაც ზვირთი მოას-  
კდა უეცრად, მაღლა ატყორცნა და მერე  
ისევ თავქვე დააქანა. სუნთქვა შეუბუ-  
ბდა.

მერაბი იდაყვებით ცეცოს საწოლს  
დაეყრდნო, ნიკაბით ხელებს დაეზვინა  
და ქალიშვილს დააცქერდა. ცეცო გუ-  
ლალმა იწვა გაშეშებული და თვალდა-  
ხრილი. სახეზე აღმური ასდიოდა. ასე  
ყოფნა ეუხერხულებოდა, უნდოდა თვა-  
ლი მოეწყვიტა გულზე დაკრებილი ხე-  
ლებისათვის და შეეხედა ჰერსს,  
თუნდაც კედლისათვის — ოღონდაც კი  
უაზროდ არ ჰქონოდა დასობილი ხე-  
ლებზე, მაგრამ ვერასგზით ვერ ეპოვა  
საამისო ძალა.

— დაიძინე, — თქვა ცოტა ხნის მე-  
მერაბმა და პალატიდან გავიდა.

მედლა გოგუცამ სინათლე ჩააქრო.

მეორე დღეს მერაბ ჩარკვიანი დილა-  
ადრიან შევიდა პალატაში. ცეცო პირვე-  
ლად ხედავდა მას უხალათოდ. უხდებო-  
და შავი ფერის პალტო და მუქი მოლუ-  
ჩვო-მწვანე როლინგეტონი.

ალბათ მორიგეობის შემდეგ შინ მი-  
დისო, გაიფიქრა ცეცომ და აუტანლად  
მოსაწყენი წარმოუდგა მთელი დანარჩე-  
ნი დღე.

ირინეს დედამ ქათინაური შეაგება მე-  
რაბს.

— Вы сегодня особенно красивы.  
მერაბმა რატომღაც ცოტათი დაირ-  
ცხვინა და უხერხულობისაგან თავის და-  
საღწევად ლამზირას პირსახოცი გადააძ-  
რო შუბლიდან.

— ცა, აღარ უნდა მეიცილო მაი პირ-  
სახოცი თვალებიდან? — გურულად  
მოუქცია მან. ლამზირას გაეცინა.  
მსხვილ-მსხვილი კბილები თითქოს პირ-  
იდან გამოუცვივდა ერთბაშად და ტუჩ-  
ზე ხელის გული აიფარა.

ცეცოსაც წასკდა სიცილი. ყელში  
უქერდა უმიზეზო და მიზეზიანი სიხა-  
რული. თავაწყვეტილი სიცილი უნდო-  
და, მაგრამ აქ ახლა საამისო არაფერი  
მომხდარა და თქმულა, ამიტომ თავი  
შეიკავა და ლოყები კბილებში მოიქ-  
ცია. თვალებში კი მაინც ეშმაკუნები-  
ვით უცმუჟავდნენ ანცი ნაპერწკლები.

— გურული ხართ? — ჰკითხა მერაბს  
და ისევ გაეცინა, როგორც თითონ მო-  
ჩენენა, უკვე სრულიად უადგილოდ.

— კი, მაგრამ მარტო გურულებს კი  
არა, შემოდია საქართველოს ყველა  
კუთხის ადამიანს გამოვაჯავრო, ამის  
ნიჭი მაქვს და საერთოდ, ბევრი რამის  
ნიჭი მაქვს.

ცეცო ბალიშზე გადაწვა და გულია-  
ნად იცინოდა, შიგადაშიგ რაღაც ჭყლო-

გადონა გორგაძე  
დღმს, ხვალ, ზამ



ბინის მსგავსი გამოუტრია. ლამაზირაც იცინოდა, ტუჩებზე ხელაფარებული. თვითონ ეგონა, თორემ სიცილი სულაც არ აუწნობდა. მერაბიც იღიმებოდა და თანაც ცეცოს უყურებდა ინტერესით და აღტაცებით, რაც არავის არ გამოპარვია, თავად ცეცოსა და ირინეს გარდა, რომელსაც ყველაფერი ესმოდა, მაგრამ თვალის გახელისა და გამოხმაურების არც თავი ჰქონდა, არც ხასიათი.

— А она как? — ჰკითხა მერაბმა ირინეს ღელას — ?

— Спит Как будто. Всю ночь тихо лежала. Только пить просила иногда.

— Она молодчина. Через две недели будет чувствовать себя так, как будто ей и палец не кололи.

ირინემ ეს სიტყვებიც გაიგონა, მაგრამ მათთვის არავითარი მნიშვნელობა არ მიუცია. ეს იყო ექიმის ჩვეულებრივი, იმედიანი, გამამხნეველი სიტყვები.

ის იყო მერაბი წავიდა, რომ პალატაში ლევან თავდგირიძე შემოვიდა.

— როგორაა ჩვენი ნეფერტიტი? — იკითხა მან.

ამ ჩაჩქანივით შემოხვეულ ბანდში ირინე შართლა შეიძლებოდა კაცის ნეფერტიტისათვის ან რომელიმე ფარაონის ასულის — თუ ცოლისათვის მიემსგავსებინა.

ირინე ისევ ისე თვალდახუჭული იწვა. ლევანის ხმაში მას ნაძალადევი სიმხნევე მოესმა. არ უნდოდა ახლა თვალები გაეხილა და მის ტუჩებზე ნაძალადევი ღიმილს დაენახა, თვალებში კი ბოლომდე დაუფარავი სიბრალული და დანანება. და კიდევ რცხვენოდა ლევანის. გუშინ ოპერაციის დროს ძალიან გააბრაზა. თავდაპირველად ირინე ვითომ ვაქაცურად შეხვდა ოპერაციას. ახლა ანესთეზიას მიკეთებთ, ახლა თავის ქალას მიხერხავთო, ეუბნებოდა ექიმებს, გაგონილი ჰქონდა, რომ ოპერაციის დროს ლევან თავდგირიძე და სხვა ექიმებიც სხვა რალაცებზე საუბრობდნენ. ხუმრობდნენ და ზოგჯერ ანეგლოტებსაც ყვებოდნენ. დროდა-

დრო მაინც ჩამოეცოლებინათ ავადმყოფის გონება და ყურადღება საოპერაციო სიტუაციისათვის, მაგრამ ირინეს ოპერაცია ჩუმად და სერიოზულად დაიწყო და გაიკვირებოდა, თუ რომან კუციამ რომ ხუმრობის მაგვარი რალაც წამოიწყო, ლევანი შეუწყრა კიდევაც — იგი აშკარად უგუნებოდ იყო. ხმას არ იღებდა — მხოლოდ ერთი „აჰა“ თუ რალაც ამდაგვარი წამოიძახა — ირინეს ფიქრით ალბათ, მაშინ, როცა თავის ქალა აჰხადა და დაინახა, რაც იქ ხდებოდა. ირინე არ შეიძლებოდა ლევან თავდგირიძისათვის იშვიათი შემთხვევა ყოფილიყო.

ოცი წელი მუშაობს, და, ვინ იცის, რამდენი ადამიანი, მათში ზევრი ახალგაზრდა და ლამაზიც მერე თვეებიც რომ უცოცხლიათ კიდევ, მისთვის, აქვე, საოპერაციო მაგიდაზევე უსულო გემად ქცეულა. მაგრამ, რამდენიც უნდა ყოფილიყო ასეთი შემთხვევა, მათი შეჩვევა, მათ მიმართ გულგრილობა, ვის — ვისა და ლევან თავდგირიძეს არ შეეძლო. ამას გრძნობდა ირინე და ამიტომ მისი „აჰა“ და უხასიათობა თავის საბოლოო დიავნოზად მიიჩნია. იმ წამსვე ხმა ჩაეკმინდა. სიცოცხლე დასულსა და სხეულში. მერე, როცა პატარა სივრცეში მასსა და ზეწარს შორის ნელ-ნელა ჩამობნელდა, ირინემ გაიფიქრა, ვკვდებიო და გაუხარდა, ასე იოლად და ტყბილადაც რომ კვდებოდა. მერე კი, როცა ის სივრცე ისევ გაციოტდა, ნელ-ნელა ზეწარიც დაინახა, მიხვდა, რომ არ დაანებებს ან თავად არ დანებდა სიკვდილს და სასოწარკვეთამ შეიპყრო სულმოკლედ დაიწყო წუწუნი, მაგიდაზე დამტოვეთ. მერე სიკვდილი ძნელი იქნებოა, იხვეწებოდა. შიშისაგან თუ ნარკოზისაგან მთლიანად დაკარგა კონტროლისა და განსჯის უნარი. ისევ ჩამოღამდა მასა და ზეწარს შორის და, კვლავ რომ გათენდა, მიხვდა, რომ ოპერაცია მთავრდებოდა — უკვე ნაკერებს ადებდნენ.

... დღის ბოლოს პროფესორმა ისევ შე-  
იარა პალატაში ირინეს სანახავად. ამ-  
ჯერად რომან კუცია ახლდა. ირინეს მა-  
წონს აკმევდა დედამისი.

— რას მივირთმევთ? — იკითხა ლე-  
ვანმა.

— Машоня. Первый раз со вче-  
рашнего дня.

— Ничего, завтра сама будет  
просить.

ლევანის თვალეში სიბრაღულის  
მსგავსი ვერაფერი წაიკითხა. იგი სე-  
რიოზულად და, როგორც ირინეს მოეჩი-  
ვენა, ცოტათი გამწყრალი დაჰყურებდა  
მას. მერე ლევანი ერთბაშად რალაც  
მკვეთრად კატოსკენ შებრუნდა.

— თქვენ გითხრეს, რომ ოპერაცია  
ჯერ-ჯერობით არ შეიძლება? დიაბეტზე  
უნდა იმკურნალოთ.

— დიახ, მერაბმა მითხრა.

— მე გირჩევდით, პირველ საავად-  
მყოფოში ჩაგეტარებინათ მკურნალობა.

— ეპ, — ხელი ჩაიქნია კატომ.

— თქვენ უნდა გიხაროდეთ, რომ  
თქვენი მდგომარეობა შექრისაგანაა გა-  
მოწვეული.

კატომ ეკვით აიჩეჩა მხრები.

— ქალბატონი ელენე თუ მოვიდეს,  
მნახოს.

— ხვალ უნდა გამწერონ, მაგრამ და-  
ურევკავ და მოვა.

კატოს ხერხემალი შაქარი აღმოაჩნდა  
და ოპერაცია არ შეიძლებოდა, ფეხის  
მდგომარეობა კი თანდათან უშარესდე-  
ბოდა და სავარაუდო იყო, პარეზი მეო-  
რე ფეხზედაც განვითარებოდა. ძი-  
ლიან იყო დაბოღმილი. დღეს განსაკუთ-  
რებით ყველას უხირდებოდა. ლამზირას  
და ნაირას ხომ ყველაფერზე ტუქსავდა,  
ცეცოსაც მისცა შენიშვნა, ავადმყოფე-  
ბთან რომ შემოდიან შენი ამხანაგები,  
ცოტა ხმადაბლა ილაპარაკებო, ან რა  
აქვთ ამდენი სალაპარკო, რა საჭორაო  
ადგილი ეს ნახესო, ან რა დროს პირველ  
საათზე მოსვლათ, ამისათვის საათები  
დაწესებულიო.

წელან ნაღმს ეცა. თავის საწოლზე  
ჩამოქცარი ნაღია ჭაყვით ვაშლს პა-

ტარ-პატარა ნაკრებს ათლიდა და ღრ-  
ჯად ნება-ნება შეეძევოდა. კატომ ერთ-  
ხელ გადაუბღვირა, მეორეჯერ და მესა-  
მეჯერ შეუტია:

— რას იღებები, ქალო, მთელი  
დღეები, გამაგიყებ პირდაპირ. ნაღის  
ვაშლის ნაკერი ხელში შეაცივდა.

— მე ვკამ თელი დღეები? — გამო-  
ამტერა უწამწამო თვალები ნაღიამ.

— რა ვიცი, რამდენიც გამოვიხედე,  
იმდენი კი იღებები და...

— ვაი-ი, შენმა ღრანმა ლევა ცეცხ-  
ლი, — წაიტატანა ნაღიამ და ვაშლის  
ნარჩენი გულმოსულად დააგდო თეფშ-  
ზე, ჭაყვა დაკეცა და ტუმბოზე დაარეხ-  
ვა! — გიგუებთ კილო ეს ერთი დღე რა-  
ვარიძახა იქნება.

— საწყალი, მარტო ცხოვრობს, თან  
ავადმყოფია და აღამიანებს. როგორც  
ჩანს, ძნელად ეგუება. — ჩუმად თქვა  
ცეცოს დედამ ცოტა ხნის შემდეგ.

— ყუდრობათასა მიჩოული და ხალ-  
ხში ყოფნა ეხიმხება, — ჩუმადვე დაუ-  
მატა ნაღიამ და გულის გადასაყოლებ-  
ლად ტალანში გავიდა.

— არ მიყვარს მსუნავი აღამიანი, —  
წაიბუზღუნა მისი წასვლის შემდეგ კა-  
ტომ.

ყველა ხვდებოდა, რომ კატო თავისი  
მდგომარეობით იყო გაცეცხლებული და  
დაჯავრიანებული, ეცოდებოდათ, თან  
ხვალ უკვე ეწერებოდა და ამისათვის  
უთმენდნენ ყოველივეს.

ფანჯარაში ცა უკვე მტრედისფრად  
იცრიცებოდა, როდესაც ირინემ თვალი  
გახილა. ეტყობა ღრმად სძინებია, იმ-  
იტომ რომ ეს არ ჰგავდა ძილ-ღვიძილის  
უსიამო ბურანიდან გამოსვლას. ეს იყო  
ჯანმრთელი ძილისაგან უეცარი გამოფ-  
ხიზლება, როგორც სჩვეოდა ირინეს კა-  
რგადმყოფობაში, როგორც იცოდა, რო-  
ცა ჯანმრთელი იყო. ეტირებოდა ამ სი-  
ტყვებზე ირინეს. ეს მას შემდეგ, რაც იმ  
პატარა გოგოს, ნაღიამდე რომ ამ სა-  
წოლზე იწვა, ერთხელ გამოთენის ხანს

გაღონა გორგაძე  
დღეს, ხვალ, ზებ



ძილში გულამომჯდარი ტირილი აუვარდა. გოგონას სარკომა ჰქონდა მეხვის ძვალში და ირინემ იფიქრა, დაეწყო. ბავშვის დედასაც იმწამსვე გაეღვიძა და გამაყუჩებელი ნემსის გასაკეთებლად მედლის მოყვანა დააპირა, მაგრამ გოგონას ტკივილები არ აწუხებდა, სიხმრის გამო ტიროდა — ჯანმრთელად ვიყავი და მე და ნუნუკა დავერობანას ვთამაშობდით. ნუნუკამ დამიჭირა და ხელი დამარტყაო, მერე მე ჩემი ავადმყოფობა გამახსენდა და ნუნუკას ვუთხარი, არა გრცხვენია, რატომ დამარტყი, მე ხომ ავად ვარ-მეთქი, — სლუკუხით უყვებოდა დედამისს. ბიისფრად დაღუული, ცარიელა თვალებად ქცეული გოგონა ხვდებოდა, რომ მის თავს რაღაც კარგი არ იყო. ფარული ეჭვით 'შესცქეროდა ყველას, ხარბი გაფაციცებით იჭერდა ყოველ სიტყვას და მოძრაობას, თითქოს მათში ბედის განაჩენი იმალებოდა. ძილშიაც თავისი ავადმყოფობა აწვა დარდად პატარა გულზე. ირინეს ბავშვი შეეცოდა, თავისი თავიც შეეცოდა და, რომ ამოუშვა ტირილი, მთელი დღე არ გაჩერებულა. ამის შემდეგ, როგორც კი გაივლებდა ფიქრში სიტყვებს: როცა კარგად ვიყავი, როცა ჯანმრთელი ვიყავი, ჩემი ავადმყოფობა გამახსენდაო, ცრემლებად იღვრებოდა.

კარგებში ცოცხიანი სანიტარი აიღახდა. პალატას თვალი მოავლო, და, ერთიან ღრმა ძილს რომ წააწყდა, ვეღარ გაბედა მისი დაფრთხობა და გაბრუნდა, მაგრამ ისე უნდოდა საქმის ჩქარა მოლევა და შინ წასვლა, რომ აქანდაზი და ცოცხი ავადმყოფების გაღვიძების აშკარა განზრახვით იქვე, კართან მიავლო მოურიდებელი ხმაურით. პალატა კი ძილს განაგრძობდა. გულადმა გამოტილი მთასავით მკერდმაღალი კატო ხორცსავე გადმობრუნებული ტუჩებიდან რაღაც ზუზუნოვან-ფრუტუნის მსგავსს ისროდა. ლამზირას მკვდარივით ეძინა. ირინეს მარჯვნივ, ფანჯარასთან მიდგმულ საწოლზე შემცივნებულებით მოკუნტულიყო ნაირა.

ნადიას ტუჩები რაღაც სოფდურად

მოემუწა და ძილშიაც თავისი ჩემს ლებრივი მკმუნვარე, მწუხარე გამომეტყველება შეენარჩუნებინა. აკი მონათლა კიდევ ამ „ჭინკა“ ცეცომ „მწუხარე სახის მანდილოსნად“. ეს ჭინკა ცეცო კი ირინეს მარცხნივ წევს, კარისკენ. შავი თმა ორი თხის კუდად დაუწნავს, ქოჩრიდან ტეხილ ხაზად მოიკლანება თეთრი ზოლი და საღამური პერანგის საყელოში იმალება. საბანს ზემოდან წელზე ჩამოდებული შავგვრემანი წვრილი მკლავი ოდნავ აუღ-ჩაუღის სუნთქვისას. სახე კარისაკენ აქვს მიბრუნებული, მაგრამ ირინეს ცხადად შეუძლია წარმოიდგინოს იგი. „ჩოლკა“ თვალებამდე ჩამოშლია, აბურცული ბავშვური ბაგე გახსნია და, ალბათ, ბალოშიც დაუნერწყვია. თანაბრად, მშვიდად სუნთქავს და დროდადრო წაუქსუტუნებს კიდევაც ჯანმრთელი, არხენი და ნებიერი.

ირინეს ცრემლი მოერიო, ცეცოს მხერა მოაცილა და ფანჯრისაკენ იბრუნა პირი, ცრემლები ღვარად ჩამოდიოდა. ლოყებზე შემოხვეულ ბანდს უსვენებდა. ირინემ ბალიშისქვემოდაც ცხვირსახოცები გამოიღო და ყებთახ შეიფინა. არ ეგონა, თუ ასე დაწყებოდა გული სიცოცხლეზე. აკი სიკვდილს ნატრობდა. უჭირდა ცხოვრება, რომელიც ბესიკის დაღუპვის შემდეგ ბუნდოვან, აზრგამოუტანელ კინოკადრების მსგავს სიზმარულ დინებად იქცა, მღვრიე. შედეგებულ სიცარიელედ, სადაც სუნთქვა უმძიმდა, სადაც მზე სქელი, ქუფრი ნისლეზიდან აჭიატებდა და ადამიანები უსახო, უსიცოცხლო და უხმო ლანდებად ბორილებდნენ მისგან ყოველთვის მოშორებით. გახარამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ? თურმე ოთხი წელიწადი საქმაო დრო ყოფილა იმისათვის, რომ ირინე ისევ სიცოცხლეს დაბრუნებოდა, შეჩვეოდა ცხოვრებას, სადაც ბესიკი აღარ იყო. მაშ რას ნიშნავს ეს ცრემლები? ვითომ მხოლოდ ავადმყოფობისა და სიკვდილის შიშია? ირინე ბავშვით

ლუკუნდა, და შიშით გადახედა. მასა და ცეცოს შორის გასაშლელ საწოლზე მიძინარე დედას, ქალს ღრმა ძილით ეძინა. აქამდე ირინეს ოდნავი განძრევაც არ გამოეპარებოდა ძილში, ახლა კი სლუკუნიც ვერ გაიგონა, გადაღლილია. ოპერაციის შემდეგ ირინეს დედამა თითქოს გამხნევდა, თითქოს გახალისდა კიდევ, მამას შუქიც კი ჩაუდგა შეერთებულ შავ წარბებს ქვეშ ღრმად ჩამჯდარ, მოქუფრულ თვალებში. ირინესთან მას არც ოპერაციამდე არც შემდეგ სიტყვა არ დასცდენია ავადმყოფობის შესახებ. დედა კი სულ იმის ცდაში იყო, რომ ქალიშვილისათვის ეჭვი გაეფანტა. დღე ერთი იყო და სამ-ოთხჯერ მაინც დაუწყებდა მტკიცებას, რომ ოპერაცია ბრწყინვალედ ჩატარდა, რომ პროფესორსა და ყველას, ვინც ოპერაციას ესწრებოდა ეჭვიც არ ეპარებათ, რომ ის სიმსივნე კეთილთვისებიანია, ირინე სახის გამომეტყველებაზე და გუნება-განწყობაზე ატყობდა, რომ დედა ტყუოდა. მშობლებისათვის საშინელი რამ — ოპერაცია უკვე მიტოვებული, გავლილი იყო. პროფესორმა თქვა, სიმსივნე კეთილთვისებიანი არისო. ყოველგვარ ხავსს ეჭიდებოდნენ, თავად ირინე კი არასოდეს ეჭიდებოდა ხავსს? კარებში ისევ გამოჩნდა სანიტარი. ამჯერად მტკიცედ შემობიჯა პალატაში და უბოდიშოდ დაიწყო იქაურობის წესრიგში მოყვანა — აბა, რაღა დროს ძილი იყო, რვა სრულდებოდა უკვე.

დილის თერთმეტ საათზე დაღვრემილსა და გულდაჯავრიანებულ კატოს ურიკა მოუგორეს. კატოს და სანიტარ მამაკაცების მოსაყვანად წავიდა. ელო ჩანთაში კატოს ტანსაცმელსა და ჭურჭელს აწყობდა. თვალებზე ცრემლმომდგარმა კატომ გაბზარული ხმით მოუბოდიშა პალატას, იქნებ ვინმეს რამე გაწყენინეთ, მაგარმ ეპ, ცხოვრებაში იმდენი რამ გადამხდენია, რომ ეს ხასიათიც რომ შემრჩა, გასაკვირიაო. ლამის აატირა ხალხი.

ერთ საათს არ გამცდარა კატოს წილი. გაიტანეს თუ არა მისი ლოგინი და ახალი შემოიტანეს, პალატაში შემოვიდა ფლანელის ჭრელხალათიანი მომცრო ტანის მშვიდი, თითქმის სათნო დედაკაცი, ორი დღე-ღამე ტალანში წოლილა. პელო ერქვა — მეჯვრისხეველი ქალი იყო. იმავე დღიდან კოჭლანთ პელო და შროშელი ნადია ისე დაახლოვდნენ, რომ თანშეზრდილები გეგონებოდათ. ორთავე ფეხზე მოსიარულე იყო და ერთად დადიოდნენ... ხან ერთის, ხან მეორის საწოლზე ჩამომსხდარნი ხმდაბლა უამბობდნენ ერთმანეთს თავსგადამხდარს, ნანახსა თუ გავგონილს. ნადია ტყეპნით, გაზვიადებულად, ჩაკვირვებით, პელო კი — სხვათა შორის, მიუდგომლობით. კიდევ კარგი, ცეცო, ნაირა ან ლამჯირა თვალებით, სიტყვით ან ქესტით, ერთმანეთს ანიშნებდნენ და მათ საუბარში არ ერეოდნენ, თორემ ლამის გულისწასვლამდ მისული ირინე, ადარ დაგიდედათ მათ ასაკს და ხანდაზმულ ქალებს ლაპარაკს აუკრძალავდა.

ოპერაციის მერვე დღეს მერაბ ჩარკვიანმა ირინეს ნაკერები მოხსნა, კრილობა შესანიშნავად იყო შეხორცებული. მერაბის ხელები ისე სათუთად, ისეთი სინაზით ექცეოდნენ ქალის გადახატორილ თავს, მის ხმაში იმდენი თანაგრძნობა და სითბო იყო, რომ ირინეს გული აუჩუყდა. ძლივს შეიკავა ცრემლი.

ცეცო გარინდებული იწვა ტანის გასწვრივ ხელებჩაშვებული და თვალს არ აცილებდა მერაბს — თითქოს ნთქავდა მის ყოველ მოძრაობას, მისი სახის გამომეტყველებას, მის ხმას...

ცეცოს გაგიჟებლად უყვარდა მერაბ ჩარკვიანი. ის დღეში რამდენჯერმე აივლ-ჩაივილიდა მათი პალატის ღია კართან, ხოლო როცა პალატაში შემოვიდოდა, თითქოს რაღაც ბანგი შემოუშვებოდა, ცეცოს გონებას რაღაც მათ-

დალონა გორბაჰი  
დღეს, ხვალ, ზამ

რობელა ნისლად ებურებოდა. ცეცო ცდილობდა იმდენი აზრი მოეკრიბა, რომ რაიმე უჩვეულო არ დაცდენოდა ან არ ჩაედინა. მაშინ ისვენებდა, როცა მერაბი წავიდოდა. მთელი ღღის დაძახულობისაგან ძალაგამოცლილი მერაბის წასვლის შემდეგ შევებით მიესვენებოდა ბალიშებზე და ძალას იკრებდა ციებ-ციხელებით აღსავსე შემდეგი ღღისათვის.

ასე უცებ, ასე შემუმჩნევლად როგორ შეუყვარდა კაცი, რომელსაც შეიძლება ითქვას, არც იცნობდა! რომლის შესახებაც მხოლოდ ის იცოდა, რომ ექიმი იყო. ექიბზე კი ორი-სამი ნაცნობი მედიკოსის მაგალითით, არ ჰქონდა სახარბიელო წარმოდგენა. ცეცოს ისინი ზერულე, ტელევიზორითა და მოგზაურობით ცოტად თუ ბევრად გათვითცნობიერებულ „ფორსების“ მოყვარულ მცირე მასშტაბის სნობებად მიაჩნდა. წინათ, სკოლის ასაკში ცეცოს მოსწონდა ასეთი ხალხი. მეცხრე კლასში სამედიცინო ინსტიტუტის უფროსკურსელთა იყო გატაცებული. იმ ბიჭის ბინა სადღაც დაუნგრევიათ, და ღრობით ნათესავის ცარიელ ბინაში ცხოვრობდა დედ-მამით. ცეცოს მეზობლად ახლად დამთავრებულ რეასარტულიან კოოპერატიულ სახლში. შავი ზღვის მარილიანი ტალღებით კუნთგამაგრებულებმა და აგვისტოს მზემოკიდებულებმა მოპირდაპირე ღოჯიებში აღმოაჩინეს ერთმანეთი. ბიჭს, ეტყობა, იქ ეძინა. დილის სხვადასხვა საათებში უეცრად წამოიმართებოდა ღოჯის მოაჯირს იქიდან. ხშირად გაიზმორებოდა კიდევ: ანტიკურ სკულპტურასავით ჩამოსხმულ მხარ-მკლავს გაშლიდა და ათიოდ წუთს ვარჯიშობდა. აივნის ნაცნობობა ქუჩაში საღმით განამტკიცა. ერთხელ ნასვამი შეხვდა ამხანაგთან ერთად, იქვე სახლთან და გამოელაპარაკა, მეორეჯერ ტროლეიბუსის გაჩერებაზე მღვთს მანქანა გაუჩერა, საცა საუკესთან მკდომი ჰაბუკის გარდა, ახალგაზრდა ქალიც იყო

და სკოლაში მიიყვანა. ამაზე ოცნების კომეები ააგო; მაგრამ მათი ნაცნობობა ამაზე შორს არ წასულა. ბიჭი ერთობ დაკავებული იყო. დილიდან ღამემდე მისი ფანჯრების წინ იყო ერთი „ზაზა“ ძახილი და გოგო ბიჭებით გატენილი მანქანების მოსვლა-წასვლა. საერთოდ, ზაზა ან არ იყო შინ, ან თუ იყო, მისი ფანჯრებიდან ერთთავად მოღური მუსიკის ჰანგები იღვრებოდა. და მაინც ფარდას ამოფარებულ ცეცოს თვალწინ ხან ცისფერ შუქზე, ხან ნარინჯისფერზე ან სულაც წითელზე, ხანაც კი სანთლების მოპარპალა ალზე, ქალ-ვაჟთა სილუეტები ირეოდა წელზემოთ. ჰქონდათ ერთი „ეარიანი-ტობა“ და „შარაფობა“ და ცეცოც იქ მათთან ყოფნაზე ოცნებობდა.

შემდეგ სექტემბერს ისევ ზღვიდან დაბრუნებულმა ცეცომ, რამდენი არ უღარაჯა მოპირდაპირე ფანჯრებსა და ღოჯიას, მაგრამ ვერც იმ ბიჭს, და ვერც მის დედ-მამას თვალი ვეღარ მოჰკრა. მერე გაიგო, რომ მათი ბინა აშენებულა და გადასულან.

იმ დღიდან ცეცოსათვის თითქოს ჩაკვდა სიცოცხლე. რამდენიმე თვე იმ სახლისაკენ გახედვაც კი არ უნდოდა. საცა კი შეიძლებოდა, ყველას იმ ბიჭის ამბავს ეკითხებოდა და ბოლოს იმდენი ქეჩა, რომ ქათმისა და დანის არ იყოს, გაიგო, რომ ზაზა ერთი აცვენილი ბიჭი იყო და ამ ზაფხულს ქალაქში სილამაზითა და უსაქციელობით ცნობილი ნაქმარევი ქალი შეერთო ცოლად. ცეცო თთქმის ერთ წლამდე მისტროდა თავის გატაცებას.

უნივერსიტეტში ერთ „ტვინიკოს“ ასპირანტზე იყო შეყვარებული. ეს იყო სკოლაში ფრიადოსნის, უმაღლეს სასწავლებელში სახელობის სტიპენდიანტის და მომავალი აკადემიკოსის ტიპური ნიჟუში. მაშინ ცეცოს მამაკაცის მთავარ ღირსებად ინტელექტი მიაჩნდა. მერე „ტვინიკოსი“ ლენინგრადში წავიდა ერთი წლით და იქ რვა, ცხრა, თუ ათი წლით უფროსი





ლოცენტი ქალი შეირთო. ეს სიყვარულიც კარგა ხანს იგლოვია ცეცხლში. ამ ბოლო დროს კი ერთი დამწყები კრიტიკოსი მოსწონდა კიდევ და არც მოსწონდა.

ახლა კი ეს მერაბ ჩარკვიანი. ასე ზეგავივით, ასე უეცრად. სულ რაღაც ერთ კვირაში. მაგრამ იქნებ იმავე დღეს? ცეცხლს ფეხს რომ უხვევდა მიმღებში?

რვა მარტის დღესასწაული პარასკევს დღეს დაემთხვა და ერთიმეორეს წაეწყო სამი უქმი დღე.

ავადმყოფებს არ უყვართ უქმი დღეები, როცა საავადმყოფო მხოლოდ მორიგე ექიმების ანაბარა რჩება.

ცეცხლს ეს სამი უქმი დღე იმიტომ ადარდებდა, რომ მერაბ ჩარკვიანს ვერ ნახავდა, თუ მას მორიგეობა არ უწევდა.

რვა მარტს დილიდანვე რომ დაიწყო მნახველთა დინება, ღამის თორმეტპირველ საათამდე არ შეწყვეტილა.

ირინემ არახინის მსგავს სახვევს ზემოდან შაბიამისფერი, თითქმის თავისი თვალების ფერი ხილბანდი მოიხვია და ნიკაბთან გაინასკვა. მწვანე შარვალი და თეთრი როლისგეტონი ჩაიცვა. ფეხები უკანალებდა. ისეთი ლამაზი და ისეთი კოხტა იყო, რომ ცეცხლს თითქმის გაოცებით უყურებდა. მანაც ჩაიცვა შარვალი და მამაკაცისებური, სპორტული პერანგი და რაკი სიარული აკრძალული ჰქონდა, გაწყობილ საწოლზე წამოწვა.

მოვიდნენ ნათესავები, მეგობრები, თანამშრომლები: ირინესთან კონსერვატორიიდან, ცეცხლსთან — გამომცემლობიდან, ლაშვირისთან — საბრეშუმო კომბინატიდან და პალატა თანდათან აივსო ყოჩივარდებით, იებითა და მიხუტებით.

პელოს ბიძაშვილი ეწვია ქარელიდან, ნადიას კი — ნათლიიდან. მათ ერთი ყვავილიც არ მოუტანიათ, ეტყობოდა,

საჭიროდ არ მიანდით საჩვენებელი რიტუალის დაცვა. პელო და ნადია დღეს-ხვალ არც ელოდნენ თავისიანებს. ნადიას ვაჟი შროშაში ბავშვებს ნათლავდა, პელოს ქალიშვილს კი კარალეთში ვაჟის ქორწილი ჰქონდა. გუშინდელს აქეთ ნადია გულდაჯერებულად იყო. პელომაც ვერ აიყოლია საუბარში. ცუდად ექაშნიკა შვილიშვილების ასე ნათესავთაგანა. ეს ხომ არ ნიშნავდა, რომ ნადიას სიცოცხლე ეპყვეშ იყო. ასეთი ნათესავთაგან ნათლობა მაშინ იცინა, როცა ოჯახში გადადებული ავადმყოფია ან მიცვალებული. ეს დარდი აწვა ახლა ნადიას გულზე. არც პელოს ექაშნიკა ეს ამბავი და ჩაფქრებული მიდგა ფანჯარასთან.

თორმეტს გადაცილებული იყო, როცა პალატიდან უკანასკნელი მნახველი წავიდა.

სინათლე პელომ ჩააქრო და მალე პალატაში ხერხინვა გაისმა. ირინეს არ ეძინებოდა. ცდილობდა, ყველა ფიქრს თავიდან გამოებერტყა.

ცეცხლს საწოლზე წამოჯდა, ზურგს უკან ბალიშები შემოიწყო. „როლის“ დასველება-დაწყობას გადაყვა, მერე კიკინები დაიწინა, მუხლებზე ყურნალი დაიღო და ფურცვლა დაუწყო. თან თვალებს ერთთავად კარისკენ აელმებდა. ყოველი თეთრხალათიანი მამაკაცის გამოჩენაზე გულს ჩქროლვა გაჰქონდა.

პალატაში მოულოდნელად შემოვიდა მერაბ ჩარკვიანი, ეტყობოდა, პირდაპირ გზიდან, რადგან პალატა ეცვა.

— Вы очень красивы сегодня — მიავება ირინეს დედამ მერაბს შემოსვლისთანავე.

მერაბმა თითქმის დაირცხვინა. მაგრამ მიინც უპასუხა:

— Не красивый, но мужественный — მერე სათითაოდ გამოკითხა ყველას, ვინ როგორ გაატარა გასული სამი დღე:

**ნადონა გორგაძე**  
დღეს, ხვალ, ზამ

თითონ თურმე ის სამი დღე ბათუმში წასულიყო მივლინებაში და ზღვაშიც ებანავა.

— ახლა კინჩხმა დამიწყო რაცხა ტყვილი, — უთხრა მერაბს ლამზირამ.

— ჩვენი ნევროპათოლოგი ჩამოვა და გაგსინჯავს.

— არ მიყვარს რაცხა მაი ქალი, ფარშივია რაცხა.

— რაში შეატყე? — სერიოზულად ჰკითხა მერაბმა და შეეცადა, ხმისათვის სიმკაცრე მიეცა.

— ყველას რავა ენაცვლება, ყველა „დოროგაია“ და „მილაია“ რავაა და კიდე რას ამბობს?... „ლამზოჩკაო“.

— ლაპოჩკა, — ღიმილით შეუსწორა ირინემ.

— რად მინდა მისი გასინჯვა, შენ ნაკლებად გამსინჯავ, მერაბ ექიმო?

— აი თურმე რა უნდა? — ეშმაკურად გაიღიმა ირინემ.

ცეცოს სიცილი წასკდა, სახე ყურნალში ჩარგო, მხრები უთახთახებდა, რეზინაწაჭკერილი ბოლოებპარეხილი კიკინები სასაცილოდ უცანცარებდა ყურებს უკან. მერაბსაც ჩაეცინა, მერე თავს ცოტა ძალა დაატანა და სერიოზულად თქვა:

— კი ბატონო, მეც გაგსინჯავ. — და მერე დაუმატა, — საერთოდ, ყველას გაგსინჯავთ, მეც, პროფესორიც და შენი სიმპათია ნევროპათოლოგიც „ლამზოჩკას“ რომ გეძახის.

საავადმყოფოს გარეთ ის უკვე აღარ იყო ცეცოს ექიმი. ის ახალგაზრდა კაცი იყო, ვისაც უნდოდა სხვისთვის თავი მრეწონებინა.

ფირფიტოდან მელოდირი სიმღერა იღვრებოდა. იყო ამ სიმღერაში რაღაც ძველი აღმოსავლეთისა და სამხრეთის, თანამედროვე დასავლეთისა და ჩრდილოეთის. იყო შერწყმა უძველესისა და უახლესისა. უდაბნოს მოლივილივე ხვატი და უსაზღვრობა, თანამედრო-

ვე ეთაამბჯენების სიცივე და გულგრილობა. მითროლვარე მუდარა და ღაღადისი, თავაწყვეტილი, შიშველი ვნება. ცეცოს რატომღაც მომღერალი ირინედ წარმოუდგა და ეუცხოვებოდა კიდევ ალბათ იმ სიმღერის სხვა შემსრულებლის გამოსახულება უეცრად სადმე რომ აღბეჭდილიყო. ფანჯრის რაფას მიყრდნობილი ირინე თითქოს ჩაქსოვილიყო ელექტრონის შუქით გაციატებულ ხის მწვანე ყუთში ჩარგულ პალმის ტოტებსა და ფოთლებში.

რალც გაურკვეველი, როგორც ცეცოს ეჩვენებოდა, იდუმალი ღიმილი დასთამაშებდა და ლურჯი, ფიქრჩამდგარი თვალები ერთი სტუმრიდან მეორეზე გადაჰქონდა. ამოუწურავი და აუხსნელი ეჩვენებოდა ეს ქალი ცეცოს. — ნეფერტიტი და ელიზაბეტ ტილორი ერთად, ცოტათი მორცხვი, ცოტათი კუშტი, ცოტათი ჯიუტი წარბებ-გადაშხვართული ქართველი მამა და ქალურად თბილი, მიმზიდველი, მსუბუქი და უზრუნველი რუსი დედა.

შავნაბადას იქით ვეებერთელა მთვარე ამოდიოდა. ერთბაშად საღვალც გაქრა წარმავლობის შიში, აჩრდილივით რომ თან ახლდა მუდამ.

ამ დღეს ასე ეჩვენებოდა ირინეს. უსაზღვრო ად უსასრულო იყო ყველაფერი და მარადიულიც. თავად ირინეც უსასრულობა იყო ახალი, მოულოდნელი ნაპირების უსასრულობა. არსებობდა ირინე და არაფერი არ წყდებოდა, არ მთავრდებოდა. ყველაფერი გრძელდებოდა — ყველაფერი მერაბი, ლევაინი... უსასრულო და მარადიული დინება იყო ყველაფერი.

დამთავრდა ფირფიტა და სხვა მელოდია დაიწყო, ნელი, საცეკვაო. საკრავების ფონზე ერთი სოლო გამოირჩეოდა მკვეთრად. ოღონდ რა საკრავი იყო, ცეცო ვერ ხვდებოდა — მერაბი ირინესთან მივიდა და საცეკვაოდ გა-

ყოლა სთხოვა. ვაჟკაცური მოხდენილობით მოპოვიდა ხელები ირინეს წელზე. ცეცოს უცებ ყურებმა წივილი დაუწყაო და თვალშიც ყველაფერი აერია. სანამ გონს მოეგებოდა, ნოდარი მივიდა მასთან და საცეკვაოდ გაიწვია. ცეცო სომანამბულასავით მიყვებ-მოყვებოდა, მაგრამ არ გამოპარვია, რომ შერაბი ხშირ-ხშირად ესროდა მათ ერთბაშად მოქურღმეზულ შუერას. ეს შეიძლება არც თუ ისეთი საბაბი იყო, მაგრამ ცეცო რატომღაც ვახალისდა, თვალები გაუბრწყინდა და ტიკტიკი დაუწყაო ნოდარს, რაც ენაზე მოადგებოდა, იძახებ.

ფირფიტა დამთავრდა და შერაბმა ირინე დივანზე დასვა, თავად კი ისეთი გამომეტყველებით, თითქოს რაღაც საგანგებო, დიდმნიშვნელოვან საქმეზე მიდისო, მიმღებს მიუახლოვდა და ისევ პირველი მელოდია გაიმეორა. მერე ცეცოსთან მივიდა და უსიტყვოდ მჩხვია წელზე ხელი. ცეცო თითქოს გაშეშდა ერთბაშად, ფეხებს ძლიეს ადგამდა, თვალები ვერა და ვერ ასწია, ძალიან უნდოდა შერაბისათვის შეეხედა, მაგრამ ვერ შეძლო.

— რაზე ეტიტინებოდი იმ კლიენტს?  
— რაც ენაზე მომადგებოდა, — თქვა ცეცომ და იმწამსვე გაიფიტრა, მგონი არ უნდა მეთქვა ესო, მაგრამ რა ჯობდა, ეს კი აღარ იცოდა.

— შეგიძლია მეც მეთიტინო, რაც ენაზე მოგადგება. ცეცო ორიოდ წუთს დუმდა, მერე თითქოს რაღაც გადაწყვეტილება მიიღო, შერაბს თვალეში შეხედა და ერთბაშად მოწყდა ადგილიდან. — იცი რა? — ეს სადამო რაღაც სიზმარეულივითაა, რაღაც არარეალური მეჩვენება, იმ ქალის სიმღერა ქონებას მართმევს, სიცილიც მინდა და ტირილიც, არ ვიცი, უნდა ვიცინოდე, თუ ვტიროდე. ირინეს სტუმრები კარგები მეჩვენებიან და სადღაც ძალიან ცუდებიც. ირინეც ისეთი მომხიბლავიც მეჩვენება და რაღაც ცუდიც. შერაბი ყურადღები უსმენდა, თითქოს ოდნავ დაბნეულიც, ცეცოს ერთბაშად აფეთ-

ქებითა და გულახდილობით გაოცებულნი.

— მე. მე როგორი გეჩვენები? — რატომღაც ფრთხილად ჰკითხა შერაბმა.

— შე-ენ? — თითქოს ცეცო საგონებელში ჩაივარდა.

— ჰო, მითხარი, მითხარი, ნუ გეშინია, ხუმრობის კილო მისცა შერაბმა თავის სიტყვებს. ცეცო დაიბნა, არ იცოდა, რისი თქმა ჯობდა.

უეცრად თავში გაუელვა, რომ შამაკაცებს არ უყვართ, როცა მათ ნაკლოვანებებს ამჩნევ, მით უმეტეს, აღნიშნავ. მათში ყველაფერს უნდა ეთაყვანებოდე, და აიღიალებდე. — ამით უფრო მოინადირებ მათ გულს.

მაგრამ ცეცო თითქოს გაეჯიბრაო ამ აზრს.

— შენ სულ მინუს-პლუსებით ხარ დასერილ-დაღარული, მაგრამ... — სულმოუთქმელად, რაღაც გამომწვევად მახალა... და შეჩერდა.

შერაბმა მხიარულად გაიცინა. ცეცო დაკვირვებით შეაჩერდა სახეში, უკან თავგადაწეული.

— მერე? — განაგრძე — თქვა შერაბმა.

— მერე არაფერი. ყველაფერი გითხარი.

— აბა ის მაგრამ?

— ის მაგრამ ისე, უნებურად, ანგარიშმიუცემლად ვთქვი.

— აი, სწორედ ეგ უნებური ანგარიშმიუცემელია, რაც არის...

— ყველაფერს გეფიცები, ანაფერი მიფიტრია.

— არ გრცხვენია, ცეცო? დაფრთხი? თუ ვაჟკაცობაა, გეყოს ბოლომდე.

ცეცო ამ სიტყვებმა რაღაც საბრძოლო გუნებაზე დააყენა ერთბაშად და უტეხად შეხედა შერაბს თვალეში.

— რომ მოკვდე, არ გეტყვი.

აბა, ეთქვა, სულმთლად მინუსებით რომ ყოფილიყო დასერილი-დაღარული, მაინც ჰქუას კარგავდა მისთვის?

მადონა გორგაძე  
დღეს, ხვალ, ზამ

მერაბმა ისევ გაიცინა და ცეცოს სახეში ჩააცქერდა დაჟინებით, თვალები წამოენთო. მერე ხელი ნაზად და ფრთხილად ჩამოუსვა შუბლზე, ცხვირსა და ტუჩ-ნიკაპზე და მტკიცედ, ჯიუტად უთხრა:

— რომ მოვკვდე, გათქმევიანებ.

ცეცოს აღარ უნდოდა აქ ყოფნა და თვალთვალი, რას ეტყოდნენ და როგორ გადახედავდნენ ერთმანეთს მერაბი და ირინე. წასვლა გადაწყვიტა. შეიძლება მერაბი არც გაყოლოდა და აქ დარჩენილიყო. ამ ფიქრმა სუსხივით დაუარა სულსა და სხეულში, მაგრამ თითქოს წერას ჰყავდა ატანილი. ირინესთან მივიდა და ლოყაზე აკოცა.

— მე წაველ, ჩვენებს შეეშინდებათ. ირინე და მერაბი დერეფანში გამოყვნენ. მერაბმა პალტო ჩამოუღო და ჩააცვა, მერე თავისი პლაშჩი ჩამოიღო და ჩაიცვა.

— ნუ გამაცილებ, — უთხრა ცეცომ, მარტოს რა მიშავს, ჯერ სულ ადრეა.

— ჩემ გამრთელებულ ფეხზე რომ რაიმე მოგივიდეს? ისევ თავიდან დავიწყეთ? ვერ ვიტან განმეორებებს.

ამ სიტყვებს რატომღაც მნიშველობა მისცა ცეცომ. რატომ? ამას ახლა ვერ მიმხვდარიყო. მხოლოდ რატომღაც დაიძაბა, ოდნავ შიშვეპარული.

გამოვიდნენ თუ არა ირინეს სადარბაზოდან, წინ შავმა კატამ გადაურბინათ.

— ვაი, შავი კატა! — შეჩერდა ცეცო. დაინახე, როგორი ყვირთელი თვალები ჰქონდა? ფოსფორივით ანათებდნენ.

— ნამდვილად ჯადოქარი კატა იყო, — თქვა მერაბმა.

— ცოტა დავიცადოთ, ვინმე გაივლის.

ორიოდ წუთს იდგნენ, მაგრამ ქუჩაში კაცის ჰაკანება არ ჩანდა.

— რა მიყრუებული ქუჩაა. ჩანს, აქაური მცხოვრებლები ათი საათისთვის უკვე შინ არიან.

— კატა მგონი იმ სახლიდან გამოვიდა, არა?

— ალბად, არ ვიცი.

— ჩვენ აი, იმ სადარბაზოთი გავიდეთ იქითა ქუჩაში.

— ჰოო... სწორია.

ცეცო და მერაბი პატარა ჩაბნელებულ სკვერში შევიდნენ, ცოტა ხახს უმოქმედო შადრევანის ჯებირზე ჩამოსხდნენ. მერე მერაბმა ძელსკამი დაინახა ძეწნის ძირას და იქ გადასხდნენ. მერაბმა სიგარეტს მოუკიდა. ფეხი ფეხზე შემოიღო და იდაყვები ძელსკამის ზურგზე დაანდო.

— ცეცილია ბოკოიძე, — დაიწყო მან და შეჩერდა, — მერე უცბად გაიცინა: — არასოდეს არ დამავიწყდება, როგორ უთხარი შენი სახელი და გვარი ლევან თავდგირიძეს.

— როგორ? — გაიკვირვა ცეცომ.

— ვერ ავიხსნი. საამისოდ სიტყვებს ვერ ვიპოვი. ას ქალს რომ რქმეოდა ეს სახელი და გვარი, შეიძლება ერთხაირად ეთქვა, მაგრამ არც ერთი არ იტყოდა შენსავით.

— შენ მოგეწონა, თუ არა?

მერაბმა ხმამაღლა გაიცინა და ცეცოს მოხედა, სიგარეტი მოქაჩა.

— აი, იმ წუთში აღმოგაჩინე მე შენ.

ცეცოს გული ყელში მოებჯინა, სუხთქვა შეეკრა. ერთ ხანს ხმა ვერ ამოიღო, მერე კი წყნარად თქვა.

— აღმოჩენებს ყოველთვის სახელებს არქმევენ, შენ რა დაარქვი შეხს აღმოჩენას?

— მერაბს გაეცინა — სიგარეტი ისე მოქაჩა, რომ სულ ნაპერწკლები დააყრევინა. მერე ცეცოს გადახედა და არხეინად თქვა.

— ამას მერე გეტყვი. ჯერ კი შეხ უნდა მითხრა, იმ მაგრაჰის შემდეგ რა უნდა გეთქვა.

ცეცო დუმდა.

— ცეცო! გისმენ.

ცეცო თითქოს რაღაც აზრმა შეიპყრო. ჩაუცინა მერაბს, მის პოზას გამოაჯერა: ფეხი ფეხზე გადაიღო და მკლავები ძელსკამზე ჩამოაწყო.

— მერაბმა ცერად გამოხედა და დიმილი ტუჩის კუთხეებში ჩაიმალა.

— ცეცო, სერიოზულად არ აპირებ თქმას?

— მე სიტყვის პატრონი ვარ, — თქვა ცეცომ და ფეხის წვერი უდარდელად გააქან-გამოაქანა.

— რაკი ეგრე მოგწონს, — ნახევრად

სერიოზულად, ნახევრად ხუმრობით თქვა მერაბმა, სიგარეტი მოისროლა და მთელი ტანით ცეცოსკენ შეტრიალდა: — რაკი ეგეთი ხარ, არ დავაძალებ, სიტყვას გადახვიდე.

— მისმა თვალებმა იქვე, ცეცოს თვალებთან გაიღევა. მისი სახის და სუნთქვის მხურვალეობამ გონი დაუბნინა, — თვითონ გავიგებ... — და მერაბმა მკლავები ფრთხილად მავრამ ღონივრად შემოაქლო ცეცოს წელსა და მხრებზე.



# უკუქცევა

აუტანელმა ტკივილმა შეძრა მისი არსება. უცებ იფეთქა, უბიძგა და სირბილით გაატარა დარბაზი; სახეები ერთ მღვრიე ლაქად აითქვიფა, ვიღაცის შეძახილიც შეესმა... მას კი ტკივილი დევნიდა, მიერეკებოდა, თითქოს გაავებული ნაგაზი უფლეთდა წვივებს.

გაირბინა დარბაზი, გავიდა ჰოლში, კიბის თავზე დადგმულ სავარძელზე დაეშვა, და ტკივილმა უცებ მიატოვა იგი; ძველთა-ძველი, ოდესღაც განცდილი სიმშვიდე დასადგურდა მის აფორიაქებულ მკერდში, გარინდება და დუმილი.

სცადა წამოდგომა, ვერ დაიმორჩილა სხეული. მზერა მოატარა, დაინახა წინ, თითქოს ბატისტის თეჯირს მიღმა, ბუფეტის დახლს დაყრდნობილი ლამაზი ქალი; გვერდით მრეცხავი დედაკაცი ედგა, თეფშების პირამიდით ხელში; კიდევ ვიღაცა შალალი, გამხდარი, შაოსანი... და ყველა დაბნეული, სათნოებით აღსავსე თვალებით შეცქეროდა; სათნოება და აღერსი, გაცემა და შემფო-

თება მოჩქეფდა ფართოდ გახეილ თვალთაგან; იგი კი იწრიტებოდა ტკივილის ნაშთისგან, როგორც სათავეში გადაკეტილი წყარო — თანდათან, უსურვილოდ.

იატაკზე დაწოლა მოუნდა, წართმეული ფეხების გაჭიმვა.

— მომე ნიტროგლიცერინი! — ითხოვა და გაოცდა, ხმა ქონდა მშვიდი, გაუბზარავი.

მერე ვიღაც წამოადგა თავზე, მძიმედ სუნთქავდა, ირწეოდა:

— გესმის, ადექი! — უთხრა და უცებ გაუფართოვდა ამღვრეული თვალები, ზედ ხელი აიფარა. მან ნათლად დაინახა მის ხმელ, გრძელ თითებზე შერჩენილი ნიკოტინის ყვითელი ლაქა და გაიგონა შორიდან, ამ დარბაზის, ამ ქვეყნის გადაღმიდან მოსული მშფოთვარე ხმა:

— დაურეკეთ სასწრაფოს, ჩქარა დაურეკეთ!

## I

ცისფერ ეკრანზე სხივი მიხტოდა და ზიგზაგს ხაზავდა. მის თავზევითაც, თუ ქირმიშად გააპარებდა მზერას, მცირე ეკრანზეც თრთოდა სინათლის ბირთვი და მას აღარ ესმოდა გულის ცემა, მხოლოდ ხედავდა მის სიცხტელს...

აღერსით, დამამშვიდებლად ღუღუბებდა მონიტორი.

წარსული მისთვის ერთიანი, შენივთებული გორგალია, რომლის დანაწევრება, განწილვა მას არ ძალუძს.

წარსული შეჩერებული დროა, მასა, რომელსაც არაფერი ემატება, რადგან რაც შემდეგ მოხდა, რაც მოხდა ამ დამით, ის წარსულს არ ემატება; ეს სხვაა, არც წარსულია, არც აწმყო; ეს თითქოს მოულოდნელად ახდენილი მომავალია. მას არ სურდა გრამატიკული კატეგორიების დარღვევა, შეცვლა. პირიქით, იგი ყოველთვის ერთგული იყო გრამატიკული დროის, ის იყო მისი მეშჩანური კეთილდღეობის საყრდენი, მისი არსებობის კანონი და კანონიერება; შევლოდა გაეძლო ახლობელთა და შორეულთა დესპოტიისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ წარსულში (ანუ ცხოვრებაში) საკმაოდ მძიმე დღეები უნახავს (ვის არ უნახავს), იგი მაინც ემსუბუქება... ემსუბუქება ეს მრავალსახოვანი გორგალი: იქნებ ამიტომაც არის წარსული; თუმცა პაეღე გრუნტი (პაშკა მარკიორი, ინტელექტუალი და ალფონსი) ასე არ იტყოდა. პაშკა ამბობდა — „წარსული მეღუშა გორგონაა, ყოველთვის შეუძლია გაგაქვას“.

პაელესთვის ნაყოფი და მყოობადიც ერთი გაბმული, ოპიუმის ქაელში ალიგვიეებული მირაჟი იყო... რამ გაასენა გრუნტო, იქნებ იმის გამო გაასენდა, რომ მაქალაქუნა გახლდათ და სახადივით შეეყარა; მერე წავიდა და მისი არსების გლუვ ზედაპირზე დატოვა ნაჭდევი, ყვავილბატონების ნატერფალივით.

ახსოვს, თუმცა კი არ ახსოვს, იქნებ შემდეგ უამბეს, უამბო ვილაცამ, რომ იგი მოსალოდნელი საზღაურისთვის შეემზადებია და რაც გადახდებოდა, არაფერი გაკვირვებოდა.

ოდესღაც, იმ გორგალს მიღმა, წარსული რომ ერქვა, ე. ი. წარსულამდე (რადგან ბავშვობა წარსულზე ადრე რაც ხდება, ისაა), ბახმაროზე მეზობლის ბავშვი ყვავილბატონებით გახდა ავად.

წითლად მოურთეს ოთახი, წითელი სანთლები დაუნთეს; შეკრიბეს ბავშვები, ხელში ჭვარი შეაჩეჩეს, ხის კოთხოთი. — თაფლი და კარაქი. სიმღერა ასწავლეს.

ავადყოფთან უნდა შესულიყვნენ, ბატონების გული მოენადირებიათ.

თურმე გაჩიქდა, გაადგა ფეხი, აჯანყდა ყმაწვილი ცრურწმენის წინააღმდეგ. აზიდა ცალი წარბი (საიდარ ასეთი სიამაყე, მას წვეთი სისხლიც კი არ ერია ამაყთა), მანამ იბრძოლა, აიყოლა სხეულები, განარისხა ყველა და ყველაფერი, სანამ ერთმა შაოსანმა, სახეჩამოხოკილმა, განცვიფრებულმა ქალმა არ დაწყევლა:

„ვის ეზრდები ასე მოწამლული, შენ არ გაიხარე ამ ქვეყანაზე!“

იყო რაღაც მოუხელთებელი იმ საღამოში, რაღაც მნიშვნელოვანი გაეპარა თითებშუა და მერე დიდი სიმშვიდე ეწვია. ახლა იწვა ამ სიმშვიდეში ჩაფლული და კი არ უსმენდა, ისევ და ისევ უტკეროდა საკუთარ გულს. გული კი ხტოდა ეკრანზე, ფართალეზდა, უცებ ირინდებოდა, მერე ისევ ხაზავდა იისფერი სხივი თავის არათანაბარ ზიგზაგს და ვილაც ნასწავლი, მკვდარი წარწერების ამომკითხველივით ბრძენი კითხულობდა ამ ზიგზაგს. მერე ის ბრძენი მას მიაშტერდებოდა, მის შუქმისხილ თვალებს, წაწვეტებულ ცხვირს, გაქვევებულ დაწვისთავს, იასამინსფერი და ლურჯი რომ მოძალეზბოდა... მერე სილურჯე გაბაცდებოდა, თაბაშირის ნიღაბს დაემსგავსებოდა სახე.

იგი კი ფიქრობდა, ფიქრობდა გამუდმებით და რაღაცის გახსენებას ცდილობდა. კაცმა რომ თქვას, მწყობრი და სტერილური იყო მისი ფიქრი, ცოტა კარბოლის სუნი უდიოდა... უცნაური კი ის იყო, რომ ამ საღამოს არც ერთხელ, თვით ცნობიერების ბინდმოცულ ფსკერზეც კი არ გაქაშანებულა სიტყვა — სიკვდილი. იგი არ ცდილობდა ამ სიტყვის (ამ ფაქტის) დავიწყებას, უბრალოდ, თვით სიტყვა გაქრა უკვალოდ

ობნია ააჰორონი  
უაჰაჰევა

და იგი ისე მიდიოდა სიკვდილისკენ. ისე მიცურავდა კარბოლის სუნით გაქ-  
ლენთილ ბამბის ქულათა შორის, რო-  
გორც აღამჩამოფლეთილი. უგერბო ხო-  
მალდი.

მას უკვირდა, რაოდენ მორჩილი  
იყო, მორჩილი და მდუმარე; როგორ  
უხმოდ იტანდა ნემსების ჩხელეტას; ამ  
მტკიცეულ. ჯოჯობეთურ უმოძრაობას...  
ას, რაც გაუხენდავი კვიცივით მიხტოდა.  
იმას ვერავინ ხედავდა — მისი არსის  
სიღრმეში იბრძოდა მოუთოკავი ფიქრი;  
თავად კი ისეთი მორჩილი იყო და წესი-  
ერი, უმოძრაო და ყოვლისგან გამოთი-  
შული, წასული ისე შორს, რომ არც  
ესმოდა, რას ეუბნებოდნენ; ცოტა არ  
იყო. უკვირდა კიდევ, ვინ ფუსფუსებ-  
და მის სასთუმალთან, ვინ ეხებოდა მის  
შუბლს ნაცნობი, გრილი ხელით... ვინ  
იყო ეს ქალი — თვალბეჭეში ტანჯვა ჩა-  
ყინვოდა და საოცრად უღრმავებდა  
გამოხედვას. სულ ერთ ღამეში ნაო-  
კებს დაქსელა მისი შუბლი; ყელზე  
დაბერილი, მუქლურჯი ძარღვი უფეთ-  
ქავდა და იგი მიხვდა, — რა გაჭირვე-  
ბით იღრვებდა მოუთმენარ და ბოზო-  
ქარ ხასიათს.

როცა პირველად შემოვიდა მონი-  
ტორში, — გაფითრებული, ხელბეჭაწ-  
ვდილი, არარსებული დანაშაულით წელ-  
მოწყვეტილი, — შემოვიდა და ამოიკე-  
ნესა; კი არ ამოიკენესა. ყელთან დაგუ-  
ბებული ხრიალი ამოიტანა; მერე ჩაიჩო-  
ქა მის თავით და ისეთი სითბო და  
უიმედო ერთგულება შემოასალტა, რომ  
მან პირველად იგრძნო, როგორ დაემო-  
ჩილა, უსიტყვოდ დაყვა ამ ქალის ნე-  
ბას; იგრძნო, როგორ შეებრალა თავი,  
შეებრალა ისიც; გაბუქებული მარჯვენა  
გამოიღო, თითები თმებზე ჩამოაყოლა  
და გაიფიქრა. პირველად გაიფიქრა —  
ერიშა, ცუდათ არის საქმე არა, ჩემო  
კარგო!

აღზევებული ოჯახი, ოჯახი და...  
მათ უკვე აღარ ახსოვდათ — რა იყო  
რიტუალი, და ჯერ არ იცოდნენ — რაა  
მშვენიერება. ისე კი, მართალია, წარ-  
მართები იყვნენ, ოღონდ ნგრევის და-  
უოკებელი ვნებითა და უხეში მიაჩი-  
ტობით.

„ვის ეზრდები ასე...“ იქნებ არც უთ-  
ქვამთ, აღარ ახსოვს, არ ჩაესმის ყურ-  
ში. მერე, გვიან უამბეს, ვით ყმაწვი-  
ლის სიანცისა და, სხვათაშორის, სუ-  
ლიერი სიჭანსალის მაგალითი.

სო და, არც გაუხარია, თუმცა დღემ-  
დე, ამ ღამემდე, სხვანაირად ეგონა;  
მოსდა ისე, რომ ცოტ-ცოტა ყველაფე-  
რი ერგო, ავიცა და კარგიც, ოღონდ  
ეგონა, რომ ყველაფერი ეს მის თავს  
არ იყო. ვილაც სხვა დაეხეტებოდა უგ-  
ზო გზებით, იგი კი დედისერთა, ნები-  
რი ბიჭია, რჩეული: ასე ცუდად მომზა-  
დებული ცხოვრებისათვის, ცუდათ გაწ-  
ვრთნილი და ბევრი ნაფერეკი.

ხომ ყველაფერი ისე დატრიალდა,  
როგორც პროვინციულ თეატრში —  
წესიერად, სწორად დაწერილ მელოდ-  
რამაში — ზურგზე გუდა ეკადა და  
ხელთ არგანი ეპყრა. რკინის ქალამანი  
ემოსა და შორი გზა ელოდა...

იყო რაღაც ირონიული, სარკასტულიც  
კი მის ხედვრში; თუნდაც ის, რომ არა-  
სოდეს უფიქრია სოციალურ ცვლილე-  
ბებსა და გარდაქმნებზე (საამისოდ არც  
სურაოზულობა ყოფნიდა, არც ხასიათი),  
და მაინც, წლების მანძილზე სოცია-  
ლური ერთეული იყო; ვილაცის კანრი-  
ზის, გუნებგანწყობის, ვერავი ფანტაზი-  
ის წყალობით პოლიტიკური მნიშვნელო-  
ბის სიდიდედ ქცეული.

პავლე გრუნტი კი ეუბნებოდა —  
„შენ სოციალური ნოლი ხარ, მაგრამ  
ვილაცამ ხუმრობით წინ ერთიანი მიგი-  
წერა და გახდი ათი, საკრალური ათი“.

პავლე გრუნტი, ნეტარხსენებელი  
პაშკა, ისე გადნა, დაილია, ბოლოს ისე  
გალხვა სივრცეში, როგორც ცის თავანს  
თხემით შეყრდნობილი ქარბორბალას  
სვეტი ჩაიფშენება უდაბნოს სიყვით-  
ლეში.

ახსოვს, თუ უამბეს — სულერთია...  
ასე იზრდებოდა, ასე იზრდიდა ახლად



უკვირდა, რატომ ეწვეოდა ასე ხშირად გრუნტი, საიდან ამოძვრებოდა ეს ნატიფი მაჯლაჯუნა და აუმიღვრევდა ავად მყოფის სიმშვიდეს, სიმშვიდეთა შორის ყველაზე მაღალსა და ნეტარ სიმშვიდეს.. ამოძვრებოდა, ჩამოჯდებოდა ფიქრის კიდეზე, დაფახულებდა ნაწამწამარ, შესიებულ ქუთუთოებს და ნაკაცარის ფილოსოფიით იპყრობდა მის ცნობიერებას... და ეს უკვე აღარ იყო სიმშვიდე; ეს იყო იმ დიდი, უსახო გორგალით გასრესალი ნეტარების მშვენიერი წუთი; რა იცოდა პაშკამ, რამდენი წელი იარა მან ამ წუთისკენ, რა რუდუნებით შეამზადა იგი... ახლა კი ეწვევა, ალკოჰოლის ბურანში გამოცხადებულივით, სმოკინგში გამოწყობილი, მოხდენილი მაჯლაჯუნა და მან არც კი იცოდა, რა იყო ეს, დამოხიბილი წარმოსახვის ნაყოფი თუ ამ მერყევ ბინდში ათქვეფილი წარსული.



ხელისგულით ეძებდა გრილ ადგილს ზეწარზე, მერე ისევ ვაპარებდა თვალს ეკრანისკენ და იისფერი ბირთვის წრიალს აედევნებოდა.

და გაახსენდა, ცხადად გაახსენდა: ბახვის წყალს მოყვებოდა გზა, მერე მდინარეს გაეყრებოდა და ფერდობზე ამოდიოდა, მოადგებოდა მოედანს, გვიძრიანით დაფარულ მინდორს, მინდვრას კიდეზე გრძელი სახლი იდგა. წაფერლებული; ყაზარმასავით ჩამორიგებული ოთახებით და ფართო აივნით მთელ სიგრძეზე. აივნის სვეტებზე მიმაგრებული კვარის ჩირაღდნები ენთო... ჩინური ლამპარივით მორთული ოთახი წითლად ღვიოდა ბინდში.

— ბატონები მობრძანდნენ! — მოწიწებით ამბობდა მანდილოსანი, შეშვრთალი იერი რომ ქონდა და ოთახიდან ოთახში ვარბი-ვაპორბოდა.

მერე ბავშვებს სიმღერა ასწავლეს. ასწავლიდა საჯარაკო სეზონის გმირი, დიდ მარულაში გამარჯვებული აქსენტი მობრძანდნენ; ტანდაბალ ყო-

ვეის“ უცნაური ხმა ქონდა, რეკდა ბინდში მისი ბავშვურად კრიალა კრინი.

თაფლი და კარაქი ჩამოთრევს... ოთახისკენ წარუძღვნენ.

მაშინ იყო თავი რომ გამოიჩინა და წვევლაც დაიმსახურა.

არ შეშინებია, არც შეძრწუნებულა; ვაიბუტა მხოლოდ... აივნის ბოლოს გავიდა და მოაჯირს გადააჯდა. იჯდა და ყურს უგდებდა მოედნის თავში შეყრილი ვეიკვარელი ჩაღვადრებისა და ყველ-კარაქით მოვაკრე ჯავახელების ყაყანს, ბახვის დახშულ გუგუნს; ტყავის, ოფლიანი თოქალთოს და გათელილი გვიმრის სუნი უღიტიწებდა ცხვირში.

იჯდა თავისთვის და ცოტა არ იყოს უკვირდა, — არავინ მისულა, არ მიადგებოდა და შეუქცია.

შორი ოთახიდან სიმღერა ისმოდა; კვარის ჩირაღდნები მიმოქონდათ იქვე, ქარაფის თავზე წამომჯდარი მთვარით მოსველებულ ღამეში; აივნის იატაკზე ხან გაიშლებოდა, ხან თრთოლვით აღიწეოდა ქერისკენ ლოტბარის. დიდ მარულაში გამარჯვებული მოისწრაფიშვილის მკლავთა გრძელი ჩრდილი.

II

მეორე ღამეს, უცებ ირწმუნა — რომ კვდება...

არაფერი ატიყვებია, არაფრისთვის მოუკრავს ყური. თავისთავად, ყოველგვარი ეჭვისა და მერყეობის გარეშე ამოტივტივდა ცნობიერებაში უბრალო და გარკვეული — მე ვავდები.

თითქოს ჰერი ნახევარსფეროდ ჩამოიზიდა... თუმცა, რატომ თითქოს; საიდან იცოდა, რომ თითქოს... ჰერი ნახევარსფეროდ ჩამოიზიდა, მოპირკეთდა კენჭებით, სპეკალით და ამ უცნაურ მოზაიკაზე ნეონის წარწერა აკიაფდა.

ღრო და ღრო ინთებოდა მისი ცნობიერების სიღრმეში ეს კიაფი, ლათინუ-

ობია კავაობნია  
უაჰამეზა

რი სიტყვა საკუთარი ვენზელით; ისევ ქრებოდა და იგი ხედავდა მკრთალად განათებულ, თეთრად შეფეთილ კედლებს და ქერს... ესმოდა აპარატის დულუნი, გამომრთველების იღუმალი ტაკუნე; ხედავდა სკამის ზურგს ჩამოყრდნობილი ქალის მოხრილ სილუეტს და უნდოდა შეხებოდა, გამოეყვანა მშფოთვარე რულიდან და თავისი აღმოჩენა გაეზიარებია, ოღონდ არ იცოდა, როგორ ეთქვა; საერთოდ არ იცოდა, საიდან მოვიდა ამის ცოდნა...

ისევ გაქრებოდა ოთახის კედლები, ჩამოიზიდებოდა სპეკალით მოჭიქული ჰერი და აკიაფდებოდა წარწერა...

ზეწარი თავზე წაიფარა და გაირინდა. არაფერი შეცვლილა, ვერსად გაექცა იმას, რაც იცოდა, რადგან ეს არ იყო ზმანება, ხილვა, მოლანდება... ეს იყო მყარი, ურყევი ცოდნა იმისა, რომ კედლება, აი ახლა, ამაღამ... ამას ვერსად დამალებოდა, რადგან იგი უკვე გაჩნდა და თუ გაქრებოდა, მხოლოდ ცნობიერებასთან ერთად.

ერთი აოცებდა, არ ჰვავდა მისი აღსასრული არც წაითხულსა და არც გაგონილს. მას უნახავს, რა წვალებით ეყრებოდა სული ხორცს... უგრძნვია სივრცეში გაფანტული ტკივილის ერთად დაგროვება, როგორც სხეულში მიმოზნეულ ჩირქოვან უჯრედებს მოიზიდავს ანთებიანი ადგილი... მოუსმენია შველის, გადარჩენის ვედრება...

არაფერი ტკიოდა. არც გულის არეში; სახსრების მტვრევა მაინც ეგრძნო... ვერ გაერკვია, რა იყო ეს, თეორიული დასკვნა თუ აუცილებლობა... მხოლოდ მოკაფე სხივი ჰქრიდა თვალს და აწუხებდა ფიქრის უნარი, ცნობიერი შეგნება, რომ მიდის.

ზეწარისგან სარკოფაგი მოიწყო, — ნიჟარა, ბუნაგი... იცოდა, ყველას და ყველაფერს უნდა გაცლოდა; უნდა გაცლოდა ამ ქალს, რადგან იგი იყო ახლობელი და ახლობლობა, ნათესაობა, ერთიანობა ახლა ხელს უშლიდა უფრო

ღრმად შეყოლოდა მოულოდნელად ბოძებ სიბრძნეს.

...იქნებ მაინც გამოათხიზლოს და უთხრას რამე; ვთქვით უანდერძოს ზეთისხილის მტილი, ცხენების რემა, ღორების კოლტი და პენელოპეს მისასხამი... უანდერძოს მოლოდინის ეპიური უსასრულობა და მისცეს დაბრუნების რწმენა.

უთხრას — მეგობარო, რასაც ამ დამით მივხვდი, მხოლოდ ერთს ნიშნავს: ჩვეულებრივ, უბრალო გამგზავრებას; მე მივემგზავრები და ვკარგავ მხოლოდ ფორმას; შენთან ურთიერთობის ფორმას... საერთოდ ურთიერთობებს... აი, თურმე, რა ყოფილა — კომუნიკაბელობის დაკარგვა, მეტი არაფერი; მე აღარ მექნება ჩვეული ურთიერთობა არავისთან და არაფერთან; აქ ყოფნა მხოლოდ ურთიერთობათა ქსელი ყოფილა, ასე იოლად რომ ირღვევა... მაგრამ არ დაირღვევა, არ შეიძლება დაირღვეს შენი მარადული კავშირი ჩემს მაღალ, უხილავ, განყენებულ არსთან...

ზეწარი სახიდან ჩამოიხადა, თავზე ექიმი წამოდგომოდა, რაღაცას ჩურჩულებდა თუ ისე აცმაცუნებდა ტუჩებს, ვერ გაარჩია. მერე ექთანნი შემოვიდა, მეორე ექთანნი... შემდეგ ჰალარა კაცი მოიჭრა, საქმიანი ფუსფუსი მოიყოლა.

მან ქალის თვალები დაინახა: „პირდაპირ ბარომეტრია...“ ახლა თვალები აედარს მოასწავებდნენ, — დელვმას, მეორედ მოსვლას...

„ვიცი, ყველაფერი ვიცი“, — კინაღამ თქვა, მაგრამ ხმა არ ამოუღია, რადგან სიტყვით ვერ გადმოცემდა თავის ცოდნას; თანაც მოეჩვენა, რომ რაღაც მნიშვნელოვანსა და სამუდამოდ დასაკუთრებულს შეედავებოდა ამ ჰალარა კაცს, მოფუსფუსე ექთნებს, თვით ამ ჰკვიან აპარატს, გამომთიშველების ტაკუნით რომ აფხიზლებდა ღამეს. შექონდა იმედისა და რწმენის ნაპერწკალი... და მან ტაბუ დაადო ყოველივეს, რაც კი იმ ღამეს ებოძა.

ნემსი უჩხვლიტეს, მეორედ, მესამედ.

იგი მშვიდად ადევნებდა თვალს ექთანის მოქნილ, ზედმეტი ბანისგან ადრე დაბერებულ ხელებს, თავწაყვეთილი ამბულეების პაწია შტაბელს რომ აწყობდა; იცოდა საკუთარი გულგრილობის ფასი და ნატრობდა მარტობას, წასვლას იქ, სადაც სპეკალით მოჭიქული გუმბათი ეგულებოდა.

მამა კაფანდარა, მოხდენილი კაცი იყო; ვეება, უფორმო ცხვირი ხშირწამწამიანი თვალების უჩვეულო სილამაზეს უფარავდა.

ქორუტგის ნერვეული, ნატიფი თითები ქონდა და უყვარდა მსჯელობა...

ხშირად იმეორებდა, რომ მედიცინა თავისთავად გულგრილია სულიერი და ემოციური პერცეფციებისადმი; რომ ბიოპსია, ანამნეზი, ეპიკრიზი თავისებურ კომპოზიციურ კანონზომიერებას შეიცავს და სემანტიკური მნიშვნელობა აქვს; რომ ექიმი ყველაზე მძიმე და ძნელად სამკურნალო ავადმყოფია, რადგან ეჭვით ეკიდება საკუთარ ფიზიკურ არსს და კარგად იცის, რა იოლად ირღვევა ის პლასტიკური ხატი, სხეული რომ ქვია; რომ ადამიანს ეშინია ფორმულის, დადგენილის, უმკველის... უჩვენია ვარაუდი, ვიდრე ზუსტი ცოდნა...

— მე კიბო მჭირს, ოღონდ ჯერ არ ვიცი სად, — უცებ მოაყოლა თავის მორიგ ფილიპიკს... განუზომელი იყო მორულოდნელობის ეფექტი.

— რა გჭირს? — შეეკითხა იგი.

— კიბო.

— საიდან იცი?

— აბა რა ვითხრა, ჯერ არავისთვის მიკითხავს, უბრალოდ, ვგრძნობ.

— „ვგრძნობ“ დიაგნოზი არ არის.

— რა თქმა უნდა, — მამამ ჩვეული მოძრაობით, ცხვირის გასწვრივ ჩამოატარა თითები, ტუჩის კუთხეებში ამოისვა, ხელის გულით მძლავრად მოისრისა ნიკაპი, — რა თქმა უნდა, არ არის... როცა იქნება, როცა დადგინდება, მაშინ

შენ ჩემი თრევა მოგიხდება კლინიკიდან კლინიკაში და შენი თვალით იხილავ, როგორ მოგიკვდება ფესვი და როგორ ჩავა მიწაში ნაწილი შენი არსებისა, იქნებ უარესი ნაწილი, და მიინც, შენი.

მან ოდესღაც ნახა ლითოგრაფია — ორღანის დუკას ყბაში გახერილ შუბს ამრობდა განთქმული დოსტაქარი — ამბრუაზ პარე. ორთავ ხელით ჩაფრენოდა იარაღს, მუხლი პერცოგის მკერდისთვის მიებჯინა. მან თითქმის გაიგონა დაჭრის ველური ღრიალი და, რატომღაც, „პარე“ შეარქვა მამას. მერე ხშირად ეფარებოდა ამ სახელს, — როცა დაირცხვენდა ან შეწუხდებოდა, როცა არ სურდა მამის წინაშე გაეხსნა გული...

ახლაც, შეხედა მამას:

— მიწა დაიტევს, პარე!

— დაიტევს, — დაეთანხმა, — ერთნაც გეტყვი, ასე მგონია. მე კი არ ვმეორდები შენში, პირიქით, შენ მეორდები ჩემში. შენით ვიწყები: ყოველთვის ვგრძნობდი შენს უპირატესობას, იქნებ განსაკუთრებული ინტელექტის გამო, — ჩაიხითხითა დაცინვით, — იქნებ იმის გამო, რომ შენ, სისხლმა და ხორცმა ჩემმა, ცხოვრებაში მეტი ავი დღე გამოიარე და მწარე იწვნიე, ვიდრე მე, ხანდაზმულმა მოძღვარმა შენმა და მამამ. ახლა კი საზღაურს გიხდი.

— საზღაურს ამის გამო არ მიხდი. საერთოდ არაფრის სანაცვლოსა და საზღაურს არ იხდი. თუ მიინც და მიინც, ჩემი ცუდი აღზრდისათვის.

მამამ თვალი აარიდა და ჩავარდნილი, შორეული ხმით ჩაილაპარაკა:

— ჩვენ დამალობანას ვთამაშობთ და არც პირველნი ვართ, არც უკანასკნელი. მე ვიცი, ვინა ხარ შენ, — ხმას აუწია—იქნებ ესაა ცუდი აღზრდა; იქნებ მართლა ცუდია, რომ მე, უაღრესად პრაქტიკულმა კაცმა, წარმოგვი შენ, უაღრესად არაპრაქტიკული კაცი: იქნებ წინაპრის გენმა იფეთქა. ხომ შეიძლება გყოლოდა, ასეთი წინაპარი: კორსარი,

ოტია კავაორია  
უკუთმევა

ვარსკვლავთმრიცხველი, მეცლითმეზღაპრე... მე ნურაფერს დამაბრალებ.

— მე არაფერს გაბრალებ, — მე მიყვარხარ, — სურდა დაერთო, თავი შეიკავა — არაფერს გაბრალებ და ისიც ვიცი, ჩემში არავითარი გენი არ აუვითქებულა. ჩვენ არა გვყავს წინაპარი, მე არასოდეს მილაპარაკია კულტურული ტრადიციის სახელით.

— მაშინ რატომ გვაქვს ამ სიძველის, უხსოვარი დროიდან მომდინარე ცალილოლობის განცდა?

— მე და შენ, — მან ხელები აღაპყრო, — ჩვენ ხომ ლათინურია ვართ, 70 მილიონი წლის წინ გაჩენილი სახეობა, რომელმაც არა უწყის რა თავისი ძველთაძველობის თაობაზე... ეს ყველაფერი ლიტერატურაა, წიგნი... იცი რა, ისტორია იწყება მესხიერებასთან ერთად. ჩვენი ისტორია ჩვენივე იწყება. შენ პირველი ხარ, მე მეორე.

მამამ უნდობლად გააქნია თავი:

— მაშინ შენ ჯერ არც კი იცი, რაა ერთგულება.

— ნუ გეშინია, ვიცი. უახლოეს ორ საუკუნეს შენი ერთგული ვიქნები... ჯერ ვერ გილაღატებ, არ შემიძლია... შენ ახლა ტკივილის უპირატესობა მოიპოვე, მაგრამ რა იცი, რომ ავად ხარ, როცა არა ხარ.

— საამისო სიმპტომიც არსებობს. აი, აქ, იღლიაში, ზურგზე, ხერხემალთან, ზედა? — მან ხალათი გადაიძრო, ქვეშ არაფერი ეცვა, — აი აქ, დააკვირდი პატარა ჯირკვლებს.

თესრი, ჭორღლიანი კანი ულაპლაპებდა. ხერხემლის დაყოლებით მოჩანდა პაწია ბორცვების არქიპელაგი, იგი ფრთხილად შეეხო, თითებშუა ააცურა.

— გტკივა?

— საშუალო ეგაა, რომ არა, ჯერ არ მტკივა. უბრალოდ, ვგრძნობ მათ არსებობას და ვიცი, საიდან ჩნდებიან... მერე ერთი სიტყვა ამეკვიტა, ცოცხალივით შესაშრება.

— რა სიტყვა?

— ისეთი არაფერი, ერთი ლათინური სიტყვა — tumor...

— რას ნიშნავს?

— ს ი მ ს ი ე ნ ე ს...

ოთახში იოდის, სტერილური ქსოვილების თავისებური სურნელი იდგა და თავბრუს ხვევდა, მაგრამ წასვლა არ შეეძლო. იგი აკვირდებოდა მამის სხეულს: აწყობილ, სიმეტრიულ სხეულს და ფიქრობდა — ასეთი ოვალური, კეთილად ქმნილი ნაკეთები მხოლოდ წარმატებულ, კეთილმოწყობილ ადამიანებს უნდა ქონდეთ.

„იგი მეგობრობას მთავაზობს, — მიხვდა, — მთავაზობს, რადგან მართლა უპირს, მართლა ავადაა“. — ყელში რაღაც მოებჯინა, ტენისის ბურთივით მკვრივი და ხაოიანი.

ხელის გული ფრთხილად დაუსვა ზურგზე, — ჩაიცვი! — თხოვა, რადგან ვერ ეგუებოდა შიშველი კაცის უმწეობას, — ჩაიცვი! — გაუმეორა, მიდგა კედლისკენ. წუთით დახუჭა თვალი; ვერ მიმხვდარიყო, რამ მოქანცა ასე, — გულახდილობამ თუ სიყალბემ, — იქნებ ერთმაც და მეორემაც; იქნებ მათ შერწყმამ, არაბუნებრივმა კავშირმა...

იდგა კედელთან, მიყრდნობოდა მის დამაცხრობელ სიმყარეს და იცოდა, უკვე იცოდა — დადგა დიდი განშორების კვირაძალი.

მესხიერებას შემორჩა ზარების დარისხების ხმა, — საზეიმო, გამბული გუგუნი... ზარები თითქოს გამუდმებით რეკდნენ და აღიზიანებდა ის სადღესასწაულო ფუსფუსი, ირგვლივ რომ გამეფებულიყო.

ვერ იცილებდა ზარის ხმას და ისე მოაძრაობდა, ისე გამოდიოდა ხალხის წინაშე, როგორც ტანტზე ასასვლელად ნაკურთხი უფლისწული.

ძველ ტანტზე ესვენა პატარა ცხედარი, თავქვეშ შილერის ეფრონისეული ტომპუხ ელავა; ცისფერი, ოქროს დრაკონებით დამშვენებული საფარი ეფინა.

მას ეშინოდა ცხედრის, ღამით ზალაში ვერ შედიოდა, ერიდებოდა ზურგის შექცევის, აკრთობდა მისი დანახვა, რად-

განვერ იცილებდა მისტიური იდუმა-  
ლების განცდას და გულის სიღრმეში  
სჭეროდა: ამ პაწაწინა, გათმობ სხე-  
ულს შენარჩუნებული აქვს შეგრძნების,  
შესმენის, დანახვის უნარი; ეშინოდა,  
რადგან ეგონა, სადღაც მოუხმობდა  
ცხედარო.

დილით საფარველი გადახადა და შავ-  
ყავისფერ სახეს დაიკვერდა. ტკივილი  
შეყინვოდა სახეზე, აგონიასას ქვედა  
ტუჩი ჩაეკვნითა და ოქროს ერთად-  
ერთი კბილი ჩაიციებულებოდა მის სილურ-  
ჯეში; საოცრად გრძელი წამწამები ლაწ-  
ვის თითქმის ნახევარზე ჩამოფენოდა,  
ჩაცვივნულ თვალთა უბეებს ცვილის  
აკვივით გადაკროდა ქუთუთო; მკვეთრი,  
წაწვეტებული ნაკვთები თანდათან შორ-  
დებოდა იმ ხატს, მის წარმოდგენაში  
რომ არსებობდა... იგი თვალნათლივ  
ხედავდა ამ რღვევას, ფიზიკური გარ-  
სის ხრწინას; ხედავდა, როგორ იშლებო-  
და ნაცნობი ფორმები და უფრო და  
უფრო აპყრობდა შიშში.

რცხვენოდა ვინმესთვის გამეცანება,  
გულის აჩქარებულ ფეთქებასაც მალავ-  
და, თუმცა იცოდა, რომ ამ კაცთან მარ-  
ტო უნდა დარჩენილიყო, უკანასკნელი  
შანსიდა არსებობდა, უკანასკნელი ღამე  
და უნდა ეთქვა, რაც სიცოცხლეში ვერ  
უხებრა ან არ უთხრა. ახლა მისი სიტყ-  
ვები მძიმე ზოდებივით ჩალაგდებოდა  
ცხედრის გაყინულ ცნობიერებაში.

და უცებ გაახსენდა, — არასოდეს,  
არც ერთხელ თავის ცხოვრებაში არ  
ულაპარაკია მამასთან, დაიგვანა და ის  
საუბარი, ასე რომ ესაჭიროებოდა ორ-  
თავეს; ის საუბარი, ასე ცხადად რომ  
ესმოდა და თითქოს ხედავდა კიდევ.  
არასოდეს ყოფილა.

● იგი ისე დიდხანს მიდიოდა გრძელი,  
ბნელი ტალანით, რომ აღარ იცოდა,  
გააღწევდა კი ოდესმე.

ტალანის ბოლოს დიდი, ჩუქურთმი-  
ანი კარი ეგულებოდა.

იგი მიდიოდა რწევით, ეხლებოდა  
კედლებს და ძლივს მიათრევდა დამი-  
მებულ ფეხებს, თითქოს ხანგრძლივი  
უწონადობის შემდეგ ვერასგზით მორე-  
ოდა სხეულს.

მკლავები დაუდუნდა, დაეწრიტა და-  
ბერილი ძარღვები ხელისზურგზე და  
ისე მიქონდა წინგაწვდილი, უგრძნობე-  
ლი კიდურები, როგორც ორი გარან-  
დული ფიცარი.

ყრუ გუგუნე იფანტებოდა მის ბინდ-  
მოსილ ცნობიერებაში, და იგი გრძნობ-  
და, გაქრა ჩვეული სიმშვიდე, აფუთ-  
ფუთდა მის მკერდში დაბუღებული გა-  
რინდება. „ნუთუ თენდება!“ — გაი-  
ფიქრა და მისი წუხილი რაღაცით დაუ-  
კავშირდა განთიადს; სწორედ იქ, აისის  
ბჰესთან ეკიდა ის კარი, ვალებას რომ  
ლამობდა...

— გადაიტანს? — ჩაესმა ბურანში.

— ამ ღამეს თუ გააღწევს... — ესევ  
გარკვევით გაიგონა.

მერე გულჩახვეული, ჩუმი ქვითინი  
არწევდა მის საწოლს; იგი კი ნელა იმო-  
რჩილებდა აჯანყებულ სხეულს.

ფრთხილად გაახილა თვალი. იცრი-  
ცებოდა ბინდი, ამოდიოდა ბნელიდან  
ფანჯრის კონტური... ჭერ კიდევ ყო-  
ველი რძისფერ ბურუსში ცურავდა, მაგ-  
რამ უკვე მკვეთრდებოდა ხაზი, იბრუ-  
ნებდნენ საგნები თავის ფორმას.

გაქრა გრძელი ტალანი, სპილენძის  
ფილებით ინკრუსტირებული კარი...  
ისევ ის. მქრქალი ნათელი შემოსი-  
ლი სიმშვიდე ეწვია, თითქოს ცისფერ  
მდინარეში ჩაყვინთა...

ოღონდ გონება დაეძაბა: „საიდან მო-  
დის, რატომ ვგრძნობ ამ უძველეს და-  
ქანცვას, რატომ?“.. — ეკითხებოდა ვი-  
ლაც დაჟინებით და იგი წუხდა, არ იცო-  
და რის გამო, მაგრამ წუხდა.

მერე შორეული, ნაცნობი და უცნა-  
ური რამ ეზმანა.

თბილისი  
უკუგადასვლა



III

„თუბი ყაენის ურდომ მყარალი აბზინ-  
დის ბუჩქნარივით გადათელა მერკიტთა  
დიდი ტომი, გაყვა ყიფჩაყთა ტრამა-  
ლებს, იტილის ცივ ტალღებს გაატანა  
სუზდალელთა წითელი ხომალდების ნა-  
მუსრევი, უწია კიუვის...“ — ყვებოდა  
აღსაყალი.

ეს მაშინ მოხდა, როცა საქართველოს  
საზღვრებს პირველად მოსწვდნენ პირ-  
ყვითელი, ცბიერი და ძლევამოსილი  
მხედრები. ამაყი ქვეყნის ზვიად რაინ-  
დებს პირველად შეუღახეს შეტოტებუ-  
ლი ლომებით მოხატული დროშის დი-  
დება.

მაშინ პირველად დაავდო მან ივერი-  
ის მიწა და შორეულ გზას დაადგა. გან-  
ვლო დაქცეული ხორეზმი, ინდოთა სა-  
მეფო, იღუმალ ხატელთა საცხოვრისი...

იგი იყო მონა და ქეშიკი, უფლის-  
წულს აახლეს მანგუ ყაენის კარზე...

უცნაური კაცი იყო მანგუ; უცნაური  
იყო თვალსაწიერი მისი: დედაბრის  
შხამიანი ჭკუა ჰქონდა; კატარაქტით  
დავსილი თვალთ ნათლად ხედავდა მა-  
დიართა ციხეკოშკებს შემოწყობილ ჯი-  
ხანგირის თუშენებს.

მოკლე, თითქოს მაჯაში წაკვეთილი  
მარჯვენით ეალერსებოდა ყრმა უფლის-  
წულს, აძლევდა მეფობის დასტურს. სა-  
ლი თვალთ აკვირდებოდა ყმაწვილის  
მოყვითალო დაწვისთავს და კითხულობ-  
და ქართულ ჯიშში შერეულ შირვანშაჰ-  
თა ბლანტი, გაზულუქებული სისხლის  
ნაკვალევს.

უცნაური კაცი იყო მანგუ; დავსილი  
თვალთ შორეულ სივრცეებს ჰვრეტდა,  
საღით — ცხვირწინ მდებარე საგნებს;  
მუხლის გამართვა და ამხედრება უმ-  
ძიმდა; დაკარგა სიჩაუქე და ხეტილის  
ჟინი, — სანაცვლოდ შეიძინა მონარქის  
სიღინჯე და თვალუწვდენი იმპერიის  
მმართველის ბოროტი სიბრძნე.

„და ესრეთ მიუძენო ნოინთა მანგუ  
ყაენმან — ვინითგან ქართველნი  
წყობათა შინა კეთილად გიხილვან და  
ტყუილი არა არს მათ შორის, და მინ-

რუხი დილა გათენდა.  
ფანჯრიდან მოჩანდა მღვრიე, ჭუჭყია-  
ნი ცა და მაღალი, ნაცრისფერი შენო-  
ბის კიდე.

მან თავი ფანჯრისკენ მიაბრუნა, უც-  
ქეროდა ამ უფერულ დილას და ვერა-  
ვითარ კავშირს ვერ ამყარებდა იმას-  
თან, რაც გარეთ არსებობდა; ესმოდა  
ტრამვაის ხრიგინი, ხედავდა მოპირდა-  
პირე სახლის ფანჯარაში ქალიშვილის  
სილუეტს, ასე რომ ჰგავდა ნეგატვს:  
ვერ მისვდა, სირუხის ბრალი იყო, თუ  
ქალიშვილის პერეკისით გადაყვითლე-  
ბული თავი ქმნიდა ამ შთაბეჭდილებას.

თანდათანობით შემოდოიოდნენ მისი  
მხედველობის არეში საგნები და ადა-  
მიანები, თანდათან იხსნებოდა მისი ცნო-  
ბიერების დახშული კარი და იგი უკვე  
ხედავდა გვერდით მწოლიარე ავადმყო-  
ფის სახეს; ხედავდა კორიდორს, თეთრ-  
ხალათიან ექთანს, მოწყალეების დას,  
კორიდორის სიღრმეში, მაგიდასთან  
შეგჯუფულ სანიტრებს. ერთი სიტყვით,  
ყველაფერს, რაც აქამდე არ დაუნახავს.

დილით ფიქრი სულ სხვაგვარია, საქ-  
მიანი ფუსფუსით აღსავსე...

იგი ისეთი ზარ-ზეიმით გადაიყვანეს  
„ჩვეულებრივ“ პალატაში, ისეთი ამ-  
ბით ჩააწვინეს გაქათქათებულ ლოგინ-  
ში; ისეთი რწმენითა და იმედით შეს-  
ციცინებდნენ თვალბში, რომ შერცხვა.  
შერცხვა, რადგან უშალავდა მათ იმას,  
რასაც ისინი თავის მხრივ უშალავდნენ...  
არსებობდა უთქმელი და გარდუვალი  
ქეშმარიტება — მართალია, მორჩენის-  
კენ იბრუნა პირი, მაგრამ გადარჩა კი?!

ოლონდ, სხვა გზა არ იყო, იგი ისევ  
უნდა დამორჩილებოდა მათ, უდრტვინ-  
ველად მიედო ყველაფერი, რასაც შეს-  
თავაზებდნენ... თვით ის პროცედურე-  
ბიც, რომელთა ჩატარების შემდეგ უნდა  
დადუმებული, დამცირებული და შეუ-  
რაცხყოფილი წოლილიყო. ერთადერთი

ხსნა ერთნა იყო; როგორც პავლე გრუ-  
ნტი ამზობდა — „თვითირონია, თავმოყ-  
ვარეობის შენარჩუნების ერთადერთი  
გზა. მართალია საექვეო, მაგრამ რას იზამ,  
როცა ოყნით დაგადგებიან თავზე, უნდა  
წარმოიდგინო, რომ ტექინური ტაიქი  
მოგგვარეს — შეჯექი და გააჭენე...“

დილას განსხვავებული ფიქრები მო-  
აქვს.

იგი ცდილობდა მართო დარჩენას და  
სამოსიოდ ბევრი პატარა ემშავობა მოი-  
გონა: თავის მოძინარება, დუმილი,..  
ჯერ წარმოსახვით ნიჭარის ხერელი უნ-  
და ამოეჭოლა, ჩაბუდებულიყო ნოტიო  
სიღრმეში, შეკუმშულიყო, მინებებოდა  
გაბმულ ტკივილს, უცნაურ სიამოვნ-  
ებას რომ გვრიდა... მერე ისევ გაყვე-  
ბოდა მოგონებებს.

„აა, პენელოპე!“ — იგი დააცქერდა  
ქალის ფერმიხილლ სახეს, ღრმა ნაოჭს  
ბაგეთა კუთხეში, შეკავებული სიხარუ-  
ლით გასხივოსნებულ გამოხედვას.

„ჰო, მართლა, მე ხომ ამ ღამესაც გა-  
ვალწი... მე გადავრჩი, გამოვძვერი...“  
ამ დილით, როგორც პატივი და წოდე-  
ბა, ისე აპყარეს აქსელბანტივით ჩამო-  
კონწიალებული მავთულები, განსაკუთ-  
რებულ კატეგორიიდან ჩვეულებრივი,  
რჩეული ავადმყოფების კატეგორიაში  
გადიანაცვლა.

ვერ გავრკვია, გაეხარდა თუ ეწყინა  
იმ „განსაკუთრებულობის“ დაკარგვა,  
რომლის კალთაშიც ასე ჩინებულად  
ფიქრობდა.

როგორც მორევი ამოატივტივებს სიღ-  
რმიდან ნაფოტს, ისე ამოდიოდა მეხსი-  
ერების ბინდიდან სურათები, უხილავი  
კანონზომიერებით დაკავშირებული და  
ეს იყო ქვეყანა, მის ცნობიერებაში რომ  
არსებობდა, რეალურადაც, და როგორც  
გრამატიკული კატეგორია. მას არ სურ-  
და მისი დანაწევრება, დაფლეთა; მაგრამ  
მეხსიერების წიაღიდან მაინც ცალკე-  
ცალკე აღმოცენდებოდა სურათები,  
ოღონდ ისეთი ემპირიული სიცხადით,  
რომ წარსულს ახლად განიცდიდა; მაგ-  
რამ განიცდიდა, როგორც წაყითხულ

წიგნს, ანუ, ცოტა ტყუილს, წარმოსახ-  
ვის ნაყოფს, ლიტერატურისზეულ სინა-  
მდვილეს, და მაინც, აქ ყოველივე სი-  
მართლე იყო... ამ ეპიურ თანმიმდევრო-  
ბას მოკლებულ კადრებში ერთიანად  
აისახებოდა განვლილი — უხსოვარი  
დროიდან, როცა ვილაცას ოდესღაც შო-  
რეულ უდაბნოში, თვალდავისლი დესპო-  
ტის კარზე ახლდა; და უდაბნო კვლავ  
გამეორდა მის ცხოვრებაში — ყვითე-  
ლი, ვეება, სადაც ყოველი ნანგრევი რა-  
ტომღაც სამარხს ჰგავდა... ახლაც მეორ-  
დება, ამ გადარჩენისა თუ აღსასრულის  
ფაშს... მეორდება შორეული ქალაქი;  
იქნებ მის ცხოვრებაში მხოლოდ ის ქა-  
ლაქი-მადარო იყო ნამდვილი საქმე;  
იქნებ იგი აძლევდა რეალობის, შესას-  
რულობის შეგრძნებას და ფასს მატეზ-  
და მის არსებობას; რადგან მან, იმ  
ყმაწვილმა, უცნაური წყევლა რომ და-  
იმსახურა, სულ უკულმა შეატრიალა ბე-  
დის ჩარხი; უარყო, რისთვისაც იყო მო-  
წოდებული, და წავიდა იქ, სადაც არა-  
ფერი ესაქმებოდა; მაგრამ სადაც თავი-  
სი მამაკაცობა, მამრული არსი, ან რო-  
გორც პავლე გრუნტი იტყოდა — „თა-  
ვისი წყეული სუბსტანცია“ მოიპოვა.

საწოლის თავთან ფიზიოლოგიური  
ხსნარის მიმწოდებელი აპარატი იდგა  
და საოცრად გავდა ანატომიის კაბინეტ-  
ში დაყუდებულ, მავთულით შეკონწიწე-  
ბულ ჩონჩხს.

— ეს მერამდენედ გადავრჩი, —  
უთხრა ქალს, — მივეჩვიე გადარჩე-  
ნას, — დაიმანჯა და დახუჭა თვალი.

●  
უსახელო ქალაქი დასცინოდა არქი-  
ტექტურას.

იგი უსახო და თავნება იყო.

ირველივე მრავლდებოდა ურნალები,  
ტერეკონთა თვწაყვეთილი კონუსები;



გაცოცხლებული ჰორიზონტი ყვითელი ქარებით სუნთქავდა.

იზრდებოდა ალიზითა და მწვანე ქვით ნაგები ქალაქი: ფლორცეებით, შუკებით, დუქნებითა და გაშიშვლებული ვნებებით; ქალაქი, რომელსაც არ ბორკავდა ეთიკა, უცნობი რიტმით ბორკავდა და ჯერ კიდევ არ იყო ინდუსტრია.

დრო და დრო ნამქერი ჩახერგავდა რკინიგზას. ქალაქი სამყაროს მოწყდებოდა, დარჩებოდა თავის აპარა; აემღვრეოდა სული, ერთნახადით გაბრუნებული, თავით ერქობოდა თოვლის ზვინებში, ბრძოლით მოპოვებული შტანდარტებით დაფრიალებდა ქალის იასამნისფერ საცვლებს; იგიწყებდა ცოლს, დისწულს, მეგობარს... მასავეტთა ჭორფლდაყრილი ზელებით ამსხვრევდა ზნეობის მკვანებს და მოწითალო, ხორჯლიანი პარძაყების ალღუმით ეგებებოდა განთიადს. ქალაქი დაცურავდა საკუთარ ოფლსა და ნარწყევში; მერე მოედვენთებოდა, მოსხტრვებდა მშვიდი ნავსაყუდელის მიღწევას. რუხი რიგები გაიჭიმებოდა მადაროთა მისადგომებთან. მიწის წიაღში დაინთქმებოდა ქალაქი: ისეთ სიმშველეს ეწეოდა, რომ შემკრთალი სწრაფად ამოცივდებოდა მიწის პირზე; დაუბრუნდებოდა ნამქერში ჩაფლულ, კარბიდის სუნით გაქვინთილ სამანას ბუნაგებს, ისევე მიეძალებოდა ერთნახადს, შემოიწყვებდა საკინძეს და უცებ განაზებული, ათროლოებული თითებით მიეტანებოდა მოთელოლ და მორჩილ ძუძუებს, მიეცემოდა ბორგნულ თვლემას.

ოდონდ...

მკლე განიზიდებიან ქალაქის ქუჩები, აშენდება კლუბი — წელში გადაჯვითილი ნებტუნით ფრონტონზე, არქიტექტურული სარკრებით, მძიმე ორთოგრაფიულ შეცდომასავით რომ დააჩნდება ქალაქს; ალტაიდან პულმანებით ჩამოზიდულ აყალოზე ამწვანდება ცეროდენების პარკი — შორცხვი, მეჩხერი, დაბალი.

რკინიგზის მიწაყრილთან შედგება ქარავანი და გაცივებული მომთაბარე შემფოთდება — პოეზიდან საქთან! უფრთხილდი მატარებელს!

იგი მიაბიჯებდა გვირაბში და ფიქრობდა.

ნოტიო, სიზი მთელანების შეხება ამშვიდებდა, ყურს უგდებდა ნაბიჯების შორეულ ეჭოს და ფიქრობდა — აქ დაბლა, ისევე არ შეიძლება ყვირილი, როგორც ეკლესიაში...

იგი აძვრა ლუქში, ავიდა კამერაში. კარბიდის ფანარი ქვის თაროზე შემოდგა. ჯიბიდან ელნათურა ამოიღო, მოქებნა ბუდე და ჩახრახნა... ყვითელ ლქად დააჩნდა ნაცრისფერ ტინს ნათურა.

მივიდა ბურღთან, გახსნა ორთქლის ონკანი, ქავლს ხელისგული დააფარა, შეეცადა აღმოსფერო გამოეთვალა, ონკანი ბოლომდე შეატრიალა და მთელი სხეულით გაიმეორა აპარატის ცახცახი. კამერა მკახე ხმაურით აივსო და თაღიდან კენჭები ჩამოცივდა.

იგი დააკვირდა მთელანას. სურდა გაერჩია, საით დაყვებოდა ქანს ქარსის ძარღვი, სად მოიკიდებდა ბუნიკი პირს. აპარატი ფეხზე შეაყენა, პნევმატური ბიჯგები გაჩაჩხა და ბურღს მკერდით მიაწვია, პაერში ქარსის ლაბლაპა ფიფქები გაიფანტა და ბურღი ნელა, ჯიუტად ჩაეფლო მადანში.

აპარატის თრთოლვა სხეულს მოედო, სახსრები მოურდვია, ნელა დაგროვდა ბექებთან, მერე ყრუ ტკივილად შედეღდა და კისერი გაუშეშა, დაუბუყდა მხარეკლავი.

მაშინ ორთქლის ნაკადი გამოთიშა, აპარატი ფრთხილად წამოაწვინა ქვებზე, დაჯდა სკრეპერის ციცხვზე და წიკო გაბოლოდა.

თუთუნის ბოლი მოტკბო იყო, კამერაში დარჩენილი აფეთქების გაზი უფრთდებოდა და უღიზიანებდა ჯირკვლებს. პირში მწარე ნერწყვი დაუგროვდა, დაუბრიცა ყბები. პაპირისი ჩექმის ქუსლით გასრისა, ზურგით მთელანას მიეყრდნო და ჩათვლიდა:



...  
თაღმა დაიჭირაილა.  
მან ყერი მიუვდო ხმაურს.  
თაღმა გაიტკაცუნა და კამერა მტვე-  
რით აივსო.

წანოხტა, გადაირბინა კამერა და სა-  
ვეტილაციო ჯიხურში შევარდა.

მადნის სვეტები ქარზე გაკიდულნი  
ტრანსპარანტივით ათრთოლდა, თაღმა  
ამოიგმინა, ჩამოიბერა, წამით ნახევარს-  
ფეროს დაემსგავსა. კიდევ ამოიგმინა  
და ჩამოიქცა.

— ჩამოინგრა! — იყვირა მან, მუხ-  
ლებზე დაეცა, თავი მკლავებში ჩარგო.

— ჩამოინგრა! — ამოიხრიალა, ასწია  
ხელები, მოხვეტა ბნელი.

ლოდებზე კენჭების წვიმა წანწკარებ-  
და; საღდაც, გაწყვეტილი მილიდან მიშ-  
ვებულნი ორთქლის ნაკადი შიშხინებდა...  
მერე მკერდის სიღრმეში აცეკვდა სი-  
ხარული:

— გადავრჩი! — იყვირა...

წამომართა, გადადგა ნაბიჯი, ჯალამ-  
ბრის ტროსს წამოედო და აფორი-  
აქებულ მტვერში გულჩაღმა ჩაემხო.

...  
ქუჩა (ფინური კოტეჯები და ალუანდ-  
რას დაღვრემილი ბუჩქები) პარკის შე-  
სასვლელთან მოედნად გუბდებოდა.

მოედნის განაპირას იდგა ფიცრის  
ფარდული, მრავლისმეტყველი წარწე-  
რით — „ქართული ღვინო“.

იდგა ჭახლში ვინმე ჩოლაბურიძე,  
ვეება ვაჟაკი, ნათლად აღბეჭდილი  
აპოპლექსიის ნიშნით შუბლზე.

ფულის ტრფიალი ჩოლაბურიძე —  
უგვარტომო და უნამუსო, ოსტატი თა-  
ვის საქმისა და ალქიმეიოსი. ათასი ხრი-  
კით რომ ქმნიდა თავის საეჭვო დამო-  
უკიდებლობას, ობობას განუკითხავ  
უსინდისობასა და ეროვნულ სირცხ-  
ვილს.

იდგა დაქლში და ნედლ ფიცარს შუ-  
შის ნატეხით ფხეკდა.

— არაუი დაგვისხი!  
— კაჭა, —

— რახია, — ერთნახადი მღვრიე იყო  
და ყარდა.

ბიჭებს ოფლით დაცვარული სახეები  
შეეცვალათ. ხელით იწმენდნენ ოფლს  
და ყელს სპალენსის ბასრი ნაწყევლებით  
ილაღრავენენ.

ბიჭებს საყვედური არ დასცდენიათ.  
სისულელეა და მაინც უნდა იცოდე,  
შენ ახლა უკვე იცი...

იგი იჭდა დახლს ნიკაპჩამოყრდნო-  
ბილი.

— მომწყდით თავიდან! — იღრინე-  
ბოდა თავისთვის.

— ვინ ოხერმა გამობურღა თალი  
ბოლომდე? — ეკითხებოდნენ.

საქმე სანტიმეტრებმა გადაწყვიტა.  
კამერის თალი ღრმად თვითონ გამო-  
ბურღა, არ დატოვა შემეკავებელი ფე-  
ნა — „ბალიში“, „ბალიშმა“ წითელი  
ჯიშის დაწოლას ვერ გაუძლო და ჩა-  
მოხვავდა.

„წითელი ჯიში“ ყავისფერი, გრიფე-  
ლივით მყიფე ქანია.

— შენ უკვე იცი...

წითელი ჯიში ყოველ დღე ჩამოიქ-  
ცევა სადმე, ან ელმავალი აცდება ლი-  
ანდაგს და მთელანას შეეღეწება, ან  
ლოდი მოწყდება თაღს; ჯალამბრის  
ტროსი გაწყდება და ასხლექილი ბო-  
ლო, ბასრი და თვალმიუტანნი, შუბლთან  
გავიშხულილებს... ან აფეთქების ვაზი  
ჩავითრევს მოტკბო ბურუსში, დაგათ-  
რობს და...

მერე ამოძვრებიან მადაროდან, მიე-  
ძალებიან მღვრიე ერთნახადს, გაეხსნე-  
ბათ შუბლები და გული.

— საწამლავს გვასმევს! — უცებ აღ-  
მოაჩინეს ბიჭებმა, ფუთიანი მუშტებით  
დახლზე დაალაგეს.

— ნამდვილი ჭაჭა.

— საწამლავია, ანებებათ ვაზავე-  
ბული.

— წადით, ძმაო! — ჩოლაბურიძემ  
დახლიდან ჭიქები მოხვეტა.

ოპია აპაოროია  
უკაჟმევა



ბიჭები პირდაღებული შეცქეროდნენ ყომაალ სახეში.

— გვიყვირის? — იკითხეს გოცე-  
ბით — გვიყვირის — დაადგინეს და  
წამოიშალნენ.

ჩოლაბურიძეს სახე ჩაულურჯდა, მე-  
რე უცებ იწივლა — წადით, თქვენი... —  
დახლქვეშ დამალული კეტი გამოათრია.

— წავალთ, რა გალრიალებს! — რა-  
ტომღაც ერთბაშად დამშვიდნენ ბიჭები  
და ამ ყალბ სიმშვიდეში გაწყვეტილი  
ტროსის ბოლოსავით გაიზუზუნა მუქა-  
რამ.

— დღეს კაცი გადარჩა, ამან რა იცის.  
ამ... — ეძებდნენ საწყენ სიტყვას.

— დაანებეთ თავი! — წამოდგა იგი,  
მოხომილი, დინჯი ნაბიჯით, თითქოს  
შორიდან მოდიოდა, მიუახლოვდა.

ობობამ თვალები დამალა, ობობამ იგ-  
რძნო — ახლა, ამ წუთში, აი აქ, იქნებ  
უცებ დაიფლითოს ეგზომ რუდუნებით  
ნაქსოვი ბადე, და იგი შეიკუმშა, შეძე-  
რა საკუთარი სიმყუდროვისა და სილამა-  
რის უხილავ შეუქებში.

— მომიტყევე! — უთხრა ქართულად;  
უთხრა გოროზი სახით, სხეები რომ ვერ  
მიმეცდარიყვნენ — პატიებას თუ თხოვ  
და.

ბილ, აღვირასსნილ გინებად გაისმა  
არყის ოზშივარით დაბინდულ ფარდულ-  
ში უჩვეულოდ ლიტერატურული, თავ-  
დაბალი და დარბაისლური ქართული  
სიტყვა.

მან ერთხანს ჩაღიებით უცქირა ჩო-  
ლაბურიძეს. განზე გაზიდული, წაო-  
ბერილი საფეაქლეა დამკნარი ყურე-  
ბის პოსტამენტებს მიუგავდა და სე-  
ლელურ იერს აძლევდა სახეს, ოღონდ  
იყო ამ გულუბრყვილო გამომეტყველე-  
ბაში ის ვერაფერ ცბიერება და დაუნდო-  
ბელი სისასტიკე, ვაჟართა და მომხვე-  
ჭელთა თავაზიანობას რომ ახლავს. და  
მან ისე შესაინა — ოცდათორმეტე  
თეთრი და ბასრი კბილი დაანახა. ჩოლა-  
ბურიძე უნებლიედ დაქანდა უკან, აეკ-  
რო ფიცრულს.

— წავიდეთ აქედან! — მიუბრუნდა

იგი ბიჭებს და მიძიმე ბოტფორტებს  
ბრახუნით გავიდა ქუჩაში.

კარგა ხანს იბორიალეს ურნალებს  
შორის, მერე პარკის ღობეზე გადაბო-  
დნენ; ხეივანი მკერდამდე უწევდათ.  
ბინდში შავი ტბიდან თავამოყოფილებს  
გავდნენ. მაშინ დაწვენენ მიწაზე და ახ-  
ლადმორწყული ბალის სინოტივე ღრმად,  
ფშვენითა და ქსუტუნით შეისრუტეს.

იგი იწვა ცეროდენა ხეების ჩრდილ-  
ში, იწვა გადარჩენილი და დაღლილი.  
მას თითქოს დააეციყდა — საიდან მო-  
ვიდა აქ და რამ მოიყვანა ჩუმად, ფე-  
ხაკრებით ეპარებოდა რული და უდაბ-  
ნოდან ამოგლეჯილ ამ პაწია, სათამაშო  
ოახისის სიმწვანეში გაბმით ეღერდა,  
„ნუ უკვე მცველი ძმისა ჩემისა ვარ...  
ნუ უკვე მცველი ძმისა ჩემისა ვარ“.

#### IV

ერთ მშვენიერ დღეს, სრულიად მო-  
ულოდნელად, იგი ცნობილმა ექიმმა  
მოინახულა... ჯერ ამაღა შემოლაგდა:  
მანდილოსნები, პროვიზორი, კიდევ ვი-  
ლაც... შემდეგ თვით ღირექტორი, ისე  
მოველინა, რომ მან თვალეები დააქყიტა  
და ცნობილი ექიმის პიტალო შუბლსა  
და უსიამოდ მცირენაკვთიან სახეს შეა-  
ჩერდა.

მკურნალი ექიმი, ლამაზი, ახალგაზრ-  
და ქალი, მოწაფესავით დაიბნა და  
ძლივს აბრუნებდა ენას: ე. დ. რ. — 40,  
ლეიკოციტოზი — 6400, პროთრომბი-  
ნი — 120, ფიბრინოგენი — 422, ქოლეს-  
ტერინი — 350, შაქარი — 96, აზოტი —  
22...

— delirium alcoholicum — ჩაიდუ-  
ღუნა ცნობილმა ექიმმა, მერე უცებ  
იკითხა — ნერვული კაცია?

— ფსიხია, — მოესმა სნეულს და  
დაკვარვებით მოავლო მზერა თავზე წა-  
მომდგარ მანდილოსანთა რემას... მათ  
ლურჯ-მწვანე-ყავისფერ არშიებში  
ჩასვულ თვალებს, ოსტატურად და მონ-  
დომებით ამოყვანილ ხაზებს რომ ეფა-  
რებოდნენ და იღუმალი, ცოტა არ იყო,

ერთნაირად უაზრო გამომეტყველება ქონდათ.

„ნეტავ როგორი თვალები აქვთ უამისოდ, — გაიფიქრა, — ალბათ სულ სხვანაირი, სათნო, დაბნეული, როგორც პირდაბანილ პიერის“.

— ფსიხია, — ისევ თქვა ვიღაცამ და მან ამ სურნელოვანი ნიღბების მიღწეა ძლივს გააჩნია კუთხეში მიყუქული მჭკობრის ალერსიანი ღიმილით მოქცეული, ლოყებგაბუშტული ფიზიონომია.

იგი მიხვდა, მეგობრის მონდომებასა და ეგოცენტრულს უნდა უმადლოდეს ამ ვიზიტს; გაეცინა, ყოველ შემთხვევაში ეგონა რომ გაეცინა, ნაწიმილივეი წურბელებივით უსასაო ტუჩები უთრთოდა მხოლოდ.

ცნობილმა ექიმმა „ვალიუმში“ დაუნიშნა, კიდევ „გეპარინი“... „გეპარინი აუცილებლად და სასწრაფოდ“ — ბრძანა და არც შეუხედავს კართან ატუხულ, დაბნეულ აფთიაქის გამგესთვის. პროვიზორმა დიდი, წითელი ხელები გაასავსავე:

— მოგიკვდეს გოდერძი, — ჩაილაპარაკა თავისთვის, — სადაა „ვალიუმში“ და „გეპარინი“ თუ არა კი...

მეგობარმა თავი დაუქნია — იქნება ყველაფერი იქნება, ჩემო გოდერძი! — დაამწვიდა პროვიზორი, ერთხელაც გაუღიმა სნეულს — სოლიდარობისა და ერთგულების ნიშნად (მეგობარს ეს გზა უკვე გამოვლილი ქონდა და ახლა კვალიფიკაცია ამადლებული ნაავადმყოფარის ყოვლისმცოდნე და მფარველი იერით შეცქეროდა ყველას).

ცნობილი ექიმი წავიდა, კორიდორში ფუმფულა კუდივით მოიქნია თეთრი ამაღა და გაუჩინარდა, სხვათაშორის, გაუჩინარდა სამუდამოდ.

იგი კარებთან იწვა და კარგად ხედავდა საავადმყოფოს „ცხოვრებას“; აფუსფუსებულ ექიმებს რომ დაინახავდა, იცოდა, დირექტორი ჩამოვლახე იყო,

ერთი ოღონდ, იგი მასთან აღარ შემოსულა.

ალბათ არ ეცალა ცნობილ ექიმს, მართლაც და, სად ეცალა რიგითი ავადმყოფის ხშირად სანახავად, ან საერთოდ რატომ უნდა ენახა; სად ეწერა, რომ ხშირად უნდა მოინახულოს ჩვეულებრივი ავადმყოფი.

და მაინც, იგი ყოველთვის ელოდა, ბრახდებოდა საკუთარ თავზე და ელოდა; ელოდა და გული ეწურებოდა, როცა ექიმთა თეთრი ღრუბელი პალატას ჩაუვლიდა და იგი ხედავდა, როგორ მიცურავდა ამ ღრუბლის შუაგულში დირექტორი... მან იცოდა, იქნებ უსამართლოც კი იყო ცნობილი ექიმის მიმართ, მაგრამ სად ეცალა სარეცელს მიჯაჭვულ სნეულ კაცს სამართალისთვის... იგი იწვა და ელოდა, როდის შემოვიდოდა, კითხავდა რამეს, დაუთვლიდა პულსს, პალპაციით აყვებოდა ნეკნებს და დაუნიშნავდა რაიმე არგავონილ, „სამოვან“ წამალს.

მას ჰყავდა სანჩო, ჰყავდა პოლიდევეკე — მეტი არავინ. იგი ღუმდა და სურდა ეყვირა, — ასე არ შეიძლება, ასე როგორ შეიძლება,... მას აღიზიანებდა და აცინებდა საკუთარი უსუსურება და ეგოიზმი; საიდანლაც მოსული, აქამდე უცხო ეპვი და სურვილი. მაგრამ იგი გრძნობდა, ნათლად გრძნობდა, რომ აქ, ამ საავადმყოფოში მეორდება. რასაც, ალბათ, ყოველ დღე, ყოველ ფეხის გადადგმაზე აწყდებოდა. ოღონდ ასე მძაფრად ღღემდე არ განუცდია. იგი ამატივებდა თავს ამ მცირე სისუსტესა და ნატვრას, ყურადღების ღირსი რომ გამხდარიყო, და უეცრად — რატომ არ ნატვრობდა ამას გარეთ, იქაც ხომ აკლდა ყურადღება და პატივი და არ დაეძებდა... იქნებ სნეულებამ გაუხსნა სულის ფარული თვისება.

ონია პავლოვა  
უაშაძეშვი



ნელა, თანდათან იკვეთებოდა მის აღ-  
გზნებულ გონებაში მიხვედრა — ყოვე-  
ლივე თავისთავად ხდება... მისი გული  
აღარავის და აღარაფერს არ ემორჩი-  
ლება, იგი თავისით კვდება და თუ გა-  
დარჩენას გადაწყვეტს, ეს არ იქნება  
ვინმეს დამსახურება, ვინმეს საქმე. გუ-  
ლი თვით გადაწყვეტს —  
ი ცოცხლოს თუ მოკვდეს

იგი იწვა თვალგახელილი და ყურს  
უგდებდა ღამეს; უსმენდა ჩუმ, გაბმულ  
მელოდიას და ყოველთვის არძობდა,  
როგორ დაიძაბებოდა აირტყე, გაჩნდე-  
ბოდა ავისმომასწავებელი თრთოლვა და  
იგი იწვა ყურდაცქვეტილი. იშვიათად  
ცდებოდა: ახალი ავადმყოფი მოყავ-  
დათ, საკაცეს მოაგორებდნენ, იგი წა-  
მით შეავლებდა თვალს ნაცნობ იერს...  
მერე დაიწყებოდა საზეიმო მსვლე-  
ლობა: მოდიოდნენ სუსტად განათებუ-  
ლი ტალანით ექთნები და მოწყალების  
დები, — თეთრად შემოსილნი, ქათქათა  
ჩაჩებით თავდაბურულნი.

V

ღია კარში კედელზე დაკიდული უნა-  
გირები, უზანგები, აღვირები მოჩან-  
და... სარჯის სახელოვნოს გავდა ოთა-  
ხი. იატაკზე გაფენილ თოქალთოზე წი-  
თელი მუთაქა ეგდო; ოფლის, ძუისა და  
ტყავის სუნი ფიჭვის სურნელს უერთ-  
დებოდა.

მას უყვარდა ეს სუნი, მგზავრობას  
ავონებდა: ფლოქვთა თქარათქურს „სო-  
მლის“ კლდოვან მისადგომებთან; წიფ-  
ლნარის ნოტიო სივრილესა და ლორთ-  
ქო, ნისლოვან სიმწვანეს; მერე ბილი-  
კი ბახვის წყალს გამოყვებოდა, მალე  
დაიწყებოდა დაკიდული აღმართი; ცხე-  
ნი კისერს წაივრებოდა, დაიძაბებო-  
და, აუბუყბუყდებოდა ფერდი... გახ-  
შირდებოდა ჩაღვადრების ყოყინა.

ბოლოს გამოჩნდებოდა გრძელი სახ-  
ლი... აივნის წინ შეიყრებოდა ქარავანი;

დაყრიდნენ ხურჩინებს, დაგორგორი-  
ლებებს, ჭრელ ფარდაებს.

— შეხედე, შავი ზღვა, — მის ყუ-  
რებით აწევასა და ზღვის დანახვებას  
ცდილობდა მოისწრაფიშვილი, მერე ას-  
ნმარტალებულ ყმაწვილს გვიმრიაწში  
მიაგდებდა; თავის განთქმულ რაახ ია-  
ბოს მოზარნიშებული ვერცხლით შე-  
ხუნძლულ ლაგამ-მოსართავს აყრიდა,  
დაუწნავდა ფაფარს. — იგი მონუსხუ-  
ლივით შეცქეროდა კაფანდარა, კენარ  
„უოკის“, დიდი ოსტატობით რომ გა-  
მოაცალკავებდა ფაფარის კონას, დაინა-  
წილებდა თითებმუა და ხუთმაგ ნაწ-  
ნავს წაშში ჩამოათავებდა. ბოლოებს  
ძუითვე შეუტრავდა.

დილით გაუშლიდა ფაფარს. იდგა  
ამომავალი მზის სხივებში გახვეული,  
ტალღა-ტალღა ფაფარდაყრილი ცხენი  
გაურჩევლად; წამობურცულ, ბრიალა  
თვალში ლურჯი, ეშმაკეული სხივი უ-  
რთოდა.

ჯანლი მძიმედ ეტმასნებოდა კედ-  
ლებს... შორიდან ისე ჩანდა, ცეცხლი  
მოკიდებოდა სახლს. წითლად ღვიოდა  
ოთახი და ისმოდა გალობა.

ხევეში მოშხუოდა ბახვი; ხმა წავარანს  
ბარბაცით ამოყვებოდა და ზემოდ ათას  
მცირე ექოდ ქუცმაცდებოდა, როგორც  
ბენგალიის ცეცხლი იფშვნება უამრავ  
პაწია კოცონად.

იგი იჯდა აივნის მოაჯირზე და ყურს  
უგდებდა ღამეულ ჩქამს; უყურებდა ჩა-  
შვებულ ფიჭვნარს, კვარის მანხალებს...  
დიღხანს უყურებდა, ვიდრე თვალის  
ჩინი არ წაერთმეოდა.

ბოლოს, აივანზე გამოფრატუნდებო-  
და შაოსანი დიაცი, მკაცრი და პირგა-  
მეხებული, სახსარამოვარდნილი თითე-  
ბით ლოყას ჩამოიხოკდა, აღაპყრობდა  
თვალთ და შემართავდა მარჯვენას...

მაშინ მოწყდებოდა იგი მოაჯირს. მი-  
იკრებოდა ქალთან, კაბის კალთას წაე-  
ტანებოდა, დაქაჩავდა და შეევედრებო-  
და:

— არ დაწყევლო, დეილა, რა!

ყოველსმომცველი დაღლა მაშინ იგრძნო, როცა ლოგინზე წამოჯდომის ნება დართეს. მერე შესთავაზეს ლოგინიდან ფეხის გადმოღება; იქვე, ლოგინიდან, ერთ მეტრზე დაშორებულ სკამთან მიწვლა... და მოხდა უცნაური რამ, — მას არ სურდა წამოჯდომა, არც სკამთან მისვლა... არ სურდა ჩვეული უმოძრაობის შეცვლა; იგი ისე მიეჩვია უმოძრაობას, რომ იგი უკვე ბუნებრივი იყო მისთვის, ახლა ვინ იცის, რას მოუტანს გადაღებული ნაბიჯი... იგი გრძნობდა — სწორედ ამ ნაბიჯით იწყებდა დაბრუნებას და აწუხებდა ბუნდოვანი ეჭვი — ღირდა კი დაბრუნება ასე შორიდან, მერე ირონიულად შეაფასა ანაზღად გაჩენილი ფრაზა და მიხვდა, სწორედ წყველი, მოუსვენარი გონებით მიზგაა, რომ ამ ლოგიკურ (თუ ალოგიკურ) კონსტრუქციებს შიშსა და სილანჩის აღარებდა, ძვალბილში გამჯდარ ობიექტულურ სწრაფვას უმოძრაობისადმი.

მიხვდა, რომ სიმშვიდე სურდა და სულერთი იყო, როგორი იქნებოდა ეს სიმშვიდე. მან უკვე განვლო ხანი, როცა ცვლილებები არ აკრთობდა, ამიტომ იტანდა ბევრ რამეს, ოღონდ არ შეცვლილიყო ცხოვრების რიტმი...

ახლაც, ღირს კი დაბრუნება ასე შორიდან... თავისთავად ეს მართლაც გადასაწყვეტი იყო. აღვზნებული გონების ეს მიხვედრაც ღირდა ერთ რამეზე. იქნებ ამ ფრაზის მიღმა მხოლოდ შიში და სილანჩე არ იდგა, ... იქნებ უკიდურესი ზღვარიდან შემობრუნებას რადიკალური ზნეობრივი სიჩლუნგე და ცუდა მხსიერება ჭირდებოდა.

თანაც, იგი არ იყო დარწმუნებული, რომ დაუძღვრებული, კალის კიდურების მსგავსი ფეხები გაუძღებდა სხეულის სიმძიმეს... ენანებოდა და ეშინოდა დაჩვეული უმოძრაობის მიტოვება. მაგრამ ცბიერი იყო, როგორც ფიქრს აყოლილი ყველა კაცი; ცბიერი იყო გაიკონებდა რაღაცას, გახვდებოდა თითქოს მნიშვნელოვანსა და სერიოზულს,

ლოგიკურსა და გარდუვალს, ფორმულა-დებულებას და ისიც იცოდა, რომ ამ „დებულებაში“ იყო თავისი სიმართლე, დიდი ზოგადი სიმართლე; მაგრამ ახლა, ამ კერძო შემთხვევაში, როცა ლოგინზე უნდა წამომჯდარიყო, გადაედგა ნაბიჯი, ეს სიმართლე ბევრი არაფერი ღირდა.

მას აოცებდა, საღ გაქრა გამოჯანსაღების სიხარული... თუმცა, უკვე იცოდა, რომ გული არ გამთელდება; თუ დაეადდა — ერთხელ და სამუდამოდ... ხოლო წამოდგომა, მისგლა სკამთან, დაბრუნება უკან, იმ ინტერლუდიებსა გაეს, ვრცელი ეპიური ტილოების გულისგამაწელებელ უსასრულობას რომ აზავებენ.

ისევ გაურბოდა შიშს, ისევ აძლევდა გონება თავშესაფარს, საირო სიცრულს გამოგონების საშუალებას... ისევ ეშინოდა ილუზიათა გრძელ ჯაჭვს და ეს იყო ხსნა, თანაც ფიქრი არავის ენშოდა.

— რა დაემართა, — ქალმა საცხოვი გვერდზე გადასდო, — რამ შეგაშინა!

მან თავი აიღო, დაკვირვებით ჩაზედა ქალს თვალეში და ისეთი თანაზიარობა ამოიკითხა, რომ მიხვდა — ვერსად გაექცევა ამ ახლობლობას, ვერაფერს დაუმალავს, ვერ მოატყუებს; რაოდენ ბინდობილიც არ უნდა ყოფილიყო გამოწონაგონი, ეს ქსლის მბეჭველი დიაცი ხედავდა მხოლოდ დასაბამს, ჭეშმარიტ ფუძეს...

იგი წუთიერი სიძულვილითა და უნებლიე მოკრძალებით აღივსო.

— ნუ გეშინია, — გაუმეორა ქალმა და მკლავზე წაეტანა.

— რისი გეშინია, — იცრუა მან — დავიდალე...

„ისე შორიდან მიედივარ“, — სურდა დაერთო, მაგრამ ქალი ამას არ მიხვდებოდა, რადგან ეს არ იყო სულის ძახილით მოპოვებული ჭეშმარიტება...

მართალია იგი ფიზიკურად გრძნობ-



და ამ სიშორეს, მაგრამ უფრო იცოდა იგი.

— „მედუმიანა“, — გაიფიქრა და არ შეიძლებოდა, ღმერთმანი არ შეიძლებოდა, მისთვის შინში და უძღვრება ეჩვენებინა. ყველა ქალის წინაშე შეიძლება ყოფილიყო, თუნდაც ლაჩარი; ოღონდ ამ ქალის წინაშე არა, რადგან მისი განუყრელი ორეული იყო, ჩრდილი... რადგან მხოლოდ ერთი ქალის წინაშე უნდა იყო შეუღლებელი, ბრძენი, სულგრძელი და უხვი...

იგი მძიმედ წამოიმართა, გაშალა ფეხები. გრძნობდა, როგორ ჯდებოდა სახსარი ბუდეში, თითქოს ჭრიალიც ესმოდა: ნელა იძენდა სიმყარესა და წონასწორობას; ნელა გადადგა ნაბიჯი, ერთი, მეორე... მივიდა სკამთან, ჩამოჯდა, ხელისგულებით წვეტიან, გამხმარ მუხლებს დაეყრდნო და თავს ისე გრძნობდა, როგორც გზის პირას ჩამოქვდა; მოსალოც ადგილთაგან შემობრუნებული მწირი, ოღონდ, რატომღაც, მოკვეთილი და ექსორიაქმნილი.

თავებზე დაეხვა, გულში დვა იგრძნო, ისევ წამოიწია, სკამის ზურგს ხელს არ უშვებდა; გადადგა პირველი ნაბიჯი, მეორე მოშორდა სკამს და ჰაერში გამოეკიდა, დაკარგა საყრდენი, მოექცა უცნობ გარემოში, სადაც ცნობიერება ისე სუსტად უღეთქავდა, როგორც მინავლებული პულსი.

ლოგინს მიაწყდა...

— ხომ გაიარე, — აღელვებით ეჩურჩულებოდა ქალი, — ხედავ, რა იოლად გაიარე, ხომ ხედავ, შენ უკვე მორჩი.

მან ისევ შეხედა ქალს, ასწია მარჯვენა, მსახრე დაადო და დაცინვით წაილაპარაკა:

— მე მხოლოდ გრავიტაციული ველი მოვიბოვე.

გურდებოდა და იგი ვეღარ ავლებდა ზღვარს მოლანდებათა შორის.

ისევ ეწვია პევე გრუნტი, დახვეწილი და ფაქიზი პაშკა-არისტოკრატი... იჭდა, ფეხი ფეხზე გადაედო და აბოლებდა; სახეზე ისრიმის ფერი დასდებოდა. თავს აქიციებდა, თვალეები ბუდიდან ამოუცივიდებოდა, დრო და დრო თითებით რომ არ დაწოლოდა და სიღრმეში არ ჩაებრუნებია.

ირწეოდა პევე გრუნტი და დაბორკილი ენით მარცვლიდა:

— „ახალი ფრთოსნები ძველ ბუდეებში არა სხდებიან...“ სხვათაშორის კეთილშობილი ლამანჩელი მხოლოდ იმისთვის განიკურნა, რომ იქვე გარდაცვლილიყო.

სივრცეში გადაადგილების უნარი ღვთის წყალობაა... ოღონდ მას, ეზარებოდა მოძრაობა, რადგან იცოდა, ამას ახალი ურთიერთობები უნდა მოყოლოდა. მას კი არავის გაცნობა არ სურდა და არც შეეძლო... მეტიც, იგი თითქოს მტრულადაც კი იყო განწყობილი სხვა ავადმყოფთა მიმართ, არ აინტერესებდა მათი ამბავი... ეს ახალი, უცნობი თვისება გახლდათ და აღმოცენდა, რაც მის არსებაში ვიღაც მიიცვალა და იგზსუსტი, რღვევაშეპარული სხეულით დაატარებდა მის სამარეს.

არასოდეს უფიქრია, რომ შესაძლოა მხოლოდ ირონიული სათნობა და ირონიული სიყვარული მოიპოვოს. ახლა კი ხედავდა, როგორ გაჩნდა მის ცნობიერებაში ახალი ზნეობრივი კანონი, და არ სურდა მისი აღიარება, რადგან „ახალი“ არღვევდა იმ მშვიდსა და ნეტარ მდგომარეობას, იმ ოცნებათა და მოლანდებათა რკალს, ასე მოულოდნელად რომ ეზიარა.

განკურნება თითქოს სასიცოცხლო ენერჯიას ართმევდა, რა მალღ ნიქს—ყოველივე, რაც მის წარმოდგენას არ ეთანხმებოდა, „ჯადოქართა და გრძნეულთა“ სამოქმედრად მიეჩნია, ყოველთვის უცნაურად გაორებული ცხოვ-

რობდა — იცოდა უმწვერვალესი წუთებისა და ალტკინების სიტკბოებაცა და მდორე მდინარების დამაბრუნებელი არა-რაობაც. ყოველთვის მერყეობდა რესპექტაბელურსა და თავისებურ, შინაგან ანარქიზმს შორის. ყოველთვის აწვალებდა დაღვნილი სტილის უქონლობა და ამის მრავალსაოცრებლად გასაღებას ცდილობდა; რაც სხვა არა იყო რა, თუ არ დილეტანტიზმი, თუმცა ამის გამო ნაკლებ რიდი ტყიოდა და ნაკლებ რიდი სურდა.

მან ვერ მოახერხა სნეულებისთვის ლამაზი კერპი დაედგა, ვერ მოასწრო ტყვილის გაფეტიშება; აღარც გაუჟიებული გულის ნდობა შეიძლებოდა. ეს იცოდა, არც ენდობოდა. ყოველ წამს ელოდა ვერაგულ ღალატს და მძიმე იყო იმის შეგნება, რომ მთელი სიცოცხლე ამ ღალატის მოლოდინში უნდა გაეტარებინა.

განკურნებისკენ მიქცევას არავითარი რწმენა და გულუბრყვილი იმედი არ მოქონდა... პირიქით, იგი თითქოს კვლავ იმ ზღვარზე იდგა, ერთხელ რომ მიადწია, და აღარ უშვებდა, არ ანიჭებდა თავისუფლებას.

\* \* \* \* \*

ერთხელ, უდაბნოში პავლე გრუნტს ხრომის ჩექმები აჩუქა. „ცარსკები“ — ასე ეძახდნენ თბილისელი მეწაღეები ჰკინტუთხოვან, რანტიან ჩექმებს.

პავლემ ჩაიცვა, ფეხები სკამზე შეაწყო, კარგახანს უტყირა. მერე წავიდა, მადლობა არ უთქვამს, ისე წავიდა...

სამ დღეს არ გამოჩენილა, მეოთხე საღამოს დაბრუნდა — გამტკნარებული, ჩამოძონძილი, პირდაპირ ბოსტნის საფრთხობელა. ფეხზე ქალამანი ემოსა; ქალამანი კი არა, ტერფზე მავთულით ამოკრული აქლემის ნეღლი ტყავი.

შევიდა, კედელს აყუდა, ერთხანს იდგა ასე, ლენჩივით, გულგრილი ყველაფრის მიმართ, მერე იგი დაინახა, თითი დაუქნია და უთხრა — შენ სულელი ბტძანდები, მეგობარო!

მას ხმა არ გაუცია. ჩექმები კი დაეწინა, უფრო თავი და უქმად ჩავლილი ხელგაშლილობა.

გაუყიდა ჩექმები პავლემ; თხევად ობიუქში გადაცვალა, ობიუქსა და აქლემის გამოუქნელ ტყავში, რომლიდანაც ის მშვენიერი ქალამნები ამოასხა და ისე გამოეცხადა, რომ იგი უნდა დამხობილიყო და დაღადეყო — ვიღ რეჰხვალ!

\* \* \* \* \*

— პაშკა, პაშკა! — მაინც პავლეს მოუხმობდა მისი დავრდომილი სული და აღიზიანებდა აკვირებული სურვილი. თუმცა პაშკა აღარ მოვიდოდა, პავლე მისთვისაც მოიცვალა; ეს მაშინ აღმოაჩინა, როცა მიხვდა—აღარ ეწვევა გრუნტი, იმიტომ რომ აქ ყოველდღიურმა ამაოებამ და ვენებებმა დაისადგურა. პავლე კი მოდიოდა მაშინ, როცა მას გონიერი მხლებელი და საჭურველთმცირთველი ჭირდებოდა.

— პაშკა! — საავადმყოფოს შფოთით აღვსილ დუმილს მინებებული მიცურავდა იგი ბამბის ქულათა ოკეანეში... მიცურავდა და ტანჯავდა ირონიული სიცოლი, საკუთარი არსების სიღრმეიდან რომ შეესმოდა.

იგი არ იყო მზად ამ ირონიისათვის, არც სურდა, ვერც ხვდებოდა მისი გაჩენის მიზეზს. ახლა კი მარტო დარჩა, სულ მარტო, და რატომღაც დაიჭრა, რომ განკურნება სიკვდილს უქაღდა.

კვლავ მოიძია, ამოტივტივდა სიტყვა — სიკვდილი, ოღონდ ახლა აღარ ახლდა ის სიმშვიდე და გარინდება, როგორც მაშინ, პირველად.

ახლა აძრწუნებდა, აკრთობდა, დრეკდა... გულმუცელი მტკივნეული სიცარიელით ევსებოდა და უნდოდა მოკუნტულიყო, ეკვნესა და ეწუწუნა. ახლა მან უკვე აღიდგინა საგნების სიყვარული.

იგი პირველად განაცვიფრა ამ ქვეყნის სიმცირემ და ადამიანის სწრაფვამ

თბილისის სახელმწიფო ბიბლიოთეკა



ლი და უამისოდ დარჩენა აღარ შეეძლო, ახლა იგი ჩვეულებრივი მოკვდავი იყო და ეშინოდა არყოფნის.

ახლა ახსენდებოდა პატარა ბიჭის

ვედრება, რომელიც არასოდეს წამოიკვნიდა, დენია, მაგრამ მის სულში მთელი ცხოვრების მანძილზე ეკვანივით წყარუნებდა.

VI

„იგი, რაც იყო და აღარ არის; იგი, რაც იქნება და ჯერ არ არის; იგი, რაც შესაძლოა და შეუძლებელია, — აი რითი არსობის სული ჩვენი, და არასდროს, არასდროს იმით, რაც არის“.

ა. ბ.

Deliro — უცნაური სიტყვაა — ველად გაჭრილ რაინდთა სიმშავე ახლავს, დიდი ენერგია.

ქართულად — ვ ხ ე ლ ო ბ.

Delirium კი დაავადებული ფსიქიკის გოდებაა. კოშმარი, ბოდვა, — „ცნობილმა ექიმმა“ განაჩენივით დაავადო სიტყვა და გაემგზავრა სურნელოვან ამაღასთან ერთად; და მაინც, დარჩა ცნობიერებაში მკვეთრად აღბეჭდილი — deliro, — როგორც სურვილი, ოცნება, ლინგვისტური რებუსი (და არა delirium, როგორც ბრძანა ორმოცდაათს მიტანებულმა „ვუნდერკინდმა“, საკუთარი სრულქმნილების ტყვემ, მარად ნიკიერმა ბიჭუნამ — სათამაშოსავით რომ ეკიდა კისერზე რეგალიებისა და წოდებების ასხმულა).

იგი იღვა კიბესთან.

თავისთავად კიბე დიდ არაფერს წარმოადგენდა; კაცო ვერ იტყოდა, რა არქიტექტურული წარმოსახვის ნაყოფი იყო. საფეხურებს შორის დატოვებულ არეში სწორ ნაკადებად იჭრებოდა მზის სხივი; მსუბუქი კიბე თითქოს სათამაშო ფილებით იყო ნაგები; რუხი და თეთრი ჭარბობდა, უდიდამო, ლატაი ფერი, ზედ მზის ბაქიები მიხტოდნენ.

იგი იღვა კიბესთან და ცდილობდა მოულოდნელობებით აღსავსე სხეულის წამით დავიწყებას. მერე კიბეზე შედგა ფეხი; კიბე ირყეოდა... მას ესმოდა გულის აჩქარებული ფეთქვა; მერე უცებ შეჩერდებოდა გული, გამოტოვებდა დროს. იგიც გაირინდებოდა და უცდიდა, როდის ამოძრავდებოდა მოქანცუ-

ლი ღვუში მის მკერდში; ისევ განაგრძობდა გზას — ერთხელ დაწყებულ გზას საწოლიდან სკამისკენ — და იყო ხელი. მერე რა, თუ ერთი შეხედვით, ბაკანიდან გაქვევებულ კუს წააგვდა... იგი მაინც მამაცი იყო და ხელობდა, რადგან მის სხეულში მოიყარა თავი უამრავმა ტერმინმა; გაოცებდა, ამოქმედდა და ყოველი გადადგმული ნაბაჯი, ყოველი ახალი საფეხური ახალი ბიოლოგიური ერა იყო მისთვის. მას სძულდა სასოება წართმეული ზელ-ფეხი თვისი და ძალადობა მათზე... ოღონდ სიტყვები, უცნობი იღუმალი სიტყვები ახლდა მის წვალებას. სიტყვები ფარზე ამოკვეთილ დევიზებს გავდნენ და იგი მიათრევდა ერთ ისეთ ფარს, Tachycardia paroxysmalis, aritmia perpetua, tensio — ეწერა ზედ; ბერძნულ-ლათინური სიმფონია, უცხო და მიმზიდველი, ლამაზი და სახიფათო.

იგი იპყრობდა კიბეს, იპყრობდა თანდათან, ჯიუტად... პირი უშრებოდა, ხაოიანი ენით ილოკდა დახეთქილ ტუჩებს, ტკიოდა თვალები, სინათლე ჭრიდა; და მაინც, მიიწევდა მალა. ოდესმე ხომ აათავებდა ამ აღმართს და შედგებოდა ზედა ბაქანზე. გადახედავდა ქვეყანას, იმ ქვეყანას, რომლის სიყვარულიც უხსოვარ დროს ისწავლა და რომლის თაობაზეც თავისი წარმოდგენა ქონდა. მას ეს წარმოდგენა შეუქმნა გრძნობამ და გონებამ. მან იცოდა ამ ქვეყნის ფერი და მოძღვრება. მკერდით დაქონდა პატარა მიწის პირმშოს გულისგამხეთქი, აუტანელი სიამაყე და ვიღრე ამ სიამაყის ტარების ძალა შესწევდა, მანამ ეს ქვეყანაც იარსებებდა.



გეომეტრიული წესრიგისადმი. გადაშლილიყო მის წინაშე გულმოდგინედ დალაგებულს, ტრაპეციებად და სწორკუთხედებად დაყოფილი, შეკუმშული სივრცე, ასე თვალშიუტანი რომ ეგონა ოდესღაც.

ამ მიწისკენ მოქონდა მას სხეული, როგორც მიწა მიწისთვის მისამატი. მოქონდა, თითქოს მის გარეშე არსებული, საბედისწერა სრულყოფას რომ მიეღტვოდა.

და იყო კიდევ სხვა, უფრო ღრმა, უფრო არსებითი კავშირი, სახელი რომ არ ერქვა და ვერც იტყოდა, მაგრამ დღენიადგ აწვალებდა — ვინ იცის, იქნებ მისი სენი მხოლოდ მისი არ იყო; იქნებ დაავადებული გული მეტს ნიშნავდა, უფრო ვრცელსა და ყოვლისმომცველს, ვიდრე მისი სიცოცხლე.

ზოგჯერ, უცებ, შეჩერდებოდა გული, გამოტოვებდა რამდენიმე დარტყმას, არ არსებობდა უფრო განსაცვიფრებელი შეგრძნება — გული არ მუშაობდა და მან ეს იცოდა. მერე გული გადაინაცვლებდა სხეულის შუისკენ, შეასკდებოდა მკერდს, იწყებდა ფეთქვას.

იგი კი მოაჯირს ჩაფრენოდა შუა კიბეზე; იქ, ზემოთ, ბოლო ბაქანზე ქარი გლეჯდა ვეება კასრში ჩარგულ პალმის ტოტებს,.. იქიდან ჩანდა ალთქმული ქვეყანა, ასე რომ გავდა რიკოთის ფერ-

დობს შეფარებული ბაზილიკის ფეხქვეშას — ცისფერ ხარებს ხნული გაქვად დათ ზეცის ყამირზე.

იგი ფრთხილად ადგამდა ნაბიჯს. ჯერ ნელა შეაცურებდა ფეხს საფეხურზე, ტოტებს,.. იქიდან ჩანდა ალთქმული მოსინჯავდა; მერე სიმძიმეს გადაიტანდა, დაენდობოდა, შედგამდე მეორესაც, მოითქვამდა სულს.

მერე, ისევ თავიდან...

პალმის მარაო-ტოტები ტყლაშუნით ეხლებოდნენ ერთურთს, თითქოს ტაშით ეგებებოდა პალმა — ბავშვობის ხე. საღლაც ექვანი წყარუნებდა.

თავჩაქინდრული მოჰყვებოდა მდინარე ვერეს ზოოპარკისკენ ჩამოდენილი, დასაკლავად გამეტებული როსინანტი.

შემდეგ...

წამით განათდა ირგვლივ; არარსებულმა სითეთრემ და სიმსუბუქემ მოიცვა ყოველი...

მერე აფეთქდა ცნობიერება, ზეცისკენ აიტყორცნა ათას შუშუნხნად დაქუცმაცებული მისი ტვინი, შეენთხია გუმბათს...

ლორთქო, ნისლოვან სიმწვანეში ჩაწოლილი ქალის სიღრმეში ასე ჩანდა — ემაფოტის წინ იხოქებდა სიკვდილმისჯილი ცხენი.



„შემოდგომის რეჟის“ ერთი უპრცელი

ფოთოლი ჟამთაგვლის ფურცელია, ცვალებად სიცოცხლეს ილოცება, წლის ოთხი დროსავით უცვლელია მისი ცვლა და ფერთა მიმოქცევა. სამყაროს წინაშე მოხასხასე ტკივილით ფეთქდება კვირტებიდან, წარსულზე, აწმყოზე, მომავალზე მის ნაცვლად ფესვები ფიქრდებიან. ხის ძირი ბერდება ნუქრიანი — სიმწვანეს ძალ-ღონე შეაღია... ვის ახსოვს ჯავრი უჩინარი, როცა გარს ფოთლების შრიალა! ოღონდ ეს გალობა სიბერემდის რამ სრულჰყო, რა ძალამ დაასრულა, თუ არა მთვლემარე სიღრმეების სიმებმა მიწაში დაქსაქსულმა! ფესვები — ფუსფუსით დატოტვილი — წიაღმა სიჩუმეს შეაჩვია

და მათი ნაშრომი, ნაყოფივით, პაწია დროშების შრიალშია. ფოთოლთა ბარტყობა გაზაფხულზე თუ არა გგონია სასწაული, — ხე სიბრძნის წიგნივით გადაფურცლე და მაშინ ირწმუნებ განსწავლული, რომ თითო ფურცელიც სამყაროა მიწიერ სიამის, დარდუბალის, რომ ერთის შეფერვაც საკმაოა — სიღრმიდან. ხმა გესმას გარდუვალს... შეხედე, არ გინდა არჩევანი: ჩანს ყოველ ფოთოლში ჩახლართული ძარღვები — ბუნების მარჩენალი — ხისავე ფესვები ჩახატული... მათშია საწუთროს დღეგრძელობა, სიმწვანის საწყისი, საფუძველი... ვამბობ და მეცემა კენწეროდან ფოთოლთა ყვითელი თავფურცელი.

ერთი წაბი სიცოცხლე

ხალხი ნაკადებად მიუყვება ქუჩებს — მოაჯირით შემოღობილს, ფეხქვეშ გათელილი იღუპება ფერი ნაადრევი შემოდგომის. ქრიან მანქანები გამხეცებით, სადაც უადგილო გადასვლისას, თვლებქვეშ ფოთოლივით დავეცემი, შმაგი მდინარება გადამსრისაგს. ერთდროს სათევჯაო პატარების, შფოთავს მოგუგუნე სანაპიროც — რაღაც საშინელი გადარევიო ჩემზე დაგეშილა სანადიროდ. მტკვრისკენ მეზარება გადახედვა — ყვითელ-მწვანედაა ამღვრეული, თითქოს ქუჩებიდან გადახვეტა მთელი შემოდგომა ადრეული. სისხლი ბაცილებით მეწამლება, თავი მიბრუდება ზარ-გუგუნით,

ფილტვებს ძრავებიდან ეძალება მტვერი ატომური საუკუნის. კაფე-რესტორნიდან ალკოჰოლი, ბენზოლ, სტრონიციუმი ქუჩებიდან შსამად ერთდებიან საბოლოოდ და ჩემს არსებაში ქუნდებიან. ბღღვინავს ბობიქარი ასწლეული, ანგრევს პირველყოფილ იდილიას, თუჯის გალიეში ჩამწყვდეული ყველგან მოდარაჯე სიკვდილია. მაგრამ არასოდეს გამექცევა გული აბორგებულ ქალაქიდან, როგორც ვერასოდეს გაეცლება მწვანე დედამიწა გალაქტიკას. და რაც ფუსფუსია, წრიალია, შხამში, საწამლაგში შენარევი, ყველა, ყველაფერი წვრილმანია ერთ წამ სიცოცხლესთან შედარებით.

ჩამორჩა, აკენესდა ფრთადაჭრილი,  
ტკივილმა ბუდეში ჩააწვინა  
და მერცხლის ვეება გასაჭირი  
საწუთროს ერვენა პაწაწინა.  
ერთიან გათუთრდა შავოსანი,  
არ შერჩა სიშავის კვალ-ნიშანი;  
რა გლოვა სცოდნია საოცარი,  
რამსიღრმე ჰქონია კაემანია!..  
და როცა შორიდან მოცვენაილმა  
მერცხლებმა ვერ იცნეს დანათოვლი,

და როცა ჭრილობამორჩენილმა  
ვერ ნახა თავისი თანატოლი...  
ბუდიდან აფრინდა ფრთაგაშლილი  
და სიმწრის წერტილად ავარდნილმა,  
სიკვილთან სიცოცხლის თამაშით,  
მიწაზე ბართქანი გაადინა.  
მერცხალი კვლავ შავად გაიბოლა,  
ხმის აღარ ეწერა ამოღება  
და მთელმა სამყარომ გაიგონა  
ერცასე სიცოცხლის ამბოხება.

### დავიწყების მდინარე – ლეთა

მდინარეების წყება-სიმრავლით  
მწვანე დედამიწა მდიდარია;  
ლეთა რომ მიდის სადღაც უპოვრად,  
წუთისოფელში კვალდაუტოვრად  
ცივისსხლიანის ცივი სრიალით —  
შენი დავიწყების მდინარეა?..

აბა, შეტოპე, ამიშინდება,  
სილა სიმხურვალით დაეწვება.  
ბიჭო, რიონის თიხად ნაწულთ,  
მზით გამომწვართ, მიხვალ სამზულს,  
გატოპავ ლეთას და შეშინდება;  
თვითონ დავივიწყებს დავიწყება.

### დიმიტრი ჯანელიძის ლექსი

...და ყველას თვალბში აღიბეჭდა  
რიდი და უზომო მოკრძალება:  
ძველქართულ თეატრის კარიბჭედან  
ბატონი დიმიტრი მობრძანდება.  
შემოაქვს ნიღბები ძველქართული,  
გარდასულ ხანათა მაჯისცემა  
და უცებ, ჩახმახად შემართული  
ბრძენკაცი ქადაგად გადიქცევა —  
შევიგრძნეთ, შევიცნეთ შეგირდებმა —  
ფიქრები რა როლებს შენატრიან:  
წარსულის აწმყოსთან შერიგება  
ბატონი დიმიტრის თეატრია.  
უმრწემეს მორწმუნის ყურადღებით  
სხვა დროში შევდივართ ოცნებიდან;  
სიზმრული ცეკვები, სურათები,  
ჭრელ-ჭრული ფერები ცოცხლდებიან:  
ყენი შეიპყრეს ბერიკებმა  
და ერთმა მორევში შეათრია...

წრე როცა მარყუჟად შეიკვრება,  
ვხარხარებთ... — ხალხური თეატრია!..  
ქადაგი ქადაგობს რახანია,  
რომ სხვაა სახეთა უკვდავება,  
რომ არა მარტოდენ ფარხმალია,  
რითაც მტერს ქართველი უმკლავდება,  
რომ უნდა ვარდები დავუყაროთ,  
ვინც სცენის კვესი და აბეღია,  
რომ ჯერ არ დადგმულა, სამწუხაროდ,  
ნამდვილი ქართული ტრაგედია...  
და უკვე უკრავენ ნაღარები,  
მთავრდება უსცენო წარმოდგენა.  
დროჟამი მოდგება დაღამების,  
დარბაზი ქუხილით წამოდგება.  
მეც ვდგები და ვყვედრი მეთასედ —  
ვინც ლექსის მორევთან მიმართია,  
როდესაც ამ ცოდვილ ქვეყანაზე  
ბატონი დიმიტრის თეატრია.



ერთ ღროს იმერეთში ერთ კაცს  
 კარგი კარმიდამო ქონდა,  
 ჰოდა, კოპიტეში ეღდა  
 ფაფარხავსიანი ოდა...  
 სამი ბიჭუკელა ფავდა,  
 სამი მოჭიკჭიკე ჩიტო,  
 ქალიც ხასიათით გავდა —  
 გამრჯე, უწყინარი, მშვიდი.  
 მიწას აბრუნებდნენ ბარით,  
 დედა აყვებოდა სამ ხმას,  
 მამა ამძღაფრებდა ბანით  
 ტბილად ამღერებულ სამხარს.  
 ექოს გამოსცემდა წამსვე  
 წაბლის ძველებური სახლი,  
 მათი საგალობლის ხმაზე  
 გზისპირ ჩერდებოდა ხალხი.  
 ხუთივე შეწყობილი კოხტად  
 ერთუთს შემღეროდა ჩრდილში,

ვალი არავისი ქონდათ  
 და არც არავისი შიში.  
 გარჯა, სიმღერები მათი  
 გამომულ საგალობელს გავდა,  
 და არც გასჩენიათ დარდი,  
 ერთი საფიქრალის გარდა!  
 — ეჭე, დაგვიბერდა სახლი,  
 გზისპირ ოჩანით ვეება —  
 თქვეს და აშენება ახლის  
 ძმურად გადაწყვიტეს ძმებმა.  
 ჰოდა... სამოსახლო მამის  
 სამმა სამანებით გაჰყო,  
 და სამ სასახლეში ძმანი  
 სანამ შეგიძლია ნახო,  
 მიდი, მიაკითხე, ოღონდ  
 ღრო არ დაივიწყო მისვლის...  
 მათთან სიმღერები მხოლოდ  
 ცისფერ ეკრანიდან ისმის.

ზამთრის ბალადა

ბაბუამ ქალაქი გაახარა  
 სტივრით და კარდაკარ სიარულით,  
 ბავშვები ხმამაღლა ახარხარა,  
 ღრმა თოვლში გაგორდა მხიარული.  
 თვითონაც იცინა დალოცვილმა;  
 ძლივს ადგა ძალღონემილეული,  
 კალთიდან ვაშლები გადმოსცვივდა,  
 ხურჯინის თვალიდან — ტბილეული.  
 ბერიკაცს ღიმილი ეღვრებოდა,  
 ფაფახი ესურა მწვერვალივით.  
 ფაფუკი წვერები ერსეოდა  
 ჯადოსნურ-ზღაპრული ეღვარებით  
 გარშემო მოისმო პატარები,  
 რაღა არ მიართვა საჩუქრებად!  
 გათოშილ სახეებს ნეტარებით  
 მხცოვანის ღიმილი ამუქებდა.  
 ზოგს ცეცხლი შთაბერა აღმაფრენის,  
 ზოგს სითბო მიუზღო მამველივით,

ზოგს სულაც არ ხედება არაფერი,  
 ზოგს პირი დარჩება დაბჩენილი.  
 მოხუცმა გუდასტირის დაამღერა,  
 ყინვაში თვალევი დაეცრემლა,  
 სამშობლოს უსურვა ამაღლება  
 და ბოლოს ბავშვები ადღევრძელა.  
 ასწია ხელი და... საიდანღაც  
 მის ნაცვლად ბიჭუნა გამოჩნდება:  
 მოხუცი ვერავინ დაინახა,  
 რამ შთანთქა, სად გაქრა საოცრება?!  
 და იყო წელთაცვლის სასჯელივით  
 ჯადოქრის გაქრობა მტკივნეული...  
 ჩვენც ასე — ჭაღარა გაჩენილი...  
 გავღნებით ძალღონემილეულნი,  
 ზოგს ძველი დარჩება დიდებული,  
 ზოგს კიდევ — ძველი წლის დარჩენილი  
 ტკივილი და ცოტა ტბილეული,  
 ზოგს ხელი — ამაოდ გამვერბილი.

სიკვდილის წინ...

მე არც სამშობლოსათვის მიღლატნია არა-  
სოდეს და არც ჩემი მრწამსისათვის.  
როდრიგო როხასი, ჩილე.  
ახალგაზრდა კომუნისტი“

ესროლეთ,  
ესროლეთ!..  
როცა მზე მოკვდება,  
წეროები ფრთებს დაიმსხვრევენ  
და გაყინული ფრინველების სამკუთხედები  
გაგინათებენ.  
ესროლეთ...  
როცა მზე მოკვდება.

გაყინული ფრინველების სამკუთხედები  
გაგინათებენ.  
ესროლეთ,  
ესროლეთ!  
როცა მზე მოკვდება...  
\* \* \* \* \*  
ესროლეთ!



მწვანე ბალახზე  
შენი თეთრი მხრები მოჩანდა,  
შენი ნაზი და სუსტი ტანი  
იდგა ძეწუნებთან, როგორც დროშასთან  
და ირხეოდა ქარი.

ო, არა მზეზე უფრო მარადი —  
აქ შენს სხეულზე აყვავდება  
დუმილის ვარდი.  
\* \* \* \* \*  
ამ დროს  
ყვავილთა უნაზეს ქარებს  
მოაქვს ტყემლების მსუბუქი თოვა.

ო, არა სევდა  
ო, არა ღარდი,

ს ე თ უ

ამ კანცელარულ  
დღეებს მიაქვთ წუთისოფელი.  
და ამ ტონობით შემუსრულ ქაღალდს  
მიჰყვება  
ჩემი გონიერი ძალის მარცვლები.

მოკვდა დუმილი,  
ორჯერ მეტი წვეთი სიცივის.

იყო დუმილი,  
დიდ დუმილში არის სიცივე.  
იყო დუმილი,  
დიდ დუმილში ჩნდება შიშივით  
აზრი სრულიად მოსალოდნელზე..

მადლობელი ვარ  
ამითაც, ჩემო  
სულმოუთქმელო დღეთა უფალო.  
„მადლობელი ვარ“  
ნუთუ? მართლა მადლობელი ვარ  
ამ მშვენიერი ქვის მდინარით,  
ასულატის ტბებით,  
ამ ტანწერწეტა რკინის ყვავილით.  
მართლა,  
მართლა მადლობელი ვარ?

კვდება დუმილი  
წვეთი შიშის,



სად იყავ დღემდე  
 — ვინ ეძახის ჩემს ცისფერ სერებს.  
 სად იყავ დღემდე!?  
 მღუმარებით შემოთოვილი...

მიფრინავს წერო,  
 ნწუსარების ფრთაშლილი წერო,  
 თითქოს ქარისგან მოწყვეტილი  
 თეთრი ყოილი.

**ზ ღ ვ ა ს თ ა ნ**

როს შეღამება დნება თოვლივით  
 უუშორესი პლანეტები  
 მტოვებენ თითქოს.

შემოდი ზღვაო,  
 ააა გული,  
 თუ მქონდა იგი.

შემოდი ზღვაო;  
 უუშორესი პლანეტები  
 მტოვებენ თითქოს.

**გუკამ პეტრიაშვილი**

**ო ნ ბ ა ზ ი**

ერთ თბილ სადამოს  
 არხიანი ოინბაზი  
 ეწვია ქალაქს.  
 გამოვიდა მთავარ ქუჩაზე,  
 ჩამოიღო მხარზე შედგმული გრამოფონი  
 დადო,  
 მომართა  
 და მხიარული  
 დაუკრა ვალსი.  
 მოაწყდა ხალხი...  
 ოინბაზი დახტუნავდა შუა ქუჩაში,  
 გადადიოდა სწრაფად მალაყებს.  
 თავდაყირა დადიოდა,  
 იქნევდა ფეხებს...  
 წამოხტებოდა,  
 ჩამოივლიდა  
 და ხალხს ართმევდა სხვადასხვა ნივთს:  
 ქუდებს და ქოლგებს,  
 ჩანთებს და ბეჭდებს,  
 ხაფუღებს, მარათებს, საათებს, დაწებებს,

პისტოლეტებს, ფანქრებს, სავარცხლებს...  
 მერე იმ ნივთებს  
 ხან გააქრობდა  
 თვალს და ხელს შუა,  
 ხან გააჩენდა,  
 ხან კი ხელებით,  
 მხრებით,  
 ფეხებით,  
 თავით, კურტუშით  
 ათამაშებდა...  
 იფონგლიოთა, ითვალთმაქცა,  
 მერე უკლებლად  
 დაუბრუნა ყველას ნივთები,  
 ისტუნა ბევერი  
 მუსიკის ხმაზე,  
 თავის უბიდან ამოფრენილ  
 დიდ პეპლებს სდია,  
 მერე თავის ჩრდილს  
 ენკება ნაზად  
 და მბულოს — შედგა.

გაიღიმა,  
 თითქოს ამბობდა;  
 ასლა იქნება, რაც იქნება;  
 ასწია ხელი,  
 გრამოფონმა შეწყვიტა დაკვრა...  
 და უცრად  
 ოინბაში  
 ნორჩ ხედ გადიქვა.  
 აყვავილდა ყვავილებით ფერად-ფერადი  
 და შტოების რხევით აპყვა  
 მოვარდნილ ნიავეს...  
 განცვიფრებულნი დარჩნენ მნახველნი.  
 შეტყურებდნენ  
 პაქროვან, ფაფუკ ყვავილებს  
 და ყვავილებზე  
 საღამოს მზის  
 სხივების თამაშს,  
 ტკბებოდნენ კრძალვით  
 და შენატროდნენ...  
 მერე კი ისევ  
 ხე მშვენიერი  
 გადიქვა კაცად,  
 ხალხს მხიარულად ჩაუკრა თვალი,  
 აკრიფა თავის ბარგი-ბარხანა,  
 შეიდგა მხარზე გრამოფონი  
 და გასწია ჩამავალ მზისკენ...  
 ამიოხრა ალტაცებით  
 დიდმა თუ მცირემ  
 და ქალაქის ბოლომდე გააყენენ,

გაცილეს ტაშით, ძახილით  
 და ლამაზი თავსაფრების  
 ნაწი ფრიალით.  
 მერე მობრუნდნენ...  
 იგონებდნენ იმის ოინებს,  
 კვლავ ტკბებოდნენ,  
 კვლავ იდიმოდნენ  
 და ზოგი ძია დარბაისელი  
 უცებ თავისდა მოულოდნელად  
 მალაყებსაც კი გადავიდა...  
 დაღამდა,  
 ჩაქრა  
 სინათლეები.  
 გავიდა ხანი.  
 ვზის ნახევარი გაიარა ზეცაზე მთვარემ.  
 ეძინა ქალაქს.  
 დაიძინეს თავის ბალიშებს ჩახუტებულმა.  
 ოინბაზე უცაბედად შეყვარებულმა  
 ქალიშვილებმაც...  
 და მხოლოდ ხეებს არ ეძინათ  
 მთავარ ქუჩაზე.  
 გარინდულნი,  
 ჩაფიქრებულნი  
 იდგნენ ხეები:  
 „იმ დვითთ დალოცვილს  
 ისე საოცრად  
 თუ შეუძლია რომ აყვავილდეს,  
 ტოტებს რაღად არ იმძიმებსო  
 ნაყოფით ტკბილით?!“

ზურაბ კართლელი

ვივა მოვიდა!..

მოხუცი დედის შეკერილი  
 სათუთი პარკით,  
 ცრემლით გაჟღენთილ, საქართველოს  
 მიწას მოგიტან.  
 გულზე დაგაყრი სიყვარულით

და სიამაყით —  
 შენ ვერ დაბრუნდი შენს მიწაზე  
 სასტიკ ომიდან: —  
 სამაგიეროდ იგი შენთან  
 თავად მოვიდა!..

არაფერია უფრო საბრალო,  
 სევდიანი და გულის გამტეხი,  
 ვიდრე ქუჩაში გადაგდებული,  
 ლურჯი, გამხმარი პურის ნატეხი!

სიცოცხლის წყარო, კაცის იმედი  
 გაქვავებულა, ობდება, ლეება!  
 გადასაგდებად ვინ გაიმეტა!  
 მიკვირს, ვლონდები და მტერიება!

# სსსრ თაჯიკისთვანი

უილიამ უეკსპირი

## ამომ ბარჯა სიყვარულისა

მიმამიღება მორე

სურათი 1. პარტი

შემოდის საფრანგეთის პრინცესა, რომელსაც თან ახლავს სამი ქალბატონი — როზალინი, მარია, კეთრინი, ბოიეტი და ორი სხვა დიდებულიც.

ბოიეტი

პრინცესავ, სწორედ ეხლა გმართებთ სიმაღლე სულის. დაფიქრდით, მეფემ — მამათქვენმა — ვინ გამოგზავნა, ვის კარზე, ვისთან, ამ ელჩობის ჩაა მიზანი: თქვენ, ღირსეული და საქვეყნოდ პატივდებული, აქ მოგავლინათ, სწორუპოვარ ნავარეღთან სალაპარაკოდ, ვინც კაცური სრულყოფილების არის შემკვიდრე ერთადერთი. საქმე ეხება, აღარც მეტი და არც ნაკლები — აქვიტანიას — დედოფლის მზითევს. უნდა ხარჯთ მომზიბლაობა, იყოთ გულუხვი, ვით ბუნება, რომელმაც ასე დაუწოგავად მოგამადლათ სიმშვენიერე, დანარჩენ ქალთა დასაჩაგრად და საზიანოდ.

პრინცესა

ძვირფასო ლორდო, გარეგნობა, ფერი ჩემი თუმცა არაფრით გამოირჩევა, არ დამპირდება თქვენი ქება ფერად-ფერადი. მშვენიერებას კაცის თვალი აფასებს მხოლოდ და არა ენა ბაქია ვაჭრის. ეს ქება ნაკლებ მამაყუბს, ვიდრე თქვენ თქვენი სურვილი მძაფრი — დაიმკვიდროთ ბრძენის სახელი, ჩემს განდიდებას შეაღიეთ თქროპირობა. მაგრამ ჭერ საქმე მოვითავოთ, კეთილო ლორდო, არ შეიძლება არ იცოდეთ — მთელს ქვეყანაში დაირხა ხმები, ნავარეღმა დასდოო ფიცო — სწავლას შეწიროს სამი წელი, ამ ხნის მანძილზე, ვერ მიეასლოს ვერა ქალი მის მყუდრო სადგომს. სწორედ ამიტომ, ვიდრე ჩვენით მივადგებოდეთ აკრძალულ კარებს, გვსურს შევტყოთ მეფის განზრახვა — ბრძანოს, რამდენად ეამება სტუმრობა ჩვენო. ვიცით რა თქვენი ღირსება და მამაცობანი, შუამავლად გირჩევთ, გადაეცით როგორმე მეფეს —

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 10, 11.



ასული ფრანგთა ხელმწიფისა შეხვედრას ითხოვს.  
ველარ მოიომენს დაყოვნებას საქმე საშურო,  
პირადად მინდა ხელმწიფისთან მოთათბირება.  
იჩქარეთ ამბის გადაცემა, ხოლო მანამდე  
მის განჩინებას მორჩილებით დაველოდებით.

ბოიეტი

ოქვენს დავალებას სიამაყით დახვედრა შეენის.

პრინცესა

სამო გახლავთ სიამაყე, მით უფრო — ოქვენი.  
ხომ ვერ შეტყობდით, ვინ არიან დანარჩენები,  
აღოქმა რომ დადეს გულმოდგინედ მეფესთან ერთად?

პირველი დიდებული

ერთ-ერთი ღირსი ლონგვილია.

პრინცესა

პირადად იცნობთ?

მარია

მე ვიცნობ. იგი გავიცანი ნორმანდიაში,  
დიდებულ ქორწილს ვესწრებოდი, ღორღ პერიგორი  
ჩემ ფალკონბრიჯის პირმშვენიერ, ლამაზ ასულზე  
ქორწინდებოდა. იქ შევხვდი ლონგვილს.  
საუკეთესო თვისებებით გახლავთ შემკული,  
უზადო მცოდნე ხელოვნების, ომში — მამაცი.  
აკეთებს, რისი გაეთებაც მოესურვება.  
მისი სიქველის ბრწყინვალეობას ერთი აქვს ლაქა,  
ოუკი შებღალვა შეიძლება სიამაყისა;  
დაწყვილებია ნება მკაცრი მახვილ გონებას,  
დაუნდობლად კვეთს და სხეპავს გონება ბასრი,  
ბრალი იმისი, ვინც გაბედავს და დაუღებია.

პრინცესა

ლხინი, ლაციწვა ყვარებია, თუ არა ვცდები.

მარია

დიდი ხუმარა ვინმეაო, ამბობენ სხვებიც.

პრინცესა

აღრე ყვანილობს მსგავსთა ნიჭი, აღრევე ჰქენება.  
დანარჩენები ვინ არიან?

კეთრინი

ყრმა დიუმენი,

ზრდილი, სიკეთის მოყვარული, თავადაც უყვართ.  
დიდიც შეეძლოს ბოროტება, არას ჩაიდენს,  
თუ მოინდობა, ბოროტებას სიკეთედ აქცევს,  
ნომხობლავია, რომც ნასახი არ ჰქონდეს ჰკუის.  
ის აღენსონთან გავიცანი, რომ სასახლეში  
ვყავი სტუმრად, მაგრამ ვატყობ, რომ ოდნავადაც  
ვერ გადმოგვით ღირსებანი ღირსეულ კაცის.

როზალანა

მათივე წრიდან იმ დიდებულ საკრებულოში  
ერთიც ვერა, მახსოვრობა თუ არ მალატობს,  
ზირინი ერქვა, მხიარული იყო უზომოდ.  
თუმცა ხუმრობის მან იცოდა ზომა, სახლვარი,

მე მსგავსი კაცი არ შემხვედრია,  
ფეხები გახლავთ შემწე მისი ჭკუა-გონების,  
ფეხლაფერს, რასაც იხილავენ, უმალ აწვდიან,  
ვით ოხუნჯობას ლალს და მხიარულს.  
მზად არი ენა — დახვეწილი და გაწაფული —  
სიტყვებს, ხუმრობის შესაფერისს, შეარჩევს ისე,  
ხანშიშესულებს სიამეს გვარის მისი მოსმენა,  
ყმაწვილკაცები მოხიბლულნი მისჩრებოიან, —  
რას იტყვის იგი, მოხდენილი, ტკბილმოუბარი.

პრინცესა

ღმერთო გვარადეთ, კეთილებო! როგორც ეტყობა,  
შეუკარებელი უნდა იყვნენ, იმდენად აქვს,  
იმდენი ღობა დაანარჩეს თავიანთ რჩეულს.

პირველი დიდებული

მა, ბოიეტიც.

პრინცესა

როგორია პასუხი, ლორდო?

ბოიეტი

ნავარულს თქვენი მობრძანება სცოდნია უკვე,  
თითონაც, სხვებიც, უმკაცრესი რომ დადეს აღთქმა,  
მზად იყვნენ თქვენთან შესახედრად, კეთილშობილნი.  
ჩემს იქ მისვლამდე. მე ახლახან გავიგე მხოლოდ:  
ჩვენს მინდორში ურჩენია დარჩენა თქვენი —  
თითქოსდა ალუა შემოარტყით სამოყფელს მისას —  
ვიდრე გატეხოს დადებული საქვეყნოდ ფიცი  
და უკაცრიელ სასახლეში შეგიპატოოთ.

(ქალები ნიღბებს იკეთებენ.)

შემოდინ მეფე, ლონგვილი, დიუმენი, ბერონი და მათი თანმზ-  
ლებნი.

აი, თვით მეფეც.

მეფე

მშვენიერო პრინცესავ, კეთილი იყოს თქვენი სტუმრობა ნავა-  
რელის სასახლეში.

პრინცესა

„მშვენიერს“ უკანვე გიბრუნებთ; სტუმრად კი ჭერჭერობით  
ვერ ჩავთვლი ჩემს თავს. თალი ამ სასახლისა, ძალზე მაღალია სათ-  
ქვენოდ, ხოლო გაშლილ მინდორზე სტუმრობა ფრიად მამდაბლებს  
მე.

მეფე

თქვენ შეგიძლიათ იყოთ სტუმარი, ჩემი სასახლის.

პრინცესა

თუკა ასეა, მაშ წავგიძეხით.

მეფე

საქმე ის გახლავთ, ძვირფასო ლედი, მე ფიცი დავდე.

პრინცესა

ღვთიშობლის კალთა დაგიფარავთ, გატეხეთ ფიცი.

მეფე

ფიცს ვერ დავარდევ ჩემივე ნებით.

პრინცესა

მხოლოდ თქვენივე ნებით მოხდება ფიცის გატება.

მეფე

არ იცის თქვენმა მოწყალებამ, რას ითხოვს ჩემგან.

პრინცესა

ჩემო ხელმწიფე, მირჩევნია არცოდნა ბრძნული,  
ვიდრე იმ ცოდნით უმეტრების დადასტურება.  
გავიგე, აღთქმა მიგვიციათ განდევნილობის.  
დიდი ცოდვაა ამნაირი ფიცის დადება,  
არანაკლები — დარღვევა მისი.  
ახლა კი უნდა მომიტევოთ კადნიერება;  
მასწავლებელს რომ ვასწავლიდე, ეს არ შემფერის.  
ჰქენით სიკეთე, წაიციოხეთ თქვენთან ჩამოსვლის  
მიზეზი, მალე მიპასუხეთ ჩემს სათხოვარზე.

(აწვდის გრაგნილს.)

მეფე

იმდენად მალე, რამდენადაც მე შემეძლება.

პრინცესა

რაც უფრო ადრე მიპასუხებთ, ადრევე წავალ,  
ხოლო თუ დავრჩი, აღთქმას თქვენსას ძალა ეცლება.

ბერონი

მე და თქვენ ხომ არ გვიცეკვია ბრახანტში ერთად?

როზალინი

მე და თქვენ ხომ არ გვიცეკვია ბრახანტში ერთად?

ბერონი

არ შეეკვება, რომ ასე იყო.

როზალინი

მაშ რად დაგპირდათ შეკითხვა ფუჰი?

ბერონი

ზედმეტად ჩქარობთ.

როზალინი

თქვენი შეკითხვით დევი მკარით და ამაჩქარეთ.

ბერონი

თქვენ ტყინი ვიხურთ და მომქანცველ პენებას ვხედავ.

როზალინი

მანამ, იცოდეთ, შიგ ტალახში მოვისვრი მხედარს.

ბერონი

რა დროა ახლა?

როზალინი

როცა ბრიყვი იძლევა კითხვას.

ბერონი

მშვენიერება შერჩენოდეს თქვენს ნიღაბს დიდხანს!

როზალაინი

სახეს გულისხმობთ ამ ნიღაბში, არის აშქარა!

ბერონი

მინდა გისურვოთ სატრფოების მთელი ლაშქარი!

როზალაინი

ამინ, უველაზე თანახმა ვარ, თქვენზე კი არა.

ბერონი

რახან ასეა, წავედი, კმარა.

მეფე

მე მატუობინებს მამათქვენი ასი ათასი  
კრონის გადახდას; ეს ამ თანხის ნახევარია,  
მან რომ ისეხა მამარემისგან  
და მერე ომებს მოახმარა გაუთვებელს.  
მე ან მამარემს თუნდ მიგველო აქ ნახსენები  
თანხა, თვალითაც რომ არ გვინახავს,  
ერათი ამდენი თქვენზე რჩება, რაშიც გირაოდ  
დავითოვებდით იმ ნახევარ აქვიტანიას,  
თუმც, კაცმა რომ თქვას, არც ღირს ამდენი.  
ხოლო თუ ახლა მამათქვენი — ხელმწიფე ფრანკთა —  
გადახდოდა მთელი ვალის თუნდაც ნახევარს.  
უღაპარაკოდ დავუთმობდი აქვიტანიას.  
და ადვადგენდით ახლობლობას, მეგობრულ კავშირს  
მავრამ, იტუობა, ის ნაკლებად ფიქრობს ამაზე,  
პირიქით, ჩემგან ელოდება ასი ათასი  
კრონის მიცემას, ხოლო როცა მე ჩავაბარებ  
ამ ასათასს, მუისვე მითმობს აქვიტანიას,  
არავითარი არ დარჩება თავად უფლებმა.  
მე კი, პირადად, სხვა რაიმეს ვაძგობინებდი;  
აქვიტანიას — ღონემისდილს, დაუძღურებულს —  
ბევრად მერჩივნა მამარემის მიმელო სესხი;  
ძვარჯასო ლედი, ოდნავ მაინც რომ იყო ახლოს  
სურვილი მისი გონივრული მოთხოვნისაგან,  
მე დავიხედვი, თუნდაც თქვენი მშვენიების ხაზრით.  
და საფრანგეთში კმაყოფილი დაბრუნდებოდით.

პრინცესა

წარმოუდგენლად დაამცირეთ თქვენ მამარემი,  
თქვენი ღირსებაც დამდაბლა ამ საქციელმა  
უარყოფთ უოვლად უკადრისად მის მიღებას,  
რაც პატიოსნად გადახდილია.

მეფე

დავითოვადვი, არაფერი მსმენია მსგავსი.  
თუ სიმართლეში დამარწმუნეთ, უკან გიბრუნებთ  
აქვიტანიას ან ამ თანხას.

პრინცესა

სიტუვა სიტუვაა.

ზოიეტ, მეფეს შეგიძლიათ თქვენ წარუდგინოთ  
ის ხელწერილი, მამ.მისის ხაზინადართა  
დამოწმებული.

მეფე

სი.მოვნებით.

ბოიტი

მინდა გაუწუოთ, ქალბატონო, პაკეტი, სადაც  
ის ხელწერილი და სხვა მსგავსი საბუთებია,  
არ ჩამოგვსვლია ჯერჯერობით. ხვალ მოგერთმევათ.

მეფე

მე მოხარული ვიქნებოდი. ვნახავ საბუთებს,  
რისი დათმობაც შეიძლება უველაფერს დავთმობ.  
ახლა კი დროა, პატიოსან ჩემს მოწვევაზე  
მომცეთ დასტური, არ შებღალავთ პატიოსნებას,  
უფრო და უფრო დამშვენდება ღირსება თქვენი.  
რახან კარიბჭეს სასახლისას ვერ ვადმოსცდებით,  
აქ, ამ მინდორში, მშვენიერო პრინცესავ, ისე  
მიგიღებთ, თითქოს ჩემი გული დამეთმოს ბინად,  
თუმცა სასახლის დასშუღლია სავანე მყუდრო.  
თქვენმა სიკეთემ მამატიოს, ახლა ნახვამდის.  
ხვალ უსათუოდ მოგიწახვლებთ.

პრინცესა

სულ იდევგრძელეთ, არ მოგაკლოთ წუალობა ღმერთმა!

მეფე

უველა სურვილის ასრულებას გისურვებთ ერთად.  
(მიდის ამალითურთ).

ბერონი

ღეღი, მე მსურდა თქვენთვის საკუთარი გული წარმოგედგინა.

როზალანდი

წარმოდგენილი მაქვს, როგორიც იქნება, სიამოვნებით დავხე-  
დავდამ.

ბერონი

მინდოდა მოგესმინათ მისი კვნება

როზალანდი

სულელი, ავად ხომ არ არის?

ბერონი

გულთ ვარ ავადმყოფა.

როზალანდი

სისხლი გამოუშვი ცხელო.

ბერონი

სისხლის გამოშვება შევლიხ?

როზალანდი

ჰო, სიტყვას დაენდე ჩემსას.

ბერონი

მამ თეალი მაძგრე ნემსად.

როზალანდი

ჭობდა გამეუარა დანა.

ბერონი

ო, ღმერთო, მიმეტებთ განა!

ბოზალანი

ვერ გეტყვი, იცოცხლო დიდხანს.

ბერონი

მადლობა როგორღა გითხრა.

(განზე გადაგება).

დიუმენი

არ ვიცნობ იმ ქალს, მკლავს წადილი წრეგადასული.

ბოიეტა

კეთრინი ჰქვია, ალანსონის გახლავთ ასული.

დიუმენი

მშვენიერია. კარგად გნახეთ, ბატონო ჩემო.

(გადის).

ლონგვილი

აი, რხ, თეთრი რომ აცვია, ვინ არის ნეტავ?

ბოიეტა

ვინ უნდა იყოს, ქალი გახლავთ, თავადაც ხედავთ.

ლონგვილი

ვიცი, ქალია, რას უხმობენ, შითხარ, სახელად.

ბოიეტა

ერთი სახელი ჰქვია მხოლოდ, მიქერს გამხელა.

ლონგვილი

შითხარით ვისი ქალიშვილია.

ბოიეტა

როგორც მსმენია — საყუთარ დედის.

ლონგვილი

პირდაპირ გეტყვით — ყოფილხართ უბედო.

ბოიეტა

ბატონო ჩემო, ნუ ბრაზობთ ასე;  
ასული გახლავთ ფალკონბრიჯისა.

ლონგვილი

ხომ ხედავთ — უკვე დამიცხრა ბრაზი.  
რა მშვენიერი, სათნო ქალია.

ბოიეტა

სწორედ ასეა, რაც მართალია.

(ლონგვილი გადის).

ბერონი

ეს ვინღა არის, რომ ხურავს ქუდი?

ბოიეტა

როზალანი, რა ნახეთ ცუდა.

ბერონი

გასათხოვია თუ გათხოვილი?

ბოიეტი

რაც არი, თავად იცის უოველი.

ბერონი

დავშთები თქვენი მოყვარული, ნახვამდის ახლა!

ბოიეტი

„მწვიდობით“ ჯობდა, თქვენ მოგიწევთ შეხვედრაც, ნახვაც.  
(ბერონი ვადის, ქალები ნიღბებს იხდიან.)

მარია

ესეც ბერონი. ხუმარაა განთქმული იგი;  
ხუნრობად მოსდის უოველი სიტყვა.

ბოიეტი

ხუმრობა მისი არის ფუფე სიტყვების რიგი.

პრინცესა

მწვენიერად ტუქსავთ, ეკუთვნოდა სწორედ ვინება.

ბოიეტი

გულით მიწლოდა მასთან შებმა და შერკინება.

კეთრინი

ორი რაინდის დუელი ცხარე!

ბოიეტი

ჯობდა, რომ გეტყვათ — ცხვარი.  
მე ბატკანი ვარ, უნდა ვიგემო  
თქვენი ტუჩების ცვარი.

კეთრინი

თქვენ ცხვარი ხართ და მე — სამოვარი,  
გქონიათ პირის გემო.

ბოიეტი

საუკეთესო საბალახოა  
(კოცნას დაუპირებს) .

კეთრინი

არა, პირუტყვო ჩემო.

განა საერთო საბალახო ვარ, ერთიც მეყოფა მწუქმსად.

ბოიეტი

მაშ ვის ეკუთვნის ეგ სამოვარი?

კეთრინი

მე და ფორტუნას ჩემსას.

პრინცესა

ორი მახვილი ჭკუის არ ღირს შეხლა, კამათი,  
რა უნდა მოგვცეს ერთმანეთში დაღვრილმა სისხლმა,  
აჯობებს — მეფეს, მის მწიფნობრებს დავატუდეთ რისხვად.

ბოიეტი

ჩემს მხედველობას არაფერი დაემალება,  
გულის დაღადისს ამხელს თვალეები.  
უძუქმელია, ავად არის ნავარიელი.

**პრინცესა**

კი მაგრამ რისგან?

**ბოიეტი**

ტრფობის ალი ტანჯავს ძლიერო.

**პრინცესა**

რაა ნიშანი?

**ბოიეტი**

ხმას არ იღებს, დამდგარა უფრად,  
ანთებულ თვალთა დარბაზებში სურვილი უჩანს.  
გული მეფისა აქათია, შენი ხატება  
შინ აღბეჭდილა, სიამაყე თვალს ემატება,  
ენა იმისი, აღრე დუმილს გადაჩვეული,  
ახლა ბორძიკობს, მხედველობად არის ქცეული.  
უნარი ხილვის... მისკენ ილტვის გრძნობა უოველი,  
მშვენიერების რომ შეიგრძნონ შუქი ცხოველი.  
და ეს გრძნობები მეფის თვალში ისე მოჩანან,  
ბროლის ქურჭელში როგორც თვლები პათიოსანი.  
გვერდით ჩავლილი შეჩერდები საუილადად, რადგან  
ბროლი უბრუნებს ელვარებას თვითვეულ მათგანს.  
მის მოწყურებულ თვალებს სატრფოს სწადია ნახვა,  
სახის მინდორზე აწერია სურვილი, ზრახვა:  
აქვიტანია შენი იყოს, მთლიანად ვითმობ,  
ოღონდ შაგემე ერთი კოცნა, ალერსი, სითბო.

**პრინცესა**

კარავისაქენი ბოიეტი მონაა ნების...

**ბოიეტი**

ვთქვა უოველივე, რაც იხილეს თვალბმა მეფის.  
პირე ვარ მისი თვალბნისა და ამის გარდა,  
ტუულის არ იტყვის ენა ჩემი, სულ ამბობს მართალს.

**მარია**

გეტყობა ძველი მაქანკლობა, რა ქსელღებს ხლართავ.

**კეთრინა**

ბაპაა ჩვენი ბოიეტი თვითონ ამურის.

**როზალიანა**

ვენერა, სახით, მხოლოდ დედას დამგვანებია,  
რადგანაც მამა მახინჯი ჰყავს და უამურო.

**ბოიეტი**

გესმით თქვენ ჩემი, გიჟმაუებო?

**მარია**

არა.

**ბოიეტი**

რას გეტყვით, იცით?

**მარია**

ღუა მოგვე, კმარა.

**ბოიეტი**

თქვენ დამატებავთ ჭირსა და ვარამს.

(გადიან).



გოგამედება მისამი

სურათი 1. პარკი.

შემოდინ არმადო და ფარვანა.

არმადო

მიმდერე, ბიჭუნავ, აღაგზნე სმენა ჩემი.

ფარვანა

კონკოლინელი

არმადო

საუცხოო მელოდიაა. ვასწი, უნაზესო ულორტო ხიუმაწვილიხავ. აპა, გამომართვი გასადები, გაათავისუფლე ის გლეხუჭა და აქ მომგვარე სასწრაფოდ. მისი ხელით ბარათი მინდა გავუგზავნო შეუვა-ვარებულს.

ფარვანა

თქვენო კეთილშობილებავ! არა ვსურთ, ფრანგულად მოინადი-როთ სატრფოს გული?

არმადო

ეს რაღას ნიშნავს? ფრანგულად უნდა ვემუსაიფო?

ფარვანა

არა, ჩემო სათაყვანებლო ბატონო! თქვენ ენის წვერით უნდა სტვენდეთ და ჩამუნლული ცვიკვადეთ, თან თვალები ატრიალოთ, ნოტა ნოტას მიაყოლეთ, ხან უფლიდან ამოსტკვით, თითქოს გადაუ-ლაპეთ სიყვარული, ოდეს ამ სიყვარულს უგალობდით, ხანაც — ცხვირიდან, თითქოსდა შეისუნთქავთ სიყვარულს, ოდეს მას უნო-სავთ, ქული ისე უნდა გქონდეთ ჩამოფხატული თვალეზზე, როგორც ფარდულა ჩამომხობილი დაზღწე, ხელები ჩაფართხუნებულ ფილე-ტზე გადაიჭვარდინეთ, შამფურგაყრილ კურდღელივით, ან ჭიბე-ტში ჩაიწყვით, როგორც ძველებურ სურათებზე გამოხასხულ მამაკა-ცებს აქვთ; და კიდევ, დიდხანს ნუ დაუოვნდებით ერთ მოტივზე, იმწამსვე ახალზე გადადით. აი, ამგვარი ხერხებითა და ფანდებითა ახამენ მახეში მშვენიერ ქალებს, რომლებიც უამისოდაც მოტუქ-დებოდნენ; მამაკაცები ამით ხდებიან საუურადღებონი — უურად-ღეთ ჩემი სიტყვა — ამიტომაც, მრავალი ადგას ამ გზას.

არმადო

როგორ დაავროვე ამოდენა გამოცდილება?

ფარვანა

გროში დაკვირვების ფასად.

არმადო

თუშვალა... თუშვალა...

ფარვანა

დავიწყებულია აჩუ-ცხენი.

არმადო

ჩემს სიყვარულს ეძახი აჩუ-ცხენს?

ფარვანა

არა, თქვენო კეთილშობილებავ, აჩუ-ცხენი კვიცია, თქვენი შეუ-ვარებული კი, ადვილი შესაძლებელია, გახედნილიც იყოს. ხომ არ დაგვიწყუნიათ შეუვარებული?

არმადო

თითქმის.

ფარვანა

ჯარმაცე შეგირდი ზეპირად, გულდაგულ უნდა ისწავლოთ.

არმადო

გულდაგულაჲ ვისწავლე და გულშეიც ჩავიბეჭდე, ჩემო ბიჭუნავ!

ფარვანა

და გულს გარეთაც, თქვენო კეთილშობილებავ, სამთავე შემოდ-  
ლია დავიმტკიცოთ.

არმადო

რა უნდა დამიმტკიცო?

ფარვანა

თუ ბიჭი ვარ, დავიმტკიცებ; თანაც სათითაოდ, ამავე წამს. გუ-  
ლით იმიტომ გიუვართ იგი, რადგან თქვენი გული ვერ მიეახლებო-  
მას; გულში — იმიტომ, რომ თქვენი გული მის სიუვარულშია გახ-  
ვეული, გულს გარეთ კი იმიტომ გიუვართ, რომ საკუთარ გულს  
ტოვებთ, ვინაიდან იმ ქალს ვერ ეუფლებით.

არმადო

და ეს სამივე, ჩემზეა.

ფარვანა

სამჯერ სამივე რომ იყოს, არაფერი გამოვიდოდა.

არმადო

მომიყვანე ის გლეხებუა. წერილი უნდა გავატანო.

ფარვანა

შესაფერი ამანათია: ვირს ცხენი მიუვა ელჩად.

არმადო

რაო, რა თქვი?

ფარვანა

არაფერი, სერ, აჯობებდა ეს ვირი ცხენზე შეგესვათ და ისე გა-  
გეგზავნათ, საშინლად ზანტია. წავედი.

არმადო

ღაღი გ'ზა არ გიღევს, გავარდო.

ფარვანა

ტყვიასავით გავჭანდები, სერ.

არმადო

ამით რისი თქმა გინდა, ჩემო მახვილგონიერო ბიჭუნა? განა  
ტყვია მძიმე, ტლანჭი, მოუხეშავი ლითონი არ არის?

ფარვანა

Minime!, ღირსეულო მოძღვარო, ან, უკეთ რომ ვთქვათ, მოძ-  
ღვარო, ნამდვილად არა.

არმადო

მე ვამბობ — ტყვია ზანტია.

ფარვანა

თქვენ ძალზე ჩქარობთ, სერ, ამას რომ ამბობთ: განა ზარბაზნის  
ლულიდან გასროლილი ჭურვი ზანტია?

არმადო

ტკბილო კვამლო რიტორიკისავ! მე ზარბაზნის ლულას შემედა.

1 ყველაზე ნაკლებად (ლათ).

რა, თავისი თავი — ყუმბარას. ასე რომ შენი თავი უნდა ვერსოლო  
იმ შეჯოგეს.

ფარვანა

მაშ გამისროლეთ, მივფრინავ.

(გაღის).

არმადო

რა გამპრიახი უმაწვილა, მეტყველი ლაღაღ!  
დასტური მომცა, ოსვრას ვუთელი მე ზეცას მაღალს;  
ო, სიმაჰაცვე, შენ დამტოვე და სევდა მაღაღეს.  
დაბრუნებულა დესპანი ჩემი.

(შემოდინ ფარვანა და გოგრა).

ფარვანა

სასწაული, ჩემო ბატონო, გოგრას წვივი მოუტეხია.

არმადო

რასი გჳირდება ეგ ქარაგმები, გამოცანები, პირდაპირ შეგონება-  
ზე გადადი, რა დროს წვივია.

გოგრა

რისი ქარაგმა, რისი გამოცანა, რა ქონება, რა შეგონება. მხო-  
ლოდ მრავალძარღვა, ერთი ჩვეულებრივი მრავალძარღვა მომეცით,  
სერ. არც ქონება მინდა და არც შეგონება, სერ, მხოლოდ მრავალ-  
ძარღვა.

არმადო

სინდისს გეფიცები, ვააცინებ კაცს. შენი სისულელე ნაღველს  
მიქარვებს; ფილტვები ისე მაქვს დაქიმული, უადგილოდ მეღიმიება.  
ო, მომიტევე, ჩემო მთიებო. ამას ქონება და შეგონება ერთმანეთში  
ერევა.

ფარვანა

ეს სომ ჭკუათმყოფელსაც აერეოდა, სერ, ვანა ქონება და შე-  
გონება ერთი არ არის?

არმადო

ო, არა, პაუო! შეგონება დასკვნაა, რადგან,  
იგი ფენს ნათელს და განმარტავს ქარაგმად ნათქვამს.  
მაგალითს გეტყვი:

მაიმუნი, კრაზანა და მელა,

კენტი გახლავთ, რომ შეეკრიბოთ ყველა.

ეს იგავია. ახლა — შეგონება.

ფარვანა

შეგონებას მე დავურთავ. ერთი ხელახლა თქვით იგავი.

არმადო

მაიმუნი, კრაზანა და მელა,  
კენტი გახლავთ, რომ შეეკრიბოთ ყველა.

ფარვანა

საკმაოა, მიემატოს ბატი,  
წუვილს მოგვცემდა ჩვენ შეეკრება მათი.  
ახლა მე წამოვიწყებ იგავს და თქვენ შეგონება მიადევნეთ.

მაიმუნი, კრაზანა და მელა,  
კენტი გახლავთ, რომ შეეკრიბოთ ყველა.

არმადო

საკმაოა მიემატოს ბატი,  
წუვილს მოგვცემდა ჩვენ შეეკრება მათი.

ფარვანა

საუცხოო რამ არის, ბატი გერგოთ შეგონებად. უკეთეს ვერც  
ისურვებდით.

გოგრა

ბატი მიჰყიდა ბიჭმა პატრონს, საქმეა ცხადი!  
სერ, ნუ ინადვლებთ, თუ მსუქანი გამოდგა ბატი.  
ივაჭრა, ყველა ვააცურა, ყველას უგანა  
და შეგონებად დაითრია ბატი მსუქანი.

არმალო

რას მოვაყოლებთ, უოველივე დავეწყეთ რითი?

ფარვანა

გოგრა დაკოქლდა და ტკივილი აწუხებს დიდი,  
ეს გამცნეთ, თქვენ კი შეგონება მომთხოვეთ მუისვე.

გოგრა

დიას, შე ვწუხდი, მრავალძარღვას ვითხოვდი რიდიო,  
როდესაც ბატი შეგონებად მოგვიდათ ბიჭმა;  
ეს იყო თქვენი ვაჭრობის მიჯნა.

არმალო

მომიყვეთ როგორ მოიტება გოგრამ წვივი.

ფარვანა

შე მოუყვები ამას ვრძნობით.

გოგრა

შენ ხომ ეს არ ვიგრძენია, ფარვანავ, ამაზე მე ვიტყვი შეგონებას.  
აქეთ მოგზაობდი, თუმც მერჩია სადგომი ცივი,  
ზღურბლზე დავეცი, მოვიტეხე შე — გოგრამ — წვივი.

არმალო

გთხოვთ, მეტად ნულარ შევეხებით ამ საგანს.

გოგრა

სანამ აღარაფერი დარჩება ჩემი წვივისაგან.

არმალო

გოგრაჲ, შე მინდა — შენ თავისუფალი გაგზადო.

გოგრა

რა მაცვია, რომ გამხადოთ. მე ბატის სურნელი მომდის, იმას  
ვამჯობინებდი შეგონებად.

არმალო

სინდისს გეფიცები, განზრახული მაქვს გაგათავისუფლო, დაგის-  
ხსნა. შენ ხომ დატუსაღებულნი იყავი, დამწვედეთუმი, გაკოჭილი,  
შეკრული.

გოგრა

ახეა ქეშმარიტად. მამ თქვენ ჩემი საფარათო ზეთი უოველი-  
ხართ და გამხსენით.

არმალო

შე შენ თავისუფლებას განიჭებ, საპრობილედან გამომყვებარ;  
ამის საფასურად მხოლოდ ერთს გთხოვ: ეს ბარათი უაქნეტას გადა-  
ეცი. გოგნის ქალს (აწვიდის წერილს). ესეც გასამრჯელო, საუკეთე-  
სო დასტური ჩემი სინდისისა, რომ ხელქვეითებს მუდამ ვასაჩუქ-  
რებ. აბა, ნოწვევი, პეპელავ.

(გადის.)

ფარვანა

როგორც დახაწვის — გაგრძელება. სენიორ გოგრა, მშვიდობით.

გოგრა

ო, ჩემო ერთო ციციქნავ, ჩემო ჩახაულაპო!

(ფარვანა გადის.)

ახლა ვნახთ რაღას ნიშნავს მისი გასამრჯელო. გასამრჯელომ ლათინური სიტყვა უოფილა და სამი ფარტინგი ღირებულა. სამი ფარტინგი-გასამრჯელო. „რა ღირს ეს ზონარი?“ — „ერთი პენსია“. „არა, მე გასამრჯელოს ვადავიხდით“. აი ეს შესმისი გასამრჯელო ვაცილებით უკეთ შღერს, ვიდრე ფრანგული კრონი. უამსიტყვოდ არაფერს ვიყვიდი და გაყვიდი.

(შემოდის ბერონი.)

ბერონი

ჩვენს საუვარდელ, ცუდლულტ გოგრას ვახლავარ, სწორედ რომ დროზე შეგხვდი.

გოგრა

მითხარით ღვთის გულისათვის, რამდენი აღისფერი ღღნტი მომივა გასამრჯელოთი?

ბერონი

მერედა, რამდენია გასამრჯელო?

გოგრა

რა უნდა იყოს, სერ, სამი ფარტინგი.

ბერონი

ჰოდა, ამრეშუმიც სამი ფარტინგისა მოგივა.

გოგრა

დიდად გმადლობთ, თქვენო ბრწყინვალეზავ! ღმერთო იყოს თქვენი მფარველი.

ბერონი

დაიცა, ბიჭო, საქმე მაქვს შენთან. კეთილმო მონავ, თუ გსურს გული მომიგო ჩემი, ის აღასრულდე, რაც უნდა გთხოვო.

გოგრა

კი მაგრამ როდის?

ბერონი

ამ საღამოსვე.

გოგრა

ნუ გეღარდებათ, ავასრულებ. კარგად მენახეთ.

ბერონი

შენ ხომ არ იცი, რა დავააღებ?

გოგრა

შევასრულებ და მეცოდინება.

ბერონი

ეშმაქის კერძო, ეს მანამდე უნდა იცოდებ.

გოგრა

ხვალ დილით უნდა მივაღებ თქვენს ბრწყინვალეზავს.

ბერონი

ეს ამ საღამოსვე უნდა გაკეთდეს.  
მისმინი, მონავ, დავალება ასეთია:  
მალე პრინციესა სანადიროდ გამოვა პარკში,  
მასთან იქნება ერთი ლედი, კეთილშობილი.  
ვისიმე ბაგე თუ უნაზესს წარმოთქვამს ბგერებს,  
მხოლოდ მას სახედა, როზალიანს მას ექაზიან.  
გაიხმე უაზრე და ქათქათა, ფაფუკ ხელებში  
მიეც ბარათი საიდუმლო. აჰა, შენ ჭილდო;  
ახლა კი ვასწი.

(აძლეც შილინგს).

გოგრა

ჭილდო! ო ტკბილო ჭილდო! ჯობიან გვასამრჩელო; თერთმეტი  
პენსთა და ერთი ფარტინგით ზეტი ხარ; სანუჯვარი ჭილდო! ყვე-  
ლაფერს ზუსტად ვადაკეთებ, სერ, როგორც მიბრძანეთ. ჭილდო —  
გვასამრჩელო!

(გადის.)

ბერონი

დალაზეროს ეშმაკმა, ნამდვილად შეეყვარებული ვარ; თანაც მე,  
სიყვარულს ძალღადაც რომ არ ვაგდებდი.

მე, ვინც გასაქანს არ ვაძლევდი ოხვრებს ვნებიანს,  
კრიქაში ვიდექ, მეთვალყურე ვიყავი ღამის;  
არა მგონია, მედიდური მომღვაირი უმაწვილს  
ისე სასტიკად მოქცეოდეს, როგორც მე — იმ ბიჭს.  
თვალახვეული, ჭირვეული, ბრმა და მტირალა, —  
გოლიათ-ჭუჭა კუბადონი, ბერი უმაწვილი,  
რითმების გამგე, გადაქდობილ მკლავთა ბატონი,  
მეფე ოხვრათა და კვენსათა, მირონცხებული,  
უსაქმურთა და უმადურთა ძველი მფარველი,  
მრისხანე პრინცი კაბეზისა, შარვალთ ხელმწიფე,  
იმპერატორი ერთადერთი, მთავარსარდალი  
ახურებულთა. ო, სისუსტეც, სულმოკლეობაც.  
ამ დიდ ლაქარში მე კაპრალი ვიქნები მხოლოდ,  
მასხარასავით რომ ვატარო ფერები მისი.  
როგორ? მე მიყვარს? ვიხვეწები და ცოლად შერთვა  
მინდა იმ ქალას, ვინც გერმანულს წააგავს საათს,  
მუდამ რომ ითხოვს შედეგებას და მუდამ ტყუის,  
სწორად არასდროს არ მუშაობს, ამ მაჩვენებელს,  
დრო რომ აჩვენოს, თავად უნდა ჩვენება გეზის!  
ფაცი გავტეხე, უარესი ეს არის ყოვლის,  
სამი ქალიდან უარესი მე შეეყვარე.  
ქერთშიანი ახტაჯანი, სეფლწარბა ერთი,  
თვალეების ნაცვლად ბურთულეები უელავს კუპრის.  
ვიფიცავ ზენას, თვით არგუსიც ვერ დააჯავებს,  
თავზე რომ ადგებს, როგორც ცველი და საჭურისი.  
მე კი ამ ქალზე ახე ეკენისი ვღარაჯობ, ვუცდი!  
ვლოცულობ მასზე! ასეთია ადნათ სასჯელთ, —  
გადამიხდა კუპიდონმა სამაგიერო,  
რადგან მის ძალას — მცირეს, სასტიკს — არად ვაგდებდი.

(გადის.)

ინგლისურიდან თარგმნა მამზარ კვიტიანიძემ

გაგრძელება იქნება

# პოეზი ნამეგული

აღუბოს ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე ხალხს მოეყარა თავი. პირშედინდელი ახალ-  
გაზრდა დაუოკებელი ენით, ალტყინებული კითხულობდა ლექსს.

ყოველ ატომში მზე ნათელი გამოზრდვლიდა,  
მხატვარი თვისვე ნახატშივე გამოციალდა,  
ცა-დედამიწა, ყოველივე ღმერთად გადიქა,  
წყროალებს ჩანგი, ნალარა და დაფი რად იქცა  
ჩვენ თავად ღმერთად წარმოვდექით, წვეთი ზღვად იქცა!

სახემოდ შელმა პირვეთელა ფაქივებმა უხმეს ყადიებს, რომლებმაც ბრძანება გასცეს.  
ემწეილი შეიპყრეს და ჰკითხეს, ვისია ეს გაუგონარი მკრებელობით, უგვანო სიტყვებით აღ-  
სავსე ლექსით, ჩემიაო, განაცხადა ემწეილმა.

— სიკვდილი.. სიკვდილი.. — ერთხმად იხუტლეს მუთუთებმა. ახალგაზრდა სასიკვდილოდ  
განწირული იყო. სამხადისს შეუდგენენ ჭალათები. ყოველივე ეს აცნობეს ამ ლექსის ნამდვილ  
ავტორს, რომელიც მსწრაფლ გამოეშურა მოედნისაკენ, სადაც შავი სიკვდილი დაბოტებდა.

— ხელი გაუშეთ ამ ემწეილს, თავი დაანებეთ! არაფერ შუაშია იგი ამ ლექსის შემთხ-  
ველი მე ვარ! — განაცხადა ამაყად მან.

ხალხს გმინვა აღმოხდა, რელიგიის მსახურთ მრავლისმთქმელი ღმილით გაგებარათ სა-  
ხე: მათ წინაშე დროების უდიდესი პოეტი, საზოგადოების ამბოხებელი, მეჭანვე სულის პატ-  
რონი ნასიმი იდგა. ნანატრი წაიმი დაუდგათ პოეტის მეშურნეთ. იგი გათოკეს და მუხსაქეს  
საინელი წამებით სიკვდილი. ის ცოცხლად უნდა გეტყავებინათ. ამოქმედდა ჭალათთა მსახე-  
რალი ხელები. პოეტი ვაეკატურად უძლებდა ატანელ წამებას. სისხლი მდინარედ დაიღვარა  
აღუბოს მოედანზე. დაუძლურებულმა პოეტმა ფერს დაკარგა იქვე მდგომ, შავებში გამოწ-  
ყობილ შეიხს შავი ყვავივით დაუნახელია:

— რაო, პოეტო, ავი ღმერთობას იჩემებდი? ღმერთები ფერს როდი კარგავენ!

ნასიმის უკანასკნელი ძალღონე მოუკრებია და უპასუხნია:

— მზეც ყოველ საღამოს ფერს კარგავს, მკვდრის მზედ იქცევა, მიღებული ჩადის, რათა  
დილას კიდევ უფრო მეტი სიკაშკაშით ამობრწყინდეს და მეტი სიმხურვალით დაათბოს ქვე-  
ყანა!

მართლაც ასე მოხდა. ნასიმის ცოცხლად გააძრეს ტყავი, მაგრამ ვერა დაავლეს რა მის  
პოეზიას. მისი სახელი უფრო მეტი შარავნდელით გაციალდა გონებით და ნიჭით რჩეულთა  
შორის. ლეგენდა გადმოგვცემს, რომ ვატყავებელი პოეტის ტყავი თვალისმომკრელი სხივოს-  
ნებით აკაშკაშდა, წამოიშარათა და, იქ მყოფთა გასაკვირად, ოთხივე მხრისკენ გაემართა. პოეტი  
წმინდანად გამოაცხადეს. მაგრამ ამ ლეგენდის შემთხვევლი, ალბათ, უპირველესად ნასიმის  
პოეზიის ჩაუქრობელ გამოსხივებას გულისხმობდნენ, ოთხთავ კუთხივე — აღმოსავლეთით თუ  
დასავლეთით, ჩრდილოეთით თუ სამხრეთით რომ გავრცელდა მთელ სამყაროში...

მორწმუნეებმა მორწმუნეს ცოცხლად გააძრეს ტყავი, რა მოხდა? სწამე ის გახლავთ,  
რომ საერთოდ რელიგიის ისტორიაში და, საყუთრივე, აღმოსავლეთში არსებობდა ორი გზა  
განვითარებისა: გარეგანი (ეზოტერიული — ზაპირი) და შინაგანი (ეზოტერიული — ბათინი).  
ამ მიმართულებათა შორის წარმოიქმნებოდა ხოლმე განხეთქილება და აზრთსახვაობა, რომე-  
ლიც ხშირად მწვევე კონფლიქტებში გადადიოდა. ეს განსაუთრებები ცხადად არის გამოკვეთი-  
ლი აღმოსავლეთის სინამდვილეში, სადაც უციღურესი ბათინური მიმართულებანი იდგენებოდა  
და მათ წარმომადგენლებს ცუქლოთ და მახვილით უმისპინძლდებოდნენ. ასეთ უციღურეს  
ბათინურ მიმართულებას — ჰურუფიზმს ეკუთვნოდა და მისი იდეების თვავადადებული მქადა-  
გებელი იყო ნასიმიც.

ჰურუფიზმი დააარსა ასტრბაბადელმა დერივიშმა ფაზლულამ აბი მუჰამედმა. ის არ წარმო-  
ადგენს ახალ მოძღვრებას და მჭიდრო კავშირს ამყარებს სუფიზმთან, მაგრამ რაც საკითხთა  
მოაზრებაში ძირეულად განსხვავდება ამ უკანაქელისაგან. ჰურუფიული მოძღვრებას მიხედ-  
ვით სამყაროს განსხვავლების პირველ მიზეზად ღვთიური სიტყვა — ლოგოსი უნდა მივიჩნიოთ.  
ამიტომაც სიტყვა არის შემოქმედების არსი, ხოლო ასო. — ხილვადი სამყაროს არსებობის  
საფუძველი (საერთოდ, ტერმინი ჰურუფიზმი არაბულია და ნიშნავს ასოებს, ანბანს).



ღვთიური სიტყვის ასოების მეტამორფოზა ყოველ სავანში და მოვლენაში უნდა ვეძებოდეთ. ვანაც მუჰამედი არაბული ენით ქადაგებდა (ე. ი. 28 ასოთი), ხოლო ფაზლულაჰი სპარსულად (ე. ი. 32 ასოთი), ამ 28 და 32 ასოს რიცხვითი ჯამი მოცემულია პოტენციულად ყველაფერში და საჭიროა მისი აღმოჩენა, რის შედეგადაც ჩვენ შევიძენებთ ღვთიურ არსს. ეს ათის ერთადერთი და ჭეშმარიტი გზა ჭეშმარიტების ძებნისა. ამიტომაც ამ 28 და 32 ასოთა ჯამს ეძებენ ისინი ყველგან, ყველაფერს მას უკავშირებენ და მათი ლოგიკური მსჯელობა ამ რიცხვთა მისტიკური სიმბოლაშიათ არის გაბუნდოვანებული და გაუგებრობამდე დაყვანილი. მაგრამ ამ მიმართულებას, ორთოდოქსალურ ისლამთან შედარებით, გააჩნდა მრავალი პროტრესული შეხედულება. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ჰურუფიზმმა თავისი შემოქმედების და თავყანისცემის ობიექტად გაიხადა ადამიანი, რომელიც ჰურუფისტების მოაზრებით წარმოადგენს ღმერთის მიკროკოსმოსს, მისი (ღმერთის) შემოქმედების საბოლოო მიზანს. ისინი ამტკიცებენ, რომ ადამიანის სახეში თავად ღმერთის არსია განვითარებული, რომ ადამიანის სახის სილაჰის აღქმა და შექმენება ღვთის არსის შექმენების იდენტურია. დახოლოს ისინი ხაზგასმით ვეაწუყებენ, რომ ადამიანის სიყვარული ღმერთის სიყვარულის ტოლფარდია. ამ თვალთახედვას თავის დროზე უაღრესად დიდი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. შემოქმედების მზერა ტრანსცენდენტურ არეს წყდებოდა, ამქვეყნიერობისა და, კერძოდ, ადამიანისკენ იყო მიმართული. ობიექტური რეალობისადმი ასეთი მიმართება კი აპირობებდა რენესანსული აზრის წარმოშობას.

თავად ნასიმის შემოქმედება უაღრესად დიდი პოპულარობით სარგებლობდა და სარგებლობას მთელ აღმოსავლეთში, განსაკუთრებით კი მის სამშობლოში, აზერბაიჯანში. მისი ყახულები, ყასიდები თუ რუბაიები აზრობრივი დატვირთვით გამოირჩევა და, აქც. თუ იშვიათად, ძნელად გასაგებ მისტიკურ დოქტრინას გადმოგვცემს შეფარვით თუ პირდაპირ. მიუხედავად ამისა, პოეტის ენა ყოველთვის საღაა, ყველასათვის გასაგები. ეს განსაკუთრებით ითქმის ნასიმის ლირიკაზე. პოეტის მხატვრული სამყარო საოცრად მდიდარი, ნატიფი და დახვეწილია, ორნამენტული სიფაქიზითაა შერწყმული სათქმელ მასალასა და ემპირიულ სინამდვილესთან.

წინამდებარე თარგმანები ფაქტიურად პირველი ცდაა ამ უდიდესი პოეტის ქართულად ამტკიცებულისა. საერთოდ, ნასიმის თარგმნას ქართულად გარკვეული სიმძვლეები ახლავს თან, რადგან პოეტის მისტიკური აზროვნების სიმბოლური ქარვა ქართველი მკითხველისთვის, უმეტეს შემთხვევაში, გაუგებარია. სწორედ აქ უნდა იხილოს თავი მთარგმნელის უნარმა, მაქსიმალური სიზუსტით გადმოსცეს ნასიმისეული დედნის არსი ისე, რომ ქართველ მკითხველს სავსებით ბუნებრივად და თვალნათლივ აღაქმეინოს პოეტის ნიჭიერების ძალისხმევა. მთარგმნელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან კარვად გაართვა თავი ამ მეტად ძნელ, მაგრამ საშურსაქმეს. თარგმნილი რუბაიების თითქმის ყოველი ბუჟარი წარმოადგენს ზემოთქმულის ჭეშმარიტ დასტურსა და საქმის სიყვარულის საუკეთესო ნიმუშს. ქართულმა მთარგმნელობითმა სკოლამ კიდევ ერთი ჩინებული საქმე იტვირთა, ჩვენც მადლობის მეტი რა ვუთქმის?!

ელეზარ ჯაველიძე

**ნასიმი**

**რ უ ზ ა ი ე ბ ი**

1.

კაცი იწამე, კაცთან მიდი, კაცი იცანი! —  
წინ-წინ, წამი-წუთ ამას იტყვის, კაცი ვინც არი.  
კაცში კაცისგან კაცობაა დასაფიცარი,  
კაცში ღვთის სახე, ღვთის სულია დანამტკიცარი.

2.

რაც მიწაშია, რაც — ზეცაში, კაცშიც ის არი,  
რაც თვეში არი, წელშიცა და წამშიც ის არი,  
რაც ხელში არი, სახესა და ტანშიც ის არი,  
ღვთისგან რვევნი რაც ბოლოში, თავშიც ის არი.



3.

ესე უწყოდეთ: ადამის ძე თავად ღმერთია,  
ოცდათორმეტი ასო მასში შენაერთია.  
თავად სამყარო ღმერთია და ღმერთი — ერთია,  
ადამის შვილი მზის სახეა და მზეს შერთვია.

4.

ღმერთმა კაცს მისცა თვისი ნიჭი, უნო და უნარი,  
მისცა სახლი და ამ სახლში ჰყო წამით სტუმარი,  
ჰქმნარიტება რაკი ვერ სცნა ესე მდუმარი,  
მიტომაც დადის ეშმა დარდით დანადუნარი.

5.

თვლიც, ჯაფარიც ისევ კაცის ჯაფარში არი,  
კაცის საუნჯე კაცურობის ფარგალში არი,  
თუმც შეითანი კაცის წიად სანგარში არი, —  
ღვთის საიდუმლო კაცის სულის ტაძარში არი.

6.

მიწა და წყალი როცა ღმერთმა ცომად აზილა,  
ზეცა შექმნა და ცაში ტახტი გაიხაზირა,  
ზედ სილამაზე შაჰად დახვა, ტრფობა — ვაზირად,  
მეტრფეს, სატრფოს და ტრფიალს მისცა ერთი ხაზინა.

7.

ნიშნად ინიშნეთ: მე ასო ვარ ოცდათორმეტი,  
არ მყავს ზიარი, მაგერი, დარი, ტოლ-მეტი,  
თავ-ბოლოდ მსაზღვრავს მარადი და მიუწვდომლეთი,  
თვით ვარ თავბოლო — ყოვლად ერთი და საყოვლეთი.

8.

აბდალს უწოდებს შეყვარებულს ზოგი ჭარტალი,  
ეგ იმიტომ, რომ შმაგია და უყვარს ტანტალი;  
რაკი შმაგია, მან შეიცნო არსი მართალი  
და რა შეიცნო, იმიტომაც არის აბდალი.

9.

სალამი სატრფოს, დღეყოველწამს სატრფოს სალამი! —  
ლხენა გვიბედოს, აღარა გვყოს ცრემლით ნალამი.  
არამი იყოს უსატრფოოდ სიტყვა, არამი!  
ნიშნად კმა არის, აღარ უნდა მეტი ყალამი.

10.

წუთისოფელი მოტრიალე ჯარა ყოფილა,  
წილი მთელის და მთელი — წილის ჩარა ყოფილა.  
ვინც ცხოველია, ცხენი ჰქვია, სხვა რა ყოფილა, —  
ფრინდა ცხენი და — ჰადრაკისა არა ყოფილა?!

11.

წალკოტში შეველ, დილა იყო, აისის ქამი,  
ყაყაოს ეპყრა, დავინახე, ჯემშიდის ჯამი,  
ქამიდან ქამზე შროშანასი ისმოდა ჩქამი:  
წამი ქამია, ქამი — წამი, იწამე წამი!

12.

მარადისობის წიადში ვარ რაკი დამრჩენი,  
მევე ვარ ქვეყნის შემოქმედი, მისი გამჩენი!  
ღმერთსაზიარო სუფრასთან ვარ თასის დამჭერი,  
ღვთის რჩეული ვარ და ბრძანების მისის დამჯერი.

13.

ვინც და რაც არის, სულ შენშია, გულო მღვივარი,  
ვისგან რას ელი, რა საჩუქრის ხარ მომჩივარი?!  
მოძებნე ვინმე — ტურფა, შენთვის გულშემტკივარი,  
იერთგულე და უერთგულე, ეყავე ზიარი!

14.

წარბი, წამწამი, ნაწინაები — ერთად გაქვს შვიდი.  
მიწაც შვიდია, ზეცაც შვიდი, შენცა ხარ შვიდი.  
რადგან კვირაშიც სათვალავით დღე არის შვიდი,  
აქ სიბრძნეა და, წმინდა წიგნიც მიტომ არს შვიდი.

15.

შენი ბაგენი თაფლს და შაქარს შეამჩივარებს,  
შენი ბაგენი ლალ-იაგუნდს დაამჭვივარებს,  
შენთა ბაგეთა ბედი ნურას უსატკივარებს,  
რადგან ეგენი აშუშებენ ყველა იარებს.

16.

შენმა თვალებმა მიყაჩადეს, დამდეს ბაჟები,  
ბაგის სიტკბოთი შეარცხვინე მთლად ჰალვარები!  
ანგელოსები გლოცულობენ, როგორც ჰაჯები,  
შენი ქაბის ერთი ჰაჯი, მეც გეაჯები.

17.

სამოთხე თუა, ეგ ნამდვილად შენი ტანია,  
წელი — ლერწამი და შენი თმა რეიჰანია.  
სამოთხის ბაღში სიყვარული შეგვიტანია,  
მაგრამ რაყიფი ორთა შუა შეითანია .

18.

მზეო, მე აქ ვარ, შენ — კიდეს ხარ განაკიდია,  
მე შენს უშენოს, ცეცხლი მდაგავს წანაკიდია.  
ეგ შუქი, შთვარევ, იმ პირიმზის შუქზე ჰკიდია  
და რა ჰკიდია, შენც იმ შუქში წილი გიდია.

19.

ვინაც ვერა სცნა წუთისოფლის ფანდი ნამალი,  
წინ ვერ წაიგდო საქმე თვისი, ვერც ნასამალი,  
რაილა ვერ სცნა, რალა არის აქ დასამალი,  
მწარედ თითების კვენეტალა მისი წამალი.

20.

ვინც არა უწყის თვისის არსის, თვისის ბუნების,  
ნულარას ჰკითხავ, მასზე ბრიყვი ნუ გეგულებს!  
მიჯნურთ ჭადრაკში მისი ცხენი არ იხტუნების  
და ტრფობის ამო შამათითაც არ იცდუნების.

21.

ურჩი, მაქცია შეითანი — გულდაკეტილი,  
ბევრი ეცადა და ვერ შექმნა ღმერთმა კეთილი,  
რა შეითანმა ვერ შეიგნო ღვთის გაკვეთილი,  
მიტომაც დაძრწის გარეგანი და მოკვეთილი.

22.

ყურანიც მე ვარ და სიტყვათა მისთა ლიანგიც,  
ქვეყნად ყველაფრის სიმშვიდეცა და ფორიაქიც;  
მწუდეც ვარ თასიც ვარ, თასსა შიგან ღვინის ციაგიც,  
თვით ვარ შხამიც და შხამისათვის წამალ-თრიაქიც.

23.

ტურფავ, ნატრული ნუ გამხადე შენი სახისა,  
გული ტყვე არის მუშკ-ამბრიან ზილფთა მახისა,  
საჩუმათევის ღირსად არ მყოფ რაკი ნახვისა,  
ბარემ დამკიდე ერთერთ ხეზე შენი ბაღისა!

24.

უშენოდ ჩემთვის ქვეყანაა თითქოს ბურანი,  
სალამი შენდა — ჩემი გულის ნაბუბუნარი!  
სამოთხის ხეო, შენი სახე თითქოს ყურანი,  
წარბ-წამწამი კი ყურანისა არის სურანი!

25.

შენი სურათხატის შენამცვიფრები ვარ,  
შენთან შეერთებას შენამძაფრები ვარ,  
იდუმალ საუნჯეს გადაუფაფრებივარ,  
ცის ტახტის დიდ სულთანს გავთანაბრებივარ!

26.

ღვთის სიტყვა ნახე, თუ რაგვარი მაგალითია, —  
ვისაც არ ესმის, მისმა ჭკუამ სხვა რა იტია?!  
ბრიყვთ რა უწყიან, რა — ლალია, რა — კრამიტია, —  
ეგ ბრძენმა უწყის: მარგალიტი მარგალიტია!

27.

დამწვი, დამნავე, რაკი მნათი, რაკი მწველი ხარ,  
აქა ხარ, იქ ხარ, თუ სადაც ხარ, ჩემი მკვლელი ხარ!  
პირად მთვარე ხარ, საბურველად სხივთა მცმელი ხარ,  
გამოდი, რადგან, სულერთია, გამომსვლელი ხარ!

28.

შენი ბაგენი სულისა თქვეს ჩვენის დამღევად;  
შენი ხალები — დარდებისა ჩვენის წამლებად,  
ჩვენი გულები — შენი ტანის ნახათაბღევად,  
ჩვენი თავები — შენთვის თავზე შემოსავლებად!

29.

ჭეშმარიტება რა ვიხილე თვალჭეშმარიტად,  
ვცან ძალი მისი და ვიქეცი ძალჭეშმარიტად,  
რაკი ჭეშმარიტს ნაზიარი ვარ ჭეშმარიტად,  
გიცან და გიცი, ჭეშმარიტო, ხარ ჭეშმარიტად!

30.

ღმრთის შესაცნობად რაზე ამტკრევე ღიათა კართა,  
ნუთუ არ იცი: ასოები სიტყვებმა მართა! —  
სხვა რამ ნიშანი არ აქვს გამჩენს ასოთა გარდა,  
მაშ, წაიკითხე და იაზრე, რაც არის მანდა.

31.

სულის მახეა, ჯადო არი შენი თვალები,  
უბედურების ღადო არი შენი თვალები!  
ასე უწყალო რატო არი შენი თვალები?  
ნეტარძი, ვისთვის სანდო არი შენი თვალები!

32.

ვინ მიჯნურია, ხამს თუ რბოდეს სატრფოსთვის ველად;  
ცრემლი სდიოდეს, საყვარლისთვის გადიქცეს ხელად,  
მარადიული ის სამეფოც მას ერგოს ხელად,  
ვისცა მაგ წარბთა მშვილდისარი ექმნება მკვლელად.

33.

სარო რხეული — ეგ სხეული, ლადია, ლადი  
(მიჯნურს სულისა აუნთოს და ჩაუქროს ჭადი!),  
ჭგავს თუ გაშლილა ათასფერად სამოთხის ბალი  
და ჩამოსცქერის კიპარისის ქოჩორა თადი.

34.

ხანჯლებს წააგავს და სულს ხანჯლავს ეგ წამწამები,  
გულის სამეფოს ჩემსას ლაშქრავს ეგ წამწამები,  
ვით გიაური ჩემ სისხლს საპრავს ეგ წამწამები,  
ქვეყნიერებმა იპყრობს, ჩაგრავს ეგ წამწამები.

35.

სამიკიტნოა სამუდამო ჩვენი მერეთი,  
მიგ დევ-შეთანს ტყვეობისა ვებჭეთ ბეჭელი,  
სეველა ლხინად გეინს, აბრეშუმად — საფურჩეთი,  
განძად, სახვეჭად — ტურფას ეშხის მოსახვეჭეთი!

36.

ზოდი, უშენოდ დარდისგან ვარ შენაღონები,  
ცრემლი მდის, ჯავრით აღარა ვარ შენი მგონები!  
რა სატრფო შემხვდა, მე საწყალი ვის ვემონები?  
ვარ ბედისაგან გულში ლახვარგანაწონები!

37.

ცხენს მოაფრინდი, გადაჯეგე უღაბნოს ხვატი,  
სცან ჭემშარიტი, მართლა ცხენად თავს ნუკი ახადი!  
შამოს ურიდე, ცრუა ეტლი — ყოველთა მზადი, —  
არკი გაუსწრო, გვერდით მიჰყევე, მხარდამხარ წადი!

38.

უნებლივ ერთ მთვარეს მივუძღვენ გული,  
გულის სულთამყარეს მივუძღვენ გული,  
მშვენთა უსადარესს მივუძღვენ გული,  
ყოველთა უმაღლესს მივუძღვენ გული.

39.

საწუთროს სიცრუით გაწყალდა გული,  
ამად ამოსგან დაღალდა გული,  
ტრფიალის ხანძარში დანავლდა გული,  
ერთქმნის შარბათი სვა, განახლდა გული.

40.

შენთა თვალთა სათში ჩავარდა გული,  
ვარამში ათასში ჩავარდა გული,  
ექესჯერ ოთხის თასში ჩავარდა გული,  
ერთზიარის ზღვაში ჩავარდა გული.

აჭერბაიჯანულიდან თარგმნა ზეზვა მთელუაზვილმა



ლევან მინაბდე

## რუსთველი რეზოლუციკიანი

გასულ საუკუნეში ჩეხებში თავი იჩინა ინტერესმა მცირერიცხოვან ხალხთა ლიტერატურისადმი. ცნობილია მწერალმა იოზეფ გოლდჩეხმა 1874 წელს განაცხადა: „ჩეხმა მწერლებმა უნდა იყოსონ მცირერიცხოვან და მივიწყებულ ხალხთა ენების შესწავლა, მათთან კავშირის დამყარება, მათი ეროვნულობის დაცვა. მსოფლიო ენებს ხალისით სწავლობენ, რადგან ეს ყოველ კაცს სარგებლობას მოუტანს, მაგრამ ჩეხი მწერლები მხოლოდ პირად სარგებლობაზე არ უნდა ფიქრობდნენ. ისინი უნდა აცთობდნენ იმას, რაც მათთან თავდადებას, თავგანწირვას მოითხოვს“.

XX საუკუნის დამდეგიდან ქართული ლიტერატურის შესწავლას და ჩეხურად თარგმნას იწყებს ო. ვეტი (ყოფილკა). ის იყო პირველი ჩეხი მთარგმნელი ქართულიდან და, როგორც ფიქრობენ, ქართული ენის პირველი მცოდნე ჩეხოსლოვაკიაში. მან თარგმნა ა. წერეთლის „ბაში-აჩუკი“, რომელიც „მსოფლიო ლიტერატურის“ სერიაში (გამომცემელი ი. ოტო) დაიბეჭდა პრაღაში 1912 წელს. ო. ვეტის მიერ სათარგმნელად ქართული ლიტერატურის შედგენის შერჩევა საფიქრებელს ხდის, რომ ის საკმაოდ იცნობდა ჩეხს სიტყვაკაზმულ მწერლობას. ამას აღსატრუებს ის მოკლე წინასიტყვაობა, რომელიც მთარგმნელმა წაუშვებარა ა. წერეთლის მოთხრობას. მასში გვხვდება ცნობები გ. ორბელიანზე, ნ. ბარათაშვილზე, ი. ჭავჭავაძეზე, ვაჟაზე, განსაკუთრებით — აკაკიზე. მთარგმნელი პატივით იხსენიებდა შოთა რუსთველს და მის პოემას. ეგონებ, ეს უნდა იყოს რუსთველის პირველი ხსენება ჩეხურ ლიტერატურაში (ვ. ჩერნი).

სიცოცხლის ბოლო წლებში ი. ვეტი მოხუცებულთა თავშესაფარში ცხოვრობდა (ბრნოში) და იქვე გარდაიცვალა (1942 წ.), მისი წიგნების ნაწილი გადაეცა რაიგრადის მონასტრის ბიბლიოთეკას, რომელიც მაშინ ბრნოს უნივერსიტეტს ეკუთვნოდა. ამ წიგნებში აღმოჩნდა ქართველ მწერალთა — ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას თხზულებანი, დ. ჩუბინაშვილის

ვლის ლექსიკონები, „ვეფხისტყაოსანი“, რომლის არშიებზე მოხუც მთარგმნელს მრავალი შენიშვნა მიუწერია და ზოგიერთი ადგილის ჩეხურად ამეტყველებაც უცდია. სამწუხაროდ, ო. ვეტის შენიშვნები და თარგმანის ცდა ქვარავის შესწავლია (არადა მისი ყოველი გამოწვევაში საინტერესოა, რადგან ის „პირველი ჩეხია, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“ დედანში წაიკითხა). მართალია, ჩვენთვის უცნობი და ხელმძღვანელობდა ო. ვეტის მიერ შესრულებული თარგმანი „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული ტაგებისა, მაგრამ ერთგვარ დახმარებას ვეწვევს ა. წერეთლის მოთხრობის ჩეხური თარგმანი, რომელზეც ორიოდე სიტყვით უნდა შევჩერდეთ, რადგან ჩეხმა მკითხველებმა სწორედ ამ წიგნით გაიცნეს (მშობლიურ ენაზე) რუსთველი და მისი პოემა.

როგორც ცნობილია, „ბაში-აჩუკი“ უმნიშვნელო ცვლილებით გვეხდება რუსთველის რამდენიმე ბრძნული გამონათქვამი. სახელობრ.

1. იგი წავა და სხვა მოვა ტურფთასა საბაღნაროსა.
2. სკობს სიცოცხლესა ნაზარხსა სიკვდილი სახელოვანი!
3. ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნევი, რა ზნე გვირსა...
4. უგანგებოდ ვერას მიზმენ, შე-ცა-მებან ხმელთა სპანი!

დამოწმებული გამონათქვამები მოთხრობაში ბრჭყალბშია მოცემული, მაგრამ საქმეში ჩაუხედავი მკითხველისათვის ძნელი გასარკვევია, თუ ვინაა მათი ავტორი. ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე გამონათქვამი (№№ 1, 2, 4) „ბაში-აჩუკი“ ყოველგვარი პირდაპირი ცნობისა თუ მინიშნების გარეშე გვხვდება, ხოლო ერთი (№ 3) „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისეულადაა წარმოდგენილი, თუმცა რუსთველი პირდაპირ არც იქ იხსენიება.

ჩეხურ თარგმანში ასეთი ვითარებაა: ორი გამონათქვამი (№№ 2, 4) ყოველგვარი შენიშვნის გარეშე თარგმნილია პროზაულად (ნათლად არ ჩანს, მთარგმნელმა გაიგო თუ არა, რომ



ლექსთან ჰქონდა საქმე), დანარჩენი ორი (№№ 1, 3), მართალია, პროზაულადგება წარმოდგენილი, მაგრამ შენიშვნებში მითითებულა, რომ ისინი რუსთველის პოემიდანაა. ამასთანავე, ერთი ქართული ტაბეი ჩეხური ტრანსლიტერაციითაა. მოცემული: «Eh, so'pelo rašigan char, ras gvab-runeb, ra zne gčirsa?».

ბაში-აჩუკშივე“ გვხვდება მსჯელობა „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარობაზე საქართველოში და მისი გმირების ცხოველყოფელ გავლენაზე ქართველთა ყოფა-ცხოვრებაზე. მოვიგონოთ აკაკის სიტყვები: „ტყუილად არ სჩიოდა ძველად სამღვდლოება, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სახარებაზე უფრო გაუტეხა ქვეყანასო; საუკუნეების განმავლობაში, დიდი და პატარა, ყველა იმას ვწაფებოდა; კაცები ტარელ-ავთანდილსა პბაძედნან, ქალები ნესტან-თინათინობას სცდილობდნენ, მეფე და კარისკაცები — როსტევეან-სოგარტობაზე სდებდნენ თავს, მსახურნი შერ-მადილობდნენ და მოახლე-გამდევლები კი ასმა-თობას სჩემობდნენ“.

მთარგმნელმა ჯერ ეს სიტყვები თარგმნა ჩეხურად, ხოლო შემდეგ შენიშვნაში აღნიშნა „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა პოპულარობა საქართველოში. ყოველივე ამით მან თანამემამულეების მართალი წარმოდგენა მიანიჭ შეუქმნა რუსთველსა და მის პოემაზე.

მომდევნო ხანაში რუსთველის ხსენება ჩეხურსა თუ სლოვაკურ ენებზე კარგა ხანს არ გვხვდება. ყოველ შემთხვევაში, სათანადო მასალა მეცნიერებისათვის უცნობია. ჩვენ მხოლოდ ერთი ფაქტი შეგვიძლია დავიწოდოთ რუსთველის პირველი იუბილეს (1937 წ.) დღეებიდან: ჩეხურმა ვაზეთმა „პალო ნოვინიშ“ მკითხველებს აუწერა „გენიალური ქართველი პოეტის“ საიუბილეო ზეიმი საბჭოთა კავშირში, მაღალი შეფასება მისი რუსთველსა და მის პოემას. მისი სიტყვით, რუსთველმა შექმნა მშვენიერი ჰიმნი ადამიანზე, მის უფლებებზე, თავისუფალ სიყვარულსა და ბედნიერებაზე. ამიტომაც მისმა ებოსმა გაუძღო დროს და მხოლოდ აკადემიურ ქმნილება არ ღარჩა“.

შემდეგ პერიოდზე მსჯელობისას პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ გამოჩენილი ჩეხი მეცნიერი და მთარგმნელი, დეწლმოსილი ქართველოლოგი იაროშირ იელიჩკა (1901-1965), რომელსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ჩვენი კულტურის წინაშე.

ი. იელიჩკამ, არაერთი ქართული თხზულება ამბეტყველა ჩეხურ ენაზე და თანამემამულეებს გააცნო დ. გურამიშვილის, ლ. ჰოქაძის, ა. ყაზბეგის, ლ. ქიაჩელის, გ. ლეონიძისა და სხვათა შედევრები, განსაკუთრებით დიდი მუშაობა ჩაატარა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე.

ი. იელიჩკა რამდენჯერმე იყო საქართველოში. პირველად იგი 1937 წელს ეწვია ჩვენს ქვეყანას, გულდასმით გააცნო ჩვენი ხალხის კულ-

ტურას და მალე მოიხვედრებოდა გააცნო თავისი სასიხარულო განცდები საქართველოსა და ქართველ ხალხთან შეხვედრის გამო, პატივით მოიხსენია რუსთველის პოემაც: „მე ბევრი რამ ვიცოდე ვასული საუკუნის ქართველ მწერალთა შესახებ, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ვიხილე მათი პორტრეტები და ხელნაწერები, აგართევე თვალსაჩინო სურათები იმ გაიწმინდი, რომელშიც უხედელოად მათ ცხოვრება, ბრძოლა და მუშაობა, მხოლოდ მაშინ ჩავეჭვიძე იმ ადამიანთა მთელ სიღიადესა და მათი სახის სირთულეს; აგერ რამდენი წელიწადია ვსწავლობ და ვთარგმნი რუსთველს და მხოლოდ ახლა, როცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ვიხილე ქართველი მწიგნობრების მიერ გულმოდგინედ გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“, სრულად ახალმა სინათლემ გააშუქა ჩემთვის ქართული პოეზიის ეს საუღრვე, ეს „მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგამანები“<sup>3</sup>.

თბილისში ყოფნისას ი. იელიჩკამ ინტერვიუ მისცა ეურნალ — „ლიტერატურაიზა გრუზიას“ კორესპონდენტს, კმაყოფილება გამოთქვა საქართველოში ყოფნისა და ქართველ მოღვაწეებთან კონტაქტის დამყარების გამო, მოიხსენია „ვეფხისტყაოსნის“ ჩეხური თარგმანიც. „პირველი მეგობრული მისალმება საბჭოთა საქართველოდან მივიღე მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ. მაშინ მე გამომიგზავნეს შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული ხალხური ზღაპრების კრებული. „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი იყო ჩემთვის პირველი ცდა ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებთა ჩეხურ ენაზე თარგმნისა. ამ საქმიანობაში მე ვხელმძღვანელობდი იმ მისწრაფებით, რომ დამეძებნა იმგვარი მსატერული საშუალებანი, რომელნიც დამეხმარებოდნენ რაც შეიძლება სრულად გადმომეცა რუსთველის ქმნილების იდეური და ემოციური პათოსი, შემენარჩუნებინა მისი ისტორიული და ეროვნული კოლორიტი, წარმოემჩინა ამ შესანიშნავი ლიტერატურული ძეგლის უქცნობი ცხოველყოფილობა“<sup>4</sup>.

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ი. იელიჩკას ბატარა წერილი: „სახელოვანი და გმირული“, რომელიც შეიცავს ჩეხი მეგობრის გულწრფელ სიტყვებს ჩვენს ქალაქზე, ხალხზე, ენაზე. იგი გამოქვეყნდა ეურნალ „დროშის“ თბილისის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილ ნომერში. მასში ავტორი წერდა: „ქართული ენა თავისი ძვლადობით მსოფლიოს ყველაზე მელოდიურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება, თავისი ლექსიკის სიმდიდრით კი — საშუალო ევროპის კლასიკური ქვეყნებისას. ჭეშმარიტად, მხოლოდ ამ ენაზე შეიძლება და შექმნილიყო სწორპოეზიური პოემა

**ლევან ბინაბაძე**  
რუსთველი ჩემოსლოვაკიანი



„ვეფხისტყაოსანი“ გენიალური შოთა რუსთველისაჲ.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე მეზობას ი. ედლიჩკა მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ შეუდგა. ომის დამთავრებისთანავე მან გამოაქვეყნა სპეციალური წერილი, რომლითაც ჩებ მკითხველებს წარუდგინა რუსთველი და მთაწაოა რამდენიმე ნაწყვეტი „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური თარგმანიდან. ზოგიერთი ნაწყვეტი ცალკე დაიბეჭდა<sup>7</sup>. რამდენიმე ნაწყვეტი თვის კრებულში შეიტანა ო. დორაზილმა<sup>8</sup>.

1958 წელს ი. ედლიჩკამ გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის“ სრული ჩეხური თარგმანი — როგორც პროზაული<sup>9</sup>, ისე პოეტური<sup>10</sup>.

„ვეფხისტყაოსნის“ ჩეხურ ენაზე გამოქვეყნებას, — ვითარცა უდიდეს მოვლენას ქართველი და ჩეხი ხალხების კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობისა და თანაშრომლობის ისტორიაში, — კმაყოფილებითა და ინტერესით შეხვდა ჩეხი და ქართველი საზოგადოებრიობა<sup>12</sup>. შ. გეინიჩქემ სპეციალურად შეისწავლა „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური თარგმანი და დაასკვნა, რომ მასში შენარჩუნებულია დედნისეული რიტმი და მუსიკალობა, დაცულია მაღალი და დაბალი შირი, კარგადაა გადართანილი მეტაფორები, მეტაფორები, აფორიზმები.

„ვეფხისტყაოსნის“ ჩეხურ თარგმანს ი. ედლიჩკამ წაუძღვარა ვრცელი წინასიტყვაობა, რომელშიც დეტალურად დაახასიათა რუსთველის პება. მისი სიტყვით, „ვეფხისტყაოსანი“ — ქართული პოეზიის მოუღწეველი სიმალე — „თავისი ფორმით, სტილით, ენითა და ცხოვრებისეული სიბრძნით მაღალი პოეზიის ეტალოს“ წარმოადგენს.

ი. ედლიჩკამ წერილის დასაწყისშივე გაამხანგლა ყურადღება „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-შემეცნებითისა და მხატვრულ-ლიტერატურულ ღირებულება-მნიშვნელობაზე და წარმოაჩინა პოემის შინაგანი სიღრმე-სიდიადე, რომელმაც მას მსოფლიო აღიარება მოუპოვა, ხოლო შემდეგ ერთმეორის მყოფლებით განიხილა რუსთველოლოგიის ძირითადი საკითხები. კერძოდ, ვრცლად შეჩერდა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის გინაობაზე, უხვად დაიმოწმა და გამოიყენა აღორძინების ხანის ქართველი მწერლების ცნობები, აგრეთვე ხალხური გადმოცემები რუსთველზე, სავაგველოდ შეჩერდა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტზე და გააკრიტიკა მისი სპარსული წარმომავლობის მომხრეთა მტკიცე თვალსაზრისი. აღმოსავლური ამბის გამოყენება, — ი. ედლიჩკას აზრით, — არაა განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა; მეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ გადაამუშავა ეს ამბავი რუსთველმა, როგორ წარმოადგინა იგი მხატვრულ საოქმოდ, როგორი ოსტატობით ამბეჯყვლა. მისი სიტყვით, „საკითხი უნდა დაისვას არა იმის შესახებ, ეყრდ-

ნობა თუ არა პოეტი სპარსულ მოტივებზეა მდებარე უნდა ეიკლონოს საკითხი; რომელსა უნდა მის განხილვისათვის ძირითადი მნიშვნელობა აქვს. თუმცა წმინდა თარგმანთანაც რომ გვეკონდეს საქმე, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ძველ დროში პერიფრაზირებული და თარგმნილი ნაწარმოებები უპირატესად შემოქმედებას წარმოადგენენ. გამორიცხული არ არის, რომ ამბის ბირთვი სპარსული წარმომოშობისა და რომ იგი ზეპირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას და შემდეგ ფიქსირებული იქნა პროზაული ფორმით, მაგრამ ჩვენმა ავტორმა გადაამუშავა ეს მოთხრობა პოეტურად და თანე ისე, რომ ნაწარმოებმა ვახუა ქართული ლიტერატურის არა მხოლოდ შემადგენელი ნაწილი, არამედ მისი მწვერვალიც კი, მისი ორიგინალიობის შესახებ არ შეიძლება რაიმე ეჭვები არსებობდეს“.

სავაგველოდ უნდა განვიხილოთ ი. ედლიჩკას თვალსაზრისი „ვეფხისტყაოსნის“ ქრონოლოგიაზე. ეს იმითაა განპირობებული, რომ ზოგჯერ პოემის დაწერის თარიღზე მსჯელობისას ი. ედლიჩკაზე დაყრდნობით არასწორ აზრს ავითარებენ. კერძოდ, დ. ლანგმა რამდენიმე წრფელში დაიმოწმა ი. ედლიჩკას კერძო წერილი (31.V. 1959) და მის საფუძველზე ეჭვი გამოიტყვა „ვეფხისტყაოსნის“ თამარის ხანით დათარიღების გამო (დ. ლანგის პოზიცია საქმოდ გაჯარირცა ა ბარშიქემ). ი. ედლიჩკას წინასიტყვაობიდან კი ჩანს, რომ ჩეხი სწავლულნი არ უარყოფდა რუსთველის პოემის თამარის ხანით დათარიღების შესაძლებლობას. მისთვის ცნობილი იყო, რომ „საერთო თვალსაზრისით, რომელიც დღეს არსებობს და დამყარებულია ხანგრძლივ ლიტერატურულ ტრადიციაზე, ნაწარმოებების დაწერის თარიღად მიიჩნევენ თამარ მეფის ეპოქას“. მან ისიც კარგად იცნობა; რომ ეს თვალსაზრისი, ისე როგორც ტრადიცია, ემყარებოდა პროლოგ-ეპილოგის იმ სტროფებს, რომლებშიც თამარსა და დავითზეა სუბარა. ამასთანავე, ეს სტროფები „არა მხოლოდ პოემის დაწერის დროს გვიკვეთენ, არამედ წარმოადგენენ საფუძველს ანდა ზუსტად წყაროს ლეგენდისა“, რომელიც გვამცნობს რუსთველის სიყვარულსა და პატივისცემას თამარისადმი, ე. ი. სანდოა ქრონოლოგიურად, საინტერესოა რუსთველ-თამარის ურთიერთობის საცნაურსაყოფად.

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგ-ეპილოგის მონაცემებით და ლიტერატურული ტრადიციით ი. ედლიჩკამ პოემა თამარისდროინდელად მიჩნია. მისი ცნობით, „პროლოგისა და ეპილოგის პირდაპირობა და არაპირდაპირობა მიმართებამ გვიც თამართან, რაც ხელოვნურად იქნა გავრცელებული მთელ პოემაზე, გაამაგრა ლიტერატურული ტრადიცია, რომელმაც ნაწარმოები თამარის მეფობის დროს მოკეთებინა“. გ. ი. 1184-1213 წლებს შორის დროს მონაკვეთს“. მაგ-



რამ-მკვლევარი არ დამაყოფილდა ასეთი ზოგადი მსჯელობით და სათანადო სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე „ვეფხისტყაოსნის“ მიხსლოებით დათარიღებაც მოიწადინა. მისი სიტყვით, „თუ ხელი შევყარებულს ტიპი, არაბული მაჯნუნი, რომელიც პოემაში გაქართულებული მიჯნურის ფორმით არის წარმოდგენილი, შექმნილია ნიშამის „ლეილისა და მაჯნუნის“ გავლენით, მაშინ როგორც ზღვარი, რომლის წინათაც არ შეიძლებოდა პოემა დაწერილყო, უნდა მივიჩნიოთ 1190 წელი. მეორე მხრივ, ტარიელის ამბავში, რომელშიც გმირი ესწრება ოთხი წვერისაგან შემდგარ სამეფო საოთხბირო სხდომას, შემჩნეულ იქნა მინიშნება ოთხი წვერისაგან შემდგარ საოთხბიროზე, რომელიც იმართებოდა საქართველოში XIII საუკუნის დასაწყისში. აქედან გაირკვა მეორე ზღვარიც: 1212 წელი, როდესაც ეს საოთხბირო შეიცვალა“. ი. ივლიჩიამ დაიმოწმა შ. ნუცუბიძის თვალსაზრისიც პოემაში რუმის სახელმწიფოს მოხსენიების შესახებ და შესაწყნარებლად მიიჩნია მსჯელობა პოემის 1204 წლის შემდეგ ჩამოყალიბებაზე. მისი დასკვნით, „ვეფხისტყაოსნის“ უფრო მოგვიანო ხანით დათარიღება უარყოფილი იყო უმთავრესად იმტომ, რომ დაქვეითების ხანაში, როგორც იყო თამარის მეფობის მომდევნო პერიოდი. შეუძლებელია შექმნილიყო ასეთი მაღალი რანგის ნაწარმოები“.

იმ მიზნით, რომ უფრო დამაჯერებელი გაეხადა „ვეფხისტყაოსნის“ თამარის დროით დათარიღება, ი. ივლიჩიამ მიმოიხილა რუსთველის ხანის საქართველოს სახელმწიფოებრივ-ლიტერატურული მდგომარეობა და კულტურული-ლიტერატურული ვითარება და თავისი დასკვნა ასე ჩამოაყალიბა: „ქართული კულტურის ასეთი მნიშვნელოვანი ძეგლის შექმნისათვის შეუძლებელია წარმოედგინოთ უფრო შესაფერისი დრო, ვიდრე იყო თამარ მეფის დრო, რომელიც წარმოადგენს შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული აყვავების მწვერვალს“.

გარკვეულ ინტერესს იწვევს ი. ივლიჩიას მსჯელობა „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციაზე. იგი გამოყოფს ოთხ დამოუკიდებელ ამბავს, რომელიც წარმოდგენილია ეპიკურ მთლიანობაში (არაბეთის მეფის როსტევეანის მიერ მწუხარე რანდის ნახვა, ტარიელის ნაამბობი, ფატმანის ნაამბობი, ნესტან-დარეჯანის განთავისუფლება), ყურადღებას ამახვილებს მოქმედების მთავარი ღერძების დამაკავშირებელ გზოვლებზე (ავთანდილის გამგზავრება ტარიელთან და სხვ.), ლირიკულ ინტერმედიებზე (ლოცვა, ანდერძი, წერილი), დრამატულ ხანართზე (როსტევეანის შეხვედრა ტარიელთან და სხვ.), ეპიკურ-დრამატულ ხანართზე (ლაშქრობა... ხატელთა წინააღმდეგ და სხვ.), ეპიგრაფიკულ-დრამატულ

ხანართზე (მთავარი ვეზირის აღდგენა რუსთველიან მეფესთან) და სხვ. მისი დაკვირვებით, „სიმეტრია, რომელიც ნაწარმოებში გამოკენებულია პირველ რიგში როგორც წმინდა ფორმალური ელემენტი პოეტური ფორმის შერჩევისას“, თავს იჩენს მთავარი პერსონაჟების დაჯგუფებაშიც (ტარიელი და ავთანდილი, მიჯნურ ქალთა წყვილი, როსტევეანი და ფარსადანი).

ი. ივლიჩიამ დიდი ადგილი დაუთმო „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირების დახასიათებას, დაწვრილებით წარმოაჩინა ტარიელის, ავთანდილისა და სხვათა ინდივიდუალური და ზოგად-ადამიანური ნიშან-თვისებანი, მკითხველებს საფუძვლიანად გააცნო რუსთველისეული მეგობრობა და მიჯნურობა, „ვეფხისტყაოსნის“ სოციალური გარემო, რუსთველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა და რელიგიური აღმსარებლობა. მისი დასკვნით, რუსთველის „რელიგიური და ფილოსოფიური თვალსაზრისი არ თავსდება რომელიმე სისტემაში. პოეტი თვისთავს აძლევს თავისუფლებას და ირჩევს მხოლოდ მას, რაც აკმაყოფილებს მის მხატვრულ ფანტაზიას“. ვრცლად შეჩერდა მკვლევარი სხვა საკითხებზეც („ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ ფორმასა და აფორისტიკაზე, გაგრძელებებსა და ხანართებზე, გამოცემებსა და თარგმანებზე და ა. შ.), ხოლო დასასრულს მკითხველებს წარუდგა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე მუშაობის ერიტიკური აზგაროშით.

მიუხედავად იმ დიდი მუშაობისა, რომელიც ი. ივლიჩიამ ჩაატარა „ვეფხისტყაოსნის“ ჩეხურ-რად ასამეფიკვლეულად, თავის თარგმანს იგი სრულყოფილად არ მიიჩნევდა და სამუშაოს დასრულებულად არ თვლიდა. იმედოვნებდა, რომ „მოკლენ სხვა მთარგმნელები, პოეტები და სპეციალისტები, შესაძლებელია მოინახოს ახალი ფორმა პოეტური თარგმანისათვის“.

ამრიგად, ი. ივლიჩიამ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე დაიწყო „ვეფხისტყაოსნის“ ჩეხური თარგმანის ნაწყვეტების ბეჭდვა, ხოლო 1958 წელს გამოაქვეყნა სრული პროზაული და პოეტური თარგმანი ვრცელი წინასიტყვაობით, რომელშიც წარმოაჩინა რუსთველის პოემის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა და ლიტერატურულ-მხატვრული ღირებულება. არსებითად ეს იყო პირველი მოზრდილი ნარკვევი რუსთველსა და მის „ვეფხისტყაოსნის“ ჩეხურ ენაზე. მან დიდად შეუწყო ხელი რუსთველის პოპულარიზაციას ჩეხოსლოვაკიაში.

60-იან წლებში ჩეხოსლოვაკიის ბევრმა მოღვაწემ მრავალსიმკვამელი სტრეიონები უძღვნა რუსთველს. საგანგებოდ უნდა მოიხსენიოთ დოქტორ ალენა ჩეხოვას მეცნიერულ-პოეტურული წერილი<sup>13</sup>, რომელიც ჩეხოსლოვაკია-საბჭო-

ლევან მინაბაძე  
რუსთველი ჩეხოსლოვაკიაში



თა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ეტრ-  
ნაღში დაიბეჭდა. მასში ვხვდებოდა ცნობები ძველ  
ქართულ კულტურაზე, პალესტინაში ქართველ-  
თა მარაგწეობაზე, იქაურ ქართულ სიძოვებე-  
ზე, ქართველ მეცნიერთა საქმიანობაზე. ავტორ-  
მა მკითხველებს გააცნო იერუსალიმის სამეცნი-  
ერო ექსპედიციის (1960 წ.) შედეგები და მი-  
აწოდა ჯგერის მონასტერში მოპოვებული პორტ-  
რეტი რუსთველისა — ქართველი პოეტისა, რო-  
მელიც, მისი სიტყვით, ეკუთვნის არა მხოლოდ  
საქართველოს, არამედ მთელ მსოფლიოს, რად-  
გან მისი გენია მარადიულია, ხოლო მისი „ვეფ-  
ხისტყაოსანი“ კაცობრიობის ძვირფასი საგანძუ-  
რის ჩუქრბრძელი შუქურაა. ექსპედიციის მიერ  
იერუსალიმში ძიებების მასალის მოპოვება და  
ჩამოტანა ა. ჩუხუაძემ საბჭოთა მეცნიერების დიდ  
გამარჯვებად მიიჩნია.

1966 წელს რუსთველის საიუბილეო დღესას-  
წაულში მონაწილეობის მისაღებად საქართვე-  
ლში ჩამოვდიდნენ ჩეხი მეცნიერი ვიცლავ ჩერ-  
ნი, ჩეხი მწერალი ივან სკვლა, ჩეხოსლოვაკიის  
მოსკოვის საელჩოს მრჩეველი კულტურის სა-  
კითხებში მწერალი ირეი ტაუფერი, სლოვაკ  
მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ვიოტეხ მი-  
გალიკი, მისი მეუღლე, მწერალი ვერა ჰანაიკო  
და სხვა. რამდენიმე სიტყვა მათ შესახებ.

პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ჩეხი ენათ-  
მეცნიერი, პრადის უნივერსიტეტის აღმოსავ-  
ლეთმკოდნეობის ინსტიტუტის კავკასიურ ენათა  
განყოფილების გამგე ვ. ჩერნი, რომელიც ად-  
რეც იყო საქართველოში, გაცნო ქართველ  
მეცნიერთა მუშაობას, დაუფლდა ქართულ ენას,  
შეუდგა ქართული ლიტერატურის ნიმუშების  
თარგმნას. რუსთველის საიუბილეო წელს და-  
წერა მოზრდილი წერილი — „რუსთველი და  
ჩეხები“, რომელიც ქართულად განსხვავებულ  
სახელწოდებით გამოქვეყნდა — „უკუდავი წიგ-  
ნი“<sup>14</sup>. მას წინ უძღვოდა ავტორის შემდეგი  
სიტყვები: „სიამოვნებით ვსარგებლობ შემთხვე-  
ვით, რომ გავიხიართ ჩემი შთაბეჭდილებები  
რუსთველის გენიალურ ნაწარმოებზე. ამ შთა-  
ბეჭდილებების პირველ ნაწილს უფრო მოგო-  
ნებების ხასიათი აქვს და ეგება „ვეფხისტყაოს-  
ნის“ ისტორიას ჩეხოსლოვაკიაში. მეორე ნაწი-  
ლი წარმოიშვა იმ დისკუსიასთან დაკავშირებით,  
რომელიც ამას წინათ ჩეხური ეტრნალების ფურ-  
ცულზე მიმდინარეობდა იმის თაობაზე, თუ რა  
არის ჩეხური ეროვნული ხასიათი. როგორც ქარ-  
თველი ხალხისა და მისი კულტურის ღრმად პა-  
ტივისმეტემელ ადამიანს, არ შემეძლო ზოგიერთი  
პარალელი არ გამეტარებინა. ჩემი სურვილია  
ამ სტატიის მეშვეობით ლიტერატურის ჩეხოსლო-  
ვაკიელ თაყვანისმცემელთა მრავალრიცხოვან  
ჯგუფთან ერთად შევეერთდე დღესასწაულს,  
რომელსაც აღნიშნავს არა მარტო საქართველო,  
არამედ მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობა, —  
რუსთველის იუბილეს“.

ჩეხმა მეცნიერმა წერილის დასაწყისშივე მო-  
ყოფილებით აღნიშნა, რომ „ჩეხური ეროვნუ-  
ლი აღორძინების მოღვაწეთა უკანასკნელმა თა-  
ობამ“ ადრევე მიაქცია ყურადღება ქართულ  
ლიტერატურას და შეუდგა ქართული წერილო-  
ბითი კულტურის ნიმუშების თარგმნას, კერძოდ,  
„ვეფხისტყაოსნის“ ჩეხურად ამტყვევლებას,  
შემდეგ მოკლედ მიმოიხილა რუსთველის პოე-  
მის ჩეხურად თარგმნისა და ჩეხოსლოვაკიაში  
გავრცელების ისტორია. კერძოდ, წარმოაჩინა  
ო. ვეტის მთარგმნელობითი საქმიანობა, მიმოი-  
ხილა ი. ივლიჩკას მეცნიერულ-ლიტერატურუ-  
ლი მოღვაწეობა, „ვეფხისტყაოსნის“ პრიმაული  
და პოეტური თარგმნის გამოქვეყნება ღირსშე-  
სანიშნავ მოვლენად მიიჩნია და დაასკვნა, რომ  
„ჩეხებმა კულტურამ საკუთარი, უშუალო კონ-  
ტაქტები დაამყარა, ქართულ კულტურასთან“  
მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ ჩეხური თარგმანის  
გამოქვეყნების შემდეგ. რადგან ამ თარგმანის  
გამოქვეყნების შემდეგ ჩეხოსლოვაკიის მკითხ-  
ველთათვის ქართული კულტურა აღარ წარმო-  
ადგენდა ზოგად მცნებას და მან კონკრეტული,  
გარკვეული სახე მიიღო, დაისვა საკითხი: „რა  
წვლილი შეიტანა ქართულმა კულტურამ კერ-  
ძოდ კი შოთა რუსთველის ეპოსმა მსოფლიო  
კულტურაში?“ წერილის ავტორმა შეძლების-  
დაგვარად უპასუხა ამ კითხვას.

ყურადღებას იპყრებს ვ. ჩერნის მსჯელობა ქარ-  
თველთათვის „ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელობა-  
ზე. მისი სიტყვით, „ქართული ეროვნული კულ-  
ტურისათვის შოთა რუსთველის შემოქმედების  
მნიშვნელობა იმდენად დიდია, როგორც მსოფ-  
ლიოს არც ერთი სხვა კულტურისათვის. თითო-  
ეული ქართველი რუსთველის ეპოსის ყოველ  
გვერდზე ხედვას სრულყოფისა და ოსტატობის  
მიუქვდომელ ნიმუშს, ხალხური ენის საგანძურს,  
სიბრძნის წყაროს და ეროვნული ზნეობის მა-  
ღალ მაგალითს. ეპოსის შესწავლა ეხმარება მას  
შეიცნოს თავისი ხალხის სულიერი ისტორია“.

ვ. ჩერნის დაკვირვებით, „ვეფხისტყაოსანში“  
ბევრია ისეთი რამ, რასაც სხვა ხალხის წარმო-  
მადგენელი ვერ გაიგებს, თუნდაც ორიგინალში  
წაიკითხოს ან საუკეთესო თარგმანი ჰქონდეს  
ხელთ. ქართველთათვის კი თხზულებაში ყველა-  
ფერი ვასაგებია, რადგან ისინი ამ „გენიალურ  
ნაწარმოებში“ თავიანთ თავს ცნობენ ეროვნუ-  
ლი ხასიათის სპეციფიკური თავისებურებით.  
პოემაზე დაკვირვებამ და ქართველთა გაცნობამ  
ვ. ჩერნის გამოტანინა დასკვნა, რომ თანამედ-  
როვე ქართველმა შეინარჩუნა ის თვისებები,  
რომლებიც „გენიალურმა ფსიქოლოგმა“ შენიშნა  
ცხოვრებაში და ასემა თავის ნაწარმოებში. მისი  
სიტყვით, რუსთველი წინააღმდეგობათა დი-  
ლემტიკასაც ჩაწვდა. ნათქვამის საილუსტრაციო-  
ოდ მან დაიმოწმა ავთანდილისა და ფატმანის  
ურთიერთობა და ჭაშნავაძის მოკვლის ეპიზო-  
დი. ეს არაა არც ღალატი, არც ტრაგედია, უხაა



გზა მიზნის მისაღწევად. „ვეფხისტყაოსანში“ ლიტბულებათა თავისებური საზომია. რუსთველი თვით ქმნის ამ საზომს და მის გადაფასებასაც აჩვენებს. იგი „მსოფლიოს სხვადასხვა საზოგადოებას“ აჩვენებს, რომელიც ადამიანებს სხვა კუთხიდან შეუძლიათ დანახონ თავიანთი ღირსებანიც და თავიანთი ნაკლოვანებანიც.

ჩემმა მწერალმა ივან სკალამ სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს რუსთველისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე 1966 წლის 30 სექტემბერს. რუსთველის „გმირული ეპოსის“ სილიაღით აღფრთოვანებულმა და შთაგონებულმა სტუმარმა ქართველ საზოგადოებრივას ასე მიმართა: „მსოფლიოს სხვადასხვა მწერლებს საქართველოში ჩამოვედით, რათა თქვენთან ერთად ქედი მოგვეხარა დიდი პოეტისათვის, რომელიც გეკუთვნით არა მარტო თქვენ, არამედ ჩვენც; ვითარცა მსოფლიო მნიშვნელობის პოეტი. აქ შემთხვევით არ ჩამოვსვლავართ; ჩვენ აქ იმისთვის შევიკრიბეთ, რომ გვიჩვენოთ წმინდა და გულწრფელ მეგობრობას ხალხთა შორის, ადამიანებს შორის. სახელდობრ ამიტომ შევიკრიბეთ მამაცური მეგობრობისა და ხალხთა ძმობის მჭიდვებელი დიდი პოეტის იუბილეზე. მის თხზულებაში ვერ კიდევ 800 წლის წინათ გამჟღავნა სიმბაღრითა და მომაჯადოებელი სილამაზით აისახა ის იდეალები, რომელთაც ყველანი მივმართავთ ხოლმე“.

სამშობლოში დაბრუნებულმა ი. სკალამ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც გადმოსცა საქართველოში ყოფნის შთაბეჭდილება და ერთხელ კიდევ შეასხა ხოტბა რუსთველს. მისი სიტყვით, ყოველ ხალხს მოუპოვება კულტურის ისეთი ძეგლი, რომელშიც განსახიერებელია ერის უფაქიზისი არსება, მისი სული, მისი ცხოვრება. ქართველი ხალხის ასეთი ძეგლია „ვეფხისტყაოსანი“ — პოემა ჰუმანიტური მეგობრობისა, სპეტაკი სიყვარულისა და ადამიანთა ძმობისა. ამ პოემის დიდებულებთან ადამიანთა ხასიათები და მწველი ნებები აქ გვიხილავენ, როგორც სოფოკლესა და შექსპირის შედევრებისა. მისი დაკვირვებით, მსოფლიოში არ უნდა არსებობდეს სხვა ერი, რომელიც ასე დიდ პატივს სცემს თავის პოეტს. ამის მიზეზი კი ქართველთა შინაგან სილამაზესა და ღრმა ემოციურბაზაშია საძიებელი. ქართველი ხალხი საუკუნეთა მანძილზე იბრძოდა დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის და ძნელბედობის ქაშის რუსთველის პოემაში ხედავდა „ყველაზე წმინდას, ჩაუქრობელს, ქედუხერეს“, „ხორცშესქმულ სურვილებსა და გრძნობებს“. მტერი ანადგურებდა ქალაქებს და სოფლებს, მაგრამ ერის სული, მისი სილიაღ და სილამაზე ინახებოდა დიდი პოეტის შემოქმედებაში.

რუსთველის საიუბილეო დღესასწაულის მონა-

წილენი — ი. ტაუფერი და ვ. მივალიცი სიტყვებით გამოვიდნენ მწერალთა ბორჯომის სტრათაშორის ფორუმზე, ლექსებით — ინტერნაციონალური პოეზიის საღიმიზე. სამშობლოში დაბრუნებულმა ი. ტაუფერმა წერილობით გამოხატა თავისი „აღტაცება ასეთი დიდი ზეიმის სრულყოფილი და დიდებული ორგანიზაციის გამო, როგორც რუსთველის 800 წლისთავის იუბილეს აღნიშვნა იყო“. მისი სიტყვით, „ყველაფერი საუცხოო და უნაკლო იყო. ეს დღესასწაული ჰუმანიტარულ შეფერვბოდა საქართველოს დიდ პოეტს“. მწერალთა ბორჯომის საერთაშორისო ფორუმის მუშაობაში მონაწილეობდა მწერალი ვ. პანძოვა, რომელმაც გამოაქვეყნა ვრცელი ანგარიში ასეთი სათაურით: „პოეზია ამსხვრევს ვერპებს“<sup>16</sup>.

დასასრულს გესურს შევჩერდეთ კიდევ ორ ავტორზე, რომელმაც სპეციალური წერილები გამოაქვეყნეს რუსთველზე. პირველია მწერალი — მთარგმნელი და ქურნალისტი ივო ვაცულინი, რომელმაც თანამემამულეებს მოუთხოვა რუსთველის ცხოვრება-მოღვაწეობაზე, მის უკვდავ თხზულებაზე; მეორეებია ყურადღება გაამახვილა იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიციის (1960 წ.) მიერ მიკვლეულ მასალებზე და რუსთველის ეპოქის დიდ მნიშვნელობაზე ქართული კულტურის ისტორიაში. ი. ვაცულინის სიტყვით, „მხოლოდ პოეტთა მცირე რიცხვს. რვეზია ისეთი დიდი პატივი, როგორც შოთა რუსთველს“, რომელიც უდიდესი სიყვარულით სარგებლობს ქართველთა შორის. ეს შეიძლება ევროპელთა გადაქარებად ეჩვენოს, მაგრამ იმ ხალხისათვის, რომელსაც მთელი ისტორიის მანძილზე თავისი არსებობისათვის უბრძოლია, სამშობლოს ყოველი მტკაველი სიცოცხლის ფასად შეუნარჩუნებია, სისხლით გადაარჩენილი ძველი კულტურის, მისი ყოველი ძეგლის მნიშვნელობა ფრიად ბუნებრივი და გასაგებია“.

წერილის დასასრულს გულისტკივილია გამოთქმული იმის გამო, რომ ევროპულ ენებზე „ვეფხისტყაოსანი“ ძალზე გვიან — XIX საუკუნის მეორე ნახევარში ითარგმნა: „აღრე რომ თარგმნილიყო, დიდად შეუწყობდა ხელს ევროპული რომანტიზმის განვითარებას და ალბათ სულსჩამდგმულად და შთამაგონებლად მოევიწყებოდა მას“<sup>17</sup>.

მეორე ავტორია სლოვაკი ქურნალისტი ვ. ტემნოვიცა, რომელმაც სამეცნიერო-პოპულარულ წერილში<sup>18</sup> მკითხველებს მიაწოდა ცნობები XII-XIII საუკუნეთა საქართველოს შესახებ, წარმოაჩინა რუსთველის სილიაღ და მისი პოემის ზოგადსაკუთრებო მნიშვნელობა, დაიმიოწმა ხალხური გადმოცემები და დოკუმენტური მასალა ქართველ პოეტზე, განსაკუთრე-

**ლევან მინაბდე**  
რუსთველი ჩინოსლოვანიში

ბით შეჩერდა იერუსალიმის ცნობილ ფრენკანს და წარწერაზე.

რუსთველის იუბილეს გამოეხმაურა არა მხოლოდ ზემოდასახელებული რამდენიმე მოღვაწე, არამედ ჩეხოსლოვაკიის ოფიციალური პრესაც. მაგალითად, „რუდე პრავემ“<sup>19</sup> კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭო ხალხმრავალი ქვეყნების კულტურის წარმომადგენლებთან (დანტე, შექსპირი და სხვ.) ერთად პატივით იგონებს მიტრებიცხოვან ერ-თა მცენიერებას და ლიტერატურის წარმომად-

გენლებს, ამით ხელს უწყობს მათ პოეტურ მანერაში და არღვევს მცირე წარმოდგენას ევროპოცენტრიზმზე. ერთ ასეთ მნიშვნელოვან ლენინისძეობად მიიჩნია მან „ღიმი ქართველი კლასიკოსის“<sup>20</sup> რუსთველის დაბადების 800 წლისთავის მსოფლიო მასშტაბით აღნიშვნა. გაზეთმა ასეთივე კმაყოფილებით მოიხსენია პრადის საქალაქო ბიბლიოთეკაში რუსთველისადმი მიძღვნილი საღამოს ჩატარება და „ვეფხისტყაოსნის“ ახალი ჩეხური თარგმანის წარწევების წაყითხვა ი. ვონდროვიჩისა და ბ. პასტორკის მიერ<sup>20</sup>.

### შენიშვნები:

<sup>1</sup> A. Cerefeji, Baši-Ačuk (Historická povídka). Z gruzinstiny přeložil O. Vetti, Praha, [1912].

<sup>2</sup> 750 let největšího básníka Gruzie—Šota Rustaveli, «Halo noviny», 28. XII. 1937. ჩეხოსლოვაკიის მუშაეთა პრესა შოთა რუსთაველის პოემის 750 წლისთავის შესახებ, «რომუნისტი», 31. XII. 1937, № 300 (5101); «საბჭოთა აქრო», 1. I. 1938, № 1 (4904); «საბჭოთა აფხაზეთი», 4. I. 1938, № 3 (101).

<sup>3</sup> ი. ივლიჩკა, მოზღვავებული შობაბედილებანი, «ისკარი», 1957, № 2, გვ. 104-107. იხ. აგრეთვე ვ. კახნიამვილი, უცხოელები ქართული კულტურის შესახებ, თბ., 1966, გვ. 31.

<sup>4</sup> Дружба сокращает расстояния. «Литературная Грузия», 1957, № 2, გვ. 128—129.

<sup>5</sup> ი. ივლიჩკა, სახელოვანი და გმირული, «დროშა», 1958, № 10, გვ. 5.

<sup>6</sup> J. Jedlička, Rustaveli — básnik národní, «Nový Orient», 1945—1946, № 8-9, გვ. 13—17.

<sup>7</sup> «Praha-Moskva», 1947, № 1, გვ. 19; «Tvorba», 1957, № 32, გვ. 11, იხ. აგრეთვე «Nový Orient», 1972, № 4, გვ. 66.

<sup>8</sup> O. Dorazil, Květy nevdanoucí. Poklady středověkého písemnictví všech národů, Praha, 1947, გვ. 397—403.

<sup>9</sup> Šota Rustaveli, Muž v tygři kůži. Přeložil J. Jedlička, Praha, 1958.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 317—310.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 51—315. «ვეფხისტყაოსნის» ჩეხური თარგმანის წარწევატი შეტანილია სახელმძღვანელოშიც (ი. ივლიჩკა, ჩეხური ენა, თბ., 1972, გვ. 361—362).

<sup>12</sup> «ვეფხისტყაოსანი» ჩეხურ ენაზე, «ლიტერატურული გაზეთი», 28. XI. 1958, № 48 (1114); 6. ჩხვიძე, «ვეფხისტყაოსნის» ჩეხური თარგმანი, «თბილისი», 27. XII. 1958, № 292 (1695); Л. Джулабашвили, «Витязь в тигровой шкуре на чешском языке», «Молодой сталинец», 8.I.1959, № 4 (5234); Н. Марджанишвили, Жемчужина грузинской поэзии на чешском языке, «Вечерний Тбилиси», 15.I. 1959, № 12 (1707); შ. გვინჩიძე, მუც ვ ტიტრები კვიე, «დროშა», 1959, № 2, გვ. 14-15;

მისივე, ქართული კლასიკოსები ჩეხურ ენაზე, «ლიტერატურული გაზეთი», 13. III. 1959, № 11 (1129); D. Chadin, Dvkrát z Gruzie, «Literární noviny», 1959, № 12, გვ. 5.

<sup>13</sup> A. Cechová, Z Gruzie do Jeruzaléma, «Svět Sovětů», 1962, № 4, გვ. 9 (ა. კაკუელია, «საქართველოდან იერუსალიმამდე», «ახალგაზრდა კომუნისტი», 6. III. 1962, № 28 (7094).

<sup>14</sup> ვ. ჩერნი, უკვდავი წიგნი, «კომუნისტი», 4.IX.1966, № 201 (13585).

<sup>15</sup> I. Skála, Na skok v Gruzii. «Kulturní tvorba», 1966, № 49, გვ. 16. წარწევატი დაიბეჭდა ქართულადაც. იხ. «ლიტერატურული საქართველო», 17. II. 1967, № 8 (1541). (რეზორია: «მსოფლიო სარბილზე»).

<sup>16</sup> V. Handzová, Počzia rúca nodly, «Kulturní život», 21. X. 1966, № 43, გვ. 6; 28. X. 1966, № 44, გვ. 8.

<sup>17</sup> I. Vaculín, Kult legendárního básníka, «Literární noviny», 24. IX. 1966, № 39. რამდენადაც შემოკლებული სახით გამოქვეყნდა ქართულადაც. იხ. ი. ვაცულიანი, ლეგენდარული პოეტის კულტი, «ლიტერატურული საქართველო», 7. IX. 1967, № 15 (1548). იხ. აგრეთვე მისივე, Legenda o básnikovi, «Svět Sovětů», 1957, № 29, გვ. 7.

<sup>18</sup> B. Temnovová, Muž, o ktorom kronikári museli mlčať, «Svět socializmy», 1966, № 32, გვ. 10—11 (ა. კაკუელია, «ადამიანის მსოფლიო გენია», «ახალგაზრდა კომუნისტი», 24. XI. 1966, № 139 (7827).

<sup>19</sup> K výročí Šoty Rustaveliho, «Rudé právo», 9. XII. 1966, № 339; საყურადღებო ტრადიცია, «ლიტერატურული საქართველო», 7. IV. 1967, № 15 (1548).

<sup>20</sup> წერალში გამოყენებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთველის კაბინეტის მასალები, რომლებიც კაბინეტს გადასცეს ა. ბარამიძემ, ვ. კახნიამვილმა, ვაჟთ «კომუნისტის» რედაქციამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომომუშაებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, პრადისა და ბრატისლავის უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებმა, თარგმნეს ი. გოლიაძემ და ვ. ნებეირიძემ.

## შოთა რუსთველის ვინაობისა და საღაპრობის ერთი უხვობი მოსაზრება

(ნეოკ ნაღირაშვილის რუსთველოლოგიური ძიება)

„ახსტანგ VI-ის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარებითა და სარდაქციო ხასიათის შრომით საფუძველი ჩაეყარა რუსთველოლოგიას, რომელიც მომდევნო ეპოქებში სულ ვითარდებოდა, ხოლო საბჭოთა სინამდვილეში შეიქმნა დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა რუსთველოლოგია. ცოდნის ეს ღარგი იკვლევს რუსთველის პიროვნებისა და მისი პოემის ირგვლივ არსებულ პრობლემებს და წარმატებებსაც აღწევს. დღეს ჩვენ გვყავს მრავალი სწავლული, რომელნიც ავტორები არიან ცალკეული გამოკვლევებისა თუ წიგნებისა, რომლებშიც ბევრი საღავო საკითხი უკვე გაირკვა, ბევრს მოეფინა შუქი.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, მაინც მრავალი საკითხი, რომელიც შუქს მოაფენდა გენიალური პოეტის ცხოვრების დეტალებს, ან გაარკვევდა პოემის მსოფლმხედველობის, პოეტიკის, ენის თავისებურებებს, ჯერ კიდევ შესასწავლი, გამოსაკვლევი და დასადგენია.

ასეთ ვითარებაში ძალზე საინტერესოა თუნდაც მცირე წერილი, კერძო მოსაზრება ან გამოკვლევა, რომელიც რუსთველოლოგიაში რაიმე ახალს გვაშენობს. მნიშვნელოვან არ უნდა მივიჩნიოთ იმას, თუ ვის ეკუთვნის ეს ნაშრომი — ტიტულებთან მკვლევარს თუ მეცნიერებაში უცნობ პიროვნებას. მთავარია, რა მონღომებით, რა სიღრმით და დამაჯერებლობით არის დაწერილი ეს ნაშრომი.

ჩვენს ამ წერილში მკითხველთა ფართო აუდიტორიას გავაცნობთ მეცნიერებაში უცნობ, მაგრამ ფართოდ განათლებულ პიროვნებასა და მის ნაშრომს, რომელშიც ავტორი ცდილობს შექმნა „შეიტანოს საქართველოს ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიის, შოთა

რუსთველის საღაპრობის საკითხებში“ და მოახლოებით დაადგინოს როგორც პოემის დაწერის წლები, ასევე პოეტის გეარტი.

ცხადია, ამ პრობლემათა გადაჭრა ძალზე რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. მათი თუნდაც ნაწილის დამაჯერებელი გადაწყვეტა მნიშვნელოვანი გამარჯვება იქნებოდა, ხოლო ნაშრომის ავტორი — ქების ღირსი. ჩვენ შორს ვართ იმ ილუზიისაგან, რომ ამ უცნობი ავტორის ყველა მოსაზრებას სპეცილისტები მყისვე გაზიარებენ, რადგან ვიცით, რომ საკვლევლოდ გავრცელებული აზრის უაზრობა ძნელია, ისიც ვიცით, რომ ე. წ. „ავტორიტეტების“ დაწილის ძალა ძლიერია, მათგან განთავისუფლება ჭირს, მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ ახალი აზრის გარეშე შეუძლებელია მეცნიერების ნებისმიერი დარგის წინსვლა, მათ შორის რუსთველოლოგიის წინსვლა. ამიტომ გზა უნდა გავხსნას ახალ აზრებს, ისინი საყოველთაოდ ცნობილი უნდა გახდეს ყველასათვის და დრო თვითონ გამოაჩენს მართალსა და მტყუანს, სწორსა და მრუდს.

ნაშრომს, რომლის ძირითადი შინაარსის შეტყობინება ჩვენ მიზნად დავისახეთ, ეწოდება „ზოგიერთი შეცდომები ჩვენს ისტორიულ და საისტორიო-გეოგრაფიულ მწერლობაში და რუსთველის ვინაობა-საღაპრობა“. მისი ავტორია ნიკო ვასილის ძე ნადირაშვილი, რომელიც იყო მეფის რუსეთის არმიის ოფიცერი, ფრიალ განათლებული და პარტრესული პიროვნება, მკვნიებარე მამულიშვილი. იგი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩემად, მოკრძალებულ ცხოვრობდა ლავილენში და საარსებოდ გააჩნდა პატარა ვენახი და ფუტყარი, რომლის



დღი მცოდნე და გავრცელების ინიციატორი იყო მთელს რაიონში.

ნიკო ნაღირაშვილის ცხოვრების უმთავრეს მომენტებს და ნაწყვეტებს მასზე მოგონებებიდან ჩვენ ამ ნაშრომის მეორე თავს დავუბოძებთ. პირველ თავში კი შევეცდებით ვაღმოვცეთ მისი მთავარი და რამდენიმე სხვა ნაშრომის ძირითადი ასისი.

„ზოგიერთი შეცდომები ჩვენს ისტორიულ და საისტორიო-გეოგრაფიულ მწერლობაში და რუსთველის ვინაობა-სადაურობა“ შედგება რამდენიმე თავისაგან. ყოველ მათგანში დასმულია ცალკე საკითხი და მრავალი საისტორიო თუ ლიტერატურული წყაროს მოხიზობით, სათანადო მსჯელობითა და არგუმენტიაციით გამოტანილია შესაბამისი დასკვნები.

ნაშრომის დასაწყისში ნ. ნაღირაშვილი ეხება რუსთველის ვინაობა-სადაურობაზე ჩვენს მეცნიერებაში გამოთქმულ სხვადასხვა თვალსაზრისს და მიაჩნია, რომ არსებული თეორიები მკვედრ საფუძველს მოკლებულნი აღმოჩნდნენ.

ყველაზე სარწმუნო წყაროდ, რომელიც ცნობებს გვაწვდის რუსთველის ვინაობა-სადაურობაზე, ნ. ნაღირაშვილს მიაჩნია პოემის შესავალი, რომელშიც ავტორის ვინაობაზე თუმცა ზნეწადაა ნათქვამი, მაგრამ, ამის მიუხედავად, თუ მას სწორად წაიკითხავთ, შესაძლებელი გახდება პოეტის სადაურობისა და ვინაობის გარკვევა, — ასე სწამს მკვლევარს.

სტროფით — „დავჯე რუსთველმან ვადღეკე მისთვის გულაზვარ სობილი“, ნ. ნაღირაშვილის აზრით, პოეტი გვეუბნება, რომ მე ვარ რუსთველი. მკვლევარი ფიქრობს, რომ ტერმინი „რუსთველი“ შეიძლება გვესმოდეს სადაურობის აღმნიშვნელი აზრითაც (ფსევდონიმად), შესაძლოა აგრეთვე, რომ იგი ნიშნავდა ხელობას, ხელს, თანამდებობას.

ნ. ნაღირაშვილის აზრით, წინა სტროფში ნახმარი ტერმინის აზრის დასაზუსტებლად მომდევნო სტროფში პოეტი წერს:

„მე რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა  
ამა დარი,  
ვის მორჩილებს ჯარი სპათა, მისთვის  
ვხელობ, მისთვის მკვდარი“.

მკვლევარი უარყოფს სიტყვა „ხელობის“ სივრცელ გაგებას, ასეთი რამ აქ უაზროდ მიაჩნია და წერს: „თამარისადმი სიყვარულს პოეტი კი არ გვამობს და არ ნანობს, რომ მას თამარი უყვარს, არამედ მას ეს გრძნობა სრულიად კანონიერად, სრულიად ბუნებრივად მიაჩნია და, პირაქით, ის თამარის მხრით თანაგრძნობაზეც კი აღტენებობს: ანუ მომცეს განკურნება, ანუ

მიწა მე სამარი“. ნ. ნაღირაშვილის აზრით, პოეტს თამარისადმი სიყვარული სიყვარულად რომ მიეჩნია, ეს იმისი მაჩვენებელი იქნებოდა, რომ მის გრძნობებში უკვე რაეჭვია უნდა მომხდარიყო. ამას კი ეწინააღმდეგება პოემის შესავლის შემდეგი სტროფები:

„ჩემი აწ სცანიო ყოველთა, მას ვაქებ,  
ვიცა მიქია“,  
„ესე მიჩს ღიდალ სახელად, არ თავი  
გამიქიქია,  
იგია ჩემი სიცოცხლე უწყალო, ვითა  
ჭიქია“.


მოტანილი სტროფები, მკვლევარის აზრით, გვეუბნება, რომ თამარისადმი სიყვარული პოეტს სიყვარულად კი არ მიაჩნია, არამედ ის ამით ამაყობს და გვეუბნება, რომ უთამაროდ მისდარსებობა შეუძლებელია.

შემდეგ ნ. ნაღირაშვილი მრავალი მავალითის საფუძველზე, საისტორიო და ლიტერატურული წყაროების მოხიზობით გვიმტკიცებს, რომ „ხელობა“ არის არა სიყვრე, არამედ ხელი, თანამდებობა. ნაშრომის მოზრდილი ნაწილი სწორედ ამის გამოკვევას ეძობა, თუ რა სახელია, რა თანამდებობა ეკავა პოემის ავტორს. მკვლევარი რუსთველს მიიჩნევს რუსთავის მფლობელად, რუსთავის ერისთავად.

შემდეგ კვლევა ეხება იმის დადგენას თუ სად იყო რუსთავი, რომელსაც პოეტი ფლობდა. გაბატონებულ აზრით იგი მესხეთის რუსთავია, ზოგი დღევანდელ ქ. რუსთავსაც გულისხმობდა. ამათგან განსხვავებით, ნ. ნაღირაშვილი ამტკიცებს, რომ პოეტის სამფლობელო იყო სულ სხვა რუსთავი, რომელიც დღევანდელი საინჯლოს ტერიტორიაზე იყო, ხოლო ამ ტერიტორიებს თამარის ეპოქაში ჰერეთი და, მის პარალელურად, კუბეთი ეწოდებოდა. უძველესი და საშუალო საუკუნეთა ისტორია იხსენიებს მხოლოდ ერთ რუსთავს, ქართლისის ცოლის მიერ აშენებულ ბოსტან-ქალაქს, რომელიც შემდეგ ისტორიკოს მროველის დროს უკვე რუსთავად იწოდებოდა. სხვა რომელიმე რუსთავს ხსენებულ ეპოქათა ისტორია არ იხსენიებს — წერს ნ. ნაღირაშვილი.

მკვლევარი გამოთქვამს აზრს, რომ პოეტი უნდა ყოფილიყო იმ ეპოქაში ცნობილი რუსთავის მფლობელი, თორემ თუ სხვა რუსთავიც არსებობდა, მაშინ უნდა მიეჩინებინა, რომელ რუსთავს გულისხმობდა. რაკი მას მხედველობაში ჰქონდა ყველასათვის ცნობილი რუსთავი, ამიტომ პოეტი დაუსტებდას საჭიროდ არ მიიჩნევდა.

ნ. ნაღირაშვილი ნაშრომის მომდევნო თავებში ცდილობს გაარკვიოს სამი საკითხი: 1. სად მდებარეობდა უძველესი, ისტორიაში ცნობილი რუსთავი; 2. პოემის დაწერის თარიღი, როდესაც, პოეტის ცნობით, ის რუსთველი იყო;



3. ვინ იყო ზოემის დაწერის ქამს უძველესი რუსთავის მფლობელი.

მეორე ქვეთავის ამოსავალი დებულება: ციხე-ქალაქ რუსთავის ადგილსამყოფელის საერთოში თანამედროვე ისტორიული და საისტორიო გეოგრაფიის მეცნიერება ბატონიშვილების ვახუშტისა და თეიმურაზის მცდარ დებულებას იხიარებს. ამიტომ, ბუნებრივია, ნ. ნადირაშვილი თვითონ ვეთავაზობს ახალ თვალსაზრისს, რომელშიც ცილიტობს ზემოაღნიშნული შეცდომის გასწორებას.

ვახუშტისა და თეიმურაზის თვალსაზრისით, ზოეტის რუსთავია თბილისის მახლობლად, ყარაიაში მდებარე, ახლანდელი ქ. რუსთავის ადგილზე ძველად არსებული რუსთავი. ჩვენს მკვლევარს მიანჩნია, რომ ეს შეცდომაა, რასაც წარმომოხბის თავისებური საბაზი აქვს. უსაფუძვლოდ არ მოჩანს ნ. ნადირაშვილის შემდეგი მსჯელობა: „ბატონიშვილი ვახუშტი რუსთავის თანამედროვე არ იყო, ამიტომ ცნობები რუსთავზე უნდა დავსაბუთებინა: საღ წაუციოხავს, საიდან ჩანს, რომ ქართლის ცოლმა ყარაიას ტერიტორიაზე ააშენა ბოსტან-ქალაქი, ან რომ ორდატმა აქ „აღაშენა ეკლესია კეთილი“, ან რომ ვახუშტე გორგასაღმა დასვა ეპისკოპოზი და სხვ.? ამის დამამტკიცებელი საბუთები უძველეს რუსთავზე არ არსებობს, პირიქით, როგორც უძველეს აგრეთვე საშუალო და განახლებების პერიოდის ისტორიკოსთა ცნობები, რომელთაც ჩვენ ქვევით მოვიყვანთ და გავარკვევთ, მის ცნობებს ეწინააღმდეგებიან“.

ნ. ნადირაშვილი უარყოფს თეიმურაზ ბატონიშვილის აზრს იმის შესახებ, რომ ქალაქი რუსთავი და ზოეტი რუსთაველი იყვნენ ყარაიაში. ეს უარყოფა იმას ემყარება, რომ ყარაიას ტერიტორია (რომელზეც არის თბილისის მახლობელი რუსთავი) ჰერეთის ფარგლებში არასოდეს შედიოდა, ჰერეთი აქ კი არ იყო, არამედ სულ სხვაგან. ნ. ნადირაშვილის მტკიცებით, რაც ემყარება „ქართლის ცხოვრების“ ანასეულ რედაქციას, უძველესი ჰერეთის ფარგლებში შედიოდა „მეფეანა მტკუარსა ჩრდილოთ, მცირესა ალაზნისა შესართავიდან ვიდრე ტყეამდე“. საშუალო საუკუნეთა ჰერეთის საერისთავოს ტერიტორია ალაზნის მარჯვენა მხარეზე არა ვრცელდებოდა, აქ მაშინ იყო ქიზიყი და მის დასავლეთით კი კახეთის საერისთავო. ალაზნის მარჯვენა მხარე ჰერეთს უყვე მე-რ საუკუნეში ჩამოართვეს ბაქურ მეფის შვილთ, რომელთაც „დაიპყრეს კახეთი და ერეთი იორიდან და დასხეს უჯარმოს“. აქედან ჩანს, რომ საბუთი, რომელიც მოაქვს ბატონიშვილი თეიმურაზს მისი და ვახუშტის ცნობის დასასაბუთებლად, კი არ ასაბუთებს, რომ რუსთავი მდებარეობდა ყარაიაში, არამედ, პირიქით, მის უარყოფს, ვინაიდან „წერილნი“, რომლებიც თეიმურაზს წაუკეთხავს, რუსთავს

გვიჩვენებენ ჰერეთში, რომელიც ალაზნის ვაკეცხენა სანაპიროს იყო და მის ფარგლებში ყარაია არ შედიოდა. მისასადამე, სხვა რუსთავია და არა ყარაიაში.

ამ მსჯელობის შემდეგ ნიკო ნადირაშვილი მიღის იმ დასკვნამდე, რომ ვახუშტისა და თეიმურაზ ბატონიშვილების ცნობები უძველესი რუსთავის ადგილსამყოფელზე საუკუთა და მეცნიერული თვალსაზრისით არადამაქრებელი. ამის შემდეგ საესებით გამართლებულია მკვლევარის გადაწყვეტილება, რომ სიმართლის დასადგენად საჭიროა „გავეცნოთ ყველა ეპოქის ისტორიულ ცნობებს ამ ქალაქზე და ამ ცნობათა კრიტიკული ანალიზით დასძულ პრობლემაზე ამომწურავი პასუხი მივიღოთ“. მკვლევარის ასეუ იქვეა.

ვახუშტის ბაგრატიონის შეცდომის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ მან მდინარე ეგრი მიინჩნია მდინარე არაგვად. ეს იმიტომ, რომ „ვახუშტი თავის ნაშრომს, „საქართველოს საგეფოს აღწერას“, წერდა რუსეთში 1743-1744 წლებში და მაშინ საინგილო უკვე მივიწყებული, სხვათა ტერიტორია იყო, ხოლო შეცდომის თან არ ექნებოდა ყველა საჭირო მასალა და წყარო, რომ მათი გამოყენებით დაეზუსტებინა ყველა გეოგრაფიული პუნქტი“.

ვახუშტის შეცდომა მდინარე ეგრის გაგებაში, რომ იგი არაგვად მიინჩნია, საფუძვლად დაედო მის სხვა შეცდომებს, რამაც ჰერეთის სულ სხვაგან წარმოადგენინა. ვინემ სინამდვილეში იგი იყო. სინამდვილეში არსებობს მდინარე ეგრი, იგი არის დღევანდელ საინგილოში, რომელიც ძველად კუხეთი (პარაღმურთან ჰერეთი) იყო. ძველი რუსთავი კი ისტორიულ წყაროებში მითითებულია სწორედ კუხეთში.

ნიკო ნადირაშვილი თავის გამოკვლევას ურთავს რუკას, რომელიც საკუთარი ხელით შეუდგენინა და რომელიც საესებით ნათელ წარმოადგენას გვაძლევს სადავო საკითხზე. გარდა ამისა, მკვლევარის არქივში დევს მეორე რუკაც, 1905 წელს გამოცემული სამხედრო-ტოპოგრაფიული რუკა, 5 ვერსიანი მასშტაბისა. ჩანს, იგი ნ. ნადირაშვილის, როგორც ოფიცერს, ჰქონდა ან უშოვია. ეს რუკა ადასტურებს მდინარე ეგრის დღევანდელ საინგილოში არსებობას, იგი ჩაედინება ქ. ნუხის აღმოსავლეთით და უერთდება ალაზნას.

მდინარე ეგრის ადგილის დაზუსტებას კი ის მნიშვნელობა აქვს, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ მითითებული ტერიტორიების მისანიშნებლად იგი ნახსენებია ერთ-ერთ ორიენტირად, როგორც კუხეთის (ჰერეთის) აღმოსავლეთი

**ბარბელ კანაწილაშვილი**  
ზომთა რუსთაველის ვინაობისა და  
სადარბოგის მართი უცნობი მოსაზრება



საზღვარი. აქედან ნ. ნადირაშვილი ასკვნის, რომ პერტი, რომლის ტერიტორიაზეც იყო ცხებქალაქი რუსთავი, იყო დღევანდელი საინგილოს ფარგლებში.

რაც ლეონტი მროველი, ჯიანაშვირი, „ისტორიანი და აზმანის“ ავტორი, ე. ი. თამარ მეფის ერთ-ერთი ისტორიკოსი და სხვანი თვითნებურად წერდნენ მაშინ, როცა უძველესი ქალაქი რუსთავი არსებობდა, მამასადამე მათი ცნობები მთის თანამედროვე ქალაქზე უფრო სარწმუნოა, ვიდრე ვახუშტისა და თეიმურაზისა. ამიტომ მომდევნო მსჯელობაში ნ. ნადირაშვილი ეხება ძველ ისტორიკოსთა ცნობებს ბოსტან-ქალაქ-რუსთავზე.

ნ. ნადირაშვილი ემყარება ლეონტი მროველის ნაამბობს იმ ადგილს, რომელიც ეხება ქართლოსის სიკვდილის შემდეგ მისი ცოლის მიერ საქართველოს ტერიტორიის გაყოფას ხუთ შვილზე. ის წერს, რომ დღეოფლმა „აღაშენა დედაციხე და მიმინე აღაშენა ბოსტან-ქალაქი, რომელსაც აწ ჰქვიათ რუსთავი და განუყუნა ცოლმან მისმან ქართლოსისმან ხუთნივე იგი გმირნი შვილი მისნი... ხოლო კახოსს (აქ ნ. ნადირაშვილი ასწორებს უნებელი შეცდომას და ამბობს, რომ უნდა იყოს კუხოსის (ტექსტში ეს შეცდომა მართლაც აშკარად შეიძინება — ტ. კ.) მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქვიათ რუსთავი; მისცა ეგრიდგან თავამდე მთისა კახეთისასა და მტკვარსა შუა; ხოლო კახოსს მისცა კავასისა და კახეთისა მთას შორის არაგვიდგან ვიდრე ტყე-ტბამდე, რომელი არის საზღვარი პერეთისა...“

ამ ცნობაში დაშვებულ შეცდომას ნ. ნადირაშვილი მიაწერს ვახტანგ VI სწავლულ კაცთა კომისიას, რომელიც მუშაობდა „ქართლის ცხოვრების“ შევსებაზე. შემჩნეულ შეცდომებს გასწორების შემდეგ მკვლევარი მიდის დასკვნამდე, რომ, მროველის ცნობით, ბოსტან-ქალაქი, რუსთავი კუხოსის ტერიტორიაზე იყო. ამ ტერიტორიას ადრე პერეთი ერქვა, მაგრამ კუხოსის ხელში გადასვლის შემდეგ, როგორც მის სამფლობელოა, ეწოდა კუხეთი.

საყურადღებოა ნ. ნადირაშვილის შრომის შემდეგი ადგილი: „მროველი წერს, რომ ქართლოსის ცოლმა კუხოსს მისცა ტერიტორია მდინარე ეგრიდან კახეთის მთის თავამდე და მტკვრის შუა. მდინარე ეგრი დის ნუხის აღმოსავლეთით, ერთვის აღაზანს და იყო უძველესი საზღვარი პერეთისა და მოგვიანს ანუ აღბანეთს შორის. ამ ცნობის შინაარსიდან ვამომდინარეობს, რომ ქართლოსის ცოლს ბოსტან-ქალაქი—რუსთავი აუშენებია ნაჩვენებ საზღვართა შუა ტერიტორიაზე. ეს ტერიტორია მთელი კუხოსისათვის, რის შემდეგაც პერეთს ეწოდა მეორე სახელი — კუხეთი. ამით აიხსნება, რომ ეს ტერიტორია ისტორიულ ცნობებში

ხან იწოდება პერეთად, ხან კი კუხეთად. ამით აიხსნება, რომ ცხებქალაქი რუსთავი ნება ხან კუხეთში, ხან კი ისტორიული ცნობები მას პერეთში გვიჩვენებენ“.

ჩვენ, როგორც არაისტორიკოსი და ისტორიული გეოგრაფიის არასპეციალისტი, ამ მსჯელობიდან იმ დასკვნამდე მივდივით, რომ ნილე ნადირაშვილი საინტერესო მოსაზრებას გვათავაზობს და რომ მას ანგარიში უნდა გავიწიოს. ამასთანავე გავვიმტკიცებდა იმის რწმუნაც, რომ საქართველოს ისტორიული გეოგრაფია მოელის საფუძვლიან კვლევას და კარგ მკვლევარებს. არც წინაპართა ხსოვნა, არც თანამედროვენი და არც შთამომავალნი არ გვაპატიებენ, რომ ავტრ ჩვენი სახელმწიფოს ფარგლებში, დღევანდელი ახერბაიჯანის სსრ-ში არსებულია საინგილო.

საინტერესოა ნ. ნადირაშვილის ნაშრომის ის ადგილიც, სადაც გამოთქმულია ვარაუდი, რომ პერეთი საქართველოს შემოუერთებია უხსოვარი დროიდან. ეს ისტორიული ფაქტი შესაძლოა, მროველს აღწერილი ჰქონდა „ცხოვრება ქართველთა მეფეთს“ იმ ფურცლებში, რომლებიც მის თხზულებას აკლია.

აქვე საინტერესოა ნ. ნადირაშვილის მიერ ლეონტი მროველის იმ ადგილის დამოწმება, რაც წინის მიერ ქართლის მოქცევას ეხება და რომლითაც ხდება იქ ნახსენება კუხეთისა და ბოლის (ბოდბის) მიხედვით ტერიტორიების ლოკალიზაცია.

ლეონტი მროველის ნაშრომის ყოველმხრივი ანალიზით, კრიტიკული გააზრებისა და პოზიტორი შეფასების ნიადაგზე ნ. ნადირაშვილი მიდის საბოლოო დასკვნამდე, რომ „უძველესი რუსთავი მდებარეობდა არა „იალღუჯის აღმოსავლეთით და მტკვრის გაღმართ“, როგორც გვიჩვენებს ვახუშტი, არამედ ის ყოველი პერეთის ტერიტორიის ფარგლებში და ამ ტერიტორიის კუხოსზე გადაცემით მას მიეცა სახელი კუხეთი“.

ნ. ნადირაშვილი ყურადღებას მიაქცევს ლეონტი მროველის ნაშრომის იმ ადგილსაც, რომელიც შეეხება მირიან მეფის მიერ თავისი ვაჟის რევის დასაწესებლად გარკვეული ტერიტორიებით, აგრეთვე მირიანის ვაჟის ბაქარის სამფლობელო ტერიტორიებს, მათი სიძის სპარსეთის მეფის პეროზისათვის ტერიტორიების ბოძებას და ა. შ. აქაც მკვლევარი ასწორებს ვახუშტის ერთ შეცდომას. ხაზასმა ავტორს გაკეთებული აქვს შემდეგი აღგარდა: „მაშინდა მოიყვანა ძმისწულნი მისნი და მისცა კუხეთი და დასხნა რუსთავს ერისთავად“. ამით ნ. ნადირაშვილი მიდის დასკვნამდე, რომ კუხეთი და რუსთავი იყვნენ მდინარე ეგრის და გულგულა-ბერდუჯის ხაზის შუა მდებარე ტერიტორიაზე და არა ყარაია-ხერკე-ქერო-თიანეთის ფა-





რგვლებში, როგორც ეს ვახუშტის წარმოდგენაში.

მკვლევარი უყურადღებოდ არ ტოვებს ჭუნაშვილის მიერ კუხეთისა და რუსთავის მღებარეობის ჩვენებასაც.

XI საუკუნის ისტორიკოსი ჭუნაშვილიც აღსანიშნავია მხოლოდ იმ ცნობას, რომ მირიანის შვილმა მეფე ბაქარმა თავისი ძმისწულეობი, რვეის შვილები, კახეთიდან გადმოიყვანა, მისცა მათ ფეროზის ნაქონი კუხეთი და დასახლდა ქ. რუსთავში. ჭუნაშვილი „ცხოვრება და მოქალაქეობა ვახტანგ გორგასალისაში“ წერს: „მირიან და გრიგოლ იყვნენ ნათესავისგან რვეის, მირიანის ძისა, და აქუნდათ მათ კუხეთი და ცხოვრობდნენ რუსთავს ციხე-ქალაქს“. ნ. ნადირაშვილი აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ ჭუნაშვილი კუხეთად სოფელ მხოვრის მიერ ნაჩვენებ კუხეთს და არა „ვახუშტის ფსევდო კუხეთს“. ჭუნაშვილის მიხედვით, რუსთავი ალაზნის მარცხენა მხარეზეა. ამის საილუსტრაციოდ მკვლევარი იმეორებს ჭუნაშვილის ნაშრომის მრავალ ადგილს, რომელიც უმეტესად შეეხება ვახტანგ გორგასალის ბრძოლას სპარსთა წინააღმდეგ.

აღნიშვნის ღირსია, რომ სპარსეთის მეფის ანუშირვანის ჯარების მოძრაობის მარშრუტი, ბრძოლა, უკანდახევა, ვახტანგის სიკვდილის შემდეგ კვლავ შეტევა და მთელი აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობა, ამ თემის სტრატეგიული გეგმები, გეოგრაფიული გარემოს მინიშნება — ყოველივე ეს ნ. ნადირაშვილს, როგორც სამხედრო სპეციალისტს, ძალზე დაწვრილებული, გონებაშახლოვრად და დამაჯერებლად აქვს ვააზრებელი. ამ მსჯელობის მთელი აზრი ისაა, რომ დავეიმტიკეთოს რუსთავის მღებარეობა დღევანდელ საინჯილოში. უნდა ვიფიქროთ, რომ მკვლევარი გვარწმუნებს თავისი აზრის სისწორეში. მოტიანი ცნობების ანალიზის საფუძველზე ნ. ნადირაშვილი ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ უძველესი რუსთავი, იყო პერეთში, რომელსაც შემდეგ კუხეთი ეწოდა, ხოლო მე-17 საუკუნიდან (შაჰ-ახასის) ამოხრებული ღონისძიებებით, ქართულითა ვაქციტისა და ამოძირების შემდეგ, გადაარჩენილი უმნიშვნელო რაოდენობის ქართველთა ძალით გაიმამადიანების, ანუ ახლამოქციულთა (მამადის სჯულზე მოქცივა იგულისხმება) ფაქტის დასამკვიდრებლად მათ ინგოლოები, ხოლო ადგილს საინჯილო ეწოდა. პერეთის (დღევანდელი საინჯილოს) რუსთავი მღებარეობდა ალაზნის მარცხენა ნაპირზე.

ნ. ნადირაშვილი უყურადღებოს მიაქცევს ერთ კონკრეტულ გარემოებას: ჭუნაშვილი ანუშირვანის ომისას ახსენებს კამბეჩოვანის (ქიზიყის) ხორნახუცისა და კერძის ციხეთა აღებას, ხოლო პერეთში, არც მისი ციხეების და მათ შორის რუსთავის აღებაზე არაფერს წერს. ამ ვა-

რემოებას ნ. ნადირაშვილი ხსენის არაბი რეკონსტრუქციის აღ-დაზივის ცნობაზე: დაყრდნობით, რომ იმ დროისათვის პერეთი უკვე ანუშირვანის მთელი კობადის მიერ იყო ჩამართმულნი. ჩანს, ანუშირვანს კობადის მიერ აღებული პერეთი უკვე თავის ბაზად გამოუყენებია, აქედან გადმოსულა კამბეჩოვანში, მერე აქედან ხორნახუცისა და კერძის ციხეები: ეს იყო გორგასალთან ომის დრო.

ლიტერატურული თვალსაზრისით საინტერესოა ნიკო ნადირაშვილის ერთი მოსაზრება. ის იხსენებს „შუშანიყის წამებას“, პერეთის გამგებლად ვარსკენის ყოფნის ფაქტს, ცურტავის პერეთში არსებობის ფაქტს. ემყარება ი. ჭავჭავაძისა და კ. კეკელიძის მოსაზრებებს ამ ლიტერატურულ ძეგლზე და ამოსწევს მოსაზრებას, რომ „შუშანიყის წამება“ უნდა დაწერილიყო პერეთში, რადგან მისი ავტორი ცურტაველია... შემდეგ ავითარებს მოსაზრებას, რომ პერეთი საქართველოს დაწინაურებული კუთხე იყო და ამიტომ „ვეფხისტყაოსნის“ იქ შექმნა ცლოკურითა. მართალია, ნ. ნადირაშვილის ნაშრომის ეს ადგილი წითელი ფანქარით არის გადახაზული, მაგრამ ჩვენ არ ვიყით მთელი ერთი გვერდი ვინ გადახაზა. თვით ავტორს თავისივე ნაშრომი უსწორებია მელნი, ამიტომ ავტორის გადახაზულს არ უნდა გავდევს. ჩვენ მაინც მოვიტანეთ ეს მოსაზრება; რადგან მიგვაჩნია, რომ მკითხველს იგი დაინტერესებს.

ნიკო ნადირაშვილის ნაშრომის შემდგომ მონაცემთა ლაპარაკია იმაზე, რომ „ისტორიანი და აზნანის“ რუსთავს დღევანდელ საინჯილოში გვიჩვენებს. აქ ამ საკითხის გარკვევა დამოკიდებულია იმის დადგენაზე, თუ თამარ მეფემ 1191 წელს ვის „მოუმატა“ რუსთავი — ზაქარია მხარგრძელს, თუ ასა გრიგოლის ძეს? მკვლევარი ვერ ამას არკვევს.

მართლაც, ქ. რუსთავის ადგილმდებარეობის დადგენას პირდაპირი კავშირი აქვს იმასთან, თუ ვის „მოუმატეს“ ქ. რუსთავი — ზაქარიას თუ ასას. თუ გამოირკვეა, რომ რუსთავი ზაქარიას მიეცეს, მაშინ შეიძლება გვეფიქრა, რომ მისეულ თამარის დროს ქ. რუსთავი ყარაღაში იყო და არა პერეთში. ხოლო თუ გარკვევა, რომ რუსთავი მისცეს რუსთავის ერისთავს ასას (გრიგოლის ძეს), მაშინ დადგინდება, რომ „ისტორიანი და აზნანის“ ავტორი ლაპარაკობს საინჯილოში არსებულ რუსთავზე, რომელიც ჩვენ დავივიწყეთ.

ნ. ნადირაშვილს მოაქვს ვრცელი ციტატა კ. კეკელიძის მიერ შესწორებული და ისტო-

**ბარიელ კახიანიძის მიერ**  
 შოთა რუსთაველის მინაშრომის და  
 სადასტოვების ბარში. შინაგონი მოსაზრება





რომელიც ემყარება ისტორიის, ეთოგრაფიის, ლინგვისტიკის, სამხედრო ხელოვნების კარგ ცოდნას, ნიკო ნადირაშვილი გვარწმუნებს, რომ დურის ნანგრევებზე ან იქვე მასობრივად შეიძლება აშენებულიყო და განახლებულიყო ქალაქი რუსთავი, რაც თამარის საამშენებლო საქმის შედეგი უნდა ყოფილიყო. ე. ი. თამარის დროსაც ქ. რუსთავი დურის მასობრივად, ე. ი. ახალქალაქი საინჟინრო ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო.

ნ. ნადირაშვილი წერს: „სიტყვა „დური“, ჩვენი აზრით, საინჟინროში დღესაც არსებულ „დურ-დურს“ უნდა ნიშნავდეს. ჩვენი მხრივ აქ შეგვიძლია დავამატოთ, რომ ლაგოდეხელ მეიღვრთა მეტყველებდნენ სიტყვა „დურ-დური“ დღესაც იხმარება ბუნდუნის, ჩხუბის მნიშვნელობით, იტყვიან: „ეს კაცი რას დურდურებსო“, „მომბერდა მაგისი დურ-დური“, „ღარ გაათავა დურ-დური“ და ა. შ. *არქივიზატი*“

„დურ-დური საინჟინროში დღეს დღემდე ტყით მოკრული არეა. ის მდებარეობს ბელაქნის რაიონში, კატეხის ხეობის დასწვრივ. მდინარე უხანის (კატეხის წყალი) გვერდზე (იხ. 5 ვერსიანი ტოპოგრაფიული რუკა, რომელიც ერთის ნ. ნადირაშვილის ნაშრომს და ინახება მის არქივში). მის არეში და სიახლოვეს არაერთი არქეოლოგიური ნაშთია, როგორც ეკლესიათა ნაშთები, ასევე ქვევრები, ქვიტირით ამოშენებული სასამელი წყალი და ა. შ. უმთავრესი კი ის არის, რომ დურ-დური მდებარეობს გრანდიოზული ციხე-კედლის შიგნით, რომლის სიგრძე 30-40 კილომეტრს აღწევს. ამ ციხე-კედელს აფენიერს მე-10 საუკუნის არაბთა მშენებელი იბნ-ალ-ფაჯიხი, რომლსაც მოჰყავს უფრო უძველესი პერიოდის არაბი ისტორიკოსების აბდურახმან ბახულელის, იბნ-მუჰამად ქულბიელის და აჰმედ ისაჰანელის ცნობები...“

აგერ სულ ახლოს, ლაგოდეხიდან რამდენიმე კილომეტრზე ასეთი ძეგლის ნაშთებია და ჩვენ კი მას არ შევინწყავლით. იორდანის ვაღმა თუ ვერ შეაღწიეს ჩვენმა მეცნიერებმა, აქ ხომ წინ არაფერი დაუდგებათ. დაბეჭდვით უნდა ითქვას, რომ ამ ხარეზის გამოსწორება გადაუდებელი საქმეა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ იგი უნდა ითავოს. თვით ლაგოდეხის რაიონის ფარგლებში, ბელაქნისკენ მიმავალი გზისგან ცოტაზე დაშორებით, სოფელ მაჭიმთან ახლოს არის აგრეთვე მაჰის ციხის ნანგრევებიც, რომელიც სავსებით შეუსწაველია. ხომ ცნობილია, რომ ეს მაჰის ციხეც ქართველ მეფეთა სეზონური რეზიდენცია იყო ადრინდელ საუკუნეებში. იგიც მკვლევარებს მოეღოს. ვინ იცის, რა საიდუმლოებას ინახავს დურ-დურისა და მაჰის ციხეთა ნანგრევებზე კვლევა და მათი შესწავლა ივანე ჯავახიშვილის „ქართული“ ერის ის-

ტორიაში“ ნახსენებ „ტურათის უბანს“, „დურის ციხეს“ ნ. ნადირაშვილი იცნობს და გამოთქვამს ვარაუდს, რომ შესაძლოა „ტურის ციხე“ იგივე „დურის ციხეს“ ნიშნავდესო. ფონეტიკის გათვალისწინებით „დ“ შეიძლება მოხავედნობდეს „ტ“-სთან.

შემდეგ ნ. ნადირაშვილი ცილობს ახსნას „დურის“ ეტიმოლოგია და მსჯელობის შემდეგ დაასკვნის, რომ იგი უნდა ნიშნავდეს შესაფარს, მოფარებას. ერთი ისტორიკოსის ცნობით, ვახტანგ გორგასლის დანახავზე სპარსელები გაიძახდნენ: „დურ აზ გორგასლან“, რაც ნიშნავდა „მირიღეთ თავსა მგლისასა“, მავსადა-მე, „დურ“ ნიშნავს მოფარებას. „დურ-დურია“ ნიშნავდა ხალხის შეფარებას. გამოდის, რომ ციხე-კედელი დურ-დურია თუ დურ-დურს, რომელსაც 12 კოშკიც ჰქონია და კედლის სიგრძე კი 35-40 კმ ყოფილა, ხალხს თავშესაფარიდ იყო გამოხსენილი.

ნიკო ნადირაშვილი ემყარება ერთ ლიტერატურულ ცნობასაც, რომელიც ეკუთვნის მე-15 ს. ვასულისა და მე-16 ს. დასაწყისის პოეტს სერაპიონ საბაშვილს, რომელსაც თავის „რისტომანში“ მოუვლია გაბაასება რუსთველისა და მუხრანის ბატონის ბაგრატიისა. აქ რუსთველი ამბობს: „თუმცა ფასი არ მიბოძა, მან რუსთავი ამოშენაო...“ ე. ი. თამარმა არ თანამიგრძნო, მან ჩემი სიყვარული უარყო, მაგრამ სამაგიეროდ ქალაქი რუსთავი ამოშენარ. როგორც ჩანს, ამის განსაცხადებლად, სერაპიონ საბაშვილის ეპოქაში არსებობდა რაიმე ლიტერატურული ან ზეპირსიტყვიერი აზრი, ისე პოეტი ამას რუსთველს არ ათქმევინებდა. ზემონათქვამის გამო ნ. ნადირაშვილი გამოთქვამს ვარაუდს: „შესაძლოა არაბთა ბატონობის დროს, აგრეთვე სპარსელთა იმის შემდეგ, საქართველოში არაერთი შემოსევის დროს ქალაქი რუსთავი საგრძნობლად იყო დაზიანებული-აოკლებული, მეფე თამარმა ის შეაკეთა და პოეტს რუსთველს საერისთავოდ უბოძა“. ვიწროებთ, ეს მკვლევარის ვარაუდია.

მთავარი ის არის, რომ ზემოთა მსჯელობის შედეგადაც ნ. ნადირაშვილს ქ. რუსთავი ეგულებოდა დურის, დურ-დურის მიდამოებში, ან სულაც მის ადგილზე. ხოლო ეს კი მდებარეობს დღევანდელ საინჟინროში, რაც ძველად ჰერეთი, იგივე კუხეთი იყო. ეს არის ალაზნის მარცხენა ნაპირზე, ლაგოდეხიდან სულ ახლოს; დღევანდელი ბელაქნის რაიონში.

თამარის მეორე ისტორიკოსი — ეზოს მოძღვარი ბასილი მეფეთა ზამთრობით დრისტარებაზე გვაწვდის ცნობებს, რომელიც ეწინააღმდეგება ე. წ. „ღვინის თეორიას“. თამარის

**ბარბელ კვანცილაშვილი**

მომთა რუსთველის ვინაობისა და საღაურობის მართი უცნობი მოსახრება

ქიქოი რუს - გეგე ყელ-ბერეჩი 121

ნადირთაზე ის წერს: „იორის პირი და მტკე-  
რის შპარსი მონადირესს მერმე დასოს (ხაზი  
ჩემია — ტ. კ.) შემოდგის და მუნ ისარებდინან,  
ვიდრემდის თოვლმან არა დაამძიმოს კარავი.  
მუნით სომხითს შემოვიდინან, ნადირთბდინან  
ამთა თამაშითა“, ნ. ნადირაშვილი გეოგრა-  
ფიულად ადგილს დასოს სხვაგანა შევვახსენ-  
უნებს, შემდეგ კი ცდილობს დაადგინოს, სად  
შეიქლებოდა ყოფილიყო ეს დასო. საქმე ის  
არის რომ სხვა წყაროთა „წესისამებარ“ „დურს“  
გადასვლა ხდებოდა, ამ ცნობაში კი „ჩვეულები-  
სამებარ“ „დასოს შემოდგის“. მკვლევარი მსკე-  
ლობით მიიღის დასკვნამდე, რომ დასო ყოფი-  
ლა ჰერეთში, გაღმა, ალაზნის მარცხენა მხარეს.  
ამ ადგილის დასადგენად, სხვა მრავალი მოსა-  
ზრების გვერდით, ნ. ნადირაშვილი ემყარება  
მეფე არჩილის „გაბაასებში“ თეიმურაზის  
მიერ აღწერილ ნადირთბის ჩვეულებას და  
სანადირო ადგილების ზუსტ აღწერას. ეს უკა-  
ნასკნელი კი თითქმის ისეთივეა, როგორსაც  
თამარის ისტორიკოსები აღწერენ მეფე თაპა-  
რის ნადირთბის ჩვეულებსა და ადგილების  
წესებებს. ამ ანალოგიებანი ნ. ნადირაშვილი მი-  
იღებს აზრამდე, რომ „ყველა ზემოთ მოტანილა  
ადგილი, ალაზნის გაღმა და გამოღმა სანადი-  
როები საინგილოს დურ-დურის გარშემო მდე-  
ზარეთებს: იგრის და მტკერის სანაპიროები სა-  
ინგილოს პირდაპირ, ალაზნის გაღმა იწყება.  
ადგილი ბაზარი დურ-დურის აღმოსავლეთით  
15 კილომეტრით არის დაშორებული; თოღა,  
შამური, ღარწერი და მოთანი კი მის დასავ-  
ლეთით 15-20 კილომეტრის სიშორეზე მდებარე-  
ობენ და ლავოდების რაიონს ესაზღვრე-  
ბიან“.

შემდეგ მკვლევარი განმარტავს დასოს მნი-  
შეუნილობას, იმოწმებს სულხან-საბას ლექსი-  
კონს, რომელიც გვეუბნება: დასო მონარისა  
და ხშირი ტყის მნიშვნელობით იხმარებოაო.  
მადნარი კი არის „მათა შინა ტყეარა შამბი-  
ანი“. ტყერი კი არის დიდი და ხშირი ტყე.  
სწორედ ასეთი ადგილები იყო და დღესაც არის  
საინგილოში, სადაც ტყე, შამბი და მრავალი  
ნადირო მონადირეებს ჩვენს დროშიც იზი-  
დაეს.

ბოლოს ნ. ნადირაშვილს მიაჩნია, რომ  
ესო მძღვლარი ბასილის ცნობა, რომ მეფენი  
იორის და მტკერის სანაპიროთა მონადირების  
შემდეგ „დასოს“ გადიოდნენ, საესებით ეთა-  
ნებება ისტორიანი და აზმანის“ უცნობი ავ-  
ტორის ცნობასა და გვეუბნება, რომ იგრისა  
და მტკერის სანაპიროთა მონადირების შემდეგ  
ალაზნის მარცხენა ნაპირზე, კერძოდ საინგი-  
ლოში გადიოდნენ, სადაც მათი ტრადიციული  
ზამთრის სადგომი „დური“ ანუ „დურ-დური“  
დღესაც არსებობს.

ზემოთა მსკელობის საფუძველზე მკვლევარს  
გამოაქვს დასკვნები: 1. უძველესი ციხე-ქალაქი

რუსთავი, რომელსაც ფლობდა პოეტო რუსთავე-  
ლი პოემის შესავლის დაწერის ეამს, მდებარე-  
ობდა ქურმუხის ხეობის დასავლეთ მდებარე  
საინგილოში, რომელიც აქამად შედის აზერ-  
ბაიჯანის სს რესპუბლიკაში. მაშასადამე საინ-  
გილო პოეტ რუსთაველის სამშობლო-სამფლო-  
ბელო ყოფილა.

2. მეფე თამარს საინგილოში პერიოდულად  
ზამთარი უტარებია და იქ აღმშენებლობაც უწე-  
რმოებია.

რამდენად სარწმუნოა ეს დასკვნები, ამაზე პა-  
სუხი უნდა გავცვენ რუსთაველოლოგებმა, საქარ-  
თველოს ისტორიის სპეციალისტებმა, ისტორი-  
ული გეოგრაფიის დარგში მომუშავე მეცნიერ-  
ებმა. ცხადია, ეს მოსაზრებები ახალია, ამიტომ  
მას მოწინააღმდეგენიც გამოუჩნდებიან, მაგრამ  
ეს როდღ ნიშნავს, რომ იგი მიუღებელია.

მეტად საინტერესოა საისტორიო წყაროების  
მიმოხილვის ის ადგილები, რომელიც ეხება ეპი-  
ტანგ ვორცასალის მიერ კათალიკოსისა და ეპი-  
სკოპოსების ინსტიტუტის შემოღებას. ჟუანშე-  
რი წერს, რომ ეპიტანგმა დააწესა ერთი კათა-  
ლიკოსი და თორმეტი ეპისკოპოსი. კათალიკოსი  
დასვა მცხეთას, ხოლო ეპისკოპოსები — მცხე-  
თას, კლარჯეთის ეკლესიის, ანზისა, ურუმუთ-  
ში არტანას, ჯავახეთისა წუნდას, მანჯლისს, ბოლ-  
ნისს, რუსთავს, ნინოწმინდას, ჭერემს, ჩელეთს  
ანუ შილდას, ზუარანბუჯს და აგარაჯს, რომელ  
არს ხუნანს გაერთიბით“...

ნ. ნადირაშვილი აყენებს კითხვას: რისთვის  
იყო უწყოლო, უმთხასლო ყარაიას საქირო საეპი-  
სკოპოსო, როცა სულ ახლოს, 20-25 კილომეტ-  
რის დაშორებით საეპისკოპოსო იყო ნინოწმინ-  
დას?

გარდა ამისა, მამ რომელი ეპისკოპოსი ემსა-  
ხურებოდა ისეთ მქიდროდ დასახლებულ და  
დაწინაურებულ მხარეს, როგორიც იყო ყვარ-  
ლის, ლავოდების, ბელაქნის, ზაქათალის, ყახის  
რაიონებისა და ყოფილი ნუხის მხარის ტერი-  
ტორიები?

დაუუშვათ, რომ ყარაიას რუსთავში იყო ეპი-  
ტანგის მიერ დაარსებული საეპისკოპოსო, მა-  
შინ საკითხავია — სადა იქნა გადატანილი ეპი-  
სკოპოსის კათედრა მე-13 საუკუნეში ბერქა  
ყენის მიერ რუსთავის დანგრევის შემდეგ?

მე-7 საუკუნეში ყარაიას რუსთავის კათედრა  
რომ არ არსებობდა, ამას გვეუბნება „მოქცევაი  
ქართლისაი“, რომელშიც ქალაქთა შორის იხს-  
ნება თბილისი, მცხეთა და უჯარმა, ხოლო რუს-  
თავი კი არა. ცხადია მაშინ რუსთავი ყარაიში  
რომ ყოფილიყო, მაშინ აუცილებლად მოიხსენ-  
ებდნენ.

მე-5 საუკუნეში ყოფილა ცურტაეის საეპის-  
კოპოსო, ხოლო აკად. ივანე ჯავახიშვილის ცნო-  
ბით, ცურტაეი მდებარეობდა ჰერეთში. აქედან  
გამომდინარეობს, რომ საეპისკოპოსო იყო არა



რუსთაველი, არამედ ცურტაველი. ჯენაშვილის მიერ აღნიშნული „რუსთაველი“ უნდა იყოს „ცურტაველი“, ხოლო შეცდომა უნდა მომდინარეობდეს ვახტანგ VI-ის იმ კომისიისაგან, ვინც „ქართლის ცხოვრება“ შეავსო... ასეთია ნ. ნადირაშვილის მოსაზრება ამ საკითხზე. ე. ი. არსებობდა ცურტაველ საეპისკოპოსო, რომელიც შემდეგ, მოგვიანებით იწოდა რუსთაველსა და რომელიც მდებარეობდა ჰერეთში, ე. ი. დღევანდელ საინგილოში.

მკვლევარი ემყარება მაღალაშვილისეულ სახარებზე გაკეთებულ მღვდელ-მთავარ კირილ დონაურის წარწერას, რომელიც გვაუწყებს პეტრე ყუენის მიერ ჰერეთ-მოვავანის აზნაურებსა და ეპისკოპოსის კათედრის ცურტაველ მოსპობის შემდეგ ჰერეთის საეპისკოპოსო კათედრის გადატანას ქურმუხის წმ. გიორგის სახელობის ტაძართან, რომელიც დღესაც არსებობს საინგილოს სოფელ კახის გვერდით მყოფ ქურმუხის ხეობის აღმოსავლეთ ნაპირზე. აქ ეპისკოპოსი მიიღო ახალი სახელი — „ვიშ-ქურმუხელი“. მისი სამწყსოს ტერატიორია ვარდთაშენ-ყაბალიდან და დასავლეთით ხუნძახ-თუშეთით თავდებოდა.

აღნიშნული წარწერის შინაარსი ასეთია: „ოდეს სანატრელმან მან პატრიარქმან ჩვენმან ექთიმე მოხილა კახეთის ანწუხისა საეპისკოპოსო და მიერთება ვარდამივლია წახურს კაქენისელს და მოვლო საყდარნი კასრი სამკუბისა, ყუმო ღვთისმშობლისა, ლექრის წმ. მოციქულთ სწორისა ნინოსი, ზარს წმ. მთავარი მოწამისა გიორგისი, ვარდამან წმ. აბოსი, განუხს წმ. არჩილისი და... სარანს ყ. წმ. მოციქულის პეტრესი, კვალად საყდარნი ხუნძანთა, ნახითა, თოშეთისა, ნეკრესისა, ლავოეთისა, ბელაქნისა, მაკუფიფინეთისა, ფერიჯან-მუხან-გამარხისა და ყოველისა ვაქისა, ესე იგი არის ძველი მოვავანისა და ვერსენისა, ვერხიანთი, ზეგანთი, გამო ვიდრე ივრის მდინარის ჩასართავედ აღაზნანსა და ამან სანატრელმან ექთიმე მიბრძანა ქურმუხისა მთავარ ეპისკოპოსსა და ყოვლის მთიულეთის წინამძღვარსა კირილ დონაურსა გარდაწერიებდალ სახარებისა და წარგზავნად თეთიულისა თაგის ეკლესიასა. მეცა გარდავაწერინენ წმ. ბარბარეს ტაძრისა მღვდელსა იასე ქიტიაშვილსა და ათორმეტთა მისთა მოწამეთა და წარგზავნენ საყდართა და ეუბრძანენ სწავლებლად სკული ქეშმარიტი და ფილოსოფია, მამათა ცხოვრება, ქართლის ცხოვრება და ცხოვრება აღუზნისა, ესე იგი არს სავანისა, რომელიც დაწერა პეტრე ღვამეჟმან და ვინმე სომეხმან გა... იგი და საკუთრად დაწერილად გამოაცხადნა“. (1310 წ.) (მოსე ჯანაშვილის საქ. ისტ. გვ. 205).

ნოე ნადირაშვილს ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტებიდან გამოაქვს შემდეგი დასკვნები:

1. იძის გამო, რომ პეტრე ყუენის მიერ დანა-

რეულ ცურტაველს ეპისკოპოსის კათედრა დაუტანიათ ქურმუხის წმ. გიორგის ტაძართან, ეს იმაზე მიუთითებს, რომ საეპისკოპოსო ყოფილა ჰერეთში და არა ყარაიში.

2. ჰერეთის საეპისკოპოსოში შედიოდა ალაზნის მთელი მარცხენა მხარე.

3. ჰერეთის ეპისკოპოსი გიშ-ქურმუხელად იწოდებოდა.

4. რაკი ამ საეპისკოპოსოში შედიოდნენ ხუნძანთა ნახითა ეკლესიებიც, მაშასადამე, ამ ადგილებში მაშინ ქრისტიანებიც ყოფილან.

5. ცნობა იმაზე, რომ სასწავლებლებში უსწავლიათ პეტრე ლავაძის მიერ დაწერილი საქართველოს ისტორია, ფილოსოფია და სხვა საგნები, მიუთითებს, რომ, მიუხედავად მონღოლთა ბატონობით გამოწვეული ნგრევისა და დაცემისა, საქართველოში, კერძოდ, ჰერეთში მეცამეტე საუკუნის ბოლოსი კი კულტურული დონე მაღალი ყოფილა. აქედან მხოლოდ ისა უნდა ვიფიქროთ, რომ თამარისა და რუსთაველის დროს იგი უფრო მაღალი იქნებოდა.

ჭალაღდინისა და მონგოლთა შემოსევების შემდეგ დასუსტებული საქართველო, რომლის ძლიერებასა და მთლიანობას ადრე საფუძველი დაეთო აღმაშენებელმა ჩაუყარა, შემდეგ, თამარის მეფობისას, კიდევ უფრო გაძლიერდა, მეცამეტე საუკუნიდან ეს ძლიერი საქართველო თანდათან დასუსტდა და რამდენიმე სამეფოა და სამთავროდ დაქუცმაცდა. ამ პროცესის ერთერთი შედეგი იყო კახეთის სამეფოს ხელახლა წარმოშობა. ჰერეთი კვლავ კახეთის სამეფოში მოექცა.

კახეთის სამეფო ხუთ სადროშოდ იყოფოდა და ერთ-ერთი მათგანი იყო ჰერეთისა. კახეთის მეფეებმა საკუთარი უფლებების განმტკიცების მიზნით და თავდასული ფეოდალების ასალაგამად, სადროშოთა სარდლობა ფეოდალებს ჩამოართვეს და ეპისკოპოსებს გადასცეს.

ზემოთ დასახელებული კირილ დონაურის მეორე წარწერით ირკვევა, რომ ჰერეთის ეპისკოპოსი „ვიშ-ქურმუხელი“ ჯერ კიდევ გიორგი ბრწყინვალეს დროს, საქართველოს დაყოფამდე, სარდლობდა ჰერეთის სადროშოს. შემდეგ განსხვავება მოხდა ტერიტორიათა სიღრმეში — კახეთის სამეფოს ფარგლებში იგი შეიკვეცა და მისი დასავლეთი საზღვარი დღევანდელი ლავოდეხის რაიონით თავდებოდა. ყვარლის თემი უკვე ალავერდის საეპისკოპოსოში შედიოდა.

1553 წელს ოსმალეთმა და სპარსეთმა საქართველო გაიწაფილეს — აღმოსავლეთში გაბა-

**დარიელ კვანცილაშვილი**  
 მოთა რუსთაველის შინაობისა და  
 საღაპროების მართი უძნობილ მოსაზრება



ტონდა სპარსეთი, დასავლეთში კი ოსმალეთი. ამ ვითარებაში და მრავალი პოლიტიკური თუ სამხედრო ვარემოების გამო ყველაზე მეტად გაუჭირდა ჰერეთს, სადაც სპარსელებმა ამოქვეყნდნენ ქართველების ნაცვლად ლეკთა და ქურთეთთა მასობრივი დასახლება იწყეს. ეს ტომები სარწმუნოებით სპარსელთა მონათესავენი იყვნენ, ისინი სხვა მიზეზებითაც ემხრობოდნენ დამპყრობთა ურდოებს. ისინი შესანიშნავ მიწა-წყალს, სამოსახლოებს, მდიდარ საცხოვრისს იძენდნენ და ქართველთა ამოვლენაში როგორ არ მიიღებდნენ მონაწილეობას. ასე განადგურდა ჩვენი ჰერეთი...

გივის ჩამორბეობითა და სპარსეთის სახანოდ მისი გადაქცევით ჰერეთის საეპისკოპოსო სადროშომ გივისა და მისი მოსახლეობის დაკარგვასთან ერთად დაკარგა თვითონ ეპისკოპოსი გიშ-ქურმუხელის რეზიდენცია, ქურხმუხის ტაძარიც, რადგან იგი სპარსეთის სახანოში მოექცა. ეპისკოპოსის სადროშოს მხოლოდ დღევანდელი საინგილო და ლაგოდეხის რაიონის ფარგლები დარჩა. ამან გამოიწვია როგორც ადგილის, ასევე ტიტულის გამოცვლაც. გივიდან მან რეზიდენცია დასავლეთისაკენ გადაიტანა, დასავლეთ საინგილოში, ე. ი. ძველ წუხეთში. ამიერიდან გიშ-ქურმუხელი იწოდება არა ამ ტიტულით, არამედ რუსთველად.

რატომ მიიღო გიშ-ქურმუხელმა ეპისკოპოსმა რუსთველის ტიტული, ამ ტიტულს ხომ ადრე პოეტი ატარებდა? ეს ტიტული მან იმით მიიღო, რომ მისი ახალი კათოლიკე ძველი რუსთავის ნანგრევებზე აშენებულ ბოსტან-ქალაქ-ნაგებში დაუწყესობათ. ამ ნაგებში, მეფე არჩილის ცნობით, თეიმურაზ I-ს გაუტარებია დიდმარხვა და აღდგომაც იქ უხეიმა.

ემყარება რა ახალი „ქართლის ცხოვრების“ ცნობას ვათარებულე კონსტანტინეს მიერ საკუთარი მამის, ალექსანდრე II-ის მკვლელობის შესახებ, ნ. ნადირაშვილი გამოთქვამს აზრს, რომ რუსთველი ამ ტექსტში კახლ არ მოჩანს, მაშასადამე იგი ჰერეთიდანაა. აი, ეს ტექსტიც: „მაშინ იღვა (ალექსანდრე II-ს.) გრემს. წამოვიდა და მიეგება ძესა თვისსა და შეიყარნენ მუნა და მუნ ჩაიცვა ალექსანდრემ ხალათი (შახ-აბაზის მიერ გამოგზავნილი-ნ. ნ.) და დიდად განიხარნა შეყრა და ნახვა ძისა თვისისა და დღესა რაოდენსამე იცნეს ლხინითა და მოსვენებითა. დღესა ერთსა აწვიო თვისსა კარავსა მამაცა და ძმაცა თვისი და უთხრა ესრეთ, ვითამდე „ყენისა საქმე მიქვს“ და დაითხოვნა კახნი და წარვიდეს კახნიც კარავად თვისად (ხაზი ჩვენია — ნ. ნ.) და დარჩა მასთან რუსთველი და ძმა მისი...“ ამ ტექსტის მიხედვით ნ. ნადირაშვილი რუსთველს და მის ძმას აბელს კახებად არ თვლის, მაშასადამე, იგი ადგილობრივი, ე. ი. საინგილოს ეპისკოპოსი ყოფილა. ამ ფაქტს კი ის მნიშვნე-

ლობა აქვს, რომ ამით კიდევ ერთხელ მტკიცდება რუსთავის არსებობა საინგილოში.

ამ დებულების კიდევ უფრო მტკიცე დასაბუთებისათვის ნ. ნადირაშვილი მიმართავს არჩილის „გვაბასებს“, რომელშიც ისეთივე სიზუსტით არის გადმოცემული ზემოთ აღნიშნული ფაქტი, ე. ი. მეფე არჩილიც რუსთველსა და მის ძმას კახებად არ თვლის. ხოლო თუ ვაიხსენებთ, რომ იმ ეპოქაში კახეთის საინგილოში შედის თვითონ კახეთი და ჰერეთი, მაშინ კახთა გარდა იქ მხოლოდ ჰერეთელნი უნდა ყოფილიყვნენ, ე. ი. რუსთველი ჰერეთიდან იყო.

საინგილოს ბაზარში (გეოგრაფიული პუნქტია დღესაც) რუსთველის მკვლელობა მოხდა 1605 წელს. ამ დროს საეპისკოპოსო არც მარტყოფში არც ყარაიას რუსთაველი არ ყოფილა. ამიტომ აკად. ი. ჯავახიშვილის ცნობა „ქართველი ერის ისტორიაში“ იმის შესახებ, რომ ბაზარში მოკლეს მარტყოფის ეპისკოპოსი, ნ. ნადირაშვილს შეეცდომად მიიჩნია. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ საინგილოს ისტორიაში ვარკვეულნი არა ვართო.

ნ. ნადირაშვილს კვლავ მოაქვს მრავალი საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ 1605 წელს რუსთაველი ეპისკოპოსი საინგილოს სადროშოს სარდლობენ და არა ყარაიას რუსთავისას. ეს რომ ასეა, ჩანს არჩილის „გვაბასებში“ იმ ადგილიდან, სადაც უსტუდ არის აღწერილი თეიმურაზ I-ის დაბრუნება სპარსეთიდან, როცა იგი შაჰ-აბასმა კახეთის მეფედ დანიშნა ალექსანდრე II მკვლელობის შემდეგ.

სპარსეთიდან თეიმურაზ I პირველად ქიზიყში მოსულა. აქ მას 5 დღე გაუტარებია. დედოფალ ქეთევანს შეილთან შესხვედრად კახეთის მოურავი გაუგზავნია. ქიზიყიდან გრემში გამგზავრებული თეიმურაზი ალხანის ვაღმა, ჭიჭურში გასულა. აქ მას ენისლის მოურავი დახვედრია „თავის დროშის კაცით სიმრავლითა უამრავით“. ჭიჭურიდან წინ წასულეს თავად ალავერდელი ეპისკოპოსი მიეგებნა: „ღიდებთი მოპრძანდა, ითქმის არ ენით“. შემდეგ არჩილი თეიმურაზს ასე ათქმევინებს:

„ქიჭურითგან წასულნი იმ ღამეს არბუხს დავედქით.  
წმინდა თედვორეს საყდარსა ვილოცეთ,  
ციცკრად ავდექით...  
მუნით წავედით გრემისკენ, ბაწლად რუსთველი მოვიდა,  
სრულ ნაპირისა ჯარითა, წითელი ეცვათ მოვი და“.

რუსთველი დაგვიანებით მოსულა, მას საპაპრო ჯარი ახლდა, წესისამებრ, სარდალი (ეპისკოპოსი) თავისი სადროშოს ჯარით უნდა ხლებოდა მეფეს. ალავერდელიცა და რუსთველიც თავიანთი სადროშოების საზღვარზე შე-



ხედნენ მეფეს. ეს კი ჰერეთის საზღვარი იყო (ჟიურის ალაზან გაღმა, ლავდიხის მხარეს). ე. ი. რუსთველი აქაც ჰერეთის ჯარს მიუძღოდა, მშასაღამე იქაური ეპისკოპოსი იყო. ეს ჯარი კი სანაპირო იმიტომ იყო, რომ აღმოსავლეთიდან მას ეცვროდა ახლანდემშენილი გიშის სახანო, რომელიც სპარსელებმა წარმოშვეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ნ. ნადირაშვილი ასკენის: „არჩილ მეფის ცნობების შინაარსი სრულად ნათლად გვეუბნება, რომ თეიმურაზ I-ის დროინდელი რუსთველიც რომელსაც ეს ტიტული მიუღია ალექსანდრე II-სთან მოკლული რუსთველის შემდეგ, როგორც მისი მოადგილე (შემცვლელი), სარდლობდა საინგილოს (ე. ი. ჰერეთის) სადროშოს და არა ყარაიაპარტყოთისას.

ნ. ნადირაშვილი ემყარება რამდენიმე ცნობას, მათ შორის არჩილის „გაბაასებს“ ტექსტს და ამტკიცებს, რომ 1605 წლიდან საინგილოს „მოსპობამდე“, ე. ი. 1616 წლამდე ყარაიაში არც ეპისკოპოსი რუსთველი, არც მისი საკათედრო ქ. ჭუსთავი არ არსებობდნენ.

შემდეგ მკვლევარ-ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ არჩილის „გაბაასებაში“ თეიმურაზი პოეტს რუსთავს ბოსტან-ქალაქ-ნაგებში აუწერს, პოემაში ეკითხულობთ:

„ერთ დიდმარხვაში ნაბაბს ვდამბ,  
რომელ ბრს ზმსტან-ქალაქი,  
ადგომაც იქ გადვისადენ,  
ჩვენი ახალი პახეი.“

თუმც კიდევ ბევრჯერ მინდობა,  
კარმუხელ ახსთა სიმრავლე  
ამით განსიჯე პოხოსი,  
ყაბახს ესროდეს თხზმოცი  
ჩერქეზი და ოსი“

(ხაზი — ნ. ე.)

ამ ადგილების ანალიზის საფუძველზე ნ. ნადირაშვილი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ნაგები იგივე ბოსტან-ქალაქია, ეს კი რუსთავია. გარდა ამისა ნაგებში თეიმურაზს ხლებია ქურმუნელ-კახანი, ე. ი. დღევანდელი საინგილოს მასშველი მოსახლეობა. ამრიგად, ნ. ნადირაშვილი, მეფე არჩილის „გაბაასებაში“ ხედავს ზუსტი ფაქტების გადმოცემას, რაც განაღებულმა და განსწავლულმა არჩილმა ზედმირეწენით იცოდა როგორც წყაროებიდან, ასევე თვით იმ ფაქტების დამსწრეთა გადმოცემით. ამიტომ, რომ მკვლევარი ამ ლიტერატურულ წყაროს ანიჭებს საისტორიო წყაროს ძალას. ამ აზრის კიდევ სარწმუნოდ მიჩნევის მიზნით ნ. ნადირაშვილი წერს:

„არჩილ მეფე თითქოს წინაწარ გრძნობდა, რომ მომავალში, შესაძლოა, რომ „გაბაასება“ ეინმემ შეაფასოს არა როგორც ისტორიული ნაწარმოები, ამიტომ „გაბაასებს“ პირველ ნაწილში წერს: კახეთში გამეფების შემდეგ (1664 წ.), ე. ი. საინგილოს მოსპობის 48 წლის შემდეგ, მე მახლდენ კახელი და ქართველი დიდებულნი თეიმურაზ I-თან ნამყოფნი, მასთან აღზრდილნი. მე მათ ეკითხავდი, ისინი კი მიამბობდნენ პირადად ნახულს, ამიტომ რასაც ვწერ „გაბაასებაში“ ყოფილ ამბებზე, პიროვნებებზე, ადგილებზე, ისტორიული სიმართლეა და მოგონილი არაფერია, გარდა თეიმურაზის და რუსთველის გაბაასებისა. ტყვილს, მოგონილს სიმართლე ვამჯობნეო. („არჩილიანი“, გვ. 7.) გამოდის, რომ არჩილს ნამდვილად უნდა ვენდობო.

შესაძლოა ეინმემ იფიქროს, რომ საკვლევ საკითხთან ნაკლებ დაკავშირებულია მოგვიანო სუეყენების ამბავი, როცა საინგილოში ყოველივე ქართლის მოსპობის შემდეგ რუსთველი იძულებული გამხდარა ჯერ ყარაიას რუსთავში, შემდეგ კი მარტყოფში გადასულიყო. სინამდვილეში კი ამ საკითხის ვარკვევას კვლევის მიზეზებთან უშუალო კავშირი აქვს. სახელდობრ, თუ დადგინდება, რომ ყარაიასა და მარტყოფში რუსთველობა მხოლოდ მე-17 სუეყენის მეორე ნახევიდან გვეხდება და მანამდე ამ პუნქტებში არ ყოფილა საეპისკოპოსო კათედრა, მაშინ მყისვე დავიჭებრედებით — მაშ სად იყო რუსთველობა პოეტ შოთა რუსთველის ეპოქაში? და თუ დამტკიცდება, რომ რუსთველობა მხოლოდ მაშინდელ ჰერეთ-კუხეთში, ანუ დღევანდელ საინგილოში იყო, მაშინ პოეტის ჰერეთიდან ანუ დღევანდელი საინგილოდან ყოფილა. ეს კი ძალზე მნიშვნელოვანი დასკვნა იქნება.

ნაშრომის მომდევნო ნაწილში ნ. ნადირაშვილი სწორედ ამ პრობლემას ეხება და განიხილავს რუსთავის საეპისკოპოსოს ყარაიაში (დღევანდელი ქ. რუსთავი) დაარსების საკითხს. მკვლევარი ვარაუდობს, რომ საინგილოს მოსპობის დროს, შესაძლოა ეპისკოპოსი რუსთველი იმერეთში გაიხიზნულ თეიმურაზ I ახლდა და ცოცხალი გადარჩა. მან დაკარგა სადროშო ტერიტორია, მისი მოსახლეობა, ქონება და ა. შ. მას შერჩებოდა მხოლოდ „საბალახონი და მტკვარზე თევზის საბაყენი“, რომელიც ადრე, ვიოტვი ბრწყინვალეს დროს ებოძათ გიჸ-ქურმუნელ ეპისკოპოსებს. ეს ადგილები კი ყარაიაში იყო. მათ მოსაყვლად რუსთველებს მე-14 სუეყენიდანვე ექნებოდათ სახლი, ეყოლებოდათ იქ ბერები და ა. შ. ამიტომ მოსალოდნელია, რომ თეიმურაზის ექსორიის დროს, საინგილოს მოსპობისა და დაკარგვის გამო, იქაური ეპისკოპოსი ყარაიაში

**ბარიელ კახანილავშილი**

შოთა რუსთველის შინაგობისა და სადაუარობის ერთი უცნობი მოსაზრება



მდებარე მის კუთვნილ ადგილებს დასჯერდა. მაგრამ რაკი რუსთველის ეპისკოპოსის კათედრას შეინარჩუნება პოლიტიკური და სხვა თვალსაზრისით სასურველი იყო, ამიტომ მათ შერჩაოთ ძველი სახელი „რუსთველი“, ხოლო კათედრას, ძველის ანალოგიით, მიეცა სახელი რუსთავი. ნ. ნადირაშვილს საუკრადღებოდ მიაჩნდა, რომ ჩვენი მწერლობა ყარაიაში რუსთველ ეპისკოპოსებს მხოლოდ მე-17 საუკუნიდან ახსენებს.

ის ფაქტი, რომ მე-14 საუკუნიდან გიშქურმუხელები ეპისკოპოსებს გაერჯა-ყარაიაში საკუთრება ჰქონდათ, კარგად ჩანს მაღალაშვილისეულ სახარებაზე ეპისკოპოს დონაურის მეორე წარწერიდან:

„ოდეს ბრწყინვალემან მეფემან გიორგი ვაიხარჯა ავარიანთა ზედა განძს და შირვანს; მას ეამსა შინა ჩვენ სამწყსოში შაქქურმუხისინა ჩინებულად იბრძოლეს ძლევად მტერთა და ამისათვის უღვევლმან გიორგი გვიწყალობნა სიგელი და დავემტყიცნა ჩვენ გიშქურმუხელს ზეარი ყვ...სა, განუხს, მამულნი, ებალას ზუარი, ვარდათაშენს სავაქრონი და ვაქარი შვიდნი, და შირაქსა საბალახენი და ქართველთა. მთასა ზედა საბალახენი და მტკუარას თევზისა საბაყენი ტახისინი. დმერთმან წარმართნეს უძლეველსა მეფესა გიორგი ბრწყინვალესა, რომლისა მეოხებითა უმეტესად განძლოერდა ქრისტიანობა მთიულთა შორის და ეკვალად განმტყიცდა ერთობა საქართველოს შინა...“ (1333 წ.).

ამ ამონაწერში არა მარტო საბოძარის აღვლებია დასახელებული, რომლებშიც, სხეებთან ერთად, შედის ყარაიის ადგილები — საბალახო და სათევზო საბაყენი, არამედ ისიც ზუსტად არის მითითებული, რომ გიორგი ბრწყინვალეს დროს ავარიანთა წინააღმდეგ ომში გიშქურმუხელი ეპისკოპოსი ჰქრეთი (საინგლოს) ვარს სარდლობდა.

რა მოხდა შემდეგ? 1720 წელს ვახტანგ VI ყარაიას რუსთავში ერეკლე I სასახლე დააქცია და აქაური სავისკოპოსო მოსპო. ამიტომ რუსთავის კათედრა მარტყოფში გადაუტანიათ. აქაც ეპისკოპოსს ეწოდებოდა რუსთველი, ხოლო მარტყოფს — რუსთავი.

ერეკლე I შეიღმა დავითმა, კახეთის მეფემ, ეპისკოპოს რუსთველს განუახლა სიგელი, შესაძლოა სწორედ ის, რომელიც გიორგი ბრწყინვალემ გიშქურმუხელს უბოძა, რაზეც კირილე დონაურის წარწერა გვაუწყებს და დაუწესა ახალი სადროშო ტერიტორია, ამასთან ერთად შემოსავლის წყაროც. ნადირაშვილს ხელთ არ ჰქონია ამ სიგელის ტექსტი, ამიტომ იმოწმებს ანტონ ფურცელაძის წიგნიდან „ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის“. აქ ჩამოთვლილი სიტყვები და ადგილები მდ. არა-

გვისა და გულ-გულის შუა მყოფ ტერიტორიაზე, მაშასადამე, თანახმად მროველის განმარტებისა, ისინი უძველესი კახეთის ტერიტორიაზეა. და რაკი ვახუშტი ბაგრატიონმა ყარაიას რუსთავი მიიჩნია უძველეს რუსთავად, ამის შესაბამისად, რუსთველი ეპისკოპოსის ეს ახალი სადროშო ტერიტორია, რომელიც 1722 წელს დავით მეფემ სიგელით უბოძა, კუხეთად აღიარა და ამით ისტორიულ გეოგრაფიაში გაუქვებობა გამოიწვია.

შახ-აბასს ყარაია არ აუკლია, რადგან საქართველოს გაყოფის შემდეგ იგი ქართლის სამეფოში შევიდა. უფრო მეტიც, კახეთის აკლებისა და ჰერეთის მოსპობის შემდეგ ტირანმა შახაბაზმა ყარაიაში ინადირა კიდევ ქართლის მეფე ლვარსაბთან ერთად, ე. ი. ყარაიას მაშინ არაფერი დამართვია. ამ გარემოების გამო კიდევ იბადება კითხვა: თუ აქ, ვახუშტის კუხეთში, არსებობდა უძველესი რუსთავი, მაშინ მე-5 საუკუნიდან ხომ სავისკოპოსოც უნდა არსებულებოდა, მაშინ მათი სადროშოც, მისი ქონებაც — ყველაფერი ხელუხლებელი უნდა დარჩენილებოდა. თუ ეს ასეა, მაშ 1722 წელს დავით მეფეს რისთვისა და სჭირდა განუხლებინა სიგელი, გამოეყო სავისკოპოსო ტერიტორიებიც, ეპისკოპოსის შემოსავალი, რაც ძველადვე უნდა არსებულებოდა?

საუკრადღებოა, რომ ამ დროიდან თვითონ მარტყოფის მონასტერიც რუსთავად იწოდება. ამას ადასტურებს დავით მეფის გუჯარიც, რომელშიც სწერია: „მე შევიყვ რუსთავის ეკლესია (იგულისხმება მარტყოფის მონასტრის ეკლესია — ტ. კ.) და დავადგინე მიტროპოლიტად რუსთავის ეპარქიისა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი, კაცი ცნობილი ფილოსოფიური განათლებით“.

ამით ერთხელ კიდევ ირკვევა, რომ რუსთველ ეპისკოპოსთა ყოველ ახალ რეზიდენციას, რომელიც ისტორიული პირობების მიზეზით რამდენჯერმე შეცვლილა, ძველი სახელის მაგერად ეწოდება ახალი სახელი „რუსთავი“. ეს გარემოება კი ცხადი ხდის, რომ ვახუშტი ბაგრატიონი ჰერეთისა და რუსთავის ადგილმდებარეობის დადგენისას სცდება, რასაც ნ. ნადირაშვილი ასე დაბეჭდებით ამტკიცებს.

მკვლევარი ნ. ნადირაშვილი საისტორიო და ლიტერატურული წყაროების მოხმობითა და ანალიზით არა მარტო აღგენს, რომ კუხეთი იგივე ჰერეთია, რაც დაახლოებით დღევანდელი საინგილოს ტერიტორიას ფარავდა და ძველად რუსთავი იქ მდებარეობდა, ამიტომ რუსთველებიც იქაურები იყვნენ, არამედ იმის ახსნასაც ცდილობს, თუ საიდან უნდა წარმოშობილებოდა ვახუშტი ბაგრატიონის შეცდომა, როცა იგი რუსთავს ძველადაც, ე. ი. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის დროსაც, ყარაიას ტერიტორიაზე განიხილავს.





მას შემდეგ, როცა ნადირაშვილი ზემოთ განხილული საკითხები გადაჭრილად მიაჩნია, იგი გადადის პოეტ რუსთველის ვინაობის გარკვევაზე. ამ მოცემულია მეტად ახალი და საინტერესო თვალსაზრისი, რომლის მიმართ გულგრილი ვერაინ დარჩება.

ემყარება რა ისტორიულ ცნობებს, ნ. ნადირაშვილი შეგვახსენებს, რომ თამარის ხელს ბევრი გვირგვინისანი თხოვლობდა, ის კი ყველას უარს ეუბნებოდა. ასეთ პირობებში პოეტის მიერ მის პოეზიაში საქვეყნოდ იმისი გამოცხადება, რომ მას, თანამდებობით რუსთველს, უყვარს მეფე თამარი, როგორც ტარიელს ნესტანი, რომ თამარი „უწყალთა ვითა ჩემი“, მიუთითებს იმაზე, რომ თამართან მას პირადად შეხვედრები ჰქონია და ალბათ მასთან საუბარში გამოურკვევია, რომ თამარი მასაც უარს ეუბნება. ნათქვამიდან ის გამოდის, რომ რუსთველი საქართველოს დიდებულთა წრეს ეკუთვნოდა.

ამრიგად, ნაშრომიდან ვერაინობით ის არც ვარკვეული, რომ:

1. რუსთველი იყო უძველესი ციხე-ქალაქის, საინგილოში მდებარე რუსთავის პატრონი,
2. რუსთველი ეკუთვნოდა საქართველოს დიდებულთა უმაღლეს წრეს.

მროველისაგან ვიცით, რომ შირიან მეფის შვილმა ბაქარმა თავისი ძმის რევის შვილებს მისცა უცხეთი და დასვა რუსთავს ვრისთავად. მაშასადამე, მე-4 საუკუნიდან კუხეთ-პერეთს ფლობდნენ შირიან მეფის ჩამომავალინი.

მროველისავე ცნობით, მე-7 საუკუნის მეორე ნახევარში არჩილ მეფის განკარგულებაში პერეთის მფლობელად დამკვიდრდა ბაგრატიონთა განსტობების ორი საგვარეულო. შემდეგ, როცა მეფე არჩილთან მოვიდნენ კლარჯელნი პიტიახნი, მათ არჩილმა გამოუყო სამფლობელოდ მამინდელი პერეთის ცენტრი „წუხეთი ციხით და კასრით“, ე. ი. დღევანდელი საინგილო (კახის, ზაქათალისა და ბელაქნის რაიონები). მამინ პერეთი მხოლოდ ალაზნის მარცხენა მხარეს იყო და შეიცავდა დღევანდელი თელავის რაიონის ნაწილს გულგულამდე. ამ დროს რევის შთამომავალინი უკვე აღარ არსებულან.

მეფე გიორგი III-ისა და თამარის ეპოქაში პერეთის მფლობელ რჩეულ დიდებულთა შორის ისტორია ავრთვევ ორ საგვარეულოს გვიჩვენებს, მათ წყაროები ერთმანეთის გვერდით ახსენებენ. ესენი არიან გრიგოლის ძენი, რომლებიც მოსახლოებენ გიშში, და კოლონკელის ძენი. ამ უქანასკნელთა სამფლობელო უნდა ყოფილიყო დღევანდელი საინგილოს ტერიტორიები, ვინაიდან თამარის ეპოქაში პერეთი მხოლოდ გიშსა და დღევანდელ საინგილოს შეიცავდა.

თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობით, გრი-

გოლის ძენი და კოლონკელისძენი საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ, ისინი ერთმანეთსაც ექიმებოდნენ პერეთის ერისთავის პოსტისათვის. გიორგი III-ისა და თამარის ეპოქაში პერეთის ერისთავებად ამ ორი გვარიდან ხან ერთი, ხან კი მეორე.

გიორგი III-ის მეფობაში პერეთის ერისთავად ერთ დროს ვარდან კოლონკელის ძეა, მერე კი იმავე ეპოქაში იმავე პოსტზე ვხვდები გრიგოლ II გრიგოლის ძეს. ეს მონაცემოვთა ვაგარტელებულა თამარის მეფობაშიც. თვით ქალაქ რუსთავის მფლობელები ხან ერთი გვარის წარმომადგენელია, ხან მეორე. ამიტომ პოეტის ვინაობის დადგენისათვის საჭიროთა ვერ პოემის დაწერის თარიღის დადგენა. ეს ვაგვირკვევს პოეტის რუსთველად ყოფნის თარიღსაც, როცა პოემის შესავალი დაიწერა.

ამ თარიღების დადგენისას ნ. ნადირაშვილი ხელმძღვანელობს შემდეგი მოსაზრებებით.

1. პოეტი პოემის შესავალში წერს, რომ მას უყვარს თამარი ვისაც მორჩილებს ჯარი სპათა. მაშასადამე, ამ დროს თამარი უკვე მეფეა. მაშასადამე, პოემა უნდა დაწერილიყო არაუადრეს 1179 წლისა, რაც თამარის გამეფების თარიღია.

2. პოეტი აცხადებს, რომ მას უყვარს თამარი და თუ იგი ამ გრძნობას არ გაიზიარებს, მაშინ პოეტი დასამარდება. ეს სტრიქონები, ცხადია, დაწერილი უნდა იყოს თამარის ქალიშვილობაში, მის ვაითხობებამდე, ე. ი. არაუგვიანეს 1185 წლისა, როცა თამარი გიორგი რუსუ ვაითხობდა.

1187 წელს გიორგი რუსი საქართველოდან განდევნეს და ამიტომ თამარი 1189 წლამდე უქმრო იყო. პოეტს ამ ორი წლის შუალედშიც შეეძლო თამარის თანაგრძობაზე კვლავ ეფიქრა: ე. ი. პოემა ამ წლებშიც შეიძლება დაწერილიყო. მაგრამ ეს უფრო ნაკლებ მოსალოდნელია. სიმართლესთან უფრო ახლოს ვიქნებით, თუ პოემის დაწერის წლებს შემოვფარვლავთ. თამარის გამეფებიდან მის გათხოვებამდე, ე. ი. 1179-1185 წლებით. თამარის ქმრიანობის დროს პოემა არ დაიწერებოდა, რადგან ამ დროს პოეტი ვერ ვაგვიდავდა საქვეყნოდ ვანცხადებინა, რომ მას თამარი უყვარს და ელის მის თანაგრძნობას. ეს ექნებოდა შეურაცხყოფა როგორც თვით თამარისა, ასევე მისი ქმრისა და პოეტს ამას არავინ ამატიებდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ კანდიტებს პოეტი თვითონაც არ იკადრებდა.

ნ. ნადირაშვილის მტკიცების მეთოდი ანალოგიურია „შუშანიის წამების“ დაწერის და-

**ტარიელ კვანცილაშვილი**  
 შოთა რუსთველის შინაგონისა და საღაპრობის მრთი შინგონი მოხაზებუა

თარიღების მეთოდისა, რომ ეს თხზულება დააწერა შუშანიას გარდაცვალების შემდეგ და ვარსკენის სიკვდილამდე. ე. ი. 476-483 წლებში. ცნობილია, რომ ეს მოსაზრება მეცნიერებაში გაზიარებულია. ამის მსგავსად დამაჯერებლად და ვასაზიარებლად მიგვიანია პომის დაწერის თარიღების ნ. ნადირაშვილისეული დადგენა, რადგან იგი ემყარება ლოგიკურ საფუძვლებს, ამ წინამძღვრებიდან ასეთი დასკვნის გამოტანა საყსებით ლოგიკურად მიგვიანია.

მას ასე: ნ. ნადირაშვილის მტკიცებით, პომეა დაიწერა 1179-1185 (ან 89) წლებს შორის და მისი ავტორი ამ დროს თანამდებობით (ხელით) რუსთველია, ე. ი. რუსთავის მფლობელია.

მაგრამ ვინ იყო ამ წლებში რუსთავის მფლობელი?

„ისტორიანი და აზმანის“ ავტორი ამ საკითხზე გვაწვდის შემდეგ ცნობას: „1177 წელს ორბელიანთა და ბატონიშვილ დემნას გამოსვლებში მონაწილეობის მიღების გამო, გამარჯვებულმა გიორგი III-მ, გრიგოლ II გრიგოლის ძის მაგიერ, რომელიც ბრძოლის დროს დაიჭრა და დაიკარგა, ჰერეთის ერისთავობა საღირ კოლონკელის ძეს გადასცა. ხოლო 1185 წელს გრიგოლ II შეიღმა ასა გრიგოლის ძემ საღირ კოლონკელის ძეს ჰერეთის ერისთავობა „მძლავრობითა მოსტაცა“. ზეითი ითქვა, რომ ასა გრიგოლის ძემ თამარის მეფობის განმტკიცებას დიდი სამსახური გაუწია. გიორგი რუსის დამარცხებაშიც მან აქტიური მონაწილეობა მიიღო და თამარის გამარჯვებას ხელი შეუწყო. ამიტომ 1191 წელს, ისტორიკოსის სიტყვით, თამარმა სხვა დიდებულებთან ერთად ასაც დააჩილოდა და მას „მოუშატა რუსთავიცა“. 1177 წლიდან კი გრიგოლის ძეთა გამგებლობაში მხოლოდ გიმი ყოფილა, მამინ რუსთავის სამფლობელოზე მათ უფლება არ ჰქონდათ. ეს უფლება მხოლოდ 1191 წლიდან, როცა რუსთავი უშატრონოდ დარჩენილა, მეფე თამარს კვლავ გრიგოლის ძეთათვის „მოუშატებია“ და ამით ჰერეთი კვლავ გაუერთიანებია ერთ საერისთავოდ.

რაკი პომის დაწერისას პოეტი რუსთველია, ე. ი. რუსთავის მფლობელია, ხოლო ეს კი 1179-1185 წლებში არის სავარაუდო. ხოლო ისტორიული წყაროებით ირკვევა, რომ ამ პერიოდში რუსთველი იყო კოლონკელის ძეთა საგვარეულოს წარმომადგენელი და არა გრიგოლის ძეთა საგვარეულოს წევრი, უნდა ვიფიქროთ, რომ პოეტმა იყო კოლონკელის ძე.

ნ. ნადირაშვილი ფიქრობს, რომ თამარ მეფის მიერ მისი საყვარელის ურაცოფამ პოეტი ღრმა სულიერ კრიზისამდე მიყვანა, რამაც პოეტი ან „დაასამარა“ ან, იმავე მიზეზით, როგორც ხალხში შემონახული ლეგენდა

გვაუწყებს, იგი ბერად შედგა. ეგებ ამიერივე გამოჩვეული, რომ რუსთველად პოეტი მცირე ხნით ყოფილა.

მთელი წინა მსჯელობიდან მხოლოდ ის აზრი გამოდის; რომ: 1. პოეტს პომეა უნდა დაეწერა თამარის უქმრობის პერიოდში, ე. ი. 1179-1185 წლებში. 2. ამ პერიოდში რუსთავის მფლობელი, ე. ი. რუსთველი იყო კოლონკელის ძის საგვარეულოს წარმომადგენელი. 3. მამასადამე, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი გვართ კოლონკელის ძეა.

საყურადღებოდ მიგვაჩნია თვითონ ნ. ნადირაშვილის მიერ მთელი ნაშრომის ბოლოს ჩამოყალიბებული დასკვნები, რომელშიც შეჯამებულია ამ საინტერესო კვლევის შედეგები.

„1. პოეტი რუსთველი საშუალო საყენების დიდებულთა უმაღლეს წრეს ეკუთვნოდა.

2. დაახლოებით 1179-1189 წელთა შუა პერიოდში პოეტი დღევანდელი ბელაქნის, ზაქათალისა და კახის რაიონთა ანუ საინგილოს მფლობელი იყო.

3. პიპითვის სახით გამოეთქვამთ აზრს, რომ პოეტი კლარჯულ პიტიახშითავე წარმომდგარ კოლონკელის ძეთა საგვარეულოს ეკუთვნოდა. მამასადამე, ბაგრატიონთა საგვარეულოს განმტკიცების წევრი იყო.

4. პოეტის რუსთველობა ხანმოკლე ყოფილა. 1191 წელს ქალაქი რუსთავი და მისი თემი უკვე უშატრონო იყო და მეფე თამარმა იგი ასა გრიგოლის ძეს „მოუშატა“.

5. პომეა „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია არაუადრეს 1179 წლისა და არაუგვიანეს 1189 წლისა“.

6. ყარაიში მდებარე სოფ. რუსთავი დაარსდა მე-17 საუკუნეში, უძველესი რუსთავის ნაშთებზე აშენებული ნაგების მაგიერ“.

თუც ნ. ნადირაშვილი საგანგებოდ არ გახაზავს, მაგრამ ამ დასკვნებიდან, ჩვენს მხრივ კიდევ ერთი საყურადღებო დასკვნა უნდა გამოვიტანოთ: რაკი პოეტი კლარჯულ ბაგრატიონთა შთამომავალი იყო, მას შეეძლო ეთქვა „ვარ ვინმე მესხი მელეკეთ“. ამრიგად, პომის ავტორი წარმოშობით მესხია, ხოლო ხელობით — რუსთველი. ეს კი მეტად მნიშვნელოვან დასკვნად მიგვაჩნია.

ასეთია ნ. ნადირაშვილის კვლევის შედეგები.

ჩვენ ამ წერილში შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინეთ ის უმთავრესი, რაც ჩვენ ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ ნ. ნადირაშვილის ნაშრომში.

უფლებას ვიტოვებთ ნ. ნადირაშვილის ნაშრომის ადგილსამყოფელზე და ზოგ სხვა საკითხზე მოგვიანებით ვილაპარაკოთ, როცა შეეცნებით ნ. ნადირაშვილის ბიოგრაფიულ ცნობებს და მასზე მოგონებებს, რაც მისავე არქივში ვილაპარაკებ შეუნახავს.

**ნ. ნადირაშვილმა არჩევში ხელნაწერის სახით** დაცულა მისი სხვა შრომებიც. ერთ-ერთი მათგანია „რომელ ტომს ეკუთვნოდნენ საქართველოში მოსული ყოფილები? მკვლევარი მასში განიხილავს რუსულ, ევროპულ, ქართულ საისტორიო და ლიტერატურულ წყაროებს. ამის საფუძველზე ცდილობს დაადგინოს, რომ ყოფილები, ე. ი. ბოლოვებები იგივე ძებრებები არიან.

არჩევში ინახება სხვა ხელნაწერი ნაშრომი, რომლის სათაურია „რუსთველის ენა ინგილოურს ენათესაება“. მასში ნიკო ნადირაშვილი მიმართავს ლინგვისტურ ძიებას და პოემაში ნახმარი დიალექტონების განხილვის საფუძველზე მიდის დასკვნამდე, რომ შოთა რუსთველის ენაში შესამჩნევია ინგილოური დიალექტი. მაგრამ, სანამ ამ დასკვნას გამოიტანდეს, იგი ამოწმებს კ. კეკელიძისა და არნ. ჩიქობავას მოსაზრებებს, რომ საერთოდ დიალექტის ანალოზით შეიძლება მიხედვით მწერლის სადაურობასო. ოლინდ მკვლევარს პროფ. არნ. ჩიქობავას ერთ მოსაზრებაში შეაქვს შესწორება. სახელდობრ, როცა არნ. ჩიქობავა „ვეფხისტყაოსანში“ ხედავს ქართლ-კახეთის, იმერულ-გურულ-რაჭულ დიალექტებს და მათთან ერთად თურქიზმებსაც, ის ამას ხსნის იმით, რომ ეს შენაქადელი საერთოდ დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო შოთას ეპოქის ქართლისათვის.

ნიკო ნადირაშვილი სახელოვან მეცნიერს ამ ბოლო დასკვნაში არ ეთანხმება და გამოთქვამს საკუთარ შეხედულებას აღნიშნულ საკითხზე, რომ პოემის დიალექტონებში საერთო ქართლის დამახასიათებელი კი არ იყო, არამედ თვითონ რუსთველისაო. ასე რომ არ იყოს, პოემა. არნ. ჩიქობავა რომ იყოს მართალი, მისი იმ ეპოქის ყველა ავტორის ნაწერებში ყველგან ერთდრედ დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ის დიალექტონები, რაც რუსთველთან გვხვდება. სინამდვილეში კი ეს ასე არ არის.

მხოლოდ რუსთველთან გვხვდება როგორც ქართული და კახური, ასევე დასავლეთ ქართული დიალექტები და თურქიზმები ერთად. ხოლო ეს თავისებურება სწორედ ინგილოურს ახასიათებს დღესაც.

ამ დასკვნის მისაღებად ნ. ნადირაშვილი მიმართავს ე. წ. შედარებით მეოღოს, მოაქვს პოემის დამახასიათებელი სამეტყველო ფორმები, მის პარალელურად გვაწვდის ინგილოურ ფორმებს და მათი იდენტურობის ჩვენებით გვარწმუნებს საკუთარი მოსაზრებების სისწორეში.

გავევირდება გარკვეული შეფასება მიცემთ ნ. ნადირაშვილის ამ ლინგვისტურ ძიებას, მაგრამ ერთი კი ცხადია, იგი საინტერესოა და თავისი ძირითადი ნაშრომის გვერდით ეს ნა-

შრომი დამატებით ცხადყოფნ რუსთველს ამ კუთხიდან წარმოშობას, რომელსაც დღეს საინგილო ეწოდება ძველად კი ჰერეთი იყო.

ამ ნაშრომში ნ. ნადირაშვილის მიხედვითა საილუსტრაციოდ მოვიტანთ ერთ მაგალითს. ნ. ნადირაშვილი წერს: „საინგილოს, ე. ი. წუხეთს წარსულში ბევრი შეწუხება განუცდია (რაც აიხსნება იმის გეოგრაფიული მდებარეობით). შესაძლოა ამიტომ წარმოსდგა უძველეს დროს სახელწოდება წუხეთი და გარეთვე ინგილოთა ჩეულება — გამომშვიდობების დროს უსურვონ ერთმანეთს: „ნუ შემიწუხებდით“, როგორც ჩვენ გამომშვიდობების დროს ვამბობთ: „მშვიდობით“, „ქარვად გნახეთ“, „გამარჯვებით“ და სხვა.“

რაკი ნ. ნადირაშვილის პოემის ავტორის სადაურობის დასადგენად დამხმარე საშუალებად მიუჩნევია ინგილოური დიალექტის მოხმობა, ამიტომ უადგილო არ იქნება ვეცხისნეთი, რომ დიალექტის ნიშნის მიხედვით ადრე პავლე ინგოროყავმ სცადა პოეტის სადაურობის გარკვევა. 1922 წელს მან გამოთქვა თვალსაზრისი, რომ პოემაში ბევრი სპარსიზმებია, ეს ახასიათებს უმეტესად კახურს, ამიტომ რუსთველი კახეთიდანაა. ერთი სიტყვით, ასეთი ცდები — დიალექტის მიხედვით პოეტის სადაურობის დამტკიცების ცდები — ადრეც იყო.

ნ. ნადირაშვილის არჩევში არის კიდევ ერთი ხელნაწერი ნაშრომი, რომელსაც პირველი 8 გვერდი აკლია და იწყება მე-9 გვერდიდან. აქ განხილულია ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. ავტორი მიზნად ისახავს, მრავალი ისტორიული საბუთით, ქართველი, არაბი და სხვა ისტორიკოსთა ცნობების საფუძველზე დამატაციოს, რომ ვახუშტი პეტრეთის მდებარეობას არასწორად განიხილავდნენ, სწორად არ ესმოდათ მისი ადგილსამყოფელი. ნ. ნადირაშვილი ასწორებს ამ ცდომილებას და ადგენს, რომ პეტრეთი ალაზნის მარჯვენა სანაპიროზე, დღევანდელი ლაგოდეხის რაიონისა და საინგილოს ფარგლებში, ქალაქი რუსთავიც იქ მდებარეობდა და ამიტომ, ცხადია, რუსთველობაც, ე. ი. რუსთავის მფლობელთა ხელი, თანამდებობა იქ დაწესდა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ნაშრომიც მოსაზრადებელი შრომაა მკვლევარის ძირითადი შრომისათვის, რომელშიც ვრცლად და ყოველმხრივ არის განხილული მთავარი პრობლემა.

ასევე წინასწარია, შესამზადებელი მუშაობის დამადასტურებელია ნ. ნადირაშვილის არჩევში დათული 17 გვერდიანი ხელნაწერი, რომლის სათაურია „ეტიკტები“. აქ მართლაც თა-

**ტარიელ კვანცილაშვილი**  
ნოთა რუსთველის ვინაობისა და  
სადაურობის ერთი უცნობი მოსაზრება

ფიქრობდა ყველა ის ციტატა, რომელიც ამო-  
უკრეფია მკვლევარს სხვადასხვა წყაროდან  
თუ წიგნიდან, რომლებიც ნ. ნადირაშვილს წა-  
უკითხავს თავის მთავარ ნაშრომზე მუშაო —  
ბის პროცესში. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს  
იმაზე, თუ რა რუღუნებით, რა კეთილსინდისი-  
ერებით შრომობდა ნიკო ნადირაშვილი თავის  
გამოკვლევებზე და რა დიდი პასუხისმგებლობის  
გრძნობით ეკიდებოდა იგი ამ სამუშაოს.

მუშაობის ასეთსავე სტილზე მეტყველებს  
აგრეთვე რამდენიმე ზღონაწერი რვეული და  
„დავთარი“, რომლებშიც ნასწორები და ნახეყ-  
ვია მკვლევარის მთავარი შრომა.

ახლა კი გვინდა გამოვთქვათ ზოგიერთი  
სურვილი:

ნ. ნადირაშვილის ნაშრომი მთლიანად უნდა  
გამოქვეყნდეს და საზოგადოებამ იგი უნდა  
წაიკითხოს.

საჭიროა საქართველოს ისტორიკოსთა, ის-  
ტორიული გეოგრაფიის სპეციალისტთა, რუს-  
თველოლოგთა გაერთიანებული ძალებით ყუ-  
რადლებით იქნეს შესწავლილი ნ. ნადირაშვი-  
ლის ეს ნაშრომი, რათა მისაღები გაეზიარათ  
და მიუღებელი უარეყოთ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ უნ-  
და გამოყოს არქეოლოგთა და ისტორიკოსთა  
ექსპედიცია, რომელიც გააყვება ნ. ნადირაშვი-  
ლის მიერ გავრცელებულ მარშრუტს და საფუძე-  
ლიანად შტისწავლის „დურ-დურს“, მაჰის ცი-  
ხეს და სხვა ძეგლებსა თუ მათ ნაშთებს. ვინ

იცის, რა იმალბა იმ ნანგრევებში, რა პირობა  
პირობი გველის საინჟინერო მატერიალური და  
კულტურის ძეგლთა შესწავლით!

მართალია, ჩვენ არა ვართ არც ისტორი-  
კოსი და არც რუსთველოლოგი, მაგრამ, რო-  
გორც ერთ ლიტერატორს, შეგვიძლია, განვა-  
ცხადოთ, რომ ნიკო ნადირაშვილმა შესანიშნა-  
ვი, მეტად საინტერესო და ორიგინალური ნა-  
შრომი დავეიტოვა. მასში მოჩანს გულმხურვა-  
ლე მამულიშვილი, განსწავლული პიროვნება,  
მამიებელი გონება, მახვილი თვალი და მკვლე-  
ვარის შესანიშნავი ალღო. შესაძლოა ამ ნაშრო-  
მში ყველაფერი ბოლომდე მთელი სისრულით  
არ არის გარკვეული, მაგრამ იგი სახავს კვლე-  
ვის ახალ გეზს, რომელსაც შეუძლია ახალი  
მკვლევარები სასურველ შედეგთან მიიყვანოს.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ნიკო ნადირა-  
შვილის ამ ორიგინალურ ნაშრომს, მასში გა-  
ტარებულ თვალსაზრისს სპეციალისტები მხე-  
რვალედ გამოეხმაურებიან და დღემლის ბოი-  
კოტს არ გამოუცხადებენ კაცს, რომელსაც  
სიცოცხლეშივე შეუშალა ხელი მეცნიერული  
ტიტულების უჭონლობამ. აგრეთვე იმან, რომ  
გამოთქვა „ავტორიტეტებისაგან“ განსხვავებუ-  
ლი ზოგი მოსაზრება, თუმცა ეს მხოლოდ საქ-  
მის ინტერესებით იყო გამოწვეული.

ნ. ნადირაშვილმა თავისი ადგილი უნდა  
დაიკავოს ჩვენს რუსთველოლოგიაში. დაე,  
ხალხმა მასზეც იცოდეს.



# ქართული საზოგადოებრივი უბრაო ინგლისის შესახებ

(XIX-XX ს. რევოლუციამდელი პერიოდი)

დასავლურ-ქრისტიანულ კულტურასთან სიახლოვისა და შემოქმედებითი თანამშრომლობის მისწრაფება, საქართველოში ადრინდელ ფეოდალურ ეპოქაშივე გაჩნდა. საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მრავლად აღმოცენებული ეკლესია-მონასტრები VII-X საუკუნეებში (ხანძთა, შატბერდი, ბანა, პარხალი, ოპიზა, იშხანი, ათონი, სინას მთა და სხვა) წარმოადგენდნენ იმ მსხვილ კულტურულ კერებს, სადაც არა მარტო ორიგინალური ქართული მწერლობა ვითარდებოდა, არამედ ქართული კულტურა უცხოურიდან (უბრატესად ბერძნულიდან) თარგმნილი თხზულებებით მდიდრდებოდა.

მთარგმნელობითი საქმიანობა, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით გაცხოველდა XI-XII საუკუნეებში. დიდი ღვაწლი ამ მხრივ მიუძღვით ექვთიმე და გიორგი ათონელებს, ეგრემ მცირეს, სახელგანთქმულ ფილოსოფოს იოანე პეტრიწონეს და სხვ. ამ ადამიანთა მეოხებით იმდროინდელი ქართული კულტურა მსოფლიოს კულტურულ მონაპოვართა ნიმუშებს კარგად იცნობდა და მის საუკეთესო ტრადიციებს ეროვნულს უსისხლბორცებდა. ამასთან ელინური ბიზანტიური სამყაროსათვის ხელმისაწვდომს ხდიდა ქართული კულტურის მონაპოვარს. დასავლურ და აღმოსავლურ კულტურულ სამყაროსთან სიახლოვე და შემოქმედებითი თანამშრომლობა ერთ-ერთი მასაზრდოებელი წყარო იყო ადრინდელი ქართული რენესანსისა, რომელიც, როგორც მეცნიერებამ უკვე ნათლყო, წინ უსწრებდა დასავლურს და ერთგვარად ხელშეწყობდა ვითარებასაც ქმნიდა მისი წარმოშობა-განვითარებისათვის.

XIII საუკუნიდან ჩვენს ქვეყანაში მონღოლთა შემოსევების გამო დატრიალებულმა უბედურებამ, — განსაკუთრებით ბიზანტიის დედაქალაქის კონსტანტინოპოლის ჩაქვტვამ და საქართველო-დასავლეთის გზაზე თურქ-ოსმალური მუსლიმანური ძლიერი აგრესიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ, საქართველოს დასავლური ფანჯარა-თქმის ამოთქოლა და მისი კულ-

ტურული ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან მეტისმეტად გაართულა და მინიმუმამდე დაიყვანა. ამ დროიდან საქართველო თანდათან ჩაიკეტა აღმოსავლურ-მუსლიმანურ გარემოცვაში და ფიზიკური გაჭრობის საფრთხის წინაშეც დადგა. ოსმალური ძლიერი იმპერიის შექმნამ საქართველოს სამხრეთით, მართალია ჩაიკეტა საქართველოს დასავლეთთან ურთიერთობის გზები, მაგრამ როგორც ვ. კოტეტიშვილი შენიშნავს ადრინდელი კულტურული კავშირის ძაღები მთლიანად მაინც ვერ ჩაწყვიტა. მნიშვნელოვან როლს ამ მხრივ ასრულებდნენ ქრისტიანი მისიონერები და ევროპელი მოგზაურნი, რომლებსაც ერთის მხრივ, საქართველოს შესახებ ევროპულ სამყაროში გაქონდათ ინფორმაცია, მეორეს მხრივ საქართველოში მოქონდათ ევროპის კულტურული ცხოვრების ამბები და ასე თუ ისე, ქართული კულტურის შესახებ ევროპის კულტურული ცხოვრების ძირითად მოვლენებს აცნობდნენ.

XVII საუკუნის მიწურულიდან და განსაკუთრებით XVIII საუკუნეში ქართველ მოღვაწეთა ჩუგვი ენერგიული აღუდგა წინ აღმოსავლურ-მუსლიმანური იდიოლოგიის მტრულ, გამხრწნელ გავლენას და ეროვნულ-პატრიოტული მიმართულების აღდგენა-განმტკიცებას მიჰყო ხელი (ვახტანგ VI, მისი „სწავლულნი კაცნი“, თეიმურაზ II, არჩილი, სულხან-საბა ორბელიანი, ვახუშტი ბატონიშვილი და სხვ.) ამ დიდ მოძრაობას დაუკავშირდა ევროპეოზში, რომლის პირველ პროპაგანდისტად ქართულ პოეზიაში ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, დავით გურამიშვილი იყო. პროგრესულად მოაზროვნე ქართველი მოღვაწენი კარგად ითვისეს იმ დამანგრეველ შედეგებს, რაც საქართველოში ირანისა და თურქეთის აგრესიის და გაბატონებას ახლდა. ისინი ოცნებობდნენ ამ რკალის გარღვევასა და დასავლეთთან დაკავშირებაზე. ასეთ განწყობილებას ზოგი პროგრესულად მოაზროვნე ქართველი მეფეც იზიარებდა. ფრანგი მოგზაური შარდენი თავის დღიურებში აღნიშნავს, რომ შანშაუას (ვახტანგ V) უთქვამს:



ქალიერ მსურს-ევროპელები დაბანადნენ წაქართველოში. თუ აღებ-მიცემებისათვის მოველენ ისინი, ვათავისუფლებ ყველა გადასახადისაგან და მივანიჭებ ყოველგვარ უპირატესობას, რასაც კი ისურვებენ. ევროპელები ინდოეთში მისვლა-მოსვლისათვის ვერ იპოვიან ჩემს სახელმწიფოზე უკეთეს გზას. გარწმუნებთ, რომ თუ ერთხელ სცადეს ამ გზაზე წამოსვლა, მერე სხვა გზას აღარ დაადგებიანო<sup>1</sup>. ევროპულ ქვეყნებთან პოლიტიკური კავშირი საჭიროდ მიაჩნდა ქართლ-კახეთის ნიჟერ მეფეს ერეკლე მეორეს. ივანე ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ ერეკლეს ევოქაში „ჩვენს სამშობლოს მოწინავე წრეებში ინტენსიური კულტურული მუშაობა სწავრმოვდა და მტკიცე სამზადისი იყო როგორც სახელმწიფო წყობილების გასაუმჯობესებლად და ევროპულის მსგავსად გარდასაქმნელად, ისევე ევროპული მეცნიერების, ფილოსოფიისა და მწერლობის საქართველოში გადამონასწერაგაუადო“.

ევროპული კულტურის მონაპოვართა საქართველოში ვაცნობისათვის დიდათ სასარგებლო საქმიანობას ეწეოდა, როგორც ცნობილია, პეტრებურგში და მისიკოში მოღვაწე ქართველობად. მოსკოვის ქართული კოლონიის მოღვაწეები იმდროინდელი რუსეთის გონებრივი ცხოვრების ცენტრში ტრიალებდნენ. მათ ხელი მიუწვედებოდათ დასავლეთ ევროპის ცივილიზაციასზე და მის საუკეთესო წარმომადგენლებს თარგმნის მეშვეობით ქართულ საზოგადოებრიობასაც აცნობდნენ. დიდმნიშვნელოვანი იყო ამ მხრივ ანტონ კათალიკოსის, იოანე ბატონიშვილის, დავით ბატონიშვილის და სხვ. საქმიანობა. რომლებიც კარგად იცნობდნენ ევროპულ განმანათლებლობას და მისი იდეების პროპაგანდასაც ეწეოდნენ.

ქართული კულტურის ევროპეიზაციის გაღრმავებისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს რუსეთთან შეერთებას. ამ ისტორიული აქტით, როგორც ცნობილია, საქართველომ თავი დააღწია აღმოსავლურ მუსლიმანურ გარემოცვას, აიცილა ფიზიკური გაქრობის საფრთხე, რომელიც მას სამი საუკუნის მანძილზე ემუქრებოდა, მოიპოვა მშვიდობიანი ცხოვრების შესაძლებლობა, დააღვა სამურჩნო აღმავლობის გზას. ყოველივე ამასთან აღორძინება და განვითარება იწყო ქართულმა კულტურამ, რომელმაც XVIII საუკუნის მიწურულში აღამკამდა ხანის შემოსევის შედეგად მძიმე მარცხმა განიცადა.

ქართული კულტურის აღორძინებისათვის დიდი ხელისშემწყობი ფაქტორი გახდა რუსულ კულტურასთან სიახლოვე, რუსული დემოკრატიული კულტურის კეთილშობილური ზეგავლენა.

<sup>1</sup> შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, 1936, გვ. 106-107.

ნა, რაც XIX საუკუნის მთელ მანძილზე ქართული ერის სულიერ ცხოვრებას ასაზრდოვებდა. რუსულმა მეცნიერებამ, ლიტერატორამ დიდი ილღის სიტყვებით რომ ვთქვათ, გავეილო კარი განათლებისა და „გამოპყვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზე“.

ძირითადად რუსეთის არხით, ქართული საზოგადოებრიობა დასავლეთ ევროპის იმდროინდელ მაღალ ცივილიზაციასაც დაეწაფა. სწორედ რუსეთთან შეერთების შედეგად საქართველოც კულტურულ სფეროში აღმოჩნდა იმ რეგიონში, რომელიც ბურჟუაზიული სოციალ-პოლიტიკური წყობილების გამარჯვების ევოქაში ევროპული ცივილიზაციის სახით ჩამოყალიბდა.

XIX საუკუნის დასაწყისიდანვე საქართველოში ნათლად შეინიშნება ევროპული ლიტერატურით ღრმად დაინტერესება, მთარგმნელობითი საქმიანობის გაცხოველება. მართალია, თარგმანში უპირატესად ფრანგული ლიტერატურით ვატყუება პარაბობა. მაგრამ შეიძინევა ინგლისური ლიტერატურის გაცნობის წყურველიც, მაგალითად, კ. კეკელიძის სახ. ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება ცნობილი ინგლისელი მწერლის მილტონის „დაკარგული სამოთხის“ ქართული თარგმანი, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისში ანონიმი ქართველი ავტორის მიერ არის შესრულებული.

საქართველოს რუსეთთან შეერთებით ერის ისტორიულ ბეღში მომხდარმა ძირფესვიანმა შემოტრიალებამ და მისთან დაკავშირებულმა სოციალ-პოლიტიკურმა ცვლილებებმა, იმდებარებებამ, რაც ამ შეერთებას ქართული თავადაზნაურული ინტელიგენციის პოლიტიკურ შეგნებაში მოჰყვა, საქართველოს მოქცევა ევროპულ კულტურულ რეგიონში, რუსეთსა და ევროპის ლიტერატურულ ცხოვრებასთან დაახლოვებამ, საქართველოში ნიადაგი მოუმზადეს ევროპაში იმ დროს გაბატონებული ლიტერატურული მიმართულების — რომანტიზმის აღმოცენებას. ქართული რომანტიზმი ჩვენს ვეყანაში შექმნილი კონკრეტულ-ისტორიული ვითარების შედეგად (ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის კრიზისი და ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარება, საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოშლა და კოლონიური რეჟიმის დამყარება) ეროვნულ იდეოლოგიად ჩამოყალიბდა. მას საფუძვლად დაედო თავადაზნაურული კლასის პოლიტიკური რომანტიზმი, რაც ყველაზე გამოკვეთილად 1832 წლის თავადაზნაურულ შეთქმულე-

2 ეს ტენდენცია დამახასიათებელია არა მარტო საქართველოსათვის, არამედ მთელი რუსეთისათვისაც, რაც პირველ რიგში ფრანგული კულტურის წაშყვანი მდგომარეობით, ფრანგული უანმანათლებლობის დიდი რეზონანსით და ლიტერატურაში კლასიციზმის მაღალი დონით უნდა ახსნას.

ბაში გამოიხატა. ეს იდეოლოგია ყველაზე ნათლად დიდი ქართველი რომანტიკოსის ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში ასახა ქართული რომანტიზმის საუკეთესო წარმომადგენელთა შემოქმედების ანალოზ ცხადყოფას (მკვლევარებმა ამა სთავიდანვე მიაქციეს ყურადღება), რომ ისინი აღზრდილნი იყვნენ რუსულ და ევროპულ კულტურაზე, კერძოდ ღრმად იყვნენ გაცნობილნი დიდი ინგლისელი პოეტი-რომანტიკოსის ჯორჯ ბაირონის შემოქმედებას.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიისა და ბაირონის შემოქმედების ნათესაობას ჯერ კიდევ ცნობილმა მკვლევარმა ალ. ცაგარელმა მიაქცია ყურადღება რომანტიკულ მიმდინარეობას რომ განხილავდა, იგი მიუთითებდა: ამგვარმა პოეზიის კილომა და მიმართულებამ ყველა ცოტათ განათლებულ ხალხში თავის მიმბაძველნი და მიმყოფნი წარმოიშობა, რუსეთში ჯერ პუშკინი და მერმე ლერმონტოვი იყო, და აი, შორს ამ უმცაყოფილების ტალღამ და გაბრუნებულმა თავის უძღურებისაგან გრძნობამ ჩვენშიაც მოაღწია. ყველა სიტყვა ნ. ბარათაშვილის ამტიკებს, რომ ამანაც კარგა ბლომად შესვა ამ ამღვრელი და ამამღვრველი ტალღის წყლის და მისი მწარე გემო ისმია. მეტადრე ლექსში „ჩემს მერანს“, ბევრი ალავია, რომელიც თითქმის ნამდვილად იმ სიტყვებს შეხვდებით ლერმონტოვის „ეშმაკში“ (Демон) და „მწირში“ (Г. а. мѣри, ბერი Мцირი) აგრეთვე ბევრ ალავს ბაირონის თხზულებებში, მეტადრე ლუიციფერში, რომელიც ამტიკებს, რომ ბარათაშვილი იმათ თხზულებებს იცნობდა<sup>1</sup>.

ეს ფაქტი, რომ ნ. ბარათაშვილი და მისი წრე ბაირონის შემოქმედებას იცნობდა და მისი დაინტერესებული იყო სხვა მხრივაც დასტურდება. ნ. ბარათაშვილის უახლოეს მეგობარს და „მზარის მიმცემს“ მკოსან მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილს, სწორედ გიმნაზიის წლებში ვახჩენია ინტერესი ბაირონის შემოქმედებისადმი. მის იმპროვიზებულ ლექსს „უდაბნოს“ ხელნაწერ რვეულში სათაურად აწერია „მიბაძევა ბაირონისა“ შემდეგ ეს ლექსი ავტორს გადაუწერა და პირველი სათაურითა ცნობილი. მკვლევარი ლევან ასათიანი სამართლიან კითხვას აყენებს: „განა ძალიან ნიშნული არ არის ბაირონის ლექსის თარგმნა და მიბაძევა ბარათაშვილის მეგობარი პოეტის შემოქმედებისა და იდეურ-მხატვრული მიღრეკილების გასათვლილსინელად? ეს გარემოება ახალ შუქს ფენს თემა ნ. ბარათაშვილისა და მისი პოეტური თაობის შემოქმედებასაც“<sup>2</sup>.

ქართული რომანტიზმში, საერთოდ, ევროპიზმის ნათელი გამოვლინება იყო ქართული ლიტერატურაში. მაგრამ ეს ცხადია, ოდნავიდაც არ გულისხმობს იმას, რომ აქ ადვილი ჰქონდა მიბაძვის რაიმე შემთხვევას. ნ. ბარათაშვილის შემოქმედების ილია შვაკაიასისეული შესავსება (მან „ჩვენი გულთა თქმას, ჩვენს ქუთა-გონებას დიდი განი და სილაშქე მისცა, კაცობრიობის წყურვილის მოსაკვლევ წყაროს ქართველიც დააწაფა“) იმას ნიშნავს, რომ ბარათაშვილმა არა მარტო აზიარა ქართული საზოგადოებრიობა „მსოფლიო სვედის“ მოტივებს, არამედ იმას, რომ ბარათაშვილი სწორედ ეროვნული ნიადაგიდან ამოღლდა მსოფლიო პოეზიის მწვერვალზე ბამდე და საკუთარი წვლილი შეიტანა მის შემდგომ განვითარებაში.

ფაქტები მოწმობენ, რომ ოცდაათიანი წლების ქართული მოწინავე საზოგადოებრიობა ამ დროს ეცნობოდა არა მარტო ბაირონის — იმ პერიოდის მსოფლიო პოეზიის დიდი ვარსკვლავის — შემოქმედებას, არამედ უფრო სიღრმეში მიდიოდა და დიდ ინტერესს იჩენდა საერთოდ ინგლისური ლიტერატურისადმი. 1841 წლის 28 მაისს ნ. ბარათაშვილი ერთ-ერთ კერძო წერილში თავის ბიძას გრ. ორბელიანს აუწყებდა, რომ ჩვენმა ლიტერატურამ კარგა თარგმანი შეიძინა — დიმიტრი ყოფიანმა სთარგმნა შეგზბირის ტრაგედია „რომეო და ჯულიეტა“.

ქართული ლიტერატურული საზოგადოებრიობა ევროპული ლიტერატურული ნიმუშების ქართულ თარგმანს შერჩევით აწარმოებდა და, პირველ ყოვლისა, ანგარიშს უწევდა იმას, შეეფერებოდა და ეხმარებოდა თუ არა ევროპელი ავტორი ქართველი კაცის გულისწაფილს, იდეალებს, საზოგადოებრიობის წინაშე წამოჭრილ ამოცანებსა და მოთხოვნილებებს. ქართული ლიტერატურული საზოგადოება კრიტიკული თვლით უყურებდა იმ მთარგმნელობით მოღვაწეობას, რასაც ჟურნალი „ციცქარი“ ეწეოდა. მაგალითად, როცა 1857 წელს „ციცქარში“ ფრანგი მწერლის მანმორტელის „მეუღლბობის“ ქართული თარგმანი გამოქვეყნდა, ლიტერატურული კრიტიკა მას უარყოფითად შეხვდა და მანმორტელისათვის ჟურნალის დათმობა შეცდომად ჩათვალა. კრიტიკოსი ნ. ბერძენიშვილი მიუთითებდა, რომ მანმორტელს არაფერი აქვს საერთო ჩვენს ლიტერატურასთან. ნ. ბერძენიშვილს შეეკამათა ალ. მესხიშვილი და ასეთი საყვედური გამოთქვა: „იგი გვიჩვენებს ისლამიზმის ცრურწმენას და ეტბრუნდეთ, მაშინ როცა დღევანდელი ვითარება ევროპული ცივილიზაციის უფრო ფართოდ

<sup>1</sup> ალ. ცაგარელი, „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“, გაზეთი „დროება“, 1870, № 3.

<sup>2</sup> ლევან ასათიანი, რჩეული ნაწილები, ტ. 1, 1988, გვ. 417.

**მეფეა სურგულაძე**

ქართული საზოგადოებრივი აზრი ინგლისის შესახებ

გაშლის მოთხოვნით, ნ. ბერძენიშვილს ევროპული ლიტერატურის მნიშვნელობის შეუფასებლობას ვერ შეეწამებო. მაგრამ იგი არ აჯობებდა, როცა მანმორტელის სანტიმენტალური ნაწარმოები განვილილ ვტაჰად და ქართული სულიერი საცვებისათვის შეუფერებლად მიაჩნდა. განა ასევე არ მოიქცა ილია ჭავჭავაძეც, რომელმაც იმავე „ცისკარის“ ფურცლებზე კოზლოვის „შეშლილის“ ერისთავისებური უხვირო თარგმანი და თვით კოზლოვის სენტიმენტალიზმი მისხრად აიგდო და ქართული საზოგადოებრივი აზრის შესაბამისი ნაწარმოების ვადმოქართულდა ჩასთვალა საჭიროდ. ი. ჭავჭავაძის ეს ვალაშქრება, როგორც ცნობილია, ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა და შემოპრუნების პუნქტი იყო ქართულ ლიტერატურულ კრიტიკასა და საერთოდ პუბლიცისტურ აზროვნებაში.

ამ საკითხს იმითურ მივაქციეთ ყურადღება, რომ ქართული საზოგადოებრიობის დაინტერესება გენიალური ინგლისელი დრამატურგის უ. შექსპირის თხზულებებით, რაც XIX საუკუნის პირველ ნახევარშივე საგრძობიდა, მაღალ ქართულ ლიტერატურულ გემოვნებაზე მივკანონინებებს და ქართულ ეროვნულ იდეალებს შესატყვისება.

ყურნალ „ცისკარის“ 1857 წლის მეოთხე ნომერში რედაქტორი ი. კერესელიძე ქართულ საზოგადოებრიობას აუწყებდა: „რედაქცია ქართული სალიტერატურო ფურნალისა „ცისკარი“ განუცხადებს სასიამოვნოდ უ. უ. ყურნალისა ამის მკითხველთა, რომ ამ დღეებში მივიღეთ ჩინებული თხზულება ვანთქმულის მთელ ვერობაში მერკლისა ვილიამ შექსპირისა „ჰამლეტი, დანის პრინცი“, რომელსა ვაშხადებთ დასაბუქვავათ. ეს არის სასიამოვნო, რომ უსაკონი ყმანიც კი ცდილობენ დაცემულის ქართული ლიტერატურის აღდგინებას. ეს თხზულება არის ვადმოთარგმნილი საკეთილშობილო გიმნაზიის მესხეთე კლასის მოწაფის თ. მ. ფაველენიშვილისაგან. თუმცა პროზათ არის ნათარგმნი, მაგრამ კმასაყოფულად უთარგმნიდა და მდაბიურს ენაზედ ზემოხსენებულს ყმაწვილს—ყველასათვის ვასაგონაღუ.

1 „ცისკარი“, 1857, № 4.

2 შექსპირის „ჰამლეტის“ ლექსად თარგმნი უცდია მწერალ შალვა დადიანის მამას — ნიკო დადიანს, მაგრამ ეს საქმე ბოლომდე ვერ მიუყვანია. „ჰამლეტი“ უთარგმნიდა აგრეთვე ცნობილ მოღვაწეს, მწერალსა და პუბლიცისტს აბტონ ფურცელაძეს. ფურცელაძისეული თარგმანით „ჰამლეტი“ 1883 წელს ქართულ სცენაზეც იქნა წარმოდგენილი. ი. გრიშაშვილის შენიშვნით ა. ფურცელაძის თარგმანი ბევრად სჯობია არდაზიანისას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგ უხერხულ გამოთქმას. (იხ. „ქართული შექსპირიანა“, ტ. 1, გვ. 125).

გიმნაზიის მოსწავლის დაინტერესება შექსპირით უნდა ვივარაუდოთ, შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა და აგრძელებდა იმ ტრადიციას, რაც 30-იანი წლების დასაწყისში, ბარათაშვილის და თუმანიშვილის თაობაში დაინტერესებურონთან ერთად შექსპირი ქართველი ახალგაზრდების სულიერ გაწყოობილებას ვარგად ესიტყვებოდა. იმავე ყურნალის 1858 წლის მეოთხე ნომერში დაიბეჭდა „ჰამლეტის“ ქართული თარგმანი, რომელიც ლავრენტი არდაზიანს ეყუთვნოდა. ეს თარგმანი შესრულებული იყო რუსულიდან პროზით.

შექსპირის ამ ქართულესი და ულამაზესი ტრადედიის არდაზიანისეული თარგმანი სუსტი იყო და ნაწარმოების მთელ სურნელებასა და სილიადეს ვერ ვადმოსცემდა, მაგრამ იმ დროისათვის მას უსათოოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ქართულ საზოგადოებრიობის ყურადღებას ამახვილებდა გენიალური ინგლისელი დრამატურგის შემოქმედებაზე და მისადმი ახალ ინტერესებს აღვივებდა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში, უპირატესად თბილისში ევროპული ყოფათანდათან მკვირდებოდა და დევნიდა აღმოსავლურს, რომელიც XVII-XVIII საუკუნეებში შექმნილი ვითარების ვამო საკმაოდ იყო ფეხმოკიდებული. ქართულ ყოფა-ცხოვრებაში ეს სიმახლე უპირატესად რუსეთიდან, პეტერბურგიდან ვრცელდებოდა. თბილისს მეორე პეტერბურგს უწოდებდნენ. თბილისის არისტოკრატიულ სალონებში ახალი ევროპული მოდებით უყვე ვოწყოობენ ქართველი ქალები: რუსულის ვარდა, ერთი რომელიმე ევროპული ენის სწავლება არისტოკრატიულ, შემოღებულ ოჯახში თითქმის სავალდებულო ხდებოდა. მაგრამ იმ პერიოდში, ისე როგორც რუსეთის დედაქალქში, უფრო მოდური ფრანგული ენა იყო. ფრანგულ ლიტერატურასაც უფრო მეტად ეტანებოდნენ. ინგლისური ენა იშვიათად თუ ვინმემ იცოდა. ინგლისელ ავტორებსაც ხშირად ფრანგულიდან თარგმნიდნენ („რომეო და ჯულიეტას“ დ. ყიფიანისეული თარგმანი). XIX საუკუნის ორმოციანი წლებიდან ვითარება იცვლება. რუსეთ-ინგლისის შორის შედარებით მშვიდი ურთიერთობა დაყარდა. ინგლის-რუსეთის კულტურული კავშირი ვაცხოველებას იწყებდა. ინგლისელი სტუმრები საქართველოში მომრავლდნენ. 1846 წლის 18 თებერვალს გრიგოლ ორბელიანი მანანა ორბელიანს სწერდა: „თქვენი ვაბრწყინებული სალონი სავსეა ანგლიჩანებით, ვინდებილებო. ჰემ-მარიტად მსურს მათი პენდიერება და ვანობა: ნეტავი მათ რიცხვში მეც ვიყო“.

3 ყურნალი „ცისკარი“, 1857, № 4, გვ. 43.

4 ყურნალი „ცისკარი“, 1958, № 5, 6, 7, 8.

5 აკაკი ვაჭერელი, ლიტერატურული ნარკვევები, 1948, გვ. 100.





ინგლის-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ახალი, მაღალი ეტაპი XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან უნდა ვივარაუდოთ და იგი ვაზეთ „დროების“ გამოცვლას უკავშირდება. XIX ს. 60-70-იანი წლები, როგორც ცნობილია, ახალი ხანაა საერთოდ ქართველი ხალხის სოციალ-ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში. ამ დროს მოხდა ჩვენში ბატონყმობის გაუქმება, გატარდა სხვა ბურჟუაზიული რეფორმებიც. მართალია, ეს რეფორმები საქართველოში კიდევ უფრო შეევეცოდა იყო ვიდრე რუსეთში და ქართველი თავადაზნაურული ინტერესების შეუღლახაობას ითვალისწინებდა, მაგრამ იგი მაინც მსოფლიო ბიძგი აღმოჩნდა ქვეყნის წინსვლისათვის. ბურჟუაზიული წყობილება ნელა, მაგრამ მაინც მკვედრდებოდა საქართველოში და იწვევდა მისთვის დამახასიათებელი კანონებით სოციალურ-ეკონომიურ და კულტურული ცხოვრების წარმოშობას.

ქვეყნის ამ სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნის პერიოდში გამოვიდნენ საზოგადოებრივი აზრის პირები თერგდალეულები. ქართული ინტელიგენციის ეს თაობა რუსეთში, უპირატესად პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლებში იყო აღზრდილი და ნაზიარები იმ რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეოლოგიას, რომლის მესვეურები იყვნენ ბელინსკი, გერცენი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი და სხვები. რუსეთის რაზნო-ჩინცული მოძრაობა, კარგად ესიტყვებოდა იმ იდეალებს, რომლითაც ეროვნულ ჯაგატის სულ-შეუთუთელი ქართველი ახალგაზრდობა იყო განმსჭვალული. საქართველოს დემოკრატიულ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას ისინი ხედავდნენ იმ ახალ რუსეთში, რომლის შექმნისათვის რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგიის ბელადები გერცენი და ჩერნიშევსკი იბრძოდნენ.

თერგდალეულებს, როგორც განმანათლებლებს, ახასიათებდათ ყველა ის ნიშანი, რომელზედაც ვ. ი. ლენინი მიუთითებს. რუსეთის განმანათლებლობის სამი ნიშნიდან ვ. ი. ლენინი, როგორც ცნობილია, ერთ-ერთ ნიშნად მიაჩნდა მხურვალე დაცვა განათლებისა, თვითმმართველობისა, თავისუფლებისა, ცხოვრების ევროპული ფორმებისა და საერთოდ რუსეთის ყოველმხრივი ევროპეიზაციისა<sup>1</sup>.

ცხოვრების ევროპეიზაციაში ვ. ი. ლენინი, რა თქმა უნდა, გულისხმობდა განმანათლებელთა სწრაფვას ცივილიზაციისაკენ, საუკუნეებრივი ჩამორჩენილობისაგან თავის დაღწევისაკენ. განმანათლებლები, მათ შორის ქართველი თერგდალეულები, სამართლიანად მიუთითებდნენ, რომ საერთო განვითარების დონით ევროპა რუსეთზე დიდად მაღლა იდგა. ევროპის კაცობრივ-სოციალური ურთიერთობა მათ სრულიადაც არ

მიაჩნდათ იდეალად და მის მანკიერ მხარეს არ ფარავდნენ, მაგრამ ისიც დრმად ჰქონდათ შეგნებული, რომ კაცობრივში ფეოდალურ ფორმაციასთან შედარებით წინგადადგმული ნაბიჯი იყო. განმანათლებლები ვინსაკუთრებით იყვნენ მოხიბლულნი დასავლური სოციალისტური იდეოლოგიით, ფურიეს, ოუენის უტოპიური სოციალიზმით და მის პროპაგანდას ეწეოდნენ.

ილია ჭავჭავაძე ფურხნალ საქართველოს მოამბეში<sup>2</sup>, რომელიც მან 1863 წ. დააარსა, შესაძლებლობის ფარგლებში პროპაგანდას უწევდა ევროპის განმანათლებლებს მოძრაობას, ქართველებს მოუწოდებდა მიებაძათ ევროპეობისათვის, ეროვნულად დარაზნულ იყვნენ იტალიელი და პოლონელი ხალხების მსგავსად. ილიას თანამებრძოლები (ვ. თულაშვილი, დ. ყიფიანი, გ. წერეთელი) ევროპული ცხოვრების მაგალითებს იშველებდნენ, რათა ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობის დროულობა და აუცილებლობა დაეახსებუთენინათ<sup>2</sup>.

1866 წელს თერგდალეულებმა დაიწყეს გაზეთი „დროების“ გამოცემა, რომლის გარშემოც დაიარსებნენ ეროვნულ-განმანათლებლებელი მოძრაობის მესვეურთა წამყვანი ძალები (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, ი. გოგებაშვილი და სხვები). გაზეთმა „დროებამ“ დაარსებიდანვე სათანადო ადგილი დაუთმო რუსეთის საგარეო ცხოვრების, ევროპის ქვეყნების საშინაო და საგარეო მოუღენების გაშუქებას. იგი ამ მასალებს იღებდა რუსეთის ოფიცოზებიდან, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ბეჭდავდა ორიგინალურ მასალებსაც, რომელთა ავტორები ევროპაში ნამყოფი, ან ევროპის ცხოვრებაში კარგად ჩახედული ქართველი მოღვაწენი იყვნენ.

გაზეთ „დროების“ პირველსავე ნომერში (1866 წ. 4 მარტი) დაბეჭდილია ცნობა ინგლისში პარლამენტის ვახსნის და ამ ვახსნაზე დედოფალ ვიქტორიას სიტყვის შესახებ<sup>3</sup>. ამ დროიდან ვაზეთის გამოცემის შეწყვეტამდე ინგლისის საშინაო და საგარეო ცხოვრების, ეკონომიკისა და კულტურის შესახებ 69 კორესპონდენცია დაბეჭდილი. „დროების“ 1871 წლის 26 ივლისის კორესპონდენცია შეეხება პირველი ინტერნაციონალის საქმიანობას. ქართულ პრესაში ეს პირველი ცნობა მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლების კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის მიერ საერთაშორისო მუშათა ორგა-

2 იხ. ა. სურგულაძე, ქართული სოციალდემოკრატიული აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში, 1973, გვ. 184-186.

3 ვაზ. „დროება“, 1866, 4 მარტი, № 1.

5 ვაზ. „დროება“, 1871 წლ. 25 ივლისი.

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 11, გვ. 626 (მეოთხე გამოცემა).

მედეა სურგულაძე  
ქართული საზოგადოებრივი აზრი  
ინგლისის შესახებ



ნაზიცი — პირველი ინტერნაციონალის შექმნის თაობაზე. იმავე წლის 15 ოქტომბრის ნომერში „დროება“ ბეჭდავს კორესპონდენციას „ხალხს შორის მუშების საზოგადოების“<sup>1</sup> (პირველი ინტერნაციონალის, შ. ს.) ლონდონის კონფერენციის შესახებ. ამ კონფერენციას — შენიშნავს გაზეთი — კარლ მარქსი თავმჯდომარეობდა. გაზ. „დროება“ ეხმაურება აგრეთვე ინგლისის მუშათა მოძრაობის საკითხებს. 1872 წლის ნოემბერში მოთხრობილია ინგლისელ მუშათა გაიფხვებზე.<sup>2</sup>

ინგლისის შესახებ იმ პოლიტიკური საკითხებიდან, რომლებიც გაზეთ „დროებაში“ და „ივერიაში“ შექმნილია, საგანგებოდ უნდა გამოეყოფო ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის საკითხი, რომელსაც ქართული პრესა გარკვეული მიზეზების გამო განსაკუთრებული ინტერესით ეხმაურებოდა.

ინგლის-ირლანდიის საკითხით იმ დროს მსოფლიო იყო დაინტერესებული. ირლანდიელი ხალხი მთელი XIX ს. მანძილზე და XX საუკუნის დასაწყისში მამაცურად იბრძოდა ინგლისელ დამპყრობთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში სიმართლე ირლანდიელი ხალხის მხარეზე იყო და მთელი პროგრესული კაცობრიობა მხარს უჭერდა მის მოთხოვნებს. ირლანდიელი ხალხის ბედი აღეკვებდათ მეცნიერული სოციალიზმის ფუნდამენტებს კ. მარქსსა და ფ. ენგელსს, რომლებიც მზურვალედ თანაუგრძობდნენ მათ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას და მსოფლიო საზოგადოებრივ აზრსაც მათ სასარგებლოდ და დასახმარებლად განაწყოდნენ. მარქსმა და ენგელსმა, ამასთან, წინ წამოსწიეს თვით ინგლისის დაჩაგრული კლასების განთავისუფლების საკითხი, რაც ირლანდიის მშრომელ მასებთან მჭიდრო იბრძოლო კავშირში უნდა მომხდარიყო. ვ. ი. ლენინი მიუთითებს, რომ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „პოლიტიკის შეიქმნა ეხსნა ირლანდია და ინგლისიც აუცილებელ გარდაქმნათა ხანგეარო საუკუნით დაგვიანებისა და ლიბერალების მიერ რეაქციის საამებლად მათი დამახინჯებისაგან“<sup>3</sup>.

ქართველი თერგდალეულები, რომლებიც რუსეთის ცარიზმის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ეწეოდნენ, ცხადია, ცხოველი ინტერესით აღვივნებდნენ თვალს ირლანდიელი ხალხის დიდ პატრიოტულ მოძრაობას და ირლანდიელი ხალხის მისამართით გამოთქმულ სიმპათიებში აქსოვდნენ იმ გულსიტყვას, იდეალებს, რაც მათ რუსეთის ცარიზმის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ გაუჩნდათ. თავის დროზე, როგორც

ცნობილია, თერგდალეულები ასეთივე თანაგრძობითა და მგზნებარებით შეხვდნენ იტალიელი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას გარიბალდის მეთაურობით, პოლონელი ხალხის გმირულ აჯანყებას 60-იან წლებში. „ამ ხალხების მდიდარი საბრძოლო გამოცდილება მათ სურდათ მშობლიური ქვეყნის აწმყოს შესაცვლელად და უკეთესი მერმისის მოსაპოვებლად გამოეყენებინათ. მშობლიური ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადებით მებრძოლ ქართველ მოღვაწეებს აღაფრთოვანებდათ სხვა ხალხების გმირული ბრძოლის მაგალითები, გარიბალდის, კოშუტის ან მაძინის ტიპის სახალხო გმირების უზადო პატრიოტიზმი“<sup>4</sup>.

გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე ილია ჭავჭავაძემ დაბეჭდა ორი ვრცელი ნარკვევი („ინგლისი და ირლანდია“, „ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის ვარშემო“). რომლებშიც მოგვეცა ინგლისის უახლესი ისტორიის, ეროვნული საკითხის, ირლანდიის ისტორიის, ინგლისის წინააღმდეგ განმანათავისუფლებელი მოძრაობის იმ დროისათვის ვრცელი დახასიათება. ამ ნარკვევებში ილია წარმოვიდგება როგორც პროგრესული, დემოკრატი მოაზროვნე, გულწრფელი მოსარჩელე ირლანდიელი გლეხებისა, რომელიც სასტიკ ექსპლუატაციას განიცდის. „გომელულმა ირლანდიელმა ცხადად დაუმტკიცა ქვეყანას. — აღნიშნავს ილია, — რომ თავისი უბედურების მიზეზი თვითონ ერის ბუნება და თვისება კი. არ, აზრის, როგორც აბტიკიეებზე დღესაც ზოგიერთი მომხრენი მემამულეებისა, არამედ იგი არისტოკრატიული წესი მიწათმფლობელობისა, რომელიც ინგლისმა შეიტანა ირლანდიაში და რომელმაც გლეხობას ხელიდან გამოაცალა მამული და ცარიელზე დასვა“<sup>5</sup>.

ილია ჭავჭავაძემ ამაღლებლად აგვიწერს ირლანდიელი ხალხის ვალატაების პროცესს, ხალხისა, რომელიც ინგლისელმა ლენდლორდებმა ცარიელზე დასვა. ილიას აზრით, ინგლისელთა რეჟიმმა, ინგლისელი მიწათმფლობელების უხეშმა ექსპლუატაციამ, გამუდმებულმა სიღატაკემ, უმუშევრობამ, ირლანდიელი ხალხისათვის ცხოვრება ჯოჯოხეთად აქცია, გააბოროტა იგი. ამ სტრიქონებს რომ წერდა, დიდი ქართველი მოაზროვნე ცენზურისაგან დაფარულად მოშობილი ხალხის მძიმე ჰვედრზე მიუთითებდა და ქართველ საზოგადოებრიობას რომ ირლანდიელებისადმი თანაგრძობით განაწყოდა, ამით მის ეროვნულ გრძნობათა ვალდებულებას და პატრიოტულ შემართებას უწყობდა ხელს.

„ყოფნა თუ არ ყოფნა“ — ო, წარმოსთქვა ერთ-

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, 1871 წლ. 15 ოქტომბერი.  
<sup>2</sup> გაზ. „დროება“, 1870 წლ. 3 ივლისი, 1871 წლ. 26 სექტემბერი, 1872 წლ. 14 ივლისი.  
<sup>3</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 543.

<sup>4</sup> ვ. დონაძე, ქართველი სამოციანელები ახალი ისტორიის პრობლემათა შესახებ, 1970, გვ. 101.  
<sup>5</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 9, გვ. 24.



ხელ შექსპირის ჰამლეტმა, როცა საქმის ვითარებამ ორში ერთი დაუყენა წინ ამოსარჩევად. გავა დღეს გლადსტონის პროექტი ირლანდიის შესახებ, თუ არ გავაო? — ამბობს ეხლა მთავარი ქვეყნის მთავრების განათლებული ნაწილი, რაჟი იგი პროექტი წარუდგა ინგლისის ერს განსაკითხვად. დღეს ინგლისი წარმოადგენს დიდებულ სახლს ერისას, რომელსაც თვალწინ უდევს ერთი დიდი საქმე გადასაწყვეტად<sup>1</sup> — წერდა ილია ინგლის-ირლანდიის ურთიერთობის გარშემო გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაში და ამით გამოჰყვევად მინიშნებდა მკითხველს რუსეთის ცარიზმზე, რომელიც სწორედ ამ პერიოდში პოლიტიკურ რეაქციას ახორციელებდა და იმპერიაში შემავალი ერების ჩაგვრას და ასიმილაციის პოლიტიკას ატარებდა.

ილია ჭავჭავაძის გარდა ინგლისში ირლანდიის განმათავისუფლებელ მოძრაობაზე „დროებისა“ და „ივერიის“ ფურცლებზე სტატიებს აქვეყნებდნენ ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, დავით მიქელაძე (მეველე) და სხვები. „დროების“ 1881 წლ. 10 მარტის ნომერში გამოქვეყნდა მრთხარობა „მართალია“, რომელიც ირლანდიის განმათავისუფლებელი მოძრაობის ეპიზოდს ასახავდა (თარგმანი ე. ვაბაშვილისა) ჯონ ვუდის — ამჟამი ინგლისელი მუშების ცხოვრებიდან (თარგმანი გ. კ. — შვილისა)<sup>2</sup>, ვუდურის „სურათები ლონდონის ცხოვრებისა — სიღარიბით გამოწყვეტილი ავანაობა და ქურდობა“<sup>3</sup> და სხვ.

ინგლისის სოციალ-დემოკრატიული და პოლიტიკური ცხოვრების შესახებ ეს ფართო ინფორმაცია, რომელსაც ქართველ მკითხველ საზოგადოებრიობას ვაზეთები „დროება“ და „ივერია“ აწვდიდნენ, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა საზოგადოებრიობის დინამიკურსებას ამ ქვეყნის აქტუალური ცხოვრებით, კერძოდ ინგლისის ლიტერატურით.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ უკვე 50-იან წლებში განათლებული ქართველობა ვანსაკუთრებული ინტერესით მოეკიდა შექსპირის დრამატურგიის და თარგმნის რამდენიმე ნიმუშიც შექმნა. ეს პროცესი განსაკუთრებით გაცხოველდა 70-იანი წლებიდან, რასაც ქვემოთ საგანგებოდ შევეხებით. ახლა თვალს გადავავლოთ ინგლისური ლიტერატურის იმ ნიმუშებს, რომელსაც ქართული პრესა აქვეყნებდა.

ვახუთი „დროება“ 1878 წლიდან შეუდგა ბაბრონის პოეზიის ნიმუშების გამოქვეყნებას. მაგალითად, ვაზეთში გამოქვეყნდა ბაბრონის „არც ერთი ამ ქვეყანაში“<sup>4</sup>, „ვალეა იროლისა

მარიაშაზელ“<sup>5</sup>, ებრაელი მელოდია — სტიროლოდ“<sup>6</sup>, „მამ შენ დაღერი მდულარე ცრემლს“<sup>7</sup>. ყველა ეს თარგმანი ეკუთვნოდა ს. ბაქრაძეს. ამავე ვაზეთში გამოქვეყნდა ბაბრონის „მოგონება“ (თარგმ. ს. ჩიკვაძისა)<sup>8</sup>, „შვილობით“ (თარგმანი იორლანე ტუსალისა)<sup>9</sup>, „ჩვენ ერთმანეთს ვეთხოვებოდით“ და „ჩაილდ-პაროლის სიმღერა“ (თარგმ. ს. ბაქრაძისა)<sup>10</sup>. „დროებაში“ დაიბეჭდა აგრეთვე რობერტ ბერნსის<sup>11</sup>, თომას გულის<sup>12</sup>, თომას მურის<sup>13</sup> პოეზიის ნიმუშები. რა თქმა უნდა ყველა ეს თარგმანი არაა ერთნაირი ხარისხის, უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ისინი ლიტერატურულ-მხატვრული ღონის მხრივ ვერ სტოვებენ დღესათვის სახარბიელო შთაბეჭდილებას, მაგრამ მრეხედავად ამისა, მათ მაინც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა კულტურის პროპაგანდის თვალსაზრისით იმ მკითხველთათვის, ვისაც ამ დიდი პოეტების ორიგინალი გაცნობის საშუალება არ ეჩერებოდა.

XIX საუკუნის 70-იანი წლების ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში დიდ მოვლენად აღინიშნა უილიამ შექსპირის დიდებული ქმნილების „მეფე ლირის“ თარგმან ქართულ ენაზე, ი. ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის მიერ. 1874 წელს ვახ. „დროება“ ქართულ მკითხველს აუწყებდა: „უფ. ილ. ჭავჭავაძის და ივ. მაჩაბელს გაუთავებია „მეფე ლირის“ თარგმანი. ამ ტრადიციის პირველი მოქმედება დაბეჭდილია „კრებულის“ მეათე წიგნში და როცა დანარჩენი მოქმედებები დაიბეჭდება, ქართული ლიტერატურა ერთ მშვენიერად ნათარგმნს ძვირფას თხზულებას შეიჭნაო“<sup>14</sup>, „მეფე ლირის“ თარგმანი მართლაც ნაწილ-ნაწილ იბეჭდებოდა „კრებულში“, ხოლო 1877 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა.

მკითხველმა საზოგადოებამ წიგნი აღტაცებით მიიღო. ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის ამ თარგმანში დიდი ინგლისელი დრამატურგი ქართველი საზოგადოების წინაშე წარმოსდგება მთელი თავისი ძლიერებით, მხატვრული ბუმბერაზობით. შექსპირის თარგმანების ზრდამ 70-იან

- 5 ვახ. „დროება“, 1878 წ. 24 ოქტომბერი.
- 6 ვახ. „დროება“, 1878 წ. 4 ნოემბერი.
- 7 ვახ. „დროება“, 1878 წ. 5 დეკემბერი.
- 8 ვახ. „დროება“, 1884 წ. 18 თებერვალი.
- 9 ვახ. „დროება“, 1880 წ. 26 თებერვალი.
- 10 ვახ. „დროება“, 1878 წ. 23 ოქტომბერი.
- 11 ვახ. „დროება“, 1870 წ. 5 თებერვალი.
- 12 ვახ. „დროება“, 1870 წ. 25 ივნისი.
- 13 ვახ. „დროება“, 1883 წ. 15 მარტი.
- 14 ვახ. „დროება“, 1874 წ. 8 მარტი.

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 9, გვ. 202.  
 2 ვახ. „დროება“, 1882, 9 ოქტომბერი.  
 3 ვახ. „დროება“, 1871, 5 თებერვალი.  
 4 ვახ. „დროება“, 1878 წ. 5 დეკემბერი.

**ნიკოლოზ სურგულაძე**  
 პირველი საზოგადოებრივი აზრი  
 ინგლისის შესახებ

წლებში, განსაკუთრებით ისეთი მაღალი თარგმანის გამოჩენამ, როგორც ი. ქავევაძისა და ივ. მაჩაბლის „მეფე ლირა“ იყო, ქართული საზოგადოებრიობის ინტერესი დიდი ინგლისელი დრამატურგისადმი კიდევ უფრო გააღრმავა. გაზეთი „დროება“ 1874 წელს შენიშნავდა: „შექსპირს ვხლა ესპანურ ენაზეც სთარგმნიან და ამბობენ, რომ ეს პირველად არისო. ჩვენ ქართველები ცოტათ უთუოდ უნდა ავმადლდეთ ჩვენს საკუთარ თვალში, რადგანაც ესპანელებისათვის დაღვისწრია და რამდენიმე ეშქსპირის თხზულება მშვენივრად გადმოგივლია ქართულ ენაზედ“<sup>1</sup>.

„იმ ზომამდე შეიყვარა ჩვენმა ხალხმა აღორძინების ეპოქის ეს უდიდესი მწერალი — შენიშნავს შექსპირის საბჭოთა მკვლევარი და მთარგმნელი ვახტანგ ჭელიძე, — რომ 70-იან წლებში სამეგრელოს ერთ პატარა სოფელში მისი პიესა დადგეს, ხოლო ამაზე უფრო ადრე მეხუთე კლასის მოსწავლემ „ჰამლეტის“ თარგმაც კი სცადა“<sup>2</sup>.

შექსპირის თხზულებათა თარგმანზე მუშაობა ივანე მაჩაბელმა შემდეგ გააგრძელა და ქართულ ლიტერატურაში თავისი სახელი უკვდავყო სწორედ ამ დარგში მოღვაწეობით 1886 წ. ეტრნალ „ოუატრში“ (რედაქტორი ვ. გუნი) დაიბეჭდა ე. შექსპირის „ჰამლეტის“ ივანე მაჩაბ-

ლისეული თარგმანი. იმავე წელს იგი ცალკე წიგნადაც გამოვიდა. „ჰამლეტის“ თარგმანზე ადრე ანტონ ფურცელაძემ მუშაობდა. გაზეთ „დროებაში“ 1883 წელს ნათქვამია, რომ „წარსულ კვირას ქართულმა დასმა წარმოადგინა შექსპირის „ჰამლეტი“, რომელმაც ლირზე უკეთ ჩაიარა. მოთამაშეთ როლები უკეთ იცოდნენ და სხვათა შორის, ალბათ იმიტომ, რომ ეს პიესა პროზად იყო გადათარგმნილი. ჰამლეტის მთარგმნელ ბ. ა. ფურცელაძეს მიაჩნოვს შექსპირის სრული თხზულება და თავისი სურათი კარანდაშით ნახატი“<sup>3</sup>.

ჰამლეტის პროზაული თარგმანი მნიშვნელოვანი ფაქტია ქართული ლიტერატურისა, მაგრამ იგი, ცხადია, შექსპირის ამ ბრწყინვალე ქმნილების სიდიადეს და მომხიბვლელობას ვერ გამოხატავდა. ქართული თეატრის ისტორიის მკვლევარი პოეტი იოსებ გრიშაშვილი ერთმანეთს ადარებდა ა. ფურცელაძისა და მაჩაბლის თარგმანის ცალკეულ ადგილებს, იმის დასასაბუთებლად, თუ როგორი განსხვავებული შინაარსი, ელფერი და ბრწყინვალეა შეიძინა ჰამლეტმა მაჩაბლის თარგმანში.

ვეილოთ, მაგალითად, ჰამლეტის ცნობილი მონოლოგი. მისი ა. ფურცელაძისეული თარგმანი ასეთია:

„სიცოცხლე თუ სიკვდილი? აი, რა არის საფიქრებელი! რა უფრო პატიოსნურია: რომ კაცმა ატანოს მტრად აღჭურვილი განჯების შეუბრალებელი დეწა და ჩაკვა, თუ ისა, რომ კაცი ბრძოლად გავიდეს, შემართოს ხელი გაუმკლავდეს ზღვათა აუარებელთა უბედურებათა? სიცოცხლის გათავება არის მხოლოდ მიძინება. ამათთან, რაკი ესეც იციან კაცმა, რომ ყველა სულდაგმულის ბოლო არის მაინც ეს მიძინება, ეს ძილი უღებს ბოლოს ათასთა სატანჯველთა და წამებათა, — ნუთუ ამ დროის მოახლოება და შეყრა არ უნდა იყოს გულთ ნატვრა აღამიანისთვის?...“

ივ. მაჩაბლისეული თარგმანი შემდეგია:  
„ყოფნა? არ ყოფნა?... საკითხავი აჲ ეს არის სულ დიდ ქმნილებას რა შეფერის? ის რომ იტანჯოს ან აიტანოს მჩაგვრავ ბედის ნებტრითა გინვა, თუ შეებრძოლოს მოზღვავებულ უბედურებას, და ამ შეებრძოლვით მოსპოს იგი?... მოსპოს სიცოცხლე... ბოლო მოუღოს... მიიძინოს... სხვა არაფერა... ამ მიძინებით გათავდება ის გულის ქეჩნა და ათასი სხვა ბუნებრივი უკუღმართობა, რაიც ხორც-შესხმულ აღამიანს წილად ხვდომია განა, ეს ბოლო სანატრელი არ უნდა იყოს?...“

ასეთა შედარებების შემდეგ ი. გრიშაშვილი აღტაცებით ამბობს ივანე მაჩაბელზე: „შესანიშნავი თარგმანი ხანდახან გოაცემას ეძლევი ხოლმე: საიდან ჩამოვარდა ეს კაცი? რომელ

გრიგალს გადმოჰყვა, ვინ ჩააგონა ჩვენი ენის საიდუმლოება და ქართული სიტყვის შეგარობის ძალა?“<sup>4</sup>.

1 გაზ. „დროება“, 1874 წ. № 458.  
2 ვახტანგ ჭელიძე, შექსპირის მაჩაბლისეულ თარგმანები, ქართული შექსპირიანა, ტ. I, გვ. 145.

3 გაზ. „დროება“, 1883, № 40.  
4 იოსებ გრიშაშვილი, ქართული შექსპირიანა და ივანე მაჩაბელი, ქართული შექსპირიანა, 1, გვ. 138.

ივანე მაჩაბელმა ხელმოწერა თარგმანს შექსპირის უკვდავი ქმნილებანი „ოტელო“ (1886 წ.), „როჩარდ მესამე“ (1893 წ.), „მაკბეთი“ (1892 წ.), „კორიოლანუსი“ (1898 წ.), „ანტონიუს და კლეოპატრა“ (1898 წ.), „იულიუს კეისარი“ (1896 წ.).

ქართული პრესა ივანე მაჩაბლის თარგმანებს ყოველთვის აღტაცებული ხვდებოდა. „იყო ერთი შემთხვევა — შენიშნავს იოსებ გრიშაშვილი, — როცა „ივერიაში“ ოტელის მთარგმნელებს (ივ. მაჩაბელს და დ. მესხს) უსაყვედურა: „თარგმანი მოითხოვარიკებდა, განსაკუთრებით სამი უკანასკნელი მოქმედებაში“. ეს სამი უკანასკნელი მოქმედება კი დათვით მესხისა იყო და არა მაჩაბლისა“<sup>1</sup>.

ივანე მაჩაბლის თარგმანით მოიხიბლა ქართული ენისა და ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნე ინგლისელი ოლივერ უორდრაოპი; როცა მან ივანეს თარგმანში წაიკითხა შექსპირის „იულიუს კეისარი“, მთარგმნელს ასეთი აღტაცებული ბარათი გაუგზავნა: „თქვენი თარგმანი „იულიუს ცეზარისა“ საამაყო რამ არის. იგი ერთსა და იმავე დროს არის დადასტურება თქვენი უალრესი ნიჭიერებისა და თქვენი ენის საოცარი სიმდიდრისა. მე წამოვიტოვებ ფრანგული, გერმანული, რუსული და ბულგარული ვერსიები ამ პიესისა, მაგრამ არც ერთი თარგმანი არ არის. ისე ერთგულად შესრულებული, როგორც თქვენი. თქვენ ისეთი რამ შექმენით, რომლითაც შთამოხალეობა აღტაცებული იქნება“<sup>2</sup>.

„უღიღესი დამსახურება მაჩაბლისა სწორედ ის არის, — შენიშნავს ვ. კელიძე, — რომ მან შესწლო მოეწაზა ყველა ნაწარმოების გასაღები, ჩასწვდომოდა ორიგინალის სიღრმესა და დედააზრს. რვა ტრაგედია თარგმანა ივანე მაჩაბელმა და გაღაფრებულად შეიძლება ითქვას, რომ მან შესწლო ყველგან გადმოეტანა ნაწარმოების მთავარი განწყობილება“<sup>3</sup>.

XIX საუკუნის 70-იან წლებში შექსპირის ქართულ ენაზე თარგმანს როგორც აღვნიშნეთ, სხვა მრავალი ენოთუზისტიც ჰყავდა. ასეთი განსაკუთრებული ინტერესი შექსპირისადმი, მისი დიდი გენიალობის გარდა, ნაწარმოებთა განსაკუთრებული სცენური თვისებებით უნდა აიხსნას. ქართულ სცენაზე შექსპირი მუდამ პირველი და მთავარი, სასურველი სტუმარი იყო. ქართულად მსახიობები თავიანთ სცენიურ გე-

მოვლენის ნიჭის ყველაზე საუკეთესო შესწავლას შექსპირის ტიპებში ხელდავლენა

1871 წ. გაზეთი „დროება“ თავის მეხუთე ნომერში ქართველ მკითხველს აუწყებდა, რომ „მნათობის“ რედაქციაში წარდგენილია შექსპირის პიესის „ტიმოთე აინელის“ ქართული თარგმანი. ჟურნალ „მნათობის“ 1872 წლ. მესამე და მეოთხე ნომერებში დაიბეჭდა შექსპირის „ვენეციელი ვაჭრის“ დიმიტრი ყიფიანისეული თარგმანი. იმავე დიმიტრი ყიფიანმა თარგმანა შექსპირის ღრამა „ორი ვერაონელი აზნაური“ (დაიბეჭდა 1867 წ. ჟურნალ „ციცქარში“), „დღიე ამბავი ტყუილებრალთ“ (ნიკო დადიანი დავით ყიფიანი), „ქირვეული ცოლის მორჩულება“ (თარგმანი შალვა დადიანისა, დაიბეჭდა ჟურნალ „კვალში“ 1895 წ.), „მეფე ციმბელინი“ (მთხოზარდო გადმოკეთებული ს. ყიფიანის მიერ. დაიბეჭდალა ქუთაისში, ჟურნალ „ცდაში“ 1890 წელს)<sup>4</sup>.

ამ თარგმანებიდან ზოგი არც დაბეჭდილია ისინი ქართული თეატრის დაკვეთით თარგმნებოდა და ხელნაწერით იღებებოდა სცენაზე. ქართული სცენა, როგორც აღვნიშნეთ, დიდ ინტერესს იწვევდა შექსპირისადმი.

„ჰამლეტი“ (ი. მაჩაბლის თარგმანი) 1867 წელს პირველად წარმოდგენილი იქნა ლადო მესხიშვილის საბუნებისადმი. ჰამლეტის როლს ასრულებდა თვით მესხიშვილი, პოლონიუსის ვ. აბაშიძე, ოფელიას — მ. საფაროვა და სხვ. ამ დადგმის გამო გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ რეცენზიაში იგარძობა, თუ რა მაღალ მოთხოვნებს უყენებს ქართულ სცენას გაზეთი. ისეთი გამოჩენილი მსახიობი როგორც ლადო მესხიშვილი იყო, გაყენწილია ჰამლეტის როლის განსახიერებაში ნაკლოვანების გამო.

„მეფე ლირი“ ქართულად თეატრში 1883 წელს დადგა ცოტე ყიფიანის საბუნებისადმი. აქაც, გაზეთი „დროება“ უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ზოგიერთმა მსახიობმა როლი კოვალ არ იცოდა და „ჩათვლით იმეორებდა სუფლიორის სიტყვას, როგორც გაკვეთილის არმცოდნე შევირდი თავის ამხანაგის „პოდსკე-ზით“ იმეორებს“<sup>5</sup>.

1873 წ. ბანაში, როგორც ზევით აღვნიშნეთ, სცენისმოყვარეებმა წარმოდგინეს „ვენეციელი ვაჭარი“. დადგმას, როგორც გაზეთი „დროება“ გვაუწყებს, ალ. იოსელიანი ხელმძღვანელობდა. 1878 წ. ეს პიესა თბილისში დაიდგა. ამ წარმოდგენას „დროება“ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და სპექტაკლის წინ მკითხველის საყუ-

<sup>1</sup> იოსებ გრიშაშვილი, მითითებული სტატია, გვ. 141-142.

<sup>2</sup> ლიტერატურული ძიებანი, 1955, აღ. IX, გვ. 19.

<sup>3</sup> ივ. კელიძე, შექსპირის მაჩაბლისეული თარგმანები. ქართული შექსპირიანა, ტ. I, 1959, გვ. 1.

<sup>4</sup> იხ. „ქართული შექსპირიანა“, გვ. 130-133.

<sup>5</sup> ვახ. „დროება“, 1883, № 37.

#### მიღება სარგებლობაში

ქართული საზოგადოებრივი აზრი ინგლისის შესახებ

რადღებოდ და თეატრალური დასის გასაფრთხილებლად აღნიშნავდა: „...ქართული სცენის მოყვარულნი შექსპირის დრამის „შეილოკის“ წარმოდგენას აპირებენ ჩვენს თეატრში და მოკლე დროში თუ არ ვცდებით, ეს პირველი დრამატული თხზულება იქნება შექსპირისა ქართულ ენაზე წარმოდგენილი, და ამიტომ სანატრელია, რომ ეს ინგლისის გენიოსი — დრამატურგი არ შეარცხვინონ ჩვენი საზოგადოების წინაშე ჩვენმა სცენის მოყვარულებმა“-ო!

როგორც ჩანს, „დროების“ შიში არ გამართლდა, წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. შეილოკის როლი კოტე ყიფიანს კარგად განუსახიერებია, მთარგმნელი დ. ყიფიანი სცენაზე გამოუწვევით.

1885 წელს დაიდგა „მაკბეტის“ ერთი მოქმედება ვალ. გუნიას თარგმანით. მაკბეტის როლს თვით მთარგმნელი ასრულებდა. ვ. გუნიას თარგმანით დაიდგა აგრეთვე „ოტელოს“ ერთი მოქმედება 1885 წ. 20 იანვარს.

ქართული საზოგადოებრიობა უილიამ შექსპირს ეცნობდა არა მარტო როგორც უდიდეს ინგლისელ დრამატურგს, არამედ როგორც პოეტს. შალვა დადიანმა, „ქუეჯის“ ფსევდონიმით, ა. შანშიაშვილმა, იოსებ გამეცმლაძემ — „ქნარის“ ფსევდონიმით, თარგმნეს შექსპირის ზოგიერთი სონეტი.

ქართული საზოგადოებრიობის ინტერესი ინგლისური ლიტერატურისადმი ცხადია, მარტო შექსპირით არ ამოწურულა. 70-იანი წლებიდან ინგლისური ლიტერატურის სხვა უდიდესი წარმომადგენლების გაცნობის მისწრაფება ცხოველდება. ამ მიზივ დიდ როლს ასრულებს გაზეთი „დროება“.

გაზეთი „დროების“ 1870 წლის თებერვლის ნომერში დაიბეჭდა დიდი შოტლანდიელი პოეტის რობერტ ბერნისი ლექსი „არავის“. თარგმანი ექუთფეროდა გ. ქორაიძეს (პალაიდელი)მ. 1878 წ. გაზეთში იბეჭდება თომას პუდის „იმღერა პერანგზედ“ (თარგმანი ს. ბაქრაძისა)7, 1883 წ. — ძველი ინგლისური ბალადა — „დულოფლის აღსარება“ (თარგმანი ილია ბუჟინია-სი)8, მერის „როს შენ სტირი, იტანკები“ (თარგმანი ს. ბაქრაძისა)9.

გაზეთი „დროება“ მკითხველს აინტერესებს ინგლისის შუშა ხალხის ყოფაცხოვრებით. 1871

- 1 გაზ. „დროება“, 1878, № 49.
- 2 ი. გ. რი შა შვილი, მითითებული სტატია, გვ. 131.
- 3 იხ. ქურნალი „მწყემსი“, 1897, № 2.
- 4 იხ. „ნიშადური“, 1908.
- 5 იხ. ქურნ. „ქორწინება“, 1909, № 2.
- 6 გაზ. „დროება“, 1870, 5 თებერვალი.
- 7 გაზ. „დროება“, 1873, 25 ივნისი.
- 8 გაზ. „დროება“, 1833, 15 მარტი.
- 9 გაზ. „დროება“, 1882, 29 ივნისი.

წლის .5 თებერვლის ნომერში იბეჭდება გუბერის „სურათები ლონდონის ცხოვრებისა“, რომელშიაც აღწერილია სიღარიბით გამოწვეული ბოროტმოქმედებანი. ამავე თვეში გაზეთი 1878 წელს ბეჭდავს მოთხრობას „ლონდონის მაწანალები“ (თარგმანი პ. მუქელიშვილისა), ინგლისელი მუშების მიმე ეკონომიურ ცხოვრებას გვიხატავს კონ ვუდის „ამაზე ინგლისელი მუშების ცხოვრებდან“ (თარგმანი მ. კაშვილისა), რომელიც გაზეთში 1882 წელსაა დაბეჭდილი თომას მერის ლექსი „უკანასკნელი ვარდი“ დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1894 წ. ამავე გაზეთში 1895 წ. დაბეჭდილია ბაირონის „ჩაილდ-პაროლდის“ ნაწყვეტი (თარგმანი ი. ბაქრაძისა), „ივერიის“ ფურცლებზე საკმაოდ ხშირადა წარმოდგენილი მასალება ინგლისის ისტორიაზე, ინგლისის თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ხოლო 1898 წლის ნომერის ნომერში „ივერია“ ბეჭდავს ლორდ სოლსბერის სიტყვას საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. ნეკროლოგს კ. გლდსტონის გარდაცვალების გამო და ფართოდ აშუქებს მისი ცხოვრების, გარდაცვალებისა და დაკრძალვის ამბავს.

ქართულ პრესაში ინგლისის შესახებ გამოქვეყნებული მასალების გაცნობისას რჩება იმის სასიამოვნო შთაბეჭდილება, რომ ინგლისის საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენები კრიტიკულადა ათვისებული. „დროებასაც“ და „ივერიასაც“ კარგად ესმით ინგლისის კულტურის დიდი როლი მსოფლიო ცივილიზაციაში, ინგლისის სამეურნეო ცხოვრების მაღალი დონე, მისი სამარწველო განვითარების მნიშვნელობა. გაზეთები ესაღმებთან ყველაფერს, რაც პროგრესულია და მისაბძია ინგლისის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგრამ მათ ისიც კარგად აქვთ შეგნებული, რომ კაპიტალისტურ ინგლისში განვითარების მაღალი დონის კეთილისმყოფელი შედეგებით ყველა როდი სარგებლობს, რომ საზოგადოების უდიდესი უმრავლესობა. — ექსპლუატირებული ნაწილი მიმე ჩაგვრას, პოლიტიკურ უფულებობას, სიღატაკეს და შიმშილს განიცდის.

ქართულ პრესას, ამასთან, სწორი პოზიცია უკავია ინგლისის ძირითადი პოლიტიკური მოვლენების შეფასებისას. მისი თვალსაზრისი ინგლის-ირლანდიის ურთიერთობაზე მართებულია და ასახავს იმ დემოკრატიულ იდეალებს, რითაც 70-80-იან წლებში ქართული ინტელიგენცია სულდგმულობდა. პრესაში ვხვდებით ინგლისის რეაქციული მმართველი წრეების დამპყრობლური პოლიტიკის, მილიტარისტულ-იმპერიალისტური განწყობილების მიხილება-დაგმობასაც. — აფორცა თითქმის სრულიად. გინაწილეს, — ინგლისმა დაიჭირა აქ დიდი-აღვლი-და ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე ჰალმის ხელთ იგდოს



ეს ქვეყანაში — წერდა ილია ჭავჭავაძე 1896 წ. მისი მთელი სიმპატიები იყო იმ კოლონიური ხალხების მხარეზე, რომლის ძარცვა-გლეჯას მიმართავდნენ ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოები.

1899 წელს, როგორც ცნობილია, დაიწყო ინგლის-ბურების ომი. ეს იყო დამპყრობლური, უსამართლო ომი ინგლისის მხრივ და მიზნად ისახავდა აფრიკაში ბურების რესპუბლიკის (ტრანსვალისა და ორანჯის) ხელყოფასა და დაპყრობას.

ინგლის-ბურების ომს ფართო გამოხმებულება ჰქონდა. „თავისუფლებისა და პროგრესული აზრის ყველა წარმომადგენელმა მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც, მკაცრად დაგმო ინგლისელი კოლონიზატორები, რომლებიც ყაჩაღდნენ თავს დაესხნენ სუსტ ბურებს“<sup>1</sup>. მსოფლიოს პროგრესულ მოღვაწეებთან ერთად, ბურების მხარეზე დადგა ილია ჭავჭავაძე. „უხილანდელმა ომმა ინგლისისა და ტრანსვალსამ — ოლინგნად ილია იყვირის ფურცლებზე, სცვას აღარ ვიტყვი, ცხადი მაგალითი გვიჩვენა, რომ კაცობრიობა პათიკობს ძლიერისაგან უძღურზე ზედმიყვას თავდასხმას, და ამისთანა უსამართლო მოქმედებას თავის სამართლიანს მსჯავრსა სლებს წყარმისას და რისხვისას“<sup>2</sup> — წერდა ილია თავის სახელგანთქმულ სტატიაში „მეტყობამეტ საუკუნე“.

ინგლის-ბურების ომს ქართული ეურნალ-გაზეთებიდან ყველაზე აქტიურად გაზეთი „კვალი“ ეხმარებოდა. იგი სისტემატურად და თანამიმდევრულად აშუქებდა ომის მსვლელობას, ევროპის სახელმწიფოთა ინტერესებს ამ ომისადმი და სხვ. გაზეთი „კვალი“ ომის შეფასებაში ყოველთვის როდი იდგა მართებულ პოზიციაზე. მის ზოგიერთ მასალაში გამოსწვივის ბურების განმართავისუფლებელი მოძრაობის შეფასებლობა და მიყვარებუნი ინგლისის მიმართ, რომელიც თითქმის ცივილიზაციის კეთილშობილურ საქმეს ემსახურებოდა. ბურების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება ყველაზე მეტად თავს იჩენს ნოე ყორდანის სტატიებში. ნოე ყორდანია, როგორც ცნობილია, არასოდეს ყოფილა თანმიმდევრული მარქსისტი, კაპიტალისტური ევროპის წინაშე ქედმოხრა, ბურგუაზიული ცივილიზაციის დადებითი მხარეების წინ წამოწევა, კაპიტალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ანტაგონიზმის, მისი ყაჩაღურ-დამპყრობლური პოლიტიკის მიჩქმალვა და ბურგუაზიულ ურთიერთობათა იდეალიზაციის დამახასიათებელია ყველა იმ სტატიისათვის, რომელსაც

ნ. ყორდანია დასავლეთ ევროპის და გერმანიის ინგლისის შესახებ აქვეყნებდა. მაგალითად, გერმანიის „კვალი“ 1897 წლის ნოემბერში ნ. ყორდანია „სახელმწიფოების“ ფსევდონიმით ბეჭედავდა სტატიებს ინგლისის შესახებ. აქ იგი ფართოდ განიხილავდა ინგლისის ისტორიას, თანამედროვეობას, მთავრობის საწინაო და საგარეო პოლიტიკას, ქალაქების (განსაკუთრებით ლონდონის) ყოფა-ცხოვრებას, ტრადიციას და სხვ. ყველა ამ სტატიას ბურგუაზიული ობიექტივიზმის დაღი აზის. მათში წინა პლანზე არ არის წამოწეული ის სოციალური კონტრასტები, რომთაც 90-იან წლების ინგლისის საზოგადოებრივი ცხოვრება ხასიათდებოდა და ის რეაქციულ-იმპერიალისტური პოლიტიკა, რომელსაც ანბორციულებდა ინგლისის მმართველი წრე კოლონიური და ნახევრადკოლონიური ხალხების მიმართ ნ. ყორდანია ინგლის-ბურების ომსაც ამ საზომით მიუღწავს. „სიმშაბია ბურებისადმი — წერდა იგი ამ ომისადმი მიძღვნილ საგანგებო სტატიაში, — სრულებით არ მოითხოვს სიტუაციას ინგლისელებისადმი. ბურებს თანამდებრძობით იმით, რომ ის პატარა ერია და თავის სამშობლოს, თავის თავისუფლებას იცავს ინგლისი? ინგლისი სასიყვარულო და სათანადო რძნობია მრავალწიარად. ინგლისი ეს აყვანია ყოველზე იმის, რათაც დღეს თავი მოაქვს განათლებულ კაცობრიობას... დეე ბურებმა“ დიფარონ თავისი პაწია სამშობლო, მტლად დაედევან თავისუფლებას, ამით ისინი აღმართავენ ხელუქმნელ ძეგლს მოწინავე ერთა გულში, ამით ისინი სამუდამოდ — მოიპოვებენ სიყვარულს და თანაგრძნობას. მარა დეე; ამასთანავე ინგლისი დაზარეს დიდებულ ინგლისად, ახალი ცხოვრების მოცქეულად და ახალი დროშის მატარებლად, დეე, ის იყოს ცივილიზაციის მეთაურად და მეზაირახტრედ“<sup>4</sup>.

ცხადია, ბურებთან ომში ინგლისის პოზიციის ამგვარ შეფასებას ქართული საზოგადოებრივი აზრისათვის ზიანის მეტი არაფერი მოჰქონდა. არსებითად ეს ინგლისის იმპერიალისტური წრეების დამპყრობლური პოლიტიკის გამართლება იყო.

გაზეთ „კვალისათვის“ ნოე ყორდანის პოზი-

4 ვაზ. „კვალი“, 1899 წ. № 51.  
 5 ინგლის-ბურების ომს და ქართულ პრესაში მის გამომახილს საგანგებო გამოკვლევა მოუქმენა პროფ. ვ. დონაძემ, რომელშიც მართებულადაა მხილებული ნ. ყორდანის იმპერიალისტური პოზიციის ამ ომის გაშუქებაში (სტატია ინგლის-ბურების ომი და მისი გამომახილი ქართულ პრესაში, თსუ შრომები, XXXVI, 1949 წ.)

1 ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 9, გვ. 175.  
 2 ვ. დონაძე, ქართველი სამოციანელები ახალი ისტორიის პრობლემათა შესახებ, გვ. 143.  
 3 ვაზ. „იფორია“, 1900, № 1.

**მიღება სურვალზე**  
 ქართული საზოგადოებრივი აზრი  
 ინგლისის შესახებ



თ ინგლის-ბურების ომის გამუქებაში წამყვანია. თუმცა ზოგიერთ სტატიაში სამართლიანად წინა პლანზეა წამოწეული ბურებისადმი თანაგრძნობა და გაუბედვად, მაგრამ მაინცა მითითებულ ინგლისელთა დამპყრობლურ პოლიტიკაზე.

ინგლისის საგარეო პოლიტიკის XIX საუკუნის მიწურულში და კერძოდ ინგლის-ბურების ომს ფართოდ აშუქებდა ყურნალი „მოამბე“. სტატიაში „უცხოეთის მიმოხილვა“ „ბრძოლა სამხრეთ აფრიკაში“ გ. ლასბოვილი (ლალი) ერთის მხრივ ბურების მოსარჩლად გამოდის და გმობს ინგლისის მმართველი წრეების ყაჩაღურ პოლიტიკას მცირე ერების მიმართ, მაგრამ მეორეს მხრივ, ნ. ჟორდანიას მსგავსად, მაინც ქედს იხრის ინგლისის წინაშე, რომელიც მას „განათლებულ და მოწინავე“ ერად და კაცობრიობის ცივილიზაციის მედროშედ მიაჩნია ინგლისის დამარცხება ამ ომში დიდი დანაკლისი იქნება კაცობრიობისათვის — გულსტიკვილით შენიშნავს გ. ლასბოვილი.

ამ ომ და საერთოდ ინგლისის საგარეო პოლიტიკის რეაქციულ ხასიათს შედარებით მარობული შეფასება მისცა პუბლიცისტიკმა ილია აღლაძემ, რომელმაც გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა ფელეტონი „უცხოთა შორის“<sup>2</sup>. მას მოაქვს მრავალი ფაქტი ომის საილუსტრაციოდ, რომ ინგლისის მოქმედებას ტრანსვალში ცივილიზაციასთან საერთო არაფერი ჰქონდა და სინამდვილეში ბარბაროსობას წარმოადგენდა. ინგლისელი კოლონიზატორების ძალადობა და უსამართლობანი ბურების ქვეყანაში კარგადა დახასიათებული აგრეთვე მარველის (ე. ჩერქეზიშვილის) სტატიებში, რომელიც „ივერიაში“ 1900 წელს ქვეყნდებოდა. ინგლისური ცივილიზაციის ნამდვილი სახე ბურებთან დამოკიდებულებაში კარგადაა ნაჩვენები გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოაქვეყნებულ სტატიებში. აქ ნაჩვენებია თუ როგორ დასწევს და გაავერანენ ინგლისელებმა მთელი სამხრეთი აფრიკა, რა ბარბაროსულ მეთოდებს მიმართავენ უდანაშაულო ხალხის დამორჩილებაში<sup>3</sup>.

ქართული პრესის ასეთი ცხოველი ინტერესი ინგლის-ბურების ომისადმი არ იყო შემთხვევითი, სამართლიანად შენიშნავს პროფ. ვ. დონაძე „ბურების ბრძოლა დამოუკიდებლობის, საკუთარი მიწა-წყლის და თავისუფლების დასაცავად, რომელიც ასე შეაქვს (მცირე გამოკლებით) ქართულმა ყურნალებმა და გაზეთებმა, მეტად ახლობელი იყო საკუთარი ნაციონალური სახის

შესანიარჩუნებლად მებრძოლი ქართული მრევლის რუსული აზრისათვის. მამაც ბურებში ამბროვარესულ აზრს სურდა ქართველთა სახე ამოეკოხა. ბურების სამართლიანი ბრძოლის დასაცავად ხმის ამოდებით, ხოლო ინგლისელ კოლონიზატორთა მორიგი მტაცებლური აქტის სასტიკად დაგმობით, ქართული პრესა ობიექტურად ხელს უწყობდა საგარეოელს მოსახლეობის ფართო ფენებში ნაციონალურ-განმათავისუფლებელი იდეის გავრცელებას და ამით უდიდოდ პროგრესულ მისიას ასრულებდა<sup>4</sup>. ჩვენის მხრივ იმა-საც დავუმატებთ, რომ ქართული პრესის ასეთი ცხოველი ინტერესი ინგლისის საშინაო და საგარეო ცხოვრებისადმი, თავისთავად ნერგავდა მეტიხვეულ საზოგადოებაში მეტ ინტერესს. ინგლისის მიმართ, აფართოებდა ინფორმაციას მის შესახებ და იძლეოდა მიმართულებას ინგლისის კულტურული შემკვიდრების წინააღმდეგობისათვის. ამგვამად ჩვენ საკითხის ეს მხარე გვაინტერესებს. ამ მიზნით შევეჩეთ შედარებით ვრცლად ინგლისის პოლიტიკური ისტორიის გაშუქებას ქართულ პრესაში.

„კვალს“ და „მოამბეში“ ხშირად იბეჭდებოდა სტატიები, რომლებიც აშუქებდნენ ინგლისის ისტორიასა და თანამედროვე ცხოვრების საინტერესო საკითხებს. საყურადღებოა ამ მხრივ იაკობ გოგებაშვილის წერილი „გლანსტონზე დრეპერის — ინგლისის მეჩვიდმეტე საუკუნეში (თარგმანი მუქაელისა)<sup>5</sup>. „კვალში“ ფართოდაა გაშუქებული ინგლისის დედოფალ ვიქტორიას გარდაცვალება. ქართველი პუბლიცისტი ი. კაკაბაძე კონდონიდან გზავნის და „კვალში“ აქვეყნებს წერილებს სერბიას „სამარტოაშენტი“ არჩევნები ინგლისში<sup>6</sup>. ნ. ჟორდანიას — „ინგლისი ვიქტორიას მეფობაში“<sup>7</sup> და სხვ. ჟურნალ „მოამბეში“ იბეჭდება სტატია თემაზე: „ინგლისის კონსტიტუცია XIX საუკუნეში“.

გაზეთები „კვალი“, „ცნობის ფურცელი“, „ივერია“ ჟურნალი „მოამბე“, „ჩვეილი“, „მწყემსი“ და სხვ. პერიოდული გამოცემები ხშირად აქვეყნებდნენ თავიანთ ფურცლებზე ინგლისური პოეზიის, პროზის, დრამატული თხზულებების ნიმუშებს, ეწეოდნენ ინგლისური კულტურული ცხოვრების პოპულარიზაციას. „კვალში“ გამოქვეყნდა ჯორჯ ბაირონის ლექსები „განწირულმა შემეცვალა“ (თარგმანი ი. ბაქრაძისა)<sup>8</sup>, „ღღეს შესვრულდი 36 წლისა“<sup>9</sup> (თარ-

1 ჟურნ. „მოამბე“, № 1, 1900, გვ. 96.  
 2 გაზ. „ივერია“, 1899, № 223.  
 3 იხ. გაზეთი „ივერია“, 1900 წ. №№ 49, 63, 68.  
 4 იხ. „ცნობის ფურცელი“, 1901 წ. № 1346, 1902 წ., № 1693.

5 ვ. დონაძე, ინგლის-ბურების ომი და მისი გამოძახილი ქართულ პრესაში, თსუ „შრომები“, XXXVII, 1949, გვ. 129.  
 6 გაზ. „კვალი“, 1893, № 15.  
 7 გაზ. „კვალი“, 1893, № 52.  
 8 გაზ. „კვალი“, 1900, № 39, 41, 45.  
 9 გაზ. „კვალი“, 1901, № 3.  
 10 გაზ. „კვალი“, 1893, № 10.  
 11 „მოამბე“, 1894, № 1, გვ. 1.





გმანი ი ბაქრაძისა), შექსპირის ბიოგრაფია პორტრეტით, ბაირონის პორტრეტო, ტომას ჰუდის „სიმღერა მკერდელი ქალისა“ (თარგმანი ი. ევლოშვილისა)<sup>2</sup>, ბიერსონის „სინათლისაკენ“<sup>3</sup> ხარლზ ლივენსის — „რწმა ბედნიერება“ (თარგმანი კ. ნიკოლაძისა)<sup>4</sup>, ედვარდ ჩარლზის „მამა პოლიკარპე მორჩილი“ (მოთხრობა, თარგმანი ა. ნ-ნისა)<sup>5</sup>, ა. კონან-დოილის „როგორ დაიხსნა ბრიგადირმა ჯარი“ (თარგმანი ე. მესხისა)<sup>6</sup>, მისივე „საქეიმო ამბები“ (თარგმანი ი. ზურაბაშვილისა)<sup>7</sup>, ვალტერ სკოტის „აიფენგო“<sup>8</sup>, ოსკარ უაილდის „ბუღბუღი და ვარდი“ (თარგმანი ლ. გა<sup>9</sup>), ჯერომ კ. ჯერომის „ბაღლები“ (თარგმანი ი. ნაკაშიძისა)<sup>10</sup>, რეცენზია ჯ. სეიფტის სატირულ მოთხრობაზე „გულიერის მოგზაურობა“, რომელიც ი. ციკარიშვილის თარგმანით ცალკე წიგნად გამოქვეყნდა (რეცენზიის ავტორი ივ. მაკავარაძე)<sup>11</sup>.

გარდა ჩვენს მიერ ზემოთ მითითებული პერიოდული გამოცემისა, ინგლისის სოციალ-დემოკრატიული და პოლიტიკურ-კულტურული ცხოვრების შესახებ საინტერესო ინფორმაციებს და მასალებს ვხვდებით XX საუკუნის რევოლუციურ-ამდელ ისეთ ძუნღალ-გაზეთებში, როგორცაა „ცნობის ფურცელი“, „სახალხო საქმე“, „ალიონი“, „შადრევანი“, „ისარი“, „ქლდე“, „თანამედროვე აზრი“, „თეატრი“ და სხვ.

ამასთან ერთად, ინგლისური ლიტერატურის ნიმუშები და ლიტერატურა ინგლისზე, მაშინდელ ქართულ გამოცემათა მკერდ შესაძლებლობის ფარგლებში, ცალკე გამოცემათა სახითაც გამოდიოდა.

1890 წელს ქუთაისში გამოიცა კრებული „ცდა“. ეს იყო ქართული მწერლობის მოყვარულთა გამოცემა. კრებულში დაბეჭდილია ევროპული ლიტერატურის რამდენიმე თარგმანი. მათ შორის უ. შექსპირის „მეფე ციბელინა“ (თარგმანი ს. ყიფიანისა).

1896 წელს ქართულ ენაზე გამოიცა ცნობილი სოციოლოგის ჯ. ბოლის „ცოვილიზაციის ისტორია ინგლისში“ (ადვილად გასაგები ენით აღმოდებული გრიგოლ სოდორაშვილის მიერ). პუბლიცისტმა ი. ფანცხავამ 1896 წ. თარგმნა და ქართულად გამოსცა ე. ფრიდის „ღარკინი-

ში“. 1904წ. გამოიცა ნარკვევები ინგლისის ისტორიიდან, სადაც ჩართული იყო ირლანდიური განმთავისუფლებელი მოძრაობის მესვეურის ხარლზ პარნელის ბიოგრაფია.

1897 წ. ნინო ნაკაშიძემ თარგმნა და გამოსცა ხარლზ ლივენსის „სტუჯი და მარლი“. წიგნი გამოვიდა ი. ნაკაშიძის წინასიტყვაობით. ამავე წელს გამოვიდა ბრეტეი ფრენსის „პატარა ლორდის თავგადასავალი“ (თარგმანი ელ. წერეთლისა), 1901 წ. „ჩვეილის“ რედაქციამ გამოსცა ლედი ჯენ ჯემინსონის თარგმანი, 1911 წ. გამოვიდა ოსკარ უაილდის „ორი ზღაპარი“ (თარგმანი ივ. მაკავარაძისა და გ. ნამორაძისა).

ჩვენ ცალკე გვეჩვენა საუბარი, თუ როგორი თავაზიანობით და სიყვარულით ეგებებოდა ქართული საზოგადოებრიობა ინგლისის კულტურის მოღვაწეებს, როცა ისინი საქართველოში სტუმრად ჩამოდიოდნენ. ქართული პრესა სისტემატურად აშუქებდა საქართველოში დამა ურდრობების, მორტილისა და სხვათა მოგზაურობას. ჰქონდა მათთან უწყვეტი შემომგებლობითი კონტაქტები.

თუ შევაჯამებ ყოველივეს, რაც საქართველოს ინგლისთან კულტურული ურთიერთობის შესახებ ზემოთ ითქვა, შეიძლება შემდეგი დასკვნა გავაკეთოთ:

ქართული საზოგადოებრივი აზრი ევროპის, კერძოდ ინგლისის კულტურის მიღწევებით დრდად იყო დაინტერესებული. მას მიაჩნდა, რომ ამ მიღწევების პროპაგანდა მის ეროვნულ-კულტურულ მისწრაფებებს შეესაბამებოდა. საკაცობრიო კულტურის მონაპოვართა გაცნობა ქართულ ხალხს დიდ დახმარებას გაუწევდა იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში, რომელიც ერის გათავითონობიერებისაკენ, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მოფხვრისაკენ იყო მიმართული.

ინგლისის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრებისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაცხოველდა XIX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან, როცა საქართველოში თერგდალულთა სახელმწიფო ათობის (ილია ქავთავაძე, ა. წერეთელი, ნეკო ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, ი. გრეგვაშვილი და სხვ.) მეთაურობით გაჩაღდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, როცა რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის მხარდამხარ განაღდა ბრძოლა ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციისათვის, პატრიოტული შემართებისათვის ცარიზმის სოციალური და კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ.

ქართული საზოგადოებრივი აზრი, ამასთან, არსოდეს გამოსულა ინგლისური ცხოვრებისა

1 გაზ. „კვალი“, 1893, № 36.  
 2 გაზ. „კვალი“, 1901, № 15.  
 3 გაზ. „კვალი“, 1898, № 8.  
 4 „მოამბე“, 1894, № 11.  
 5 იქვე.  
 6 „მოამბე“, 1903, № 6.  
 7 „მოამბე“, 1894, № 3.  
 8 „მოამბე“, 1894, №№ 7, 8, 9, 10, 11, 12, 1895, № 1, 2.  
 9 „მოამბე“, 1904, № 3.  
 10 „კვალი“, 1897, № 52.  
 11 „მოამბე“, 1904, № 4.

მედია სერვულამ  
 ქართული საზოგადოებრივი აზრი  
 ინგლისის შესახებ

და კულტურის ბრმა თავიანთმცემლისა და ბრმა მიმბაძველის როლში. იგი მართალია, მონაწილეობით იყო განმსჭვალული იმ წარმატებათა მიმართ, რაც ინგლისელმა ხალხმა თავისი ცხოვრების მანძილზე მოიპოვა, მართალია, პროზაგანდას უწევდა ინგლისის დემოკრატიული კულტურის საუკეთესო ტრადიციებს და მათი დანერგვისათვის იღწეოდა, მაგრამ ამასთან ერთად დაუნდობლად აშკარავებდა ინგლისის მმართველი წრეების ანექსიონისტურ ტენდენციებს, იმ სოციალურ კონტრასტებს, რაც კაპიტალიზმის განვითარების შედეგად ინგლისის საზოგადოებრივ ცხოვრებას ახასიათებდა. ჰგომბდა ინგლისის რეაქციული წრეების დამპყრობლურ განწყობილებას ირლანდიელი ხალხის, ბურების და საერთოდ კოლონიური ქვეყნების მიმართ, მიაჩნდა, რომ ინგლისის პოლიტიკა ამ მხრივ რეაქციული, ცივილიზაციისათვის შეუფერებელი, ხალხთა ინტერესებთან დაპირისპირებული იყო. ქართული საზოგადოებრივი აზრი შესანიშნავად ერკვეოდა რა იყო კაპიტალისტურ ინგლისში კარგი და მისაბაძი, ცუდი და დასვამობი. ინ-

გლისის ლიტერატურის ისეთი გამოჩენილი წარმომადგენლები როგორც იყვნენ შექსპირი, ბარონი, დიკენსი, სვიფტი, უილტერ სკოტი, თომას ჰუდი, ოსკარ უაილდი და სხვ. მრავალი, ქართული საზოგადოებისათვის ახლო და სათაყვანებელი იყო. შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნეში ინგლისური ლიტერატურის კორიფეს შექსპირის თარგმნის საქმეში მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას არ მიუღწევია ისეთი მაღალი ლიტერატურული ღონისათვის, როგორსაც საქართველომ მიადწია. ამის ნათელი მოწმობაა შექსპირის მანაბლისეული თარგმანები.

ინგლის-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ასეთი გაცხოველება შესაბამებოდა ქართული კულტურის საერთო ინტერესებს. ქართველი მოღვაწენი ინგლისის სოციალ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ ინფორმაციას განგებ არჩევდნენ იმის შესაბამისად, რომ იგი დახმარებოდა ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული წაგერისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.



### სხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა

ალექსანდრე ჭავჭავაძის გამომგზავრება  
პეტიტორი

ალექსანდრე ჭავჭავაძის ლოდინს, სამშობლოში დაბრუნების ნებართვის მისაღებად, როგორც იქნა ბოლო მოეღო.

ამ საქმეში მას დიდი დახმარება აღმოუჩინა ახალგაზრდობის თანამოსაზრემ ფლიგელ-ადი უტანტა ვ. ფ. ადელბერგმა, რომელიც ერთხელ უკვე ვახსენეთ. იონა მეუნარგია წერდა: „სიყმაწვილის მეგობარმა ადელბერგმა დიდი შემწეობა აღმოუჩინა დაბრუნებაში“.

ალექსანდრე ჭავჭავაძის პეტერბურგიდან გამოცალბელთაგან ჩვენ მხოლოდ ერთის ვინაობა ვიცით. ეს — პოეტი გრიგოლ დადიანი — კოლხიდელია. კვლავ იონა მეუნარგიას უნდა მოვეუბნოთ:

„რომ წავიდა პეტერბურგიდან ჭავჭავაძე, დადიანი ვაიცოცხლა ის ქალაქს ვარე.“

— მიამა რომ გამოცილეს; რომ შემგებებოდი მეწყინებოდიო, უთხრა გამოთხოვების დროს ჭავჭავაძემ“.

ალექსანდრე ჭავჭავაძე სამშობლოში დაბრუნდა. დაბრუნდა 1837 წელს. მაგრამ რომელ თვეში, თვის რომელ ნახევარში?

იონა მეუნარგია წერდა: „1837 წელს ალექსანდრე დაბრუნდა გადასახლებიდან... ამ წელს ნიკოლოზ პავლესძემ ნახა ჩვენი პოეტი ერთ პარადზე და მის თავგადასავალზე ელაპარაკა“.

ცნობილია, რომ ნიკოლოზ პირველი თბილისში ჩამოვიდა 1837 წლის 9 ოქტომბერს, ხოლო ქალაქი მეოთხე დღეს დასტოვა. ჭარების „პარადი“, რომელზედაც ლაპარაკობს ი. მეუნარგია, გაიმართა დიდუბეში დასახლებული წლის 10 ოქტომბერს.

ი. მეუნარგიას ცნობის დათარიღება საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომ ა. ჭავჭავაძე 1837 წლის ოქტომბრის დამდეგს თბილისში ყოფილა.

მთაწმინდის უბანში დასახლება.

ამირკავკავასიანის მხარის მთავარი

მმართველობის საბჭოს წევრობა.

საქარანდინო ზონების უფროსობა.

1838 წლის დასაწყისში ალექსანდრე ჭავჭავაძემ მთაწმინდაზე, რომელიც მაშინ „თბილისის პირველი ნაწილის პირველ კვარტალს“ მიეკუთვნებოდა, პეტრიკოვის ქალისაგან იყიდა სახლი.

1838 წლის 4 აპრილს ალექსანდრე ჭავჭავაძე დაინიშნა ამირკავკავასიის მხარის მთავარი მმართველობის საბჭოს წევრად.

იმევე წლის 13 ივნისს პოეტმა საქართველოს საგუბერნიო სააღმშენებლო კომისიას თხოვნით მიმართა რათა თბილისის პირველი ნაწილის პირველ კვარტალში მდებარე მისი სახლის ეზოს გასაფართოებლად მიწის ნაკვეთი მიეცათ.

იმ დღეებშივე ალექსანდრე ჭავჭავაძე ავად გამხდარა. 1838 წლის 16 ივნისს პლატონ იოსელიანი თბილისიდან პეტერბურგში ავადმყოფს მარი ბროსეს სწერდა.

„ალექსანდრე ჭავჭავაძეს მივართვი წერილი თქვენ მიერ მისდა მოწერილი, მე გარწმუნებთ დიდად იამა, და რადგანაც იმ დროს იყო შეუძლებოთ მე წარუთხებე ათ — გზის და სხვათა და სხვათა დროთა შინა კუალად და კუალად მოისურვა მისი წაქითხუა.“

დიდად იამა მოხატულეზაბეცია, რომელნი აღრევეცა მე ვაჩუენე და მაქტესცა წაქითხული და გამოწერილი მეორეს ფორტით თუ საქიროდ დავინახე, ვგონებ მოგართოთცა“.

პოეტი ირრრრრ დღემში მომჭობინებულა. იმევე წლის 23 ივნისს პ. იოსელიანი მარი ბროსეს ატყობინებდა:

„სენატორ დანს მოუვიდა თქვენი წერილი, როგორც მიამბო ალექს. ჭავჭავაძემ, და ეძებს რომ გამოგზავნოს რამე.“

ალექსანდრე ჭავჭავაძემ კუალადცა მოგაკითხათ, და ბევრთა საქმეთა გამო წერილისა პასუხი ვერ მოგწერათ“.

1838 წლის 27 ივნისს ალექსანდრე ჭავჭავაძე

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11.



ქმ თხოვნით მიმართა საქართველოს საგუბერნო საომარმშენებლო კომისიას, ავღაბრის ახალ ხილსა და ჩარვადაროვის ქარავსლას შორის მდებარე მიწის მისთვის მიცემის შესახებ, დარაბებისა და საცხოვრებელი ბინების ასაშენებლად.

1838 წლის აგვისტოს დამდეგს, როცა ახალციხეში შავი ჭირი გაჩნდა, ალექსანდრე ქავჭავაძე დაინიშნა საკარანტინო ზონების უფროსად, იმის მიზნითაა წერდა.

როცა სამხრეთ — კავკასიაში ჭირი გაჩნდა, მთავრობამ ის გაგზავნა მათდა მოსაველედა. აქ ის თითონ მიდიოდა ავადმყოფების სანახავად. ბევრს ეგონა ალექსანდრე დაღუბებოდა ამ დროს, მაგრამ საქართველოსაგან საყვარელი პოეტი ჭირმა არ წაიღო“.

ალექსანდრე ქავჭავაძის დეაწლი, ესნა თავისი სამშობლო მომსერელი ეპიდემიისაგან. მთავარმართველმა გოლოვინმა ასე დაახსიათათ:

«Сделанная кн. Чавчавадзе по Кордонам распоряжения весьма хороши и ручаются за точность исполнения каждым своим обязанностям к преемственности заразе распространится за линию».

1838 წლის 1 სექტემბრის ცნობის მიხედვით ჩანს, რომ შავი ჭირის ეპიდემია შეჩერებულია, მაგრამ აღმოუხერხი არ არის.

1838 წლის 19 ოქტომბრისათვის ახალციხეში შავი ჭირით დაავადებულთა, გარდაცვლილთა და გამოჯანსაღებულთა უწყისი შემდეგ სურათს იძლევა:

ავადიახდარა: მამაკაცი — 226, ქალი — 67, სულ—293; გარდაცვლილა: მამაკაცი — 159, ქალი — 49, სულ—208; გამოჯანსაღებულთა: მამაკაცი —61, ქალი — 17, სულ — 78. ავღადა 19 ოქტომბრისათვის: მამაკაცი — 6, ქალი —1, სულ—7.

მაგრამ წლის ბოლომდე, როგორც „სიხისუეტორო შემოვლის უფრანდიდან“ ჩანს. დაავადებულთა რიცხვი 349-მდე და გარდაცვლილთა რიცხვი 215-მდე გაზრდილა. ეპიდემია კვლავ ავთვისებიანია: სიკვდილიანობა 68%-ს აღწევს“.

დასახელებული წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში პოეტი კვლავ ავად გამხდარა. 1838 წლის ათ ნოემბერს პ. იოსელიანი თბილისიდან პეტერბურგში მარი ბროსეს სწერდა:

„წერილი თქუენი მივიღე და მათან თქუენად ქმნილი. დიდს სიამოვნებით წარვიკითხე და მაღალბედლიცა ვარ მისთვის.“

არ იქნებოდა ცუდი ვროთი ეჭვ. თქუენად ქმნილისა წიგნისა ღენ. ქავჭავაძისათვის გამოგვგზავნათ. დიდად იამა მისი ხილვა, და რადგანაც თელი უძლურად იყო, მე უკითხავდი ორსა დღესა და სიამოვნებდა ყოველსავე. მიბრძანა მოვიხილა მოვახსენოთ მის მიერ“.

ჩამდენხანს იავადმყოფთა ჭრებმა არ ვიცით.

ალექსანდრე ქავჭავაძემ 1840 წლის 13 იანვარს სთხოვა სახაზინო პალატას ნაფარეულში მდებარე მისი ბოლის გირავნობით სამი წლის ვადით სესხად მიეცათ 3750 მანეთი ვერცხლით. იმავე წლის 6 მარტს პოეტმა კვლავ სამი წლის ვადით 6000 მანეთი ვერცხლით ითხოვა ხაზინიდან.

1840 წლის 20 სექტემბერს მთავარმართველმა გოლოვინმა წერილობით მიმართა ალექსანდრე ქავჭავაძეს თბილისის გენერალ-გუბერნატორ ბრაიკოს სამი თვით შეეხებულბაში წასვლის გამო დროებით შეესრულებინა ეს თანამდებობა.

დასახელებული წლის 23 სექტემბერს მთავარმართველ გოლოვინს ალექსანდრე ქავჭავაძე მოახსენებდა, რომ 1840 წლის 21 სექტემბრიდან იგი შეუდგა თბილისის სამხედრო გუბერნატორის მოვალეობის შესრულებას.

**ნახარაულის ბაჟი ნაპოვნი პარაი**

1840 წლის სექტემბრის თე ოქტომბრის დამდეგს, ალექსანდრე ქავჭავაძის ყმებს, სოფელ ნაფარეულის ტყეში ეპოვნათ რაღაც კერპი, რომელიც მისთვის მიუტანიათ.

ალექსანდრე ქავჭავაძეს ეს კერპი მაინც ისტორიკოს პალატონ იოსელიანისათვის წაუღია. 1840 წლის 10 ოქტომბერს პ. იოსელიანი თბილისიდან პეტერბურგში აკადემიკოს მარი ბროსეს სწერდა:

„ალექსანდრე ქავჭავაძისა ყმებთა ეპოვნათ ძეგელი ცეცხლის თაყუანის — მცემელთა კერპი ნაფარეულის სოფლის ტყეებში და მოიტანა ჩემთან. მაგრამ არ დამამბდა მისმან სიძველეთი დაღიანმან რომ გამომეგზავნა თქუენთვის, თვითონ წაიღო სამეგრელოს.“

რა არის იეთხოვათ. მე მოვუძებნე სახე მისი წიგნსა შინა, რომელსაცა ეწოდებოდა Образование древних народов сч. Бадена (წიგნი ფრანციცელიდამ თარგმნილი და დაბეჭდილი ს. პ. ბ. 1796 სა წელსა) და ვპოვე რომ არი ღრიფონი მსგავსი იმა მონატულობისა, რომელიცა იპოვების ხენებელსა წიგნსა შინა III ტომისა 185-სა გუბრისა, გარნა კული არა აქეს აბუკეთი, როგორც მხატვრობაში სჩანს და არცა უპყრეს ფერხობთა თავისი ნამსუბერპლო.

თვით კერპი არის გუბაით ლომი და პირითა არწივი. ფრთეთა შორის აქეს გაგდებული ცილინდრი, უჩვეულად დასაკიდებელი. ამისათვის, რომ ამა ცილინდრსა უპყრეს სწორედ ბაღანსი.

თავის კეთასა ზედა პქონიეს სახტრავი, დროთა გამო მიწაში დაკარგული. თვით კერპი იქმნება სიგრძით ნახევარ ადლი რუსული, მუცელ

თან საგრძნე დამატებით ექტის ვერსიო რუ-  
სული; თვით არის ჩამოსხმული ბრონზი, შინათ  
ცარიელი და გარე კარგის ზელოვნებისა, დრო-  
თა გამო ფერხთა მწერტრევალი დამტრტრევი-  
ყოვლადი კერბი არის წონით რუა გირეანქა  
რუსული".

სადაა ეს კერბი ამჟამად არ ვიცით.

**შავი ჰირის ეპიფანიის შემოგრაუნდა**

1838 წლის 22 დეკემბრიდან შავი ჰირის მოს-  
პობასთან დაკავშირებით ალუა მოიხსნა.

1839 წლის გაზაფხულზე შავი ჰირის ეპიფ-  
ანია შემობრუნდა. „7 მაისიდან 2 ოქტომბრამ-  
დე ახალციხეში და მის ახლო-მახლო სოფლებ-  
ში შავი ჰირით ავად გამხდარა 128 კაცი, აქე-  
დან გარდაიცვალა — 73, გამოჯანსაღდა — 52,  
სიკვდილიანობა 57% -ს აღწევს“.

1840 წლის სექტემბრის დამდეგს შავი ჰირის  
ეპიდემია ალექსანდროპოლშიც ვაგრტელდა.

დასახელებული წლის 10 სექტემბერს ალექ-  
სანდრე ჰევეაქემ საქართველო-იმერეთის სამო-  
ქალაქო გუბერნატორს კახანოვს გაუგზავნა მი-  
მართუა ალექსანდროპოლში გაჩენილ შავი ჰი-  
რის საწინააღმდეგო ღონისძიებათა მიღების  
თაობაზე.

1840 წლის მიწერულსათვის შავი ჰირის ეპი-  
დემია ამიერკავკასიის ტერიტორიაზე საგრძნობ-  
ლად შესუსტდა. ხსენებული წლის 4 დეკემბერს  
პ. იოსელიანი თბილისიდან პეტერბურგში მარ-  
ბროსეს ატყობინებდა

„აქაური ჰირის ამბავი ღმერთისა შეწყვენითა  
დასუსტდა, და თუცა კარანტინები არიან თფი-  
ლისთან, მაგრამ შიში დიდი განქარდა აქა  
თფილისს“.

ალექსანდრე ჰევეაქემს როგორც ამიერკავკა-  
სიის მხარის შავი ჰირის ვაგრტელებისაგან დამე-  
ცელი საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარეს მე-  
ტად რთული პასუხსაგები მოვალეობის შესრუ-  
ლება უხდებოდა. მისი ამავი სათანადოდ იქმნა  
დაფასებული. იგი ვლადიმერის II ხარისხის ორ-  
დენით დააჯილდოვეს.

**ალექსანდრე ჰევეაქემი ზუზუნიძეში  
1841 წელს**

პოეტ აკადემიკოსმა იოსებ გრიშაშვილმა გა-  
მოარკვია, რომ ალექსანდრე ჰევეაქემი ზუგ-  
დიდს ორგზის ყოფილა: 1841-სა და 1846 წელს.  
იმ თავში ალექსანდრე ჰევეაქემის ზუგდიდში  
ბრძველ ჩასვლაზე მოვითხრობთ:

1841 წელს ალექსანდრე ჰევეაქემი სამეგრე-  
ლოში ეწვია ქალიშვილს — ეკატერინეს და სი-  
ძეს — დავით დადიანს, რათა გორდაში სასაბ-  
ლის კუროთხვის დასწრებოდა. იონა მეუნარგია  
გაღმომგვცემს:

„ეს ხასიახლე ალექსანდრე ჰევეაქემის ჩჩვეით  
ყოფი ამენებულს ამტრტეტრტოს ვასილიძევის

პლანით. ზეგლად აქ უბრალო ოდა იღვა  
მთავრები ამოლოდუნენ სანადროოდ. იმ აღგო-  
ლის, სადაც ეხლა სასახლეა ამენებული, ალექ-  
სანდრე ჰევეაქემის თანდასწრებით გადახდილ  
ქნა პარკალისი და საფუძველი დაედვა სასაბ-  
ლის 1841 წელს“.

სასახლის კუროთხვის შემდეგ ალექსანდრე  
ჰევეაქემი თანხმდებლებთან ერთად ზუგდიდს  
წასვლა, სადაც ორ კვირას დარჩენილა.

„ეს დღეები გალქვეულა დაესრულებულ ზე-  
იმაღ ალექსანდრეს საბავრესაყოფოდ. ამბობენ,  
როგორც მეფე ისე მიიღესო“.

სამეგრელოში დღემდე შემორჩენილია გად-  
მოცემა: „ეს მოხდა იმ დროს, როცა ჰევეაქემი  
დადიანს ესტუმრათ“.

**ალექსანდრე ჰევეაქემის ახალი სხსლები  
შენახულობა.**

მთაწმინდაზე პეტრიკოვას ქალისაგან შექენ-  
ლი სხსლის გვერდით და მის შიდაძოვში ალექ-  
სანდრე ჰევეაქემი შეუხერხებულ მშენებლობას,  
ქუჩის მოწყობას და წყლის გამოყვანას აწარმო-  
ებდა.

1841 წლის ნოემბრის დამდეგს მოავარამარ-  
თებულ გოლოვინის მიწერილობის თანხმად  
ალ. ჰევეაქემს ამენებულ-დარაბების მოსაწყუ-  
ბად ისევ მეტა სუსხად 3500 მანეთი ვერცხლით.

სულ მეტივე ხანში დღევანდელი რუსთაველის  
პროსპექტის პირად აღიმართა ალექსანდრე ჰე-  
ვეაქემის შესანიშნავი შენაგბა.

„პირველ სართულში იყო 8 ქვიტკირის დე-  
ქანი, მათ ქვევით — სარდაფი ხონიწყებზე; აქ  
აღ. ჰევეაქემი ინახავდა თავისი მამულის დევი-  
ნოს, აქვე იყო მთლიანად საამისო საკურო მოწყ-  
ობილობაც.“

ზემო სართული ამ სახლში დანიშნული იყო  
გასაქირებლად. აქ მოთავსებული იყო 18  
ოთახი ერთ ორგზე ტაღანით მათ ვასწერაც. სად-  
გომს ასე მართავდნენ მარტოოდენ სასტუმრო-  
სათვის, უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ეს და-  
ნიშნულებაც ჰქონდა მას. აქვე მომთრებით მო-  
თავსებული იყო ცალკე სამზარეულო და სარა-  
ია. თვითონ ა. ჰევეაქემი ცხოვრობდა კომენ-  
დანტის ქუჩაზე (ახლა გრიბოედოვის ქუჩა). სა-  
დაც ჰქონდა დიდი ორსართულიანი ბინა: ქვემო  
სართულში — 6 ოთახი ნაშროლებით (სა-  
ბუფეტო, წინა ოთახი, საჯალალობა და სხვ.),  
ხოლო ზემო სართულში დარბაზი და ოთახი. ამ  
ბინას მშენებელი მისევალი (მთავარი კარი)  
ჰქონდა ქუჩიდან.

ამ ორ სახლს შუა ა. ჰევეაქემის შესამე სახ-  
ლიც ჰქონდა, აქვე — ბაღი ორანჯერით; აუზიც  
იყო. რომლისათვისაც მან წყალი მთაწმინდიდან  
გამოიყვანა.

**იმაკოზ ბაღბანაშვილი  
ცხომრებთ ალექსანდრე ჰევეაქემისა**



იმნიარად, ა. ჭავჭავაძის შენობებს მიეღო  
კვარტალი ეკირა.

ჭეჩა, რომელიც ახლა ჭავჭავაძის სახელს ატა-  
რებს, 1842 წელს გაიხსნა და იმთავითვე ალ.  
ჭავჭავაძის სიცოცხლეშივე. ამ ქუჩას ოფიცია-  
ლურად მისი სახელი ეწოდა.

ალექსანდრე ჭავჭავაძის დროს, როგორც  
ზ. კივინიძე წერდა „შალიერის ხმარება არ  
ეყოლენ, კედლებს ფერადი საღებავებით ხატე-  
დნენ“.

ჩვენი პოეტის სახლი „პირველი სახლი იყო  
საქართველოში, რომლის ოთახებსაც ამშვენებ-  
და საუცხოო შპალიერი, რომელზედაც გამოხა-  
ტული ყოფილა სხვადასხვა მითოლოგიური სცე-  
ნები. ამბობენ, თითქოს ეს შპალიერი იმპერატ-  
რიცა ეკატერინეს ეჩუქებინოს პოეტის მამისათ-  
ვის: როგორც საქართველოს სამეფო ღესპანის-  
თვის რუსეთის კარზე“.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ხსენებულმა შენო-  
ბებმა, მართალია საკმაოდ გადაკეთებულებმა  
ჩვენამდე მოაღწიეს.

**განჯანღ ლეიტენანტის ჩინის მიწინააღმდეგ.  
თბილისის საოკუპაციო მმართველობის  
ბიუროს, საპროკურორის რევიზორის ჩაბარების მიწ-  
ინააღმდეგ. ანთროპოლოგიის მხარის სამოქალაქო  
მმართველობის უფროსის მოვალეობის  
შესრულება. ალაღატა უფლებების  
განმარტვობა კომიტეტში  
თანამშრომლობა.**

1841 წლის ივლისში ალ. ჭავჭავაძეს გენერალ  
ლეიტენანტის ჩინი ებოძა და იმავე წლის  
დეკემბერში თბილისის საზოგადოებრივი მმარ-  
ტვლობის გამგებლობაში მყოფ ყოველგვარი  
საქმიანობის რევიზიის ჩატარება დაეკისრა.

1842 წლის დეკემბრიდან 1843 წლის მარტამ-  
დე ალ. ჭავჭავაძე „ამიერკავკასიის მხარის სა-  
მოქალაქო მმართველობის უფროსის მოვალეო-  
ბას ასრულებდა, განაგებდა რა ამავე დროს  
უმაღლესი ბრძანებით მისთვის მიწოდებულ მე-12  
საფოსტო ოლქს“.

XIX საუკუნის 40-იან წლებში „მწვავედ  
იღვა საკითხი საქართველოში შემავალი მუსლი-  
მანური პროვინციების ალაღატების უფლებათა  
განსაზღვრისა და მათი საარსებო საშუალების  
გამონახვის შესახებ“.

1818 წლამდე საქართველოს პროვინციებში  
ალაღატები კვლავ ყველა იმ უფლებებით სარ-  
გებლობდნენ, რომელიც მეფე ერეკლე II დროს  
ჰქონდათ მინიჭებული.

1818 წელს მთავარმართველ ა. პ. ერმოლო-  
ვის მიერ ალაღატების უფლებებში რადიკალური  
ცვლილებები იქნა შეტანილი.

ერმოლოვის მიერ შემოღებული დებულების  
მიხედვით, ალაღატები ინიშნებოდნენ ერთი ან  
რამდენიმე სოფლის მმართველობის სათავეში და

მართავდნენ მათთვის მიწოდებულ სოფლებს პო-  
ლიციის მოხელათა უფლებების საფუძველზე.

„სოფლის მცხოვრებნი ვალდებულნი იყვნენ  
მიეცათ ალაღატისათვის ნატურალური შემო-  
სავლის გარკვეული ნაწილი და გადაეხადათ მის-  
თვის სახელმწიფო ხარკის ერთი მეათედი. ალა-  
ღატების ნათესავენი მოკლებულნი იყვნენ ყო-  
ველგვარ გავლენას სოფლის მართვა გამგებლო-  
ბის საქმეში. მაგრამ სამაგიეროდ, თავისუფლ-  
დებოდნენ სახელმწიფო ხარკის გადახდისა და  
ბეგარისაგან და სარგებლობდნენ სოფლის  
მცხოვრებნი დახმარებით საოჯახო და სამეურ-  
ნეო საქმეებში.“

ალაღატის გარდაცვალების შემთხვევაში მის  
ადგილს მისი ის ნათესავი იკავებდა, რომელიც  
მეტი წლით სარგებლობდა მთავრობის თვალ-  
ში“.

ერმოლოვის მიერ შემოღებული დებულება  
1841 წლამდე მოქმედებდა.

1841 წელს ამიერკავკასიის მხარის მთავარ-  
მმართველობის საბჭომ მოქმედებაში მყოფი დე-  
ბულება გააუქმა.

„ალაღატები მთლიანად იქნენ ჩამოცილებულნი  
სოფლების მართვა-გამგებლობისაგან. ალაღატე-  
ბსა და მათ ნათესავებს ენიშნებოდათ დახალხო-  
ბით იმ თანხის თანაბარი სახელმწიფო დახმარე-  
ბება, რასაც ისინი ღებულობდნენ მათ გამგებ-  
ლობაში არსებული სოფლებისაგან, მხოლოდ იმ  
პირობით, რომ ალაღატის გარდაცვალების შემ-  
თხვევაში სახელმწიფო დახმარება სწყუდებოდა  
და მის მემკვიდრეზე არ გადადიოდა.“

ეს ღონისძიება ალაღატთა წოდებისათვის, რა-  
საკვირველია, ხელსაყრელი არ იყო და მათში  
დიდ უკმაყოფილებას იწვევდა“.

ალაღატების საჩივრებით აივსო როგორც აღ-  
გილობრივი, ისე უმაღლესი მთავრობის ორგა-  
ნოები. ამიერკავკასიის მთავარმმართველობის  
საბჭომ უმაღლესი ბრძანება მიიღო დაუყოვნებ-  
ლივ შესდგომოდა ალაღატთა უფლებებისა და  
მათი საარსებო საშუალებების მოკვარების საქ-  
მეს“.

ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად 1842  
წლის 28 მაისს შეიქმნა ალაღატთა უფლებების  
განმსაზღვრელი კომიტეტი, რომელშიაც ალექ-  
სანდრე ჭავჭავაძე მხურვალე მონაწილეობას  
იღებდა.

საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არ-  
ქივში დაცული საბუთებიდან ჩანს, რა დიდი მე-  
შაობა ჩაუტარებია ალ. ჭავჭავაძეს, ძირფესვი-  
ანად შეუსწავლია ალაღატთა მდგომარეობა და  
თავისი მოსაზრებანი წერილობით ჩამოუყალი-  
ბებია.

„აღნიშნულმა კომიტეტმა ალექსანდრეს ხელ-  
მძღვანელობით შეადგინა და ამიერკავკასიის,  
მთავარმმართველობის საბჭოს წარუდგინა გან-  
სახილველად დებულებათა ოთხი პროექტი: ა)

აღლარების პირად უფლებათა შესახებ და ბ) აღლართა საარსებო საშუალებათა შესახებ\*.

აღლართა დებულებების პროექტებთან ერთად კომიტეტს წარედგინა განმარტებითი ბარათები და აღ. ჰავეკავაძის რამდენიმე პატაჟი. ისტორიკოსი ს. მაღლაკელიძე შენიშნავს:

„ამ საბუთში აღ. ჰავეკავაძეს რიგი პროგრესული ხასიათის მოსაზრება აქვს განხილავებულად. მან პირველმა წამოაყენა აღლარებისათვის დასახელებული მამულების შექმნის უფლების შეზღუდვის აუცილებლობა. აღ. ჰავეკავაძემ საპრობო სენო სავალდებულო გამხდარიყო აღლარებისათვის შრომა, სახელმწიფო და სამხედრო სამსახურში მათი ყოფნა და ამით შექვეყნიყო საზოგადოებისათვის უსარგებლო წევრობა რიცხვი.“

აღ. ჰავეკავაძის აზრით, ბეგარავალდებულთა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო გადაყვანილი ის აღლარი, რომელიც სამხედრო ან სახელმწიფო სამსახურში შესვლაზე უარს განაცხადებდა — ყოველივე ამასთან ერთად ალექსანდრე ჰავეკავაძე ხაზს უსვამდა აღლართა შორის განათლების გავრცელების აუცილებლობას და საერთოდ ამიერკავკასიის მოსახლეობის სწავლა-აღზრდის საქმის გასაადვილებლად ალექსანდრემ პირველმა გამოისთქვა აზრი თბილისში კადეტთა კორპუსის დაარსების აუცილებლობის შესახებ.

აღლართა საკითხის მოსაგვარებლად გაწეული გარჯისა და ამიერკავკასიის მხარის მმართველობის საბჭოში უანგარო შრომისათვის ალექსანდრე ჰავეკავაძე ორჯონი დააჩივრდოვს.

**სამზადისი „სინნა“-ს წარმოსაღვენად**

პიერ კორნელი (1606-1684) „სინნა“ დაწერა 1639 წელს. ალექსანდრე ჰავეკავაძემ ფრანგულადან 1844-ში თარგმნა.

აღ. ჰავეკავაძეს „სინნა“ რუსთაველის თქმებტ მარცკლოვანი შიარით უთარგმნია (მაღალი და დაბალი).

ხსენებული პიესის ქართულად თარგმნისთანავე შემდგარი სცენისმოყვარულთა წრე, რომელშიც აღლარჩინებულთა ქალ-ვაჟნი ყოფილან მსახიობებად.

„ხელმძღვანელობდა თვით ალექსანდრე ჰავეკავაძე და რეპეტიციებიც კი გაუმართავთ აღ. ჰავეკავაძის ცნობილ ღარბაზში.“

„სინნა“-ს როლები ასე ყოფილა განაწილებული: „აგვისტო — ალექსანდრე ჰავეკავაძე, სინნა — გრიგოლ დადიანი, მაქსიმე — დიმიტრი ყოფიანი, ერთ-ერთი როლი უნდა ეთამაშნა პოეტს ნ. ბარათაშვილსაც.“

შემდგომე გრიგოლ დადიანი, თვით მოხუცობის ქაშსაც კი, თურმე ზეპირად ამბობდა სინნას ცნობილ მონოლოგებს არტისტული გაღმოცემით\*.

რისთვის არ შედგა პიესის წარმოდგენა პირველით.

**კახეთში მილიციის შედგენის ხელმძღვანელობა. გადმოსახლება სიპტანბი გლეხების თავისი მამულზე დასახლება. მამულების სანიჯარო წესით აღმუშავება.**

1943 წლის 16 სექტემბერს მთავარმმართველმა ნეიდგარტმა ალექსანდრე ჰავეკავაძეს კახეთის სასლდგომის დასაცავად თელავისა და სიღნაღის მაზრების მეცხოვრებოთაგან 1000 კაციისაგან შემდგარი მილიციის შედგენა დაავალა.

ალექსანდრე ჰავეკავაძემ პირნათლად შეასრულა ეს დავალბა.

1844-1845 წლებში რუსეთის შიდა გუბერნიებიდან სექტანტი გლეხების გადმოსახლებისა და ამიერკავკასიაში მემამულეთა მიწებზე მათი დასახლების საკითხი დაისვა. ალექსანდრე ჰავეკავაძემ, როგორც განათლებულმა და პროგრესულად მოაზროვნემ მემამულემ პირველმა გამოისთქვა სურვილი ამ გუნებთა თავის მამულზე დასახლების შესახებ\*.

ალექსანდრე ჰავეკავაძე ამიერკავკასიაში პირველი იყო, რომელმაც თავისი მამული სიჯარო დაშეშეებისათვის გადასცა.

**ალექსანდრე ჰავეკავაძე ზუგდიდში 1846 წელს**

1846 წელს ალექსანდრე ჰავეკავაძე სამეგრელოში სალდგომოდ ქალიშვილი — ეკატერინეს და სიძეს — დავით დადიანს სწევია.

„კავკასკი კალენდრის“ 1846 წლის ცნობით აღდგომა 7 აპრილს ყოფილა. ალექსანდრე ჰავეკავაძის ყოფნა სამეგრელოში 1846 წლის აპრილის პირველი რიცხვებიდან უნდა ვივარაუდოთ.

თე როგორ შეხედენს სახლოვან პოეტს სამეგრელოში მეორედ ჩასვლისას, მოგვსმინოთ გრიგოლ დადიან-კოლიდიელს: „ალექსანდრე რომ მოვიდა ზუგდიდს ნადირობა გაუმართავთ. მწევრებიც მასვე მისცეს და შვლებიც მიტრეკის, რამდენიმე დაიჭირა... კარგი ცხენოსანი... კაცი იყო. პეპუაც (მეუნარგია — იონა მეუნარგის პაპა, ოქრომჭედელი სამეგრელოს მთავრის კარზე — ი. ბ.) თან გვახლდა.“

ალექსანდრე ჰავეკავაძე დასწრებია აღდგომის დღესასწაულებში „ლამაზ ქალ-ყრმათა“ მეგრულ ფერხულს და 1846 წლის 15 აპრალს ზუგდიდში დაუწერია ლექსი — „მეგრულ ფერხულზე“.

ეს ლექსი ჩაწერილია პოეტის ხელით თავისი ქალის ეკატერინე ჰავეკავაძე-დადიანის ალბომში, რომელიც ამჟამად სიჯაროთველოს საჯარო ბიბლიოთეკაშია ინახული.

**ინაოზ ბალახაშვილი ცნობრება ალექსანდრე ჰავეკავაძის**



რო ბიბლიოთეკის იშვიათ წიგნთა განყოფილებაშია დაცული. ლექსი ა. ჭავჭავაძის ხელით მიწერილი აქვს: „15 აპრილი, 1846 ზუგდიდის“.

მეფლისზე ლექსებითა და ზემებთ გაააქრებულან. აგივე ვრიგოლ დადიანი — კოხლიდელი გვიამბობს:

„ალექსანდრე ჭავჭავაძის ზუგდიდში ყოფნის დროს ზემებში დახელოვნებულ კარის მოვდელ იოსელიანს შეუკვეთეს, ამა ერთი, ეკატერინეზე სთქვი ზნაო. იოსელიანმა ვერ ითხოვა, რომ რუსული სიტყვის გამორევის ნება მისცემოდა და შემდეგ სთქვა:

— გამოიგნე კატერი ნა ვს ჰქვიან, მგონი რუსულად — ცამ დამირეკა ტირი ნა რნარად, — განა ქართულად არ ითქმოლარ, — უბასუხა სიტყვა-მისწრებით ალექსანდრე ჭავჭავაძემ“.

ეს იყო უკანასკნელი ჩასვლა ალექსანდრე ჭავჭავაძისა ზუგდიდში.

**ალექსანდრე ჭავჭავაძის უკანასკნელი ლექსი**

ეკატერინე ალექსანდრეს ასულმა ჭავჭავაძე — დადიანისამ მიამის ლექსები „სულ ზეპირად იცოდა“ და ზოგიერთს მღეროდა კიდევ.

ონა მეუნარგია ეკატერინესაგან ალექსანდრე ჭავჭავაძის ბიოგრაფიის არაერთი ცნობა ჩაიწერა.

ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის ცნობები აგრეთვე „მიწერილია ზედ, აღ. ჭავჭავაძის ლექსთა კრებულის სხვადასხვა გვერდებზე ლექსების მიხედვით“.

ეკატერინეს რწმუნებით ალექსანდრე ჭავჭავაძეს ლექსი „გოგჩა“ 1846 წელს დაუწერია და იგი პოეტის უკანასკნელი თხზულება ყოფილა: „გოგჩა ტბა ვრცელი“... (გვ. 105): «Последнее сочинение... написано 1845 г.».

მართალია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ კრებულში — S № 1196 „გოგჩა“-ს დაწერის თარიღად მითითებულია 1841 წელი, მაგრამ ჩვენ უპირატესობას მგონის ქალიშვილის ცნობას ვანიჭებთ, არმწიფე გადაჭრით აცხადებს, რომ ხსენებული ლექსი ალექსანდრე ჭავჭავაძის უკანასკნელი ლექსითა და დაწერილია 1846 წელს.

**აღსასრული**

1846 წლის სამ ნოემბერს, საქართველოში ექვსი თვის არ ყოფნის შემდეგ, მეფისნაცვალ მ. ს. გორონცოვი ცოლითურთ თბილისში დაბრუნდა.

ორი ღღის შემდეგ ალექსანდრე ჭავჭავაძე გაემართა ვორონცოვთან სადარბაზოდ. იონა მეუნარგია მოგვითხრობს:

„ალექსანდრე ჭავჭავაძე იმ დღესას საათის

ათზე, გაეშალა ვორონცოვთან წისასვლელზე რაღაც დღეობა იყო და მისალოცავად წასვლა ურჩია მისმა მეუღლემ.

მშვენიერი ყარაბაღული ცხენი შეაბა მის „ადინჩას“ ქუჩერმა და ალექსანდრე დავით პარადის ფორმით მორთული ჭავჭავაძის ქუჩით.

როცა ის დაუახლოვდა გოლოვნის პოსტს, უეცრივ ერთმა დედაკაცმა სახლიდამ საწინაინ წყალი გამოიტანა და ქუჩაზე გადმოვარა, სწორედ იმ დროს, როდესაც იმას გაუსწორდა ალექსანდრეს ვეღო.

ცხენი დაფრთხა და წაართვა თავი ქუჩერს. შემინებულმა ქუჩერმა მოსახა ალექსანდრეს: „ინახო, მე ამის დაქერა არ შემიძლია, თავს უშველო“.

ალექსანდრემ იფიქრა ქუჩერის მიშველება, წამოიწია და რომ უნდა სწვდომოდა აღვირს, მისი გრძელი შინელის მარჯვენა კალთა მოჰყვა ბორბალს და ზედ დაეხვია, ფეხზე წამოდგარა ალექსანდრე ძირს გადმოავლო“.

თავგაჩეხილი პოეტი სახლში შეიყვანეს.

ა. ფადეევი გადმოგვცემს:

„გრძნობა დაკარგული ალექსანდრე ჭავჭავაძე, — დასვენეს სადარბაზო ოთახის დიდ მაგიდაზე, სადაც ვამუღმებელი მხიარულება და დროსტარება პირველად შესცვალა მწუხარებამ და ცრემლებმა“.

მეფისნაცვალ მ. ს. გორონცოვს მეუღლესთან — პუშკინის რამდენიმე სატრფილო ლექსის აღრესტ ელისაბედ ქსაველის ასულთან ერთად მოუხანებლებია მომავლადი ალექსანდრე ჭავჭავაძე.

ონა მეუნარგია გადმოგვცემს: „სიკვდილის წინ ვორონცოვმა თავისი მეუღლით ინახულა ავადმყოფი“.

ცხომეტი საათის ვანძვლობაში იტანებოდა ალექსანდრე ჭავჭავაძე. 6 ნოემბერს დღის 9 საათზე მან წარმოსთქვა მხოლოდ ერთი სიტყვა «Ничего» და მიიკვალა.

„ცრემლებს ღვრიან, — წერდა დ ყიფიანი, — და ქვიითინებენ მის სახლში, მაგრამ არა მარტო აქ, არამედ ტფილისის მრავალ სახლებშიაც სტირიან და გლოვობენ პოეტს. იტირებენ და იგლოვებენ მას მცნობნი და თაყვანისმცემლები ტფილისის ვარსკვლავი. მაგრამ აქ მყოფებზე უფრო იტირებს და იწუხებს მასზე რუსეთში მყოფი ორი არსება: უფროსი ქალიშვილი ნინო და ერთადერთი ვაჟი დავითი. ისინი აწ ვერასოდეს ვეღარ ნახვენ თავის ძვირფას მამას“.

პლატონ იოსელიანი „ზაყავაზსკი ვესტნიკი“-ს ნეკროლოგში წერდა:

„წარსულსა კვირას 6 ნოემბერს მეცხრე საათის აღსრულდა ტფილისისა შინა თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე...“

წინაღღესა სიკვდილისა თვისისა იგი იყო სრულიად მთლად და გამობრძანდა ნამესტნიკის სანახავად; ცხენებს თავი წყერითმეყინათ, მას



ნდრომოდ გადმოხტომა დროშეიდან. გადმოვარდა. „ქეასა“ ზედა თავი დაჰკრა. ყოველი მეკადნიეობა და შემწეობა სამკურნალოანი აღმოჩნდნენ ფუჰად. ცხრამეტი საათი თვით აღსრულებამდე თვისისა კნიაზი იყო უკონო.

უნდებოდ სტრის რა მისთვის დაობლებული სახლობა მისი. უნდებოდ კმუნეარებს სრულად საქართველო, რომელმან დაჯარგა ნიქიერი მკოდინარე და სრულიად კეთილშობილი თვისის წარმომადგენელი, უკიდურესად სწუხან მისთვის და ყოველნი, ვინცა კი იცნობდა მას.

ჩვენ მოვისმინეთ გლოვისა ხმა სამხედრო მეზიკის. — ჩვენ ვიხილეთ დროშა შავად მოსილი. საწუხარო ეტლი გარემოვეული კვლახტრებითა დაყოვნებულად იბრუნდა ქუჩისა შინა ქალაქისასა სიონის ეკლესიასკენ გაცილებითა თითქმის მთლად ქალაქის ცხოვრებთაგან. მთლად ბაღკონნი, მთლად ფანჯრები იყო აღსილი ხალხითა. თითქმის მთლად ღექნები იყო დაეტილი.

ეკლესიისა შინა მოასმენინეს პანაშვილი განსვენების სულისა მისისათვის და ისრუთივე მწუხარების სასწაულითა გავაცილეთ კუბო მისი კახეთისაკენ. იქ, კახეთში ელიან მის საფლავნი წინაპრისანი. მშვიდობით, კნიაზო. მშვიდობით! მოტირალნი შენთვის დიდხანს სტირიან და კვლად აღარ მოგვლიან“.

მეფის ნაცვალნი მ. ს. გორონკოვი სწერდა ვ. ო. ბებუთოვს: „თქვენ აღბათ დაგამწუხრათ თავად ჰეჰეჰეჰის საშინელმა ამბავმა. ჩვენ ყველანი მოვხარდაცემულნი ვართ და მთელი ქალაქი მწუხარებამა“.

ონა მეუწარგია ალექსანდრე ჰეჰეჰეჰის დაჯარგის დამსწრე პირთა ნაამბობის მიხედვით წერდა: „ტფილისმა დიდის პატრიისციემით დამარხა ის, მთელი მოქალაქეობა თავის ამქრებით და ბაირალბით გაყევა მას საუკუნო განსასვენებელითა.“

ალექსანდრე ჰეჰეჰეჰე დაჯარგულს დიდის ამბით შეუამთის მონასტერში. ტაძრის შიგნით, სამხრეთის მხარეს კედელთან. კედლის ძირს აღდეს ფიქალი წარწერით: „მარად საუვეიწყოსა სინამრთისა სამარესა დავსდევ ფიქალი ესე მთავარმა დავით დადიანმა“.

კედელში ჩასმულია მარმარილო ზედ წარწერით: „თავადი ალექსანდრე ჰეჰეჰეჰე მიიცივალა. წლისა 6 ნოემბერსა ჩემჴ წელსა. მწუხარსა განუსვენოს ტირილმან და ცისკარსა სინარულმან (ფხალ. ვთ)“.

მწერალი — აკადემიკოსი ა. ნ. მურავიოვი, რომელიც თბილისში 1846 წლის შემოდგომაზე ჩამოვიდა, ალექსანდრე ჰეჰეჰეჰის ცხოვრების უკანასკნელი დღეების შესახებ წერს:

„როცა მე ვესტუმრე მის წინანდლის გამეულს, კეთილი მასპინძელი ქართლში იყო გამგზავრებული. იმ დღეს კი, როცა მე სომხეთ-

დან ვბრუნდებოდი, მას თავს დაატყდა უბედური აღსასრული...“

როდენი სოცერტული ჩაიტანა მან საფლავში და რარეჰ პატრიისციემით უნდა ეპყრობოდნენ მის ხსოვნას რუსი და ქართველი თანამემუელნი, რადგან იგი ყოველთვის ცდილობდა სამსახური გაეწია ორ ხალხთა ურთიერთობისათვის და მის სახლში ეს ორი ხალხი მართლაც ერთი იჯახი იყო.

განისკვენ მშვიდად, თავადო ალექსანდრე! მე მხოლოდ დავინახე როგორ ჩაიარა ჩემი ფანჯრების წინ შენმა ხალდახინმა და, ავადმყოფობის გამო ვერც კი შევძელი უკანასკნელი ვალი მომეხადა შენს წინაშე, მაგრამ შენი ხსოვნა მირად დარჩება ჩემს გულში...“

უნინ დედოფლისადმი (თინათინისადმი) პატრიისციემის გამო, მის საფლავში სამეფო გვარიდანაც კი არავინ დაუკრძალავთ.

პირველად ეს პატრეი ხედა თავადის ქალს, ჰეჰეჰეჰეს რომლის საფლავს მისმა საყვარელმა შვილმა (ა. ჰეჰეჰეჰემ) ამოღულეველი ეპიტაფია წააწერა.

როცა მე იმ ღექსს ეკოთხელობდი, ვიმედოვნებდი, მაღ ვაეცნობოდი მას, ვინც იგი დაწერა. მაგრამ ამის მაგიურ ჩემგან მოითხოვეს სიტყვა მისი საფლავის ქვისათვის.

მე მივეთითე 29-ე ფსალმუნის სიტყვებზე, მისივე საუეთარი ღექსის აზრს რომ ემთხვეოდა: „სალამისისას ცრემლი იმეფებს, დილით კი სინარული“.

როცა მწერალი — აკადემიკოსი ა. ნ. მურავიოვი უკეთ ვახდა, ის მაშინვე ჰეჰეჰეჰეჰის თქმას ესტუმრა სამძიმარის გამოსატყვავად.

1847 წლის 11 იანვარს ალექსანდრე ჰეჰეჰეჰის ქვრივს, სალომე ივანეს ასულს გარდაცვლილი მეუღლის განმრთელობის მდგომარეობისა და სიკვდილის მიზეზების ცნობა მიეცა:

Дано сие вдове княгине Саломии Ивановой Чавчавадзе, в том:

1. Что муж ее генерал-лейтенант князь Александр Гарсеванович Чавчавадзе в 1812 году 1 марта в сражении против мятежников Телавского и Сигнахского уездов Грузии, при селении Чумлаке, был тяжело ранен ружейною пулею в чашку левого колена, от чего он всю жизнь свою чувствовал сильную боль при перемене погоды.

2. Будучи членом Совета Главного управления Закавказьем, с 1838 года, и занимаясь постоянно письменными делами, от усиленного занятия оны, Чавчавадзе, ослабил зрение, так что читать мог посредством только увеличительных стекол, и предметы большие показывались ему вдвойне.

3. 5 ноября прошлого 1846 году упал он с экипажа и ушиб грудь и голову с повреждением черепа, сильным потрясением мозга и пролитием крови в оном, от како-

იანოზ ბალახაშვილი  
ცხონებრბა ალექსანდრე ჰეჰეჰეჰისა



# აქტიურობა

პიკო ნიხონიძე

## შ ა ვ ი კ ა ტ ა

ეს პროცესი, რომელზეც ასლა მოვითბრობთ, ყველაზე უპრეცედენტოა უპრეცედენტოა შორის!

განიხილება სისხლის სამართლის საქმე ბრალდებისა გამო ყველაზე დიდი დამნაშავესა, რომელსაც, როგორც თქვენი თვალთ ნახავთ და თქვენი ყურით გაიგონებთ, თურმე დამიანების წინაშე მიუძღვის დანაშაულთა შორის ყველაზე საშიში დანაშაული!

სასამართლოს სხდომათა დარბაზი, რიკულეზიანი გადაღობილი, გადაღობილში, როგორც წესი, დვას საბრალდებო სკამი. სკამზე კი ზის... შავი კატა და ვაკვირვებული აცეცუბს თვალებს. დახ... ამჯერად მახეში გაება თვით შავი კატა! დღეს ლაპარაკი იქნება შავი კატის შავ საქმეებზე და შავადაც წაუფა საქმე.

— ციცი... ყოველგვარი ზედმეტი გამუქების გარეშე... ვიცი განაცხადებენ პროტესტს კატის ოჯახის წარმომადგენლები.

ვინ უფლებს ყურს კატის კნავილს. აგერ მე და აგერ თქვენ!

...სამსჯავრო სხდომათა დარბაზში მხეცთმრავლობა. აუდიტორია სახურავში მოქცეული ვოლიერითაა სახსრე მსხვილფეხობით თუ წვრილფეხობით, რქოსნებითა თუ ჩლიქოსნებით. მხეცებს დარბაზში არ უშვებენ სხვადასხვა ზომის, ფორმისა და ფერის პირსაკრავებისა და ღვედებიანი ალიკაპების გარეშე. გალიაში დამარჩა, ვერ ვიშოვე და ასეთი რამეები არ გადის.

მოკლედ, როგორც იტყვიან, ტყის მეგობრის და მით უმეტეს ბრაკონიერის ფეხის დასადგმელი ადგილი არ არის!

...სასამართლო მოდის!

ოთხუნეები ორ ფეხზე დგებიან.

პროცესი იწყება. თავმჯდომარე სვამს წყალს და წყლის შემდეგ კითხვას:

— ვინ იცავს სამართალში მიცემულს? ფეხზე დგება საზოგადოებრივ საწესებზე გამოყოფილი უფასო დამცველი... თავი.

— ვინ თხოვა დამიცავო?! — პროტესტს აცხადებს და თვალებს აბრიალებს კატა.

— ადვოკატის მიმართ აცილება ხომ არ გაქვთ?

— დიახაც მაქვს!

— სულ მაგას დასდევ და ახლა გაქვს აცილება?! რატომ?

— გადავიღებულა ჩემზე. თავი ადგილზე შესტა.

— შე ვარ, კაცო, გადავიღებული თუ იმ?

— ეგ სულ ერთია!... პატივცემულ მოსამართლენო, თავი, რატომღაც, ჩემზე ნაწუენია...

— გრცხვენოდეთ!.. მან საზოგადოებრივ საწესებზე უფასოდ იკისრა თქვენი დაცვა, თქვენ კი...

— ეს რა უკისრია, კაცო, ეს რა უკისრია! — აწრუწუნდნენ თავები.

— უფასოდ, გესმით, — განაგრძო თავმჯდომარემ, — განვიმარტავთ, რომ თქვენ არ მოგიწევთ განამარტელოს გადახდა... მადლობის შეგიერთია?..

— თუ გამოვედი აქედან, გადაუღებდი, ბატონო.

— ჩვენ მას ვანდეთ თქვენი დაცვა, შევაწუხეთ!..

— რატომ აწუხებდით?... თავი კატის დამცველად?... არავითარ შემთხვევაში.. არ მიხდა და ძალა!



— რა გეწუხება — ვადახედა ერთმანეთს სასამართლოს შემადგენლობაში, — მაშ, ვის ირჩევთ დამკვეთად?

— ჭერ არ ვიცი რას მანბრალენბთ!

— კეთილი, მოიფიქრეთ... — მოუჭრა თავმჯდომარემ, — შევუდგეთ მუშაობას... ჩვენის მხრიდან საქმეში მოწმედ ვაღის დაღი... ვამოიხაზეთ — ბრძანა და ისევე ბრალდებულს მოუბრუნდა, — თქვენის მხრიდან ვის ასახელებთ მოწმედ?

— ჩემს კუდს. — უაბელაციოდ განაცხადა კატამ და გრძელ კუდს დაადო თათი.

— შეხედე ამ კუდიანს! — ვაისმა ჩურჩული დარბაზში.

— კუდი წინა პროცესზე შეღამ დაასახელა თავის მოწმედ. — კუდშიც მოუჭრა მოსამართლემ.

— ამასთან, იგი შემჩნეულია ცრუ ჩვენების მიცემაში. — დაუკრეს კვერთხი მოსამართლეს მსაჯულებმა.

— სხვას რას თხოულობთ?..

— მაშინ, ვთხოვთ ამხანაგურ სასამართლოს ვადამცეთ!

— ჩვენს ხელში ჩავარდნას მხეცების ხელში გირჩენია ჩავარდნა?.. — გულუბრუნოდ ვაიოცეს ადამიანებმა.

— ათასჭერ, — წამოიგნავდა ხაცოდავმა კატამ, რადგან მეტი თვლა არ იცოდა, — თქვენ ჩემი ვასამართლების უფლება არა გაქვთ!

— შენმა მზემი! — კოლეგიალურად უპასუხეს კოლეგიის წევრებმა და მიიღეს ერთსულოვანი გადაწყვეტილება, რის საფუძველზე კატას მზე ჩაესვენა.

იწყება დაკითხვა.

— შენი დაბადების დღე, თვე, წელი?

— დაიქვა ჩემი დაბადების დღე.

— როდის დაიქვა, რატომ?

— არ მახსოვს.

— ის ხომ კარგად ახსოვს, რომ დააქცია ქვეყანა. — შევიდა საქმეში პროკურორი, — უპასუხე სასამართლოს — სად, რატომ, როგორ და რა მიზნით ვარჩინე ქვეყანაზე?

— ნათლიაჩემისაგან ვამიგია, რომ ჩვენი წინაპრები ანტიკური წარმოშობისაა არიან... — შავმა კატამ უღვავებზე გადაისვა თათი, ჩემი პაპის პაპის პაპის...

მოსამართლემ შავიდან მუშტი დაჭრა.

— ...პაპა! — შეხტა ადგილზე და აიფხორა ბრალდებულში, — დაბადებულია ეგრეთ წოდებულ ოლიგოცივის პერიოდში!

— როდის, კაცო?

— ეს ვახლავთ კაინოზოური ერის პირველი პერიოდის — პალეოცივის პესამე ეპოქა, — ვადაიქვა ენად სამართალში მიცემული.

— კაი, კაი... არაა სპირი! — შეაწყვეტი-

და მოსამართლემ, — დამიწყო აქ წარსულის გაიდილება. მისამართი?

— თერთმეტსართულიანი სახლის სხვენი.

— სად მუშაობ?

— რესტორანში.

— მიმტანად?

— არა, გამტანად... ნარჩენები გააქვს.

— ოჯახური მდგომარეობა?

— მრავალშვილიანია!

— სოციალური წარმოშობა?

— ადამიანებს რომ ჰქონებო, მტაცებელთა ოჯახიდან!

— სხვას რომ თავი დავანებოთ, მართო ეს ეყოფა „სროკის“ ასაკიდან. — ჩაინაშნა ზლოყნობში პროკურორმა.

— ნასამართლეთ ხართ?

— მსხვილმან ქურდებთან წვრილმანი ქურდობისათვის.

— მამა გიცხონდა!.. — გადაუღრინეს ერთმანეთს მხეცებმა.

— იცით თუ არა, რაში გედებათ ბრალი!

— არა!

— თუ არა და, მოუშენე აგერ პროკურორის!.. სიტყვა ეძლევა სახელმწიფო ბრალმდებელს!

— პატრიცემულო მოსამართლევ, პატრიცემულო მსაჯულნი!.. — შეუდგა პროკურორი წირვას და შეუყენა წუალი საწულ ფისუნის, — თქვენს წინაშე ადამიანის დაუძინებელი მტერი — შავი კატა!

დაიხ, დაუძინებელი!.. ამ სიტყვის პირდაპირი (არც თვითონ იძინებს, არც ჩვენ ვეძინებს) და ვადატანიო მნიშვნელობით, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია.

ორი აზრი არ არსებობს! — თქვა პროკურორმა, რადგან ერთის მტერი არ ჰქონდა და კაცის დანაშაულის კატაზე ვადატანიო მნიშვნელობის გაშუქების დროს ბრალდებულის კორიანტელი დააყენა.

— პატრიცემულო მოსამართლენო!.. მაშინ, როცა ჩვენი მშობლები სამშობლოს უკიდევანო განედის კილით-კიდემდე...

— ეს ხომ თქვენ უკვე წინა პროცესზე თქვით. — ზრდილობიანათ შეახსენეს ბრალმდებელს.

— ვთქვი და ვიმეორებ... — წარბი არ შეიხარა სიტყვაში გამოსულმა, — მაშინ, როცა უველგან და უველაფერში საათივით ვვაქვს აწუხობილი საქმე, ეს, ერთი შესეღვით უწყინარი ფისო, ორი შესეღვით ვეველინება, როგორც შავი კატა — გამოუსწორებელი რეციდივისტი, სისხლის სამართლის ქრონიკული დანაშაუვე, რომელიც უველგან და უველაფერში ანგარეებით, ვერაგულად ვვილის ხელს...

— !?

— არ უნდა ამას ძახილია და კიდების ნიშანი. თვითონ ვანსაჯეთ, მოსამართლენო! მივიყვან



შემთხვევებს: 1. ვთქვით, ლაპარაკებს ქუჩაში ორი კაცი, როგორც ძმა და მეგობარი, იაღონი ამოსდით პირიდან. სად არის და სად არა, გამოვარდება ეს ღვთის პირიდან გავარდნილი, გაიზრდნენ მათ შორის და მოგვამა ქირი, სისხლით ძმები — მოსისხლე მტრებად იქცევინა.

2. მოდის ტრანსპორტი, პიკის საათია, ავტომობილები მოჰქრან 60 კმ. სიჩქარით... გამოჰქრება საიდანაც ეს ეშმაკის კუდი და აჩერებს მთელ მოძრაობას.

3. შეშოქმედებითი პათოსით აღხვანე მიღისარ სახანსურში, გეჩქარებათ... გადავირბენთ წინ შავი კატა და ელოდებით მანამ, სანამ სხვა არ გაივლის! მთელი დღე დათარხული ხართ. ის სხვა კი, თვენი ძმა და მეგობარი, რომელსაც მეგობრულად დაუთმეთ გზა, ვინ იცის რა დღეშია?

— კეთილ ინებეთ და სიტყვა მეგობრულად ბრჭყალებში ჩახვით! — ისროლა ვიღაცამ რეპლიკა დარბაზიდან.

პროკურორმა პროფესიული ოსტატობით დაიჭირა რეპლიკა და... რეპლიკითვე უბასუსა: — დიხს, შეგისი ბრჭყალები სიტყვასაც კი ანიორწყლებს და უსცვლის შინაარსს, კეთილი — ზოროტად იქცევა, თეთრი — შავად და პირიქით!... ტყუილად კი არ არის ნათქვამი — კატას ისე უნდა სცემო, ხელები ბრჭყალებით არ დაგაფხანსო. — პუნქტუალურად და პუნქტუაციურად წარმოადგინა საბუთად ხალხური ანდაზის მიერ ბრალდებულის დახასიათება-რეკომენდაციის ასლი.

— რომელი ერთი ჩამოვთვალეთ, — განაგრძო მან, — რამდენ ტყილ მეზობელს, რამდენ მეგობარს, რამდენ დირექტორსა და მოადგილეს და საერთოდ უფროს-უმცროსს შორის გაურბენია შავ კატას, რამდენი ოჯახი დაუნგრევია, რამდენი...

— რამდენი?... აბა, პო, დიხს, როგორც შენ იტყვი... კაცს კაცთან ყინული თუ უნდა მიზღვს რა დაღვეს — აიფხორა ბრალდებული, — ერთხელ ჩემი ყურით გავიგონე, მეზობელმა — მეზობელს შარი რომ ვერ მოლო, იმაზე ეჩხუბა — შენი კატა რატომ ჭამს ჩემს თავჯვოსო! — მოკლედ, ზოგიერთი აღამიანები რომ ჭამენ, ხრავენ, უჩივიან, ცილს წამებენ, შეურაცხუფას აყენებენ ერთმანეთს, ვერ ძლებენ საერთო სამზარეულოში, ირვიან, წერენ ანონიმებს და წერას არიან ატანაღნი, ეს, პატივცემული მოსამართლენო, ყველაფერი შავი კატის ბრალია!

ამიტომაც ზოგიერთი აღამიანი საჩივრებს რომ გადაუყვება და ნერვიულობისაგან კატის ნათრევს ჰვავს.

— რას ერჩით ამ საცოდავს, პირად საქმეში არც ერთი საყვედური არა აქვს. — რქები ამოუვიდათ კატებს. მათ ჩლიქოსნებიც აყენენ.

— გააჩუმეთ ეს სახაშები! აცხა-აცხას რომ გავძახნით, საყვედურია, აბა, რა არის!.. თქვა ბრალდებულმა და კიდევ უფრო თავზე და ნაშუსტ ხელადებულად განაგრძო:

— ...ჩვენ დიდხანს და დიდი გულმოდგინებით, მიუყრბოვებოდა, ობიექტურად ვსწავლობდით ამ სუბიექტს.

ამ ქუქუქოვარს რომ უყურებთ, იგი, როგორც წინასწარ გამოიხეხაში დედადგინეთ და თვითონაც არ უარყოფს, შტაცებულთა ოჯახიდანაა, აბა! ასეთ ოჯახში რა გაიზრდებოდა!.. მისი მშობლები ველოვრები არიან, ვარკვეული პროფესია არა აქვთ და დღესაც ტყუილად და ენებებიან. ისინი ყოველგვარი კომუნალური მოსახსურების გარეშე ცხოვრობენ, არც სახლი აქვთ, არც კარი, არც გათბობა, არც ცნე-ლი შევლი და არც აღამიანის ნასუფრალი... ეს კი მოგვეშინაურდა, ბატონო, სხვა რომ ერთხელ, იგი ორჭერ მშობიარობს წელიწადში, გეყურის თავის ცინდლებს, ეგაზრდებიანებს, თავზე ხელს გვასმევინებს, თვითონ კი, თურმე, სანარჩეს გვიხსობს!..

დიდხანს ეთმინეთ, ვიფიქრეთ, შინაურია, შეიგნებს თავის დანაშაულს და გამოსწორდება, მაგრამ არ შეეცამათ შავმა კატამ!

— ასეთ ცილისწამებას ისტორია არ გააბი-ებთ!... შეაშინეს ისტორიით ბრალდებელი.

— ვინ არ მამაბიებს?... ვინც შეგიშინებიათ ის შეამინეთ!

— ფაქტი, ნაღდი ფაქტი არ გაქვთ! — რა არ მაქვს?... აბა, ეს რაა?... მოვიყვან ასეთ მაგალითსაც:

ერთხელ, თურმე, ქალბატონ აფროდიტას... ქალი კი არა დემრთი იყო ის, პირადი განცხადების საფუძველზე, კატა უქცევია ქალად, დაუწერია ჭვარი კაცზე და გადაუხდია ქორწილი, — ეზომეც ვაიყვანა საქმეში პროკურორმა, — მერე უფიქრია — ვნახავ, ერთი, ვარკველობასთან ერთად ზენც თუ იყვალაო და ოთახში თავი გაუშვია.

ამ კუდიანს დავიწყებია დედოფალი რომაა, მიუტოვებია ნევე და თავს გამოჰკიდებია.

სკანდალი!.. — თავის სინილა გაწუდა.. წაიწრწუნებს წრწუნებმა.

მოვიყვან ციფრს! სისხლის სამართლის საქმეთა კრიმინალისტური სტატისტიკის მიხედვით, სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულთა 50 პროცენტი შავ კატაზე მოდის! ძირს ზოროტმოქმედი! — მეხივთ შეაზნუნარა დარბაზი პროკურორმა.

ბრალდებული სკამიდან გადმოვარდა, — ჭერ იჭექი მანდი! — დასვეს ისევ საბრალდებო სკამზე.

გიორგი ნოსინიძემ  
შაში ქაბაძე

მხეცებიც რომ არ ყოფილიყვნენ, ამის გავლენაზე გამხეცდებოდნენ, აბა, რა იქნებოდა — ეგ პროკურორი კი არა, პროკურატორია, პილატეა! — იღრიალა დარბაზმა.

— რა ამბავია აქ? ტყეში ხომ არ გგონიათ თავი! — წესრიგისაკენ მოუწოდა ყველას მოსამართლემ და ბრალდებულს მოუბრუნდა. — გაიგონე, რა ილაპარაკა პროკურორმა? ახლა ხომ მიხვდი, რაში გეღება ბრალი!

— ჩემზე ლაპარაკობდა?.. — გამოფხიზლდა კატა.

— არა, ჩემზე! — ირონიულად თქვა მოსამართლემ.

— მაშინ სწორი უთქვამს! თავმჯდომარე ამილიოლა, მაგრამ პროფესიული ოსტატობით შეიკავა თავი, ამ პილილის განაჩენს მოვაყრიო.

— ტყუილად იკატუნებ თავს, სიმართლეს ვერსად გაქცევი... გამოიძახეთ მოწმე!

შემოცუნტულდა ძაღლი.

— თქვენი გვარი?

— ფინია.

— სად მუშაობთ?

— ეზოს დარაჯი ვარ.

— რა იცი კატის შესახებ?

— ღრმად პატივცემული საზოგადოებავ! — აყვდლა ეზოს ფინია, — თქვენ კარგად იცით, რომ მე აღამიანის დიდი მეგობარი ვარ, მაგრამ სიმართლე უნდა გითხრათ, რომ კატა ფს...ფს... აბსო... აბსო... — აწრიალდა მოწმე... — ახლავე მოვალ! — წაიწყმუტუნა და მოკურცხლა.

დარბაზი უნერხულად შეიშოშვნა.

სანამ ქორი გავრცელდებოდა, ცუგო ისევ შემოკუნტულდა, ბოდიში მოხიდა და ლამითავრა სათქმელი.

— ფს...ფსიქოლოგიურად...

— შენ აქ რა ფსიქოლოგია ავტიკლა, მოკლედ და კონკრეტულად! — შეუყუყუ-შემოუყუყუ ფეს ძაღლს აქეთ-იქიდან აღამიანებმა.

— კატა აბსოლუტურად არ არის დამნაშავე!

1?

ბრალდებულს თვალზე ცრემლი მოადგა, ძაღლისაგან არ მოელოდა ამას.

— რა დამოკიდებულებაში ხართ სამართალში მიცემულთან? — დაუსვა მოწმეს პროკურორმა ვერაგული შეკითხვა.

— ძაღლსა და კატასავით ვართ გადაკიდებული, — აღიარა მოწმემ.

— აბა, რა ნამუსით ამართლებ?

— თქვენ თვითონ არ გამაფრთხილეთ, ცრუ ჩვენების მიცემისათვის ასე და ისეო, — წა-მოიყმუტულა გოშამა.

— თუ ასეთი ანგელოზია შევი კატა, რატომ ხართ გადაკიდებული? — ისევ შეეცადა პრო-

კურორი წაეკიდებინა ერთმანეთისათვის ძაღლი და კატა.

— რა ვქნა, კაცო, — აწრიალდა მოწმე, — არ ვთქვა მართალი — კანონი დამსჯის. ვთქვა და...

— თქვი!..

— ეგეც აღამიანების ბრალია, აღამიანებმა წაგვიიდეს ერთმანეთს... სიერის საყურებლად.

— უყურე ამ მამაძაღლს! — უყმაყოფილოდ გადახედეს ერთმანეთს მსაჯულებმა.

— მაგისთვის დაგიძახეთ მოწმით?! — ლაყბობ აქ და კიდევ ამბობ აღამიანის მეგობარი ვარო... მოუსვი აქედან!

ძაღლი კულამოძუბებული გაადგეს ვარტ.

სასამართლო გადღის მხარეთა კამათზე.

— ბორტმოქმედო! უპასუხეთ სასამართლოს, ბოლოსდაბოლოს, გვათ თუ არა დამცველი? — დაცხო მაგდას მუშტი მოსამართლემ.

— რა მჭირს, ხაღხო, დასაცავი? — ისევ მოიკატუნა თავი შავმა კატამ.

— მაშინ დაუძახეთ თავგს!..

ბებერი ვირთხა სოროდან გამოძვრა და ექვითის დიდი პორტფელიც გამოათრია.

— რა უნდა თქვას ამ უპილომ? — სიმწრით ვაეცინა კატას.

— რაც ქვეყანაზე გამოხრული კბილია. სხეულზე ურთან — თავგო. შენი კბილი მე და ჩემი — შენო, და რა კბილი შემერჩებოდა. — თავი იმართლა უფასო ადვოკატმა.

თავის უბაში ჩემი მტერი ჩავარდაო, ვაიფიქრა კატამ და ენერგიული პროტესტი განაცხადა.

— სადაა ობიექტურობა, ვის გაუგონია კატას თავი იცავდე!

— აბა, ჩვენ შენს ოფოფებს ვერ ვუყურებთ!

ბრალდებულს ოფოფის ხსენებაზე უცბათ სახე გაებადრა. სჩანს, რაღაც გაახსენდა.

— თუ მაინცდაამინც, ადვოკატად თუთიყუში მომიყვანეთ!

— მოახსენეთ სასამართლოს — რა მიზეზითა და რის საფუძველზე თხოულობთ დამცველად თუთიყუშს? — მოთხოვეს საბუთი.

— პატივცემული მოსამართლე, მე და თუთიყუში ერთი ათენისტი ლექტორის ოჯახში ვცხოვრობდით და სპეციალობის მიხედვით შესაფერი თანამდებობები გვეკავა. მე მღრღნელებისაგან, დამცველად რომ ამოიყვანეთ თავვი, სწორედ ამ ქურდბაცაცებისაგან ვიცავდი სახლს, ის კი ვართობა-დასვენების, ასე ვთქვათ, კულტმაზობრივ სექტორს ხელმძღვანელობდა. იმან იცის ყველაზე კარგად ჩემი ასავალ-დასავალი.

— მერე თუთიყუშმა როგორ უნდა დავიცვას, შე უბედურო? — არ ურჩია მოსამართლემ.



— ხომ ვითხარით, პატივცემულო, შე არა-ვისაგან არ შვირდება დაცვა.

— აბა, ვისთვის მოგვავს?

— თქვენთვის! ის წაგეითხავთ ჩვენი პატრონისაგან გაწეპირებულ ლექციას ათეისტურ თემაზე, რაც საქმეს არ აწყვეტს.

ცხადდება შეხვედრა. სასამართლოში გამოცხადების უწყება დაუყოვნებლივ მიუტრინავს დანიშნულებისამებრ — ამაზონის მწვეან ქოჩორა თუთიყუში კი დაუყოვნებლივ მოუტრინავს პროცესზე და ყოველგვარი წინასწარმოშადების, თეზისებისა და შეკითხვის გარეშე, მოუტრინისთანავე ზეპირად იწყებს:

— პატივცემულო მსმენელებო!..

კოლეგიის წევრებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ვინა ამის მსმენელი?

— გთხოვთ შეხვალს ნუ მიაკცევთ ყურადღებას, ამას ლექციაზე ჰგონია თავი. — განმარტა ბრალდებულმა და ახალმოუტრინელ ვექილს თვალი ჩაუკრა: — მდიო, მდიო!

... ცრუ...უმორწმუნოება. — მოიღერა ყველი თუთიყუშმა და გაბმით აკაქანდა — რელიგიის დამახასიათებელი თავისებურებაა. იგი მცდარი, ანტიმეცნიერული აღიარებაა ზებუნებრივი ძალების არსებობისა...

ცრუ...უმორწმუნოებისა და რელიგიის გნოსეოლოგიური და სოციალური ბუნება, თავის სუბსტანციაში, ერთი და იგივეა...

დამსწრე საზოგადოება პირდაღებული უსმენდა ფრთხილი ვექილის ფრთხილ სიტყვებს და აღტაცებას ვერ ფარავდა მისი მამხილებელი პათოსის გამო.

სწორედ ასეთი ლექცია ქირდებოდათ ამგებს.

დამცველი ბრალმდებელივით ლაპარაკობდა.

...ცრუუმორწმუნოებას ბოლო უნდა მოეღოს ხალხის კულტურის დონის ამაღლებით, მეცნიერული, ათეისტური მსოფლმხედველობის ფორმირებითა და აღამიანის შეგნებულობით, უბრალოდ რომ ვთქვათ, ქეყაზე მოხვლით.

ცრუუმორწმუნოება ძალზე მავნე გადმონაშთია, რომლის წინააღმდეგ მიმდინარეობს დაუნდობელი ბრძოლა... — ჩაახლებულა თუთიყუშმა.

— პოპა დურაკი უძახე ახლა ამას შეე! — გაისმა მოწონების შეძახილები.

— სხვა რა იცი?

თუთიყუშმა მარჯვენა თვალი შინაურივით ჩაუბატუნა და სულელურად გადაიხსკისა.

— ფისო, ფისუნია, რძეს თავი დაახურე, კატას რძე უყვარს... — შეპკივლა ქალის ხმაზე და ისევ გადაფიჩინდა.

კოლეგიის წევრები დაიბნენ.

— ეს ჩვენი ყოფილი დიასახლისის სიტყვებია. — განუმარტა თავმჯდომარეს შავმა კატამ.

— საყვარელ ქმარსაც კი ჩემი სახელი დაარქვია.

პატივცემულო მოსამართლე, თუთიყუშს მეტს ნულარაფერს ჰკითხავთ. მისმა პატრონმაც იცოდა, ამასაც ასწავლა და მეტი იმან არ იცის, ამას რა უნდა ასწავლოს! — გულში კი მწარე სინანულით გაიფიქრა — არადა, რამდენჯერ მიწყენინებია!..

წამებებიანი სიტუაციის განსამუხტავად პროკურორი ისევ წამოიჭრა ფესზე და ისევ „მამო ჩვენოს“ მოჰყვა.

— პატივცემულო მოსამართლენო!.. მამის, როცა...

— კაცო, ეგ ხომ თქვი ერთხელ კიდევ იმეორებ? — გამოერკვა მოსამართლე.

— შე ვარ თუთიყუში თუ ეგ? — გალაყინდა თუთიყუში.

— შენ მანდ ქვიანად იყავი, თორემ... — დაემუქრა პროკურორი.

— თორემ გალით არ შემეშინო, მიუხედავად სულ გალიაში არ ვწივარ! — ისევ გადაიკისკისა ამაზონის მწვეანე.

— შენ, ეი, ამაზონის მწვეანე ხარ, თუ მანვის მწვეანე, თუ ჩამივარდი ხელში!..

— ზუსტ კვრცხები არ დამიბტერო!

— ხმას დაუწიეთ. — ხმას აუწია თავმჯდომარემ და ისევ დამცველს დაამტერა, — კიდევ რა იცი?

თუთიყუშმა გაკვირვებით მოწყურა თვალები, ცერად გახედა, წამოიქორჩა, შერე ფეხით ყური მოიფხანა, საწყისი პოპა მიიღო და ისევ იმას მოჰყვა:

...ცრუუმორწმუნეობა და რელიგია გნოსეოლოგიურად...

— შენ რავა კაქაქვიით იმეორებ ერთიდაგივეს?!

— თუთიყუშია, ბატონო, ეს. მართლა ვექილი ხომ არ გგონიათ! — დაიცვა თავისი დამცველი ბრალდებულმა.

— შენ ვინ გკითხავს?

— რას ჭვია, ვინ მკითხავს?.. გთხოვთ მომცეთ სიტყვა! სიტყვას, რადგან ფასი არა აქვს, მაშინვე აძლევინ.

შავი კატა ნერვულად გაიშორა საბრალდებო სკამზე, პირი მოიწმინდა, უღვაშები შეაცმატუნ-შეთათამაშა, კული, როგორც იტყვიან, ყავარზე გადო და დაიწყო:

— პატივცემულო მოსამართლე, პატივცემულო მსახულენო!

...ვერ ვიტან მლიქვნელებს. — გადაურწუნუნა წრწუნუნამ წრწუნუნას.

— აჰ, პატივცემულმა პროკურორმა, იმდენ დანაშაულში დამლო ბრალი, რომ არ ვიცი რომელ ერთში ვიმართლო თავი.

გიგო ნიშნიანიძე  
შავეი ბატა



ამიტომ პირდაპირ ვიტყვი — დამიანის მი-  
ერ წაუენებულ არც ერთ ბრალდებაში თავს  
არ ვტყლი დამნაშავედი!

17

— რითი შევიძლია თავი იმართლო!

— ჩემი ღრმა რწმენით... შევეცდები ვადა-  
ზათლო თქვენა ცრურწმენა.

აბა, დაუვიკრდი, კეთილო კაცო, რა შუაშია  
შავი კატა?..

თუ მართლა ასეთია თქვენი სამართალი,  
მაშინ იმდენი „დამნაშავე“ უნდა მომიჩინოთ  
ვერდით, რომ საბრალდებო სკამა აღარ  
გვეყოფათ!

— მაგზე შენ ნუ სწუხარ, ვიშოვით, —  
უშოვნი მომენტი თავებშია.

— დამიანურ ცოდვა-მადლში კატას რა  
ხელი აქვს? — ვანაგრძობ ბრალდებულმა, —  
თვითონ ვანსაქეთ... ადგება დილით უფშური  
კაცი, დაცოფავს შინაურს თუ გარეშებს და...  
შენ დღეს მარცხენა ფეხზე ამდგარხარო! მარ-  
ჯვენა თვალი უთამაშებს და დღეს რაღაც  
მეწეინებაო! სუფრაზე მარილი დაიყრება...  
ჩხუბი იცისო და.. არის ერთი მიწვე-მოწვევა!  
ახალ ტანსაცმელს ქირში უნდა ჩაცმა, ლხინ-  
ში — ვაცვითავო და... ელოდება ვიღაცის  
სიკვდილს! სიუთაზე ქალს რომ დაინახავ, წაა-  
ვებო და... ვაი იმას, ვისაც პირველად შეერჩებ-  
და..

შეე რომ ჩავა, ნავავი არ უნდა გადაუაროო  
და... ამ სიბრძნესაც ცუდი სუნი უდის!  
ორშაბათს და ოთხშაბათს ნუ დაიბან, ქალო,  
თავსაო...

სამშაბათსა და ხუთშაბათს კი ცხელი წყალი  
არ მოდის!

დათვი რომ ხიდან ჩამოვარდება, ვასუქდე-  
ბაო! ერთი დათვსაც ჰკითხეთ!

ორმა ცხვირმა დამაწემაო და ლამის ნოტა-  
რიუსად დანიშნონ!

იანვრისა რვაში ნუ გამხვად კარში და...  
უბიულტებოლ ვეტირება უოფა ცსრაში!

ვინცა ქამა ქათმის გული, ვერ მოგოც კაცის  
გულიო — კაცის გულს რა მოიგებს!

ორშაბათს გათხოვილი ქალის თაისი სახლი-  
დან წამოველა წესი არ არისო... სამშაბათის  
შატარებულზე კი ზილეთი არ არის!

მარჯვენა ხელისუფლი მუფხანება — ფული  
მოდისო!

მარცხენა ხელისუფლი მუფხანება — ფუ-  
ლი მიდისო!

ფეხის გული მუფხანება — ვა იცისო!  
სურვი მუფხანებაო...

არავითარი ფული... მე მგონია, შენ, ძმეო,  
აბანოში ხარ წანასვლილი!

— ეს ვინ უოფილა, კაცო, ამას რათ უნდა  
დამცედიო... — აღაპარაკენენ, დამწერნა.

...მოკლედ, რას არ მოიგონებს კაცი...  
და ბოლოში სამართალი მიცემულა...  
საწუალი თვალბით შეხედა დამიანებს... —  
თქვენ იყავით ტკბილად და მეგობრულად,  
თქვენ თვითონ ნუ დაქამთ ერთმანეთს, ბატო-  
ნო, და შავი კატა რას დაგაყლებთ!

...ბრალდებულის სიტყვა მეტად ეფექტური  
გამოვიდა, მაგრამ ცოტაა ქვეყანაზე დეფექ-  
ტური?.. ზოგ-ზოგებმა უურიც კი არ ათ-  
ხოვეს:

— ის როგორ იყო, — გაუსენა პოპულორ-  
მა, — კატა ვერ შეწედა ძეხვსაო, პარასკე-  
ვაი დღესაო!

— მაშინ, გენაცვალე, „პოლუჟაპონი“ და  
საერთოდ დეფიციტური საქონელი სპეკუ-  
ლანტების ხელში იყო და ამიტომ ვერ შეე-  
წედი... რა ანდაზებით მელაპარაკებოთ, კა-  
ცო, აბა, ეს თითისსიგარტე ბოჭუშები რომ  
დაირყუნენ „პრის ილი შიალში“ და სვეცნა-  
კოცნა რომ ორკაპიჯად ვახადეს, ისიც მე  
დამაბრალეთი...

— არა თუ?.. უუურე შენ!  
— თუ მართლა ასეთია სასწაულმოქმედი ვარ,  
გამოიყენეთ!

— რაში გამოვიყენოთ, შენა ხორცი არ იკ-  
მება და ტყავი არ ვარვა!

— რატომ! აი, მაგალითად, წაუხვავთ ფეხე-  
ბზე თეთრი საღებავი და ვარბენით ქურჩაში  
დერძოლა ხაზზე, — მოიფიქრა ვიღაცამ, —  
იქნება მართლა ეშველოს და აღარ ვადარა-  
ბინონ ქურჩა უადვილო ადვილზე!

— ეს იდეა!

— ჩვენ გვიცდა საქმე... — ჩაუენა საქმე  
კალაპოტში პაროკურორმა, — ბრალდებულო,  
ესე იგი თავს ანაფერში არ თვლი დამნაშა-  
ვედ, არა?..

— არავითარ შემთხვევაში... უველა წამო-  
ყენებულ ბრალდებაზე პაროტეტს ვაცხადებ!  
— დაიჭუვავა კატამ.

— ნაწილობრივ მაინც აღიარე დანაშაული  
სთხოვა ბრალმდებელმა.

— ცოცხალი თავით არ ვიკისრებ!

— ეს რა იკისრა, კაცო, ეს რა იკისრა! —  
ისეუ აწრუწუნდნენ წრუწუნები.

...სასამართლო გადის ვანაჩენის გამოსაძა-  
ნად, როგორც გადის, ისე გამოდის და გამო-  
აქვს ვანაჩენი:

„სასამართლო სამსჯავრო სხდომაზე მოსმე-  
ნილ იქნა სისხლის სამართლის საქმე ბრალ-  
დებისა გამო, რომელიც მიუძღვის შავ კა-  
ტას და რაც ვათვალისწინებულაო კოდექსის  
მუხლებითი...“

თავმჯდომარემ ამოისუნთქა და უოველგვარი  
ხუმრობისა და წარბის შეტოკების გარეშე გა-  
ნაგრძო:

— სამართალი მიცემულს ბრალი ედება





უშიშრეს დანაშაულში: ა) მასობრივი არეულობის მოწყობაში, ბ) მოძრაობის უსადრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევაში, ვ) ელექტროტრანსპორტისა და ავტომობილთრანსპორტის მოძრაობის უშიშროებისა და ექსპლოატაციის წესების დარღვევაში, დ) ავარიში, ე) ხალხის ერთმანეთთან ვადაკიდებაში, დანაშაულში ადამიანის ღირსების წინააღმდეგ — ცილისწამებაში, ვ) შეურაცხუბურებაში, ზ) შეგნებულად ცრუდასმენაში, თ) მოქალაქეთა ბინების ხელშეუხებლობის დარღვევაში (უკანონო ჩხრეკა... ყველაგან რომ ძვრება და ქვეყნს ყველაფერს!?, — ა) ხანტიარული წესების უხეშ დარღვევაში, კ) მანქანალობასა და მათსოცრობაში და სხვა და სხვა...

თავმჯდომარემ აქ, ადამიანის დანაშაულთა, ასე ვთქვათ, ზომობრფული კვალიფიკაციის შემდეგ, მრავალმნიშვნელოვანი მრავალწერტილი დასვა და წუთიერი დუმილით პატივისცა ბრალდებულის სხვებს.

— სასამართლომ გადაწყვიტა... — გვარდა მხვივით მოსამართლის სიტყვა... შავი კატა ცნობილ იქნეს დამნაშავედ ყველა წაუქნებულ ბრალდებაში და სასჯელის ზომად შეეფარდოს...

— შეჩერდით!.. მე ვიტყვი სიმართლეს!.. — ვაინმა ხმა დარბაზში.

... ეს მე ვარ!.. მე კარგად ვიცნობ ჩემ ხმას.

— ვინ ხართ თქვენ?

— მე ვარ ყველაფრის მოწმე!  
...რაშია საქმე? — გავიკრებოთ იკითხავთ თქვენ, პატივცემულო მკითხველო, ისე როგორც გაიკვირვეს და იკითხეს ამ პარადოქსული პროცესის მესვეურებმა.

— რა გაქვთ სათქმელი?

— აი, რა!..

პატივცემულო საზოგადოება!.. ნება მიბოძეთ საქმის კურსში ჩაგაყენოთ. შავი კატის დაცვა ჩემთვის არაუბედურად აღმოჩნდა. თავს ვაძლევ უფლებას განვაცხადო, რომ მეც თქვენსავით ადამიანი ვარ, თქვენი ჭიისა და ლხინის მოზიარე, მაგრამ თავს არ მივცემ უფლებას, რომ არ განვაცხადო, მე მხარს არ ვუჭერ ბრალდებას!

და აი, რატომ!

ეს პროცესი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ან ვინ გვიშლის ასე ვთქვათ, სისხლის სამართლის პროცესულური ფანტაზიის ნაყოფია. იგი, ცხადია, მოგონილია, მაგრამ მთლიან მოგონილი არც არის, რადგან ვისაც აქვს, გულზე ხელი დაიდოს და თქვას — ხშირად ადამიანები ისე ვიქცევიან, თითქოს კანონი ჩვენივეს კი არა; სხვისათვის იყოს მოგონილი! თქვენ მეტყუით — დეასახლეტ მოწმე!

მე გეტყუით — მოწმედ ვასახლეტ ხალხს, თქვენ დავასახლეტ.

ადამიანმა ისწავლა ავადმყოფ სტრუქტურაში მართლმადიდებლის გადარეგვა, მაგრამ არაფერს გაქვივებია, რადგან მან ამაზე ადრე იცოდა ავადმყოფი თავის ჭინართელ მსრებზე ვადატანა.

ხშირად კაცის ბორტებან ძაღლის თავში ვეძებთ, ჩვენს დანაშაულს სხვაში ვასამართლებთ.

ამის მოწმეც ვყავს... დაკითხეთ, ბატონო, მეფე ლირი, რაც არ უნდა იყოს მეფეა. დარბაზში გამოცოცხლდა...

— პატივცემულო მოსამართლენო!.. რამდენადც თქვენთვის ისტორიიდან და კერძოდ შემოსხენებული პირის ავადმყოფობის ისტორიიდან არის ცნობილი, შემოსხენებული მოწმე ამჟამად ერთობ შეუძლოდ არის. ამიტომ ნება მიბოძეთ გამოვაცხადო მისი წერილობითი ახსნა-განმარტება, რომელსაც წაალი რომ არ გაუვა ისეთი ბეჭდით ადასტურებს გენიალური ინვალენტი დრამატურგი.. დღეუ-მენტს ხელს აწერს უთილიამ შექსპირი.

— შექსპირს შაქარი!.. — წაუკლამბურეს ოდნავ იმდემციმულმა უდანაშაულო დამნაშავეებმა.

...ქვეყნის უკუღმართობა უთვალდაც დაინახება. თუ თვალს არ გაქვს, ყურით უყურე. აბა, უყურე — ზოგი მსაჯული საცოდავ ქურდს რაჩივად სტუქსავს. ჩვენში კი დარჩეს და აბა, ერთი მეორის ადგილას დასვი, მაშინ თუ კაცი ხარ, გამოიცნობ ზოგჯერ რომელია ამათში მსაჯული და რომელი... ქურდი!..

ეხე იგი, მეფე ლირი ატარებს კრიმინალისტურ ექსპერიმენტს, ავთენებს ფოკუსს... ერთი, ორი, სამი... და გამოიცანი ახლა, თუ ბიჭი ხარ, რომელია მოსამართლე და რომელია დამნაშავე?

დარბაზს ხელის მოთქმა ვაცალე და განვადრძე.

და ამას ამბობს კაცი, რომელიც ჭკუიდან შეიშალა!

ბატონებო, სავალდებულო ხომ არ არის ყველა ჭკუიდან შეეშალოთ, რომ ჭკუაზე მოვიდეთ!

...როგორც ამ მოხუცი მოწმის, ილუზიონისტი მეფის ბრწყინვალე ფოკუსიდან ხედვით, მთავარი თურმე ისაა, რომელი ფოკუსიდან შევხედავთ საქმეს.

გამოცდილების გზიარების მიზნით ხომ არ გვეცადა?.. ან? მაშინ ადამიანები კი არ გაასამართლებდნენ თავისი ფუნთი შემოყვანილ დამნაშავეებს, მე ვიტყვოდი, პირიქით!.. მაშ, ასე, ვიწყებთ ფოკუსს!.. ერთი, ორი...

გიორგი ნიშნინაძე  
შავი კატა



— აბა, აბა, ეგებები არ იყოს!.. ჩაიშალა ფოკუსი. „სამანდი“ საქმე არ მისულა.  
 — მართალი თუ გინდათ!.. მოყვარეს პირში უნდა უძრახო.  
 თორემ რა გამოდის? ზოგ ადამიანს რომ ჰკითხო:  
 სამსახურში აგვიანებს — საათს აბრალებს!  
 წონაში გვატყუებს — სასწორს აბრალებს!  
 ზომაში გვატყუებს — არშინს აბრალებს!  
 ქეუას კარგავს — ღვინოს აბრალებს!  
 პაპიროსს წევს — ჭანმრთელობას უჩივის!  
 ფუჭდება — ფულს აბრალებს!  
 აცივებს — რადიატორს აბრალებს!  
 აცხელებს — ობენეს აბრალებს!  
 ზნეს იცვლის — თანამდებობას აბრალებს!  
 ფებს წამოყრავს — ქვას აბრალებს!  
 ...მოკლედ, მისი ბრალთა და სხვას აბრალებს...  
 მე დავამთავრე!..  
 მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა!..

ამას წინათ ეს საქმე ზედამხედველობის  
 სით გაირჩა უველაზე უმაღლეს ინსტანციაში —  
 ადამიანის ტვინში!  
 განაჩინე:  
 ყველა ზემოთწამოყენებულ ბრალდებაში  
 დამნაშავეთ ცნობილ იქნეს ადამიანი!  
 მიესაჯოს ადამიანს:  
 1) დალიოს ზომაზე!  
 2) გადაადლოს პაპიროსი!  
 3. არ აყვეს ცრურწმენას!  
 4. რაც მოუვა, თავის თავს დააბრალოს!  
 5. იცხოვროს ტკბილად!  
 6. დაიცვას კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსი!  
 განაჩენს აზის გონიერების ბეჭედი, საბოლოოა და კასაცია არ ექვემდებარება.  
 დოკუმენტს ხელს აწერენ  
 — ქვემდებარეობის წესით, ქვემდებარე —  
 ადამიანი ზედამხედველობის წესით, შემასმენელი — კ ა ნ ი ს ი!



**ნახატები დიმიტრი ერისთავისა**

**ტექნიკური ხელმძღვანელი ს. ციციშვილი.**

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განუოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შალვა დადიანის ქ. № 2.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ე ბ ი: მთავარი რედაქტორი — 99-89-44. მდივანი-მემაწიანე — 99-53-85. პ. მგ. მდივანი — 99-71-69. განუოფილებათა გამგეები — 99-85-81. პროზის — 99-84-66. ლიტერატურულთა თანამშრომლები — 99-75-69. „ცისკრის“ დამატება — 93-17-63. საკორექტორო — 99-85-28.

გადიცეა ასაწყობად 22/X-76 წ., ხელმოწერილია დასაბუქლად 6/XII-76 წ., ქალაქის ზომა 70X108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-სავ. თაბახი 14,35. შეკვეთა № 3538. უე 00932. ტირაჟი 28.000.

საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
 Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ფანდი 60 კპპ.

საქართველოს  
საბჭოთავო  
საბჭო

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И  
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ  
ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО  
ЦК КП ГРУЗИИ  
ИНДЕКС 76236